დანართი №1

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2019 წელი

სარჩევი

რუკების, გრაფიკებისა და ცხრილების ჩამონათვალი 2

თავი I. შესავალი და პროგრამის გეოგრაფიული დაფარვა 4

1.1. ზოგადი წინა ისტორია 4

1.2. რეგიონების შერჩევა 6

თავი II. საპილოტე რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები 8

თავი III. საპილოტე რეგიონებში გადასაჭრელი ტერიტორიული განვითარების საჭიროებებისა და პოტენციალის მოკლე შეჯამება 26

თავი IV. პროგრამის მიზანი, ამოცანები და პრიორიტეტები 32

4.1. საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის ამოცანებისა და პრიორიტეტების დასახვისთვის პროგრამის ჩარჩოს დადგენა 32

4.2 ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი 38

4.3 სახელმძღვანელო პრინციპები 41

4.4 პრიორიტეტების აღწერა 44

თავი V. სრიგპ-ს ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები 69

პრიორიტეტი 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე 71

პრიორიტეტი 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ... 83

პრიორიტეტი 3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა 96

პრიორიტეტი 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება 110

პრიორიტეტი 5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება 122

თავი VI. პროგრამის განხორციელება და ფინანსური გეგმა 133

თავი VII. მართვისა და განხორციელების ინსტიტუციური სისტემა 138

დანართი I. სრიგპ-ს მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები ღონისძიებებისთვის და ქვეღონისძიებებისთვის; დასაშვები პროექტების ტიპები, სამიზნე ჯგუფები, განხორციელების პირობები და ასიგნებები 144

ცხრილი 1. სრიგპ-ს მიზანი, მოსალოდნელი შედეგი და ინდიკატორები 144

ცხრილი 2. ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები პრიორიტეტებისთვის 145

ცხრილი 3. დასაფინანსებელი შესაძლო აქტივობების ტიპები, მყისიერი შედეგის ინდიკატორები, გრანტის მიმღებები, განხორციელების ღონისძიებები და ღონისძიებების/ქვეღონისძიებების დონეზე გამოყოფილი ინდიკატიური თანხები სახელმწიფო და ევროკავშირის წყაროებიდან 150

რუკების, გრაფიკებისა და ცხრილების ჩამონათვალი

[რუკების ჩამონათვალი](#)

რუკა 1: საქართველოს რეგიონების რუკა

რუკა 2: საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა

[გრაფიკების ჩამონათვალი](#)

გრაფიკი 1. მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საპილოტე რეგიონების ჭრილში.

გრაფიკი 2: წმინდა მიგრაციის მაჩვენებელი 2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საპილოტე რეგიონებში და თბილისში (%).

გრაფიკი 3. უცხოელ ვიზიტორთა განაწილება რეგიონულ ჭრილში, 2018წ.

გრაფიკი 4. საპილოტე რეგიონების სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, 2014 და 2018 წწ.

გრაფიკი 5. უცხოელ ვიზიტორთა განაწილება რეგიონულ ჭრილში, 2018წ.

გრაფიკი 6. პრიორიტეტების მიხედვით სრიგპ-ს თანხების თემატური გადანაწილება.

გრაფიკი 7. 2018 წლის ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით

გრაფიკი 8. პრიორიტეტების მიხედვით სრიგპ-ს თანხების თემატური გადანაწილება

გრაფიკი 9. სრიგპ-ს მართვისა და განხორციელების ორგანიზაციული სისტემა.

გრაფიკი 10. სრიგპ-ს ფარგლებში პროექტების მართვის ციკლი.

[ცხრილების ჩამონათვალი](#)

ცხრილი 1: საპილოტე რეგიონების ფართობი და მოსახლეობა 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით

ცხრილი 2: მთლიანი დამატებული ღირებულება საპილოტე რეგიონებში, 2016

ცხრილი 3: უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის მაჩვენებელი, 2017 წელი

ცხრილი 4: ეკონომიკური აქტივობა და დასაქმების მაჩვენებლები 2017 წლის ბოლოს რეგიონების ჭრილში.

ცხრილი 5: ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა 100,000 სულ მოსახლეზე 2017 წელს

ცხრილი 6: მოსახლეობის საშუალო ასაკი საქართველოსა და საპილოტე რეგიონებში.

ცხრილი 7. საპილოტე რეგიონებში არსებული ბარიერები და საჭიროებები

ცხრილი 8. სრიგპ-ის მთავარი ამოცანა, მოსალოდნელი შედეგი და ინდიკატორები

ცხრილი 9. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა.

ცხრილი 10. პრიორიტეტი „ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე“

ცხრილი 11. პრიორიტეტი „უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“. ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ძირითადი მაჩვენებლები

ცხრილი 12. საპილოტე რეგიონების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, 2017წ.

ცხრილი 13. კომპანიათა წვლილი მთლიან დასაქმებასა და ბრუნვაში, საწარმოთა ზომის მიხედვით, %-ად, 2017 წ.

ცხრილი 14. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში (%), 2017

ცხრილი 15. პრიორიტეტი „მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა“ ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

ცხრილი 16. ძირითადი ინფრასტრუქტურული მაჩვენებლები, 2017წ.

ცხრილი 17. პრიორიტეტი: „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“. ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

ცხრილი 18. პრიორიტეტი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება. ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

ცხრილი 19. ღონისძიებებისა და ქვეღონისძიებების სია

ცხრილი 20. სრიგპ-ს თანხების ინდიკატიური განაწილება პრიორიტეტისა მიხედვით 2020-2022 წწ (მილიონი ევრო)

ცხრილი 21. მოსახლეობის წილი და რეგიონებს შორის თანხების ინდიკატიური განაწილება

დანართი I ცხრილი 1. სრიგპ-ს მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

დანართი I ცხრილი 2. ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები პრიორიტეტებისთვის

დანართი I ცხრილი 3. დასაფინანსებელი შესაძლო აქტივობების ტიპები, მყისიერი შედეგის ინდიკატორები, გრანტის მიმღებები, განხორციელების ღონისძიებები და ღონისძიებების/ქვეღონისძიებების დონეზე გამოყოფილი ინდიკატიური თანხები სახელმწიფო და ევროკავშირის წყაროებიდან

თავი I. შესავალი და პროგრამის გეოგრაფიული დაფარვა

2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (შემდგომში – ასევე პროგრამა) პროექტი წარმოდგენილ იქნა საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ევროკავშირთან, სხვა განვითარების პარტნიორებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებსა და კერძო სექტორთან კონსულტაციებისთვის. საკონსულტაციო პროცესის შედეგებიდან გამომდინარე და ასევე, ევროპულ კომისიასთან მოლაპარაკებებზე დაყრდნობით, დოკუმენტის შინაარსი, შეთავაზებული განხორციელების მოდელი და დაფინანსების ოდენობა შესაძლოა შეიცვალოს. პროგრამის განხორციელების პერიოდი 2020 წელია და გაგრძელდება 2022 წლამდე. პროგრამა დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის, ევროპის კავშირის (შემდგომში ევროკავშირი) ფინანსური კონტრიბუციის, ასევე, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და კერძო სექტორის ფინანსური მხარდაჭერით.

1.1. ზოგადი წინა ისტორია

„2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივნისის №1292 განკარგულებით დამტკიცდა „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“ (რგპ), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ მიდგომებს საქართველოს რეგიონულ პოლიტიკაში. რგპ-ს მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს რეგიონულ განვითარებაში ქვეყნის მასშტაბით ეროვნული და რეგიონული კონკურენტუნარიანობის ზრდით, დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, რეგიონული უთანაბრობების შემცირებისა და ტერიტორიული კოჰეზიის გაზრდის გზით. რგპ წარმოადგენს საფუძველს, რათა განისაზღვროს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო წყაროებიდან (მათ შორის, საერთაშორისო დონორების და განვითარების პარტნიორების დახმარება) დაფინანსებული ყველა განვითარების ღონისძიება, რომელთაც საქართველოს ტერიტორიაზე მკაფიო ტერიტორიული ზეგავლენის მოხდება შეუძლიათ და მათი განხორციელება საქართველოს ყველა რეგიონშია[1] შესაძლებელი. რგპ-ს ერთ-ერთი ღონისძიებაა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მომზადება (სრიგპ), რომელიც 2017-2020 წლების ევროკავშირის ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩოს პირობების შესაბამისად სხვადასხვა სექტორული და რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიან კოორდინაციას უზრუნველყოფს. სრიგპ-ს განხორციელება უშუალოდ ხელს შეუწყობს რგპ-ს საშუალოვადიანი მიზნების განხორციელებას, რაც გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას საქართველოს შედარებითი უპირატესობების დადგენით, მდგრად განვითარებას, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, კომუნალური სერვისების და საკომუნიკაციო ქსელების რეაბილიტაციასა და გაფართოებას, ასევე, სოციალური და ტერიტორიული კოჰეზიის ხელშეწყობას, რაც ყველა მოქალაქისთვის

[1] ამ პროგრამის მიზნებისთვის ტერმინი „რეგიონი“ განიმარტება, როგორც საქართველოს სტატისტიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული დაგეგმვის რეგიონები

თანაბარი შესაძლებლობების შექმნას უზრუნველყოფს, მათი სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

რეგიონული განვითარების მიზნების, პრიორიტეტებისა და ღონისძიებების (დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-4 თავში) და თანამედროვე, დეცენტრალიზებული რეგიონული პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბების გზით, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა დაეწყო ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ღონისძიებების განხორციელება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს გათვალისწინებულია 2015 წელს გაფორმებულ „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებაში.

სრიგპ ამ მიმართულებით ერთი ნაბიჯით წინაა და სთავაზობს ყოვლისმომცველი რეგიონული განვითარებისთვის კონკრეტული ქმედებების განხორციელებას, რომლის მთლიანი ღირებულება 3 წლის განმავლობაში 67.23 მილიონი ევროა და მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანობისა და კოჰეზიის ზრდას **საქართველოს შემდეგ ოთხ საპილოტე რეგიონში: იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა- ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**.

სრიგპ-ს აქვს მკაფიო საპილოტე და სადემონსტრაციო როლი, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს განახორციელოს რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად, რომლის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იქნებიან ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და დაინტერესებულ მხარეთა სხვა ჯგუფები. ეს მიდგომა შესაბამისობაშია დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის (2025 წლამდე) მომზადების პარალელურად მიმდინარე სამუშაოებთან, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერებას და პოლიტიკის შემუშავების უფრო დეცენტრალიზებულ სისტემას.

პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერს ევროკავშირი, რომელიც ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში გეგმავს გამოყოს 54 მლნ ევრომდე საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის მხარდასაჭერად.

ევროკავშირის დახმარების ერთიანი ჩარჩო პროგრამა საქართველოსთვის 2017 – 2020 წლებისთვის (Single Support Framework – SSF) ითვალისწინებს საქართველოს კონკრეტულ რეგიონებში ორიენტირებულ ინტერვენციებს, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს ევროკავშირის დახმარების ზეგავლენა და მისი გეოგრაფიული ხილვადობა. ამ მიზნის მისაღწევად განისაზღვრა 4 პრიორიტეტული სფერო (სექტორი), შესწორებული ევროპის სამეზობლო პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) და ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად. ისინი, აგრეთვე, თანხვედრაში არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტებთან, რომლებიც განსაზღვრულია დოკუმენტში „20 შედეგი 2020 წლისთვის“:

SSF-ის პირველ სექტორად განისაზღვრა *ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები, მათ შორის გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა,* რომლის ზოგადი მიზანია ხელი შეუწყოს ვაჭრობის დეფიციტის შემცირებას, ინვესტიციებისა და ინოვაციების წახალისებას და საქართველოს და მის რეგიონებში გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ზრდისა და მდგრადობის სტიმულირებას, მათ შორის: საბაზრო შესაძლებლობები, ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობის და ტერიტორიული განვითარება. სექტორის 1-ის 5 სპეციფიკურ მიზნებს შორის ერთი პირდაპირ კავშირშია რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნებთან – *ხელი შეუწყოს*

ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, რეგიონული უთანაბრობების შემცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას.

კონკრეტული რეგიონული განვითარების საკითხების მოგვარების მიზნით, 2017-2020 წლების SSF ითვალისწინებს საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადებასა და განხორციელებას, რომლის ინტერვენციებიც კონცენტრირებული იქნება საქართველოს შერჩეულ რეგიონებში, რათა გაიზარდოს ევროკავშირის მხარდაჭერის გავლენა საქართველოში და ამ მხარდაჭერის ხილვადობის ამაღლება ქვეყნის მოქალაქეებში. თითოეულ საპილოტე რეგიონში ევროკავშირი ითვალისწინებს ENPI-ის მხარდაჭერის იდენტიფიცირებას რამდენიმე ჯვარედინი ინსტრუმენტისგან, რომელიც დაფინანსებულია 2017-2020 წლების SSF-ის სხვადასხვა პრიორიტეტის ქვეშ. აღნიშნული ხელს შეუწყობს გარემოს გაუმჯობესებას ახალი საპილოტე რეგიონული პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელებისთვის, რომელიც გამიზნულია კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად და რეგიონების პოტენციალის ასათვისებლად.

სრიგპ-ს აქვს პილოტური ხასიათი, რომელიც განხორციელდება ოთხ დაგეგმარებით რეგიონში: **იმერეთში, კახეთში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთში**. აღნიშნული რეგიონების შერჩევა მოხდა საქართველოს მთავრობის მიერ, მათი საჭიროებების და პოტენციალის ანალიზის საფუძველზე. შეზღუდული რესურსებისა და მოკლე განხორციელების პერიოდის (3 წელი) გათვალისწინებით, სრიგპ კონცენტრირდება შეზღუდული რაოდენობით განსაზღვრულ, რეგიონის სპეციფიკური საჭიროებების გადაჭრასა და პოტენციალის ათვისებაზე, რომელთაც საპილოტე რეგიონებში და საშუალოვადიან პერსპექტივაში, ზრდის და დასაქმების შესაძლებლობების კუთხით ყველაზე მაღალი დამატებითი ღირებულება გააჩნიათ.

სრიგპ შექმნის ახალ პლატფორმას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, ასევე, განვითარების პარტნიორებისთვის რეგიონული განვითარების პოლიტიკის განსახორციელებლად: პროგრამირების ინტეგრირებული მიდგომა, პოლიტიკების ეფექტიანი კოორდინაცია და დაფინანსების წყაროები სპეციფიკურ ტერიტორიაზე. პროგრამა ხელს შეუწყობს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც მიზნად ისახავს გარკვეული განსახორციელებელი ამოცანების ადგილობრივ დონეზე ეტაპობრივ დელეგირებას, სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. საპილოტე პროგრამის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნება სხვა რეგიონების განვითარების პროგრამებში.

სრიგპ მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის „რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში, ფაზა II-ის“ მხარდაჭერით.

1.2. რეგიონების შერჩევა

საქართველო მოიცავს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის

ტერიტორიაზე შექმნილ დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს და 10 სტატისტიკურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ დაგეგმვის რეგიონს: სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი და თბილისი, რომელთაც თბილისის გარდა, არ გააჩნიათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სტატუსი. რეგიონები მრავალფეროვანია მათი ტერიტორიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლებით. 2018-2021 წლების რგპ-ს მომზადებისას 2017 წლის ბოლოს და 2018 წელს ტექნიკური დახმარების პროექტის მიერ მომზადდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და ტერიტორიული უთანაბრობების შესახებ ანგარიში. გაანალიზებულ საკითხთა შორის დოკუმენტი მოიცავს 12 გეოგრაფიული დაგეგმვის რეგიონის საჭიროებებსა და პოტენციალს და მათ კორელაციას განვითარების ფაქტორებთან. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, 2018-2021 წლების რგპ-ს ფარგლებში, საპილოტე პროგრამისთვის შეთავაზებულ იქნა ერთი რეგიონი დასავლეთ საქართველოდან და ერთი აღმოსავლეთ საქართველოდან. პირველი შეთავაზების მიხედვით, ორი რეგიონი უნდა შერჩეულიყო შემდეგი ოთხი რეგიონიდან – იმერეთი, კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და სამცხე-ჯავახეთი. საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირის დელეგაციას შორის დამატებითი კონსულტაციების შემდგომ, საბოლოოდ ოთხი რეგიონი შეირჩა: იმერეთი, კახეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, როგორც საპილოტე ინტეგრირებული პროგრამის (სრიგპ) სამოქმედო არეალი. „2018 – 2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში საპილოტე რეგიონების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აგვისტოს №1713 განკარგულებით მიღებულ იქნა რეგიონების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება.

თავი II. საპილოტე რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები

კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, წარმოადგენს 4 საპილოტე რეგიონს, რომელიც შეირჩა საქართველოს თორმეტი ადმინისტრაციული და სტატისტიკური დაგეგმვის რეგიონებიდან. საქართველო მიეკუთვნება დაბალი-საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყანას, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 4.068 აშშ დოლარია (2017). საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. საქართველოს ფართობი შეადგენს 69,700 კვ კილომეტრს და იგი ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებს. ქვეყანა მთლიანად მოიცავს 12 რეგიონს, თუმცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, საქართველოს ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ კონტროლს მიღმა რჩება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის კონტროლის ქვეშ არსებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 57,140 კმ²-ია.



რუკა 1: საქართველოს რეგიონების რუკა

მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე რეგიონს გააჩნია ისეთი საერთო მახასიათებლები, როგორიცაა, მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დაბალი

მაჩვენებელი, დაბალი პროდუქტიულობა და მთლიანი დამატებითი ღირებულება, უმუშევრობის მაღალი დონე, მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე, ამავე დროს თითოეული ეს რეგიონი – კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსებით, არამედ ტერიტორიული, ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის კუთხით. მაშინ როდესაც კახეთის რეგიონი ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, დანარჩენი სამი რეგიონი ქმნის საქართველოს დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში მდებარე მერიდიანულ და ფუნქციურ მაკრო რეგიონს.

ამ თავში, საპილოტე რეგიონების ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტების დაფარვა ხდება მიზნობრივი რეგიონების გეოგრაფიული აღწერილობით და ასევე თვისობრივი დაკვირვების გზით მოპოვებული ინდიკატორების მეშვეობით, თვისობრივ დაკვირვებასთან ერთად, რომელიც ორგანიზებულია პოლიტიკაზე ორიენტირებული 6 ტერიტორიული მიზნისა ან/და თემის მიხედვით (ESPON, INTERCO): ადგილობრივი ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს (გლობალურ) კონკურენტუნარიანობას

- ინოვაციური ტერიტორიები
- მომსახურების, ბაზრისა და სამუშაო ადგილების თანაბარი ხელმისაწვდომობა
- ინკლუზია და ცხოვრების ხარისხი
- მიმზიდველი რეგიონები მაღალი ეკოლოგიური ღირებულებით და ძლიერი ტერიტორიული კაპიტალით
- ინტეგრირებული პოლიცენტრიზმი.

გეოგრაფია და ზოგადი ასპექტები – შესავალი

შერჩეული 4 რეგიონი, რომელთაც მოიცავს რეგიონული განვითარების ინტეგრირებული საპილოტე პროგრამა, გამოირჩევა საოცრად დივერსიფიცირებული ლანდშაფტით, ტოპოგრაფიითა და კლიმატური პირობებით. აქაური ლანდშაფტი მოიცავს როგორც დაბლობებს, ასევე მაღალმთიან ტერიტორიებს, ხოლო კლიმატი ცვალებადობას შავი ზღვის სანაპიროს ნოტიო სუბტროპიკული კლიმატიდან (გურია და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გარკვეული ნაწილი), ქვეყნის ცენტრში არსებულ ზომიერ კონტინენტურ (იმერეთი) და კახეთის მშრალ კონტინენტურ კლიმატამდე. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონების ტოპოგრაფია ქმნის საკომუნიკაციო, სატრანსპორტო და ხელმისაწვდომობის პრობლემებს, აქ არსებული კლიმატი უზრუნველყოფს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფართო შესაძლებლობებს.

კახეთის ფართობი შეადგენს 11,735 კილომეტრს და იგი საქართველოს ზომით ყველაზე დიდი რეგიონია. გურია კი პირიქით – 2,033 კილომეტრით ყველაზე პატარა რეგიონს წარმოადგენს (არ ვთვლით თბილისს). მოსახლეობის მიხედვით, ყველაზე დიდი რეგიონი არის იმერეთი, 507 ათასი მაცხოვრებლით (2017 წლის ბოლოს არსებული მონაცემებით), ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი კი ყველაზე პატარაა – მხოლოდ 30.2 ათასი მაცხოვრებელი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ოთხივე რეგიონის შესაბამისი მონაცემები.

ცხრილი 1: საპილოტე რეგიონების ფართობი და მოსახლეობა 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით

	რეგიონი (კმ²)	მოსახლეობა (,000)	მოსახლეობის სიმჭიდროვე (მაცხოვრებელთა რაოდენობა/კვ²)
გურია	2 033.2	110.5	54.4
კახეთი	11 375.0	314.7	27.7
იმერეთი	6 414.7	507.0	83.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4 600.0	30.2	6.5
4 რეგიონი	24 422.9	962.4	
საქართველო			

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

მოცემული ოთხი რეგიონის საერთო ფართობი 24,422.9 კვადრატული კილომეტრია, რაც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 42,4% შეადგენს (იგულისხმება საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია). ჯამური მოსახლეობა კი 962,4 ათასია, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 25.8%-ია.

ორი რეგიონი – რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი და კახეთი ესაზღვრებიან რუსეთის ფედერაციისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ღარიბ და ძალიან ღარიბ ტერიტორიებს. მიუხედავად დაგეგმილი ზემო იმერეთი-რაჭისა და კახეთის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა, ამ ეტაპზე, ამ ორ რეგიონს აქვს პერიფერიისათვის დამახასიათებელი დაბალი ხარისხისა და ამავე დროს, არასაკმარისად განვითარებული საგზაო ქსელები. ამის საპირისპიროდ, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (E-60 და E-70) გადაკვეთავს იმერეთისა და გურიის რეგიონებს, აკავშირებს რა თურქეთის რესპუბლიკას, ბათუმისა და ფოთის პორტებს ქუთაისთან, თბილისთან, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებთან.

შერჩეული ყველა რეგიონი ძირითადად სოფლის ტიპის დასახლებებისაგან შედგება – გურიის მოსახლეობის 78.9% ცხოვრობს დაბებში და სოფლებში. სხვა რეგიონებში ეს მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება: იმერეთი – 51%, კახეთი – 77.3%, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი -77%.

კახეთი ხასიათდება მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით (27.7 მოსახლე ერთ კვადრატულ კილომეტრზე), ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი წარმოადგენს ძალიან მცირედ დასახლებულ რეგიონს, სადაც ერთ კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ მოდის 6.5 მოსახლე.

მთელი ქვეყნის მსგავსად, ოთხივე საპილოტე რეგიონი განიცდის დეპოპულაციას. 2002-დან 2014 წლამდე გურიის მოსახლეობა შემცირდა 143,3 ათასიდან 113.4 ათასამდე, იმერეთის მოსახლეობა – 699.6 ათასიდან 533.9 ათასამდე, კახეთის მოსახლეობა – 407.1 ათასიდან 318.5 ათასამდე, ხოლო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა – 50.9 ათასიდან 32.1 ათასამდე[2]. ამრიგად, ზომით ყველაზე პატარა საპილოტე რეგიონმა დაკარგა მოსახლეობის 37% და მოსახლეობის შემცირების ტენდენცია კვლავაც გრძელდება. სანაპირო ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გურიის ეკონომიკა მჭიდროდ უკავშირდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, ხოლო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ეკონომიკა ძლიერ არის დამოკიდებული იმერეთთან არსებულ ეკონომიკურ კავშირებზე. კახეთის რეგიონული ეკონომიკური გეოგრაფია მკვეთრად არის დამოკიდებული თბილისსა და ქვემო ქართლზე, ასევე საერთაშორისო ტურიზმსა და ტრანზიტზე.

ადგილობრივი ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა

ქვეყნის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობა იყოს გაცილებით მეტად დაბალანსებული და მდგრადი. ადგილობრივი ეკონომიკა უნდა ისწრაფოდეს მდგრადი ზრდისა და უფრო მაღალი პროდუქტიულობისკენ, რისთვისაც მან უნდა გამოიყენოს არსებული კონკურენტული და ფარდობითი უპირატესობები. კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკის მოცულობა, ამავე დროს რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა, რეგიონული შრომის ბაზრის ხარისხი, შრომის ბაზრის ასაკობრივი სტრუქტურა და შრომის პროდუქტიულობა.

მთლიანი დამატებული ღირებულება

ცხრილი 2: მთლიანი დამატებული ღირებულება საპილოტე რეგიონებში, 2016

	მდღ (მიმდინარე ფასებში, ლარი, მლნ)	მდღ-ს წილი საქართველოს მთლიან მაჩვენებელთან მიმართებაში (%)	მდღ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)
გურია	644	2.2	5,730
კახეთი	1,700	5.8	5,349
იმერეთი	2,871	9.8	5,482
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	203	0.7	6,447
4 რეგიონი	**29,324**	**100**	**9,129**
საქართველო			

წყარო: საქსტატი

საერთო ჯამში, ოთხი რეგიონის წილი საქართველოს მთლიან დამატებულ ღირებულებაში შეადგენს 18.5%-ს. უდიდესი წვლილი შეაქვს იმერეთს, ხოლო ყველაზე მცირე – დაშორებული და ნაკლებად დასახლებულ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს. ერთ სულ მოსახლეზე მდღ-ს მიხედვით ყველაზე ღარიბ რეგიონს წარმოადგენს კახეთი. კახეთის

[2] წყარო: *2014 წ მოსახლეობის აღწერა, ძირითადი ინფორმაცია*, საქსტატი, თბილისი, 2016

ეკონომიკაში დომინირებს სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა და თევზჭერა, რაც შეადგენს მთლიანი დამატებული ღირებულების დაახლოებით 30%-ს. ხსენებულს მოჰყვება სხვა სახის მომსახურება, მათ შორის სამასპინძლო ინდუსტრია. გურიაში სოფლის მეურნეობა რეგიონული მთლიანი დამატებული ღირებულების 20.8%-ს ქმნის, ხოლო ყველაზე დიდი წვლილი რეგიონის მთლიან დამატებულ ღირებულებაში შეაქვს სხვა სახის მომსახურების სექტორს, რაც რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულების 25.2% შეადგენს. აღნიშნული სექტორი, ასევე, ყველაზე მნიშვნელოვანია იმერეთისთვის (26.2%), მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობა და მრეწველობა თითქმის თანაბარი მნიშვნელობის არიან და თითოეული მათგანი რეგიონის მდღ-ს 13%-სა და 14%-ს შეადგენს. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონი მსგავსია იმერეთის რეგიონის ეკონომიკის, წამყვანი სექტორის თვალსაზრისით, მაგრამ რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში მეორე ადგილზე მთლიან დამატებულ ღირებულებაში, წვლილის მიხედვით, არის საჯარო ადმინისტრირება (26.7%).

რეგისტრირებული საწარმოები

ყველაზე მეტი რეგისტრირებული ბიზნესი არის იმერეთში (24,322), შემდეგ კახეთში (11,114) რასაც მოსდევს გურია (4,618 ბიზნესი) და ბოლოს რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სადაც მხოლოდ 1,311 საწარმოა რეგისტრირებული. ყველა საპილოტე რეგიონში რეგისტრირებული საწარმოები შეადგენენ ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ საწარმოთა 23.1%-ს (2018 წლის ივნისის მდგომარეობით). იმერეთში, რომელიც განიხილება პოსტინდუსტრიულ რეგიონად, არის ყველაზე დივერსიფიცირებული ბიზნესსექტორი და ამავე დროს გონივრული ბალანსი მცირე და საშუალო ბიზნესსა და მსხვილ წარმოებას შორის. იმერეთის მცირე და საშუალო ბიზნესი მთლიანი წარმოების ბრუნვის 76% -ს შეადგენს (საშუალო ეროვნული მაჩვენებელი 54%-ია). დანარჩენ სამ რეგიონში, მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის წილი უფრო მაღალია (რაჭაში 100%, კახეთში 95% და გურიაში 92%), მაგრამ ეს ხდება იმ ფონზე, რომ ამ რეგიონებში პრაქტიკულად არ არსებობენ მსხვილი კომპანიები. მართლაც, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში არ არის არც ერთი მსხვილი საწარმო. მოცემულ ოთხ რეგიონში მსხვილი ბიზნესის არასაკმარისი განვითარება უკიდურესად ართულებს ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებას.

საერთო უმუშევრობის დონე

ქვევით მოცემული ცხრილი გვაჩვენებს უმუშევართა რაოდენობას და უმუშევრობის მაჩვენებელს საპილოტე რეგიონებში (შენიშვნა: იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის მონაცემები გაერთიანებულია, რადგან ამ უკანასკნელი რეგიონის მონაცემები სტატისტიკურად უმნიშვნელოა)

ცხრილი 3: უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის მაჩვენებელი, 2017 წელი

ერთეული	გურია	კახეთი	იმერეთი/რაჭა ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი	საქართველო
უმუშევართა რაოდენობა (000’)	2.0	6.8	43.1	276.4

უმუშევრობის მაჩვენებელი (%)	2.0	3.7	14.0	13.9

წყარო: საქსტატი

გურიასა და კახეთში (სადაც სოფლის მეურნეობის წილი ძალიან მაღალია) მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დაბალი უმუშევრობის დონეა. ამის მიზეზად გვევლინება ის გარემოება, რომ მუშახელის უდიდესი ნაწილი ჩართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველად წარმოებაში. ეს წარმოება ძირითადად საარსებო ხასიათისაა, როდესაც შექმნილი პროდუქცია განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისათვის და არ არის ან მინიმალურად არის გათვალისწინებული ვაჭრობისათვის.

შრომის ბაზრის ასაკობრივი სტრუქტურა

საერთოდ, საზოგადოება უნდა ისწრაფოდეს თავიდან აიცილოს ერის დაბერების პროცესი და დააბალანსოს მოსახლეობის სტრუქტურა, რაც გულისხმობს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მოსახლეობის თანაბარ გადანაწილებას.

გრაფიკი 1: მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საპილოტე რეგიონების ჭრილში.



წყარო: საქსტატი (2014 წლის აღწერა)

ყველა საპილოტე რეგიონი განიცდის მოსახლეობის დაბერების პროცესს. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მოსახლეობის საშუალო ასაკი მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალია (45.5 წელი). საშუალოდ, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა ორჯერ მეტია, ვიდრე მთელს ქვეყანაში. შესაბამისად, აღნიშნული რეგიონი მეტად მოწყვლადია ასაკთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებაში.

შრომის პროდუქტიულობა

საქართველოში არ არსებობს ქვეყნის და მისი რეგიონების შრომის პროდუქტიულობასთან დაკავშირებული კონკრეტული და სანდო მონაცემები, რომლის მეშვეობით შესაძლებელი

იქნებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის მდგრადობისა და დარგობრივი კონკურენტუნარიანობის ილუსტრაცია. შრომის პროდუქტიულობის ყველაზე მიახლოებულ მაჩვენებელს წარმოადგენს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი დამატებული ღირებულება, რაზეც უკვე იყო საუბარი მოცემული თავის დასაწყისში. მდღ-ს მაჩვენებელი დაბალია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ევროკავშირში შესვლის წინარე ეტაპზე იმყოფებიან. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ შრომის პროდუქტიულობა (და ერთ სულ მოსახლეზე მდღ) არის დაბალი არა მხოლოდ მოსახლეობის არასაკმარისი შრომითი უნარების გამო, არამედ იმ სამუშაო ადგილების უკმარისობის გამო, რომელიც ეფექტურად გამოიყენებდა კვალიფიციურ მუშახელს. აღნიშნულის ნათელი ილუსტრაციისათვის გამოდგება საპილოტე რეგიონებში ბაზისური დარგების მოცულობა (2018 წლის ივნისის თვემდე რეგისტრირებული ბიზნესების მიხედვით):

გურიაში ბიზნესის უმრავლესობა (41.4%) საცალო ვაჭრობის სფეროთია დაკავებული როგორც მომსახურების, ასევე სატრანსპორტო სფეროებში ოპერირებს ბიზნესის 10%-10%, 8,4% ბიზნესისა დაკავებულია მშენებლობასა და განათლების სფეროში. საწარმოთა მხოლოდ 7% არის ჩართული პროდუქციის წარმოებაში.

ამის მსგავსად, კახეთშიც ბიზნესი ძირითადად ოპერირებს საცალო ვაჭრობის (46%) და სხვა – მომსახურების სფეროებში (დაახლოვებით 15%). წარმოება მოიცავს სურსათის და ღვინის წარმოებას (4%).
იმერეთში კომპანიების 40% დასაქმებულია საცალო ვაჭრობაში, ხოლო 10.5% მომსახურების სხვა სფეროებში, მხოლოდ 8.9% ოპერირებს საბაზისო წარმოებისა და ტრანსპორტის სფეროში. ბიზნესის სხვა სექტორები გარკვეულწილად უმნიშვნელოა, თუმცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას აქვს პოტენციალი წარმოშვას ღირებულებათა ჯაჭვის მეტი შესაძლებლობები. საერთო ჯამში, იმერეთის რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი ინდუსტრიული პოტენციალი. საბჭოთა პერიოდის დროს რეგიონი დაკავებული იყო მძიმე ინდუსტრიით, მექანიკური და ქიმიური ინჟინერიით და ტექსტილის წარმოებით, თუმცა ამ საწარმოთა უმრავლესობა დაიხურა, რის შედეგადაც აქ დასაქმებული მუშახელი დარჩა უმუშევარი, ხოლო საწარმოთა ქონება იქნა უპატრონოდ მიტოვებული/განადგურებული.
რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში კომპანიების უმეტესობა, ასევე, ოპერირებს საცალო ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში – დაახლოებით მთელი ბიზნეს სექტორის ნახევარი. წარმოება შემოიფარგლება აგროწარმოებით, ღვინის პროდუქციის წარმოებით და ავეჯის დამზადებით. სხვა ძირითადი სექტორებია: განათლება (10%), მშენებლობა (8.9%) და ტრანსპორტი (3.6%).

ინოვაციური ტერიტორიები

ინოვაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე მდგრადი განვითარების პოლიტიკაში. ეჭვგარეშეა, რომ ინოვაციურ პოტენციალსა და რეგიონულ ზრდას განსაზღვრავენ ადამიანური რესურსები, კერძოდ კი მოსახლეობის განათლება და ის დაწესებულებები, რომელშიც ეს მოსახლეობა მუშაობს საკუთარი რეგიონის განვითარებისათვის.

უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობა

ზოგადად, საქართველოს მოსახლეობას განათლების მაღალი დონე გააჩნია. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, მთელი ქვეყნის მოსახლეობის 27%-ს

მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. საპილოტე რეგიონებიდან უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტული რაოდენობა არის იმერეთის რეგიონში (22%), შემდეგ რაჭაში (20%), კახეთში (18%) და გურიაში (16%) (ამ მხრივ გურია მთელი ქვეყნის მასშტაბით უკანასკნელ ადგილზეა). აღსანიშნავია რომ, იმერეთის, კახეთის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ურბანულ ადგილებში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის პროცენტული წილი (30-31%) მაღალია, ვიდრე ქვეყნის ყველა სხვა რეგიონში, თბილისის გამოკლებით.

კვლევისა და განვითარების შესაძლებლობები

ძირითადად ყველა რეგიონში კვლევებისა და განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები მინიმალურად არის წარმოდგენილი. ასეთ აქტივობებს წარმართავენ როგორც სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტები, ასევე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულები.
ერთადერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შერჩეული რეგიონებიდან არის მხოლოდ იმერეთში, ის ფუნქციონირებს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, როგორც ცალკეული ორგანიზაციული ერთეული. კვლევითი მუშაობა უპირატესად მოიცავს სოციალურ მეცნიერებათა სფეროს, ენერგეტიკას, სურსათის წარმოებას და სხვა.
რეგიონულ დონეზე არ არსებობს კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული მონაცემები. ასეთი ტიპის საბაზისო ინფორმაცია მოიპოვება მხოლოდ მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქსტატის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად ინოვაციური საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციების 13.1% დაკავებული იყო შიდა კვლევებით, და მხოლოდ 5.2% იყო ჩართული გარე კვლევებსა და განვითრებისაკენ მიმართულ საქმიანობაში. კვლევა და განვითარების ძირითადი აქტივობები ხორციელდება თბილისში, შესაბამისად, ნაკლებად არის მოსალოდნელი ჩამორჩენილ რეგიონებში ვიხილოთ ამ აქტივობების შედეგები. ამრიგად, რეგიონული ეკონომიკის შესაძლებლობები, სამომავლოდ გაზარდოს ინოვაციური პოტენციალი, ძალიან დაბალია.

დასაქმების მაჩვენებელი.

დასაქმების მაჩვენებელი ზომავს სამუშაო ასაკის მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხს რეგიონულ ეკონომიკურ აქტივობებში და წვლილს დამატებული ღირებულების ფორმირებაში. ზოგადად, საქართველოს დასაქმების მაჩვენებელი მსგავსია საბერძნეთის, პოლონეთის და სლოვაკიის მაჩვენებლებისა. ამავე დროს სახეზეა მნიშვნელოვანი განსხვავება რეგიონებს შორის დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოგვიდგენს დასაქმების მაჩვენებლებს საპილოტე რეგიონებში და გვაძლევს საშუალებას შევადაროთ ის მთელი ქვეყნის საერთო/საშუალო მაჩვენებელს.

ცხრილი 4: ეკონომიკური აქტივობა და დასაქმების მაჩვენებლები 2017 წლის ბოლოს რეგიონების ჭრილში.

ინდიკატორი	გურია	კახეთი	იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი	საქართველო
მოსახლეობის აქტიური ნაწილი (სამუშაო ძალა)	73.0	186.4	307.5	1,983.1
დასაქმებული	71.1	179.6	264.5	1,706.6

დაქირავებით დასაქმებული	18.8	50.0	113.0	824.2
თვითდასაქმებული	52.3	129.5	151.5	881.6
არაიდენტიფიცირებული მუშახელი	0.0	0.1	0.0	0.8
უმუშევარი	2.0	6.8	43.1	276.4
სამუშაო ძალის მიღმა მყოფი მოსახლეობა	21.1	65.2	150.9	1,029.2
ეკონომიკური აქტივობა	77.6	74.1	67.1	65.8
დასაქმების მაჩვენებელი	75.4	71.4	57.7	56.7

წყარო: საქსტატი
შენიშვნა: ინდივიდების რაოდენობა მოცემულია 000', მაჩვენებელი %-ში

მაშინ, როცა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლები გონივრულ დონეს შეესაბამება, გურიისა და კახეთის რეგიონებში ეს მაჩვენებლები ძალიან მაღალია. ამის მიზეზს წარმოადგენს თვითდასაქმებულთა ძალიან მაღალი წილი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. სინამდვილეში, თვითდასაქმებული ადამიანების უფრო დიდი რაოდენობა დაქირავებულ სამუშაო ძალასთან შედარებით მიუთითებს ეკონომიკის ნელ ზრდაზე, მისი კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციურობის დაბალ დონეზე და საწარმოო სექტორში სამუშაო ადგილების არარსებობაზე.

სამართლიანი ხელმისაწვდომობა მომსახურებაზე, ბაზრებსა და სამუშაო ადგილებზე

გონივრული ხელმისაწვდომობა – მომსახურების იმ სფეროებზე, რაც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, ასევე ხელმისაწვდომობა ინფორმაციასა და ცოდნაზე, მოსახლეობისა და დოვლათის მობილობასთან ერთად არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ფართო გაგებით ტერიტორიული გამოთანაბრებისთვის, რაც მოიცავს რეგიონთაშორისი კავშირებისა და ინტეგრაციის ასპექტებს. ასეთი ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს განვითარების თანაბარ პოტენციალს და ადგილობრივი უპირატესობების უკეთ წარმოჩენას.

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა

2017/2018 სასწავლო წლის დასაწყისში საქართველოში მოქმედებდა 2,308 სკოლა, რომელშიც სწავლობდა 575,181 მოსწავლე. ოთხ საპილოტე რეგიონში იყო 758 სკოლა 136,335 მოსწავლე, რაც წარმოადგენს ყველა სასწავლო დაწესებულების 32.8%-ს და ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეებისა და სტუდენტების 23.7% (საქსტატი). ზოგადად, შერჩეულ რეგიონებში დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობა ფასდება როგორც მაღალი ან ძალიან მაღალი, არის რა 82% რაჭაში, ხოლო გურიასა და კახეთში 97%. ასევე, ძალიან მაღალია სახელმწიფო სკოლებით მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი, რაც შეადგენს 90%-ს და მეტს. გამონაკლისს წარმოადგენს გურია, სადაც მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი არის 76%, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დაბალი კმაყოფილების ინდექსია[3].

საავადმყოფოების ხელმისაწვდომობა

[3] საქართველოში საჯარო – მომსახურებით მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა, კვლევის ანგარიში 2017, მესამე ტური, UNDP საქართველო 2017

საქართველოში არსებული 272 საავადმყოფოდან 5 მდებარეობს გურიაში, 36 იმერეთში, 15 კახეთში და 4 რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობის მაჩვენებელი 100,000 მოსახლეზე გურიაში შეადგენს 110-ს, კახეთში 160, რაჭაში 320 და 370 იმერეთში (370 წარმოადგენს მთელი ქვეყნის მასშტაბით საშუალო მაჩვენებელს).[4]

ცხრილი 5: ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა 100,000 სულ მოსახლეზე 2017 წელს

ერთეული	გურია	იმერეთი	კახეთი	რაჭა	საქართველო
საავადმყოფოები	5	7	5	2	7
ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობა	90	447	158	121	405
ექიმები	359	564	348	220	735

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ჯანდაცვის სისტემით მოსახლეობის კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის რაჭაში (79%), შემდგომ იმერეთში – 72%, გურიაში – 61% და კახეთში, სადაც კმაყოფილების დონე შეადგენს 58%-ს (მთელი ქვეყნის მასშტაბით საშუალოდ 62%).[5] ამასთან ერთად მოსახლეობის მიერ ჯანდაცვის სისტემის ხარისხობრივი შეფასება გარკვეულწილად შეესაბამება საავადმყოფოების ხელმისაწვდომობის რიცხობრივ მაჩვენებელს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში (2017/2018 სასწავლო წლის მონაცემებით), სადაც არ არსებობს არცერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. იმერეთის რეგიონში 4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო კახეთში 3 უმაღლესი. ყველა მათგანი პრესტიჟულობის მიხედვით ბოლო ან ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება. ამ კუთხით, პირველ და მეორე ადგილზე მყოფი და ასევე, საშუალო პრესტიჟის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ლოკალიზებულია მხოლოდ თბილისში. ჯამში, ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის უმაღლეს განათლებაზე შეზღუდულია ოთხივე საპილოტე რეგიონში.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა

პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა შექმნილია ოთხივე რეგიონში. გურიის რეგიონში სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს ქალაქ ოზურგეთში. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილია აღნიშნული კოლეჯის სამოქმედო არეალის გაფართოება და მისი ფილიალების განვითარება ქალაქ ჩოხატაურსა და სოფელ

[4] წყარო: საქსტატი

[5] საქართველოში საჯარო – მომსახურებით მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა, კვლევის ანგარიში 2017, მესამე ტური, UNDP საქართველო 2017

გორაბერეჟოულში. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონს, აღნიშნულ რეგიონში სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს ქ. ამბროლაურში. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ბოლო წლებში გაუმჯობესდა ვითარება იმერეთის რეგიონში. სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლები ფუნქციონირებს ქ. ქუთაისში (სსიპ კოლეჯი ,,იბერია“ და სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს). ასევე, კოლეჯ იბერიას ფილიალი ფუნქციონირებს ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ხოლო სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებს ახორციელებს ტყიბულსა და დიდ ჯიხაიშში. აღსანიშნავია, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში 2016 წელს დაფუძნდა სამშენებლო მიმართულების ახალი კოლეჯი ქ. ზესტაფონში. გარდა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა იმერეთის რეგიონში ოპერირებს რამდენიმე კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაც. 2019 წელს კი დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ახალი კოლეჯის დაფუძნების მიზნით. რაც შეეხება კახეთის რეგიონს, სახელმწიფო პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებს ქ. თელავსა (ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ და სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ კაჭრეთში. კაჭრეთის კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ახორციელებს კახეთი რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში – ლაგოდეხი, ახმეტა და დედოფლისწყარო. კახეთის რეგიონში, ასევე წარმოდგენილია რამდენიმე კერძო პროვაიდერი.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა

საქართველოს რეგიონებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ზღუდავს ხელმისაწვდომობას, რაც შედეგია როგორც ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის, ასევე მისი დაბალი ხარისხის. საქართველოში საგზაო ქსელის სიმჭიდროვე დაბალია, გზის დაახლოვებით 36 კილომეტრი 100 კვადრატულ კილომეტრზე (მხედველობაშია საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია). ამ მონაცემებით საქართველო შეგვიძლია შევადაროთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ბულგარეთის რესპუბლიკას და ნორვეგიის სამეფოს. გურიასა და იმერეთში საგზაო ქსელის სიმჭიდროვე უტოლდება 43 კილომეტრს ყოველ 100 კვადრატულ კილომეტრ მიწაზე, შესაბამისად, ამ რეგიონებში უფრო მაღალია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა. რაჭის რეგიონში საგზაო ქსელის სიმჭიდროვე დაბალია და უტოლდება მთელი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. კახეთის რეგიონი, სადაც საგზაო ქსელის სიმჭიდროვის ინდექსი 23 კილომეტრია 100 კვადრატულ კილომეტრზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მიხედვით უკანასკნელ ადგილზეა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მაშინ როდესაც გზატკეცილების მოწყობის გაფართოება საქართველოს მოსახლეობის მიერ დადებითად არის შეფასებული, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაბალი ხარისხი იწვევს მოსახლეობის წუხილს. საპილოტე რეგიონებში ჩატარებული ინფრასტრუქტურის შეფასების კვლევამ გამოავლინა, რომ მხოლოდ იმერეთის რეგიონის ადგილობრივი მნიშვნელობის გზები შეიძლება შეფასდეს როგორც ხარისხიანი, დანარჩენ 3 რეგიონში ადგილობრივი მნიშვნელობის გზები უპირატესად ცუდ მდგომარეობაშია. რაჭის ადგილობრივ მნიშვნელობის გზებს შეფასება „ცუდი“ მისცა მძღოლებისა და მოგზაურების 61%-მა, კახეთის ადგილობრივი მნიშვნელობის გზები რესპოდენტების 69%-ის მიერ იქნა

შეფასებული როგორც “ცუდი”, ხოლო გურიის ადგილობრივი მნიშვნელობის გზები “ცუდად” შეაფასა 77%-მა.[6]

გზების თანმხლები ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი (სადგურები, ავტობუსის გაჩერებები და სხვა) არ არის სათანადოდ მოვლილი და შეკეთებული, რასაც განაპირობებს დაფინანსების მუდმივი დეფიციტი.

საქართველოს სარკინიგზო ქსელი მოიცავს 1,443 კილომეტრს, საიდანაც 296 არის ორმხრივი. სარკინიგზო გზების უმრავლესი ნაწილი ელექტრიფიცირებულია. ქვეყნის სარკინიგზო ინფრასტრუქტურა განიხილება როგორც ნაწილი აბრეშუმის გზისა, რომელიც აკავშირებს ბაქო/ერევანს თბილისთან, ქუთაისთან, სამტრედიასთან, ბათუმთან, შემდგომ კი ყარსსა და თურქეთის რესპუბლიკასთან. მატარებელი არის კიდევ ერთი ალტერნატივა ადგილობრივი მგზავრების გადასაადგილებლად, თუმცა ეს საშუალება გამოიყენება მხოლოდ თბილისს, ბათუმსა და სამტრედიას შორის მოგზაურობის დროს. ამის საპირისპიროდ, საქართველოს სატრანზიტო მდებარეობის გათვალისწინებით, რკინიგზა აქტიურად გამოიყენება ტვირთების გადასაზიდად. საქართველოს რკინიგზით გადაზიდული ტვირთის სრული რაოდენობის 75% სხვა ქვეყნებს ეკუთვნის, ხოლო სატრანზიტო გადაზიდვა შეადგენს სრული გადაზიდვების 52%-ს. აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი სამომავლო ბიზნეს შესაძლებლობაა ლოგისტიკური ცენტრების გაფართოებისათვის, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სარკინიგზო გზებისა და მოძრავი შემადგენლობის მიმდინარე მოდერნიზაცია საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობას ზრდის 48 მილიონ ტონამდე (ამჟამინდელი გამტარუნარიანობა წარმოადგენს 27 მილიონ ტონას) [7] .

საქართველოში არის სამი საერთაშორისო აეროპორტი, ერთ-ერთი მათგანი (დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი) არის იმერეთში და მდებარეობს ქუთაისსა და სამტრედიას შორის. ყველა აეროპორტში ფიქსირდებოდა საერთაშორისო მგზავრებისა და ტვირთების – მომსახურების რაოდენობის ზრდა, თუმცა საქართველოს ზომის გათვალისწინებით ნაკლებად სავარაუდოა, რომ აეროპორტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ადგილობრივი მგზავრების გადაადგილებაში ქვეყნის შიგნით, მგზავრობის მაღალი ხარჯებისა და სამგზავრო დროის არასაკმარისი დაზოგვის გამო. თუმცა აეროპორტებმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ საჰაერო ტვირთზიდვის განვითარებაში და მის დაკავშირებაში სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან.

გურიაში მდებარეობს სუფსის ნავთობის ტერმინალი, რომელიც უზრუნველყოფს გადაუმუშავებელი ნავთობის შენახვას, რათა ის შემდგომში ტანკერების საშუალებით გადაიზიდოს გლობალურ ბაზრებზე. ტერმინალი ასრულებს მნიშვნელოვან და სტრატეგიულ როლს, რათა მოხდეს საქართველოს როგორც ტრანზიტული ქვეყნის პოტენციალის რეალიზება.

სოციალურად დაუცველი ჯგუფები და ცხოვრების ხარისხი

სოციალურად დაუცველი ჯგუფების მდგომარეობა და ცხოვრების ხარისხი დაკავშირებულია კეთილდღეობასთან და თანასწორობასთან. მოცემული კატეგორიების სტატუსი კი ფასდება ისეთი სოციალური ინდიკატორებით, რომელიც ასახავს არსებულ შემოსავალს, სიღარიბის

[6] საქართველოში საჯარო – მომსახურებით მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა, კვლევის ანგარიში 2017, მესამე ტური, UNDP საქართველო 2017

[7] ეფუძნება საქართველოს რკინიგზის 2016 წლის წლიურ ანგარიშს, საქართველოს რკინიგზა, თბილისი , 2017

დონეს, გენდერულ უთანასწორობას, საერთო ასაკობრივ სტრუქტურას, კომუნალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას და სხვა.

შინამეურნეობების შემოსავალი

საქართველოს რეგიონების მიხედვით შინამეურნეობების თვიური შემოსავლის გადანაწილების შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია. არსებული ინფორმაცია აერთიანებს ორი ან რამდენიმე რეგიონის მონაცემს.[8] მიუხედავად ამისა, ხელთ არსებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სახეზეა შემოსავლების თანასწორობა გონივრულ ფარგლებში. არც ერთ რეგიონში არ არის ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი ეროვნული საშუალო მაჩვენებლის 85 % -ზე დაბალი. ასეთი სიტუაცია უკვე რამდენიმე წელიწადია სახეზეა.

სიღარიბე და სოციალური კეთილდღეობა

მიუხედავად საქართველოს დადებითი ეკონომიკური ზრდისა, უკანასკნელი 3 წლის მანძილზე იმატა სიღარიბის დონემ. აღნიშნული არის იმ ფაქტის დემონსტრირება, რომ მოხდა სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილება. 2018 წელს საქართველოში სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებელი იყო 20.5%, მაშინ როდესაც აბსოლუტური სიღარიბის ინდექსი უტოლდებოდა 20.1%-ს. საპილოტე რეგიონებში აბსოლუტური სიღარიბის ინდექსი შემდეგნაირად გადანაწილდა: იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში – 23%, კახეთში – 20.1%, ხოლო გურიაში მონაცემები გაერთიანებულია სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთთან და შეადგენს – 24.1%-ს.

2018 წელს პენსია და სოციალური პაკეტი ეძლეოდა რაჭის მოსახლეობის 39.4% -ს, იმერეთის მოსახლეობის 30.3%-ს, გურიის მოსახლეობის 29%-სა და კახეთის მოსახლეობის 25.9%. სოციალურ ტრანსფერებზე ასეთი დიდი დამოკიდებულება მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობის გაღატაკებაზე, განსაკუთრებით კი ეს ეხება ქალებს, სწორედ ისინი წარმოადგენენ ყველა საპილოტე რეგიონის სოციალური დახმარების მიმღებთა 63%-ს.

დაბერება

საქართველოს მოსახლეობა განიცდის დაბერებას. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ნათლად წარმოაჩენს მოსახლეობის საშუალო ასაკის დისბალანსს.

ცხრილი 6: მოსახლეობის საშუალო ასაკი საქართველოსა და საპილოტე რეგიონებში.

რეგიონები	სულ	მამაკაცი	ქალი
საქართველო	**38.1**	**35.9**	**40.1**
გურია	41.8	39.4	44.1
იმერეთი	40.5	38.3	42.6
კახეთი	40.2	37.9	42.5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	48.2	45.4	50.8

წყარო: მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014

[8] იმერეთის სტატისტიკური მონაცემები გაერთიანებულია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთთან, ხოლო გურია სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთთან

ოთხივე საპილოტე რეგიონი საქართველოს ყველაზე "ხანდაზმული" 5 რეგიონის ჩამონათვალშია (ამ ჩამონათვალში მე-5 რეგიონი არის სამეგრელო – ზემო სვანეთი, რომელიც არ წარმოადგენს საპილოტე რეგიონს).

კომუნალური ინფრასტრუქტურა

საცხოვრებელი სტანდარტი, რომელიც ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომი საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურა უმჯობესდება, თუმცა პროგრესი გარკვეულწილად ნელი ტემპით მიმდინარეობს, გარდა ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობისა. ამ მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ელექტროენერგიით დაფარვა არის სრული.

საპილოტე რეგიონებს შორის ცენტრალური გაზიფიცირება ყველაზე მეტად ხელმისაწვდომია კახეთში, სადაც ოჯახების 84.3%-ს აქვს ცენტრალური გაზი. დანარჩენ რეგიონებში გაზიფიცირების ინდექსი მერყეობს 64% -დან 67%-მდე [9].

მიუხედავად მიმდინარე ქუთაისის 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტისა, საპილოტე რეგიონებიდან, იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მცხოვრები ოჯახების მხოლოდ 47.4%-ს გააჩნია ხელმისაწვდომობა ბინაში შეყვანილ წყალსადენის სისტემასთან, კახეთში კი 52%-ს. სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის მსგავსი დეფიციტი დაფიქსირებულია მთელ ქვეყანაში (საშუალო მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით 65%-ია).

განუვითარებელი კომუნალური ინფრასტრუქტურა შერწყმულია ზოგადად ცუდ საბინაო პირობებთან. შენობების უდიდესი უმრავლესობის ენერგოეფექტურობა როგორც ქალაქად, ასევე სოფლად არ შეესაბამება თანამედროვე ნორმებს.

რეგიონების მიმზიდველობა, ეკოლოგიური ღირებულებები და ტერიტორიული კაპიტალის

თანამედროვე განვითარების მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ მდგრადი განვითარებაც. მისი მიზანია ეკონომიკური და დემოგრაფიული ზრდა არ იყოს მჭიდროდ დაკავშირებული ენერგომოხმარებასთან, რათა ეკონომიკა გახდეს მეტად ეფექტიანი და მდგრადი. მდგრადი ზრდა მეტად უნდა ეფუძნებოდეს განახლებადი ენერგიის წყაროებს, დაბალი ნახშირბადის ენერგიას, კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის, ასევე ლანდშაფტის დაცვას და ამ აქტივების საუკეთესო გამოყენებას.

ტყეები

საქართველოში 2016 წლის მონაცემებით ტყის ფართობი 2.69 მლნ ჰა უტოლდებოდა (ქვეყნის საერთო ტერიტორიის 38.6%).[10] საქართველოს ტყეების 44.9% საპილოტე რეგიონებში მდებარეობს.

---

[9] ეფუძნება საქსტატის მონაცემებს, რომელიც 4 პილოტური რეგიონიდან 3 რეგიონის ინფორმაციას კომბინირებულად ასახავს, მოსახლეობის კმაყოფილების კვლევის მიხედვით ყველაზე უარესი მდგომარეობა არის რაჭაში, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 5% აქვს წვდომა გაზმომარაგებასთან, შემდეგ გურიაში, სადაც ეს მაჩვენებელი უტოლდება 38%. იმერეთში გაზიფიცირების დაფარვა 80%-ს წარმოადგენს

[10] წყარო: საქსტატი (სტატისტიკური პუბლიკაცია: 2.3-საქართველოს ტყით დაფარული ფართობი, https://www.geostat.ge/media/13738/Garemo_2016.pdf), ინფორმაცია ეფუძნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებს, ასევე LEPL ეროვნული სატყეო სააგენტოსა და LEPL აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტოს მონაცემებს.

კახეთის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონები, მთელს საქართველოში გამოირჩევა მათი ტყის რესურსით (თითოეული მათგანი საქათველოს ტყის რესურსების 13-14%-ს შეადგენს), ამ ფონზე გურია, რომელსაც უკავია ქვეყნის მხოლოდ 2.9% და სადაც მთელი ქვეყნის ტყეების მხოლოდ 6% მდებარეობს, ტყის რესურსებით ყველაზე ნაკლებად არის წარმოდგენილი. ტყე გამოიყენება ხე-ტყის დამზადებისთვის. ამ სფეროში ლიდეროზს კახეთი, რომელიც საქართველოში დამზადებული ხე-ტყის სრული რაოდენობის 20 %-ს აწარმოებს. გურიის ტყეებში ყველაზე ნაკლები ხე-ტყის დამზადება წარმოებს, აქ ხე-ტყის დამზადება, მთელი საქართველოს მასშტაბით დამზადებული ხე-ტყის მხოლოდ 1.4 %-ს შეადგენს (2016 წელი). ტყის აღდგენა მწირია. ლიმიტირებული აღდგენა მიმდინარეობს მხოლოდ კახეთსა და გურიაში.[11]

წყლის აბსტრაქცია

2016 წელს საქართველოში მოხდა 37 მილიარდი კუბური მეტრი წყლის აბსტრაქცია, რაც გამოყენებული იყო როგორც ოჯახების მიერ, ასევე წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში. აქედან 17.9 კუბური მეტრი წყლის აბსტრაქცია მოხდა იმერეთში, კახეთსა და რაჭაში ამ ციფრმა შეადგინა 1.4 დან 1.7 მილიარდ კუბურ მეტრამდე თითოეულ რეგიონში, მაშინ როდესაც გურიამ გამოიყენა მხოლოდ 238 მილიონი კუბური მეტრი[12]. წლის აბსტრაქცია იმერეთში განსაკუთრებით მაღალია, რაც მიანიშნებს წყლის შესაძლო ჭარბ აბსტრაქციაზე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მდინარეებში წყლის დონის კლება მიწისქვეშა წყლების დონეზე, რაც დაუშვებელია.

ჰაერის დაბინძურება

ჰაერის დამაბინძურებლების სპეციფიური განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით არ შეინიშნება. სახიფათო ნივთიერებების გავრცელების შესახებ ზოგადი მონაცემები ცხადყოფს, რომ საპილოტე რეგიონებიდან ყველაზე მეტად დაბინძურებული ჰაერი არის იმერეთში. იმერეთის რეგიონში გამომუშავდება 71 ათასი ტონა დამაბინძურებელი სუბსტანცია, საიდანაც 72% არ ხვდება გარემოში, შესაბამისად. გარემოში ხვდება 28% ამ ნივთიერებებისა. გურიაში გამომუშავდება 3.3 ათასი ტონა მავნე სუბსტანცია, კახეთში – 5.5 ათასი ტონა, ხოლო რაჭაში მავნე სუბსტანციების გამომუშავება უტოლდება 0.3 ათას ტონას. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ 3 რეგიონში აბსოლუტური ციფრების მიხედვით გამომუშავდება მნიშვნელოვნად ნაკლები მავნე ნარჩენი და ჰაერის დამაბინძურებლები, პროცენტულად თითოეულ რეგიონში მავნე ნარჩენის გარემოში გამოყოფა მეტია ვიდრე იმერეთში. შესაბამისად, ყველაზე დაბინძურებული რეგიონი არის კახეთი, სადაც გამომუშავებული მავნე ნივთიერებების 51% გამოიყოფა გარემოში.[13]

მოწყვლადობა კლიმატური ცვლილებების მიმართ.

მოწყვლადობა ნიშნავს, თუ რამდენად არის სისტემა მგძნობიარე და უნარიანი მოაგვაროს კლიმატური ცვლილებებით განპირობებული გვერდითი მოვლენები. კლიმატურ ცვლილებებში იგულისხმება როგორც კლიმატისა და ამინდის ცვალებადობა, ასევე

[11] წყარო : იქვე

[12] წყარო: საქსტატი, ინფორმაცია ეფუძნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებს, (2016)

[13] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის მონაცემები მოწოდებული საქსტატის მიერ.

ექსტრემალური მოვლენები. მოწყვლადობა არის მახასიათებელი, რომელიც ასახვას კლიმატური ცვლილებების ხასიათზე, მასშტაბზე და სისწრაფეზე სისტემის მგრძნობიარობას და მისი ადაპტირების უნარს.

საქართველო (სხვა ქვეყნების მსგავსად) განიცდის კლიმატური ცვლილებებით განპირობებულ სტიქიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ პროცესების ზეგავლენას. სტიქიური პროცესების ძირითადი სახეებია: წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, გვალვა, ტყის ხანძრები, კლდეზვავ-ქვათაცვენა, თოვლის ზვავი და ძლიერი ქარის მიერ გამოწვეული დაზიანებები.

მაშინ როდესაც წყალდიდობა, ღვარცოფი, მეწყერი და კლდეზვავ-ქვათაცვენა მეტად გვხვდება გურიაში, ცენტრალურ იმერეთსა და რაჭის გარკვეულ ნაწილში, გვალვას უპირატესად ადგილი აქვს კახეთში, სადაც საქართველოს ფარგლებში ყველაზე მშრალი კლიმატია, და ასევე იმერეთის დასავლეთ ნაწილში. კახეთში ასევე გავრცელებულია ღვარცოფული პროცესები. სეტყვა ყველაზე ხშირია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, რაც იწვევს ნათესების განადგურებას, ხოლო გზის ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვნად აზიანებს მეწყრები და კლდეზვავ-ქვათაცვენები. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, იმერეთის ნაწილი და გურია, ასევე, განიცდიან ძლიერი ქარის ზემოქმედების შედეგებს, რაც გამოიხატება შენობების, სხვა ქონებისა და ტყის ნგრევა-განადგურებაში. ამ რეგიონებში ძლიერი ქარი წლის მანძილზე 40-60 დღის მანძილზე გრძელდება. ზვავის რისკი ძირითადად არის რაჭაში და გურიის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ესაზღვრება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.[14]

ინტეგრირებული პოლიცენტრიზმი

ტერიტორიული გამოთანაბრება დიდად არის დამოკიდებული მაკრორეგიონულ, სასაზღვრო, ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე არსებულ იმ პოლიცენტრულ მახასიათებლებზე, რომელთაც შეუძლიათ შეამცირონ ტერიტორიული პოლარიზაცია, ხელი შეუწყონ სხვადასხვა დონის ცენტრებს შორის კავშირების დამყარებას და მისცენ საშუალება გარშემო არსებულ სივრცეებს ნახონ სარგებელი აგლომერაციის ეფექტებისაგან. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტი, მაგალითად: ურბანული სივრცეების რაოდენობა, სადაც მოსახლეობის და მიგრაციის კრიტიკული რაოდენობაა და სხვა.

ურბანული ტერიტორიები

იმერეთის რეგიონში მოსახლეობის დაბალანსებულ გადანაწილებას ურბანულ და სოფლის ტიპის ტერიტორიებს შორის განაპირობებს ზესტაფონის, ტყიბულის, სამტრედიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ცენტრები და ქალაქ ქუთაისის ურბანული ხასიათი. სხვა დანარჩენ საპილოტე რეგიონში მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტია 50 ათასზე მეტი მაცხოვრებლით – თელავის, გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. სამივე მუნიციპალიტეტი მდებარეობს კახეთში (ყველა აღნიშნულ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 80% სოფლის მოსახლეა). საპილოტე რეგიონების სხვა ქალაქები მცირე ზომისაა: გურიაში ყველაზე დიდი ქალაქი არის ოზურგეთი 14.6 ათასი მოსახლით, კახეთში – თელავი 19.7 ათასი მოსახლით და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში- ამბროლაური 2 ათასი მოსახლით.

ამას გარდა, რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყველა დასახლებას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვს. კახეთის ნაწილი (ახმეტა და თუშეთი) ასევე მაღალმთიან

[14] ეფუძნება რუკებს: http://meteo.gov.ge/natural-disaster

დასახლებებს მიეკუთვნებიან. იმერეთსა და გურიაში ასეთი დასახლებების რაოდენობა ლიმიტირებულია. აღნიშნული 3 რეგიონის გამოკვეთილად სასოფლო ხასიათი დიდ როლს თამაშობს ისეთი რეგიონული ეკონომიკური გეოგრაფიის ფორმირებაში, სადაც აგლომერაციის ეფექტის გავრცელება ძალიან მწირია. ფაქტობრივად მთელი საქართველო მონოცენტრულია, რაც განაპირობა საუკუნეების მანძილზე მისმა პერიფერიულმა ხასიათმა. სასაზღვრო რეგიონებში არ არსებობს დიდი ურბანული ცენტრები არცერთ მეზობელ ქვეყანაში (50-100 კმ-ის მანძილზე საზღვრიდან).

სამრეწველო ბაზა

პილოტური პროგრამის შერჩეულ არეალში, ყველაზე მეტად განვითარებული სამრეწველო სექტორი არის იმერეთში. იმერეთის რეგიონული მრეწველობა, მთელი ქვეყნის მრეწველობის 8.2 % ქმნის. მას მოჰყვება კახეთი 3.6%-იანი წილით, გურია 1.6% და ბოლოს რაჭა – 0.1%.[15] ტურიზმი მთელი საქართველოს მასშტაბით მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს და შესაბამისად ის მნიშვნელოვანია ყველა საპილოტე რეგიონისათვის, განსაკუთრებით დასაქმების პერსპექტივების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის მასშტაბები მთელი საქართველოს ფარგლებში იზრდება, შესაბამისი ინფრასტრუქტურა ზოგადად მოძველებულია ან დაბალი ხარისხისაა.

მიგრაცია

დადებითი მიგრაციის ინდექსი წარმოადგენს რეგიონის საერთო მიმზიდველობის ინდიკატორს, მიმზიდველობას განაპირობებს შრომის ბაზარი, განათლება, სიცოცხლის ხარისხი, კეთილდღეობა, და სხვა. სამწუხაროდ, მიგრაციის მაჩვენებლის სივრცობრივმა მახასიათებლებმა გამოავლინა, რომ საქართველოს ყველა რეგიონი, გარდა დედაქალაქისა, კარგავს მოსახლეობას და არცერთ შერჩეულ სხვა აგლომერაციაში არ იმატებს მოსახლეობის რაოდენობა. ქვევით მოცემულ გრაფიკში ნათლად ჩანს დეპოპულაციის მაჩვენებლებს შორის განსხვავება 2002 და 2014 წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით. აღნიშნული ააშკარავებს, რომ პილოტურ რეგიონებს არ აქვთ უნარი შეინარჩუნონ რეზიდენტები მათ საარჩევნო სივრცეში და ასევე მოიზიდონ ახალი მაცხოვრებლები.

გრაფიკი 2: წმინდა მიგრაციის მაჩვენებელი 2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საპილოტე რეგიონებში და თბილისში (%)

[15] საქსტატის 2016 წლის მონაცემებზე დაფუძნებით.



წყარო : საქსტატი (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა)

მიგრაციის პოტენციალის მიმართვა საპილოტე რეგიონების განვითარებისკენ

მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის საქართველოს მიგრაციის 2016-2020 წლების სტრატეგიაში ცალკე თავები ეთმობა,[1] სადაც, ასევე, განხილულია აღნიშნული პოტენციალის სწორად გამოყენების მნიშვნელობა ადგილობრივ (მუნიციპალიტეტების) დონეზე მიმდინარე განვითარების პროცესებში. მიგრაციის სტრატეგიის მე-5 მიზანი – „საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების, დიასპორის წარმომადგენლების და იმიგრანტთა ეკონომიკური და ადამიანური რესურსის ქვეყნის განვითარებისკენ მიმართვა“ – მრავალგანზომილებიანია და სხვათა შორის გულისხმობს როგორც ემიგრანტთა ფულადი გზავნილების და მათი მიმღები ოჯახების, ასევე მაღალკვალიფიციური დიასპორისა და დაბრუნებულ მიგრანტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ეფექტურ გამოყენებას და ამ რესურსის ამოქმედებას და მიგრაციის პროცესში ჩართული ყველა ზემოჩამოთვლილი აქტორის აქტიური ჩართულობის წახალისებას ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროექტებში.

საზღვრისპირა თანამშრომლობა

საქართველო მონაწილეობს ტერიტორიული თანამშრომლობის რამდენიმე პროგრამაში. საპილოტე რეგიონებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი ინტერვენციები: აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის (EaPTC) ფარგლებში აზერბაიჯანი-საქართველოს პროგრამა, რომელშიც მონაწილეობს კახეთი (და ქვემო ქართლი) და შავი ზღვის აუზის ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის ტრანსსასაზღვრო და შავი ზღვის ერთობლივი საოპერაციო პროგრამა 2014 – 2020 (ENI CBC 2014-2020), რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ყველა რეგიონი.[16] ასევე ხორციელდება მცირე მასშტაბის

[1] საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, თავები VIII და VIII , გვ. 36-49. http://migration.commission.ge/files/ms_matsne_geo_06.08.18.pdf

[16] პროგრამის განხორციელების არეალს მთელი საქართველო წარმოადგენს

პროექტების მხარდაჭერა: სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ხელშეწყობა, ჩაის წარმოების ხელშეწყობა (როგორც რეგიონული განვითარების ფაქტორის), ტურისტული კატარღებისათვის გაუმჯობესებული საპორტო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, ნარჩენების მართვის გეგმების გაუმჯობესება (შავი ზღვის აუზის პროგრამის ფარგლებში), ტურისტული (კულტურული) პოტენციალის, დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ზრდა, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, სოციალური მომსახურებისა და ახალგაზრდობის გაძლიერება (აზერბაიჯანთან ერთად). მიუხედავად მცირე რაოდენობისა და მწირი დაფინანსებისა, საზღვრისპირა რეგიონების ინიციატივები მნიშვნელოვანია ინოვაციური პროექტების პილოტირებისთვის და უფრო ძლიერი და მეტი შესაძლებლობების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და თვითმმართველობების ჩამოყალიბებისათვის. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეხება იმერეთს.

თავი III. საპილოტე რეგიონებში გადასაჭრელი ტერიტორიული განვითარების საჭიროებებისა და პოტენციალის მოკლე შეჯამება

პროგრამის ამ ნაწილში წარმოდგენილია ის ძირითადი მოკვლევები, რომლებიც სრიგპ-ს ფარგლებში საპილოტე რეგიონების პოტენციალის გამოყენებას და საჭიროებების გადაჭრას უკავშირდება.

ცხრილი 7. საპილოტე რეგიონებში არსებული ბარიერები და საჭიროებები

გეგმარებითი რეგიონი	განვითარების არეალი	განვითარების ბარიერები	განვითარების პოტენციალი
იმერეთი	**ურბანული განვითარება**	– პოსტინდუსტრიული ქალაქების გაუარესებული მდგომარეობა, მიტოვებული პოსტინდუსტრიული არეალით; - არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურისა და სერვისების გამო, ურბანული ტერიტორიებისა და მისი შემოგარენის დაბალი ინტეგრაცია; - ქუთაისის, როგორც ურბანული მიზიდულობის ცენტრის არასაკმარისად განვითარებული ფუნქციები; - ზოგიერთი ქალაქის (ქუთაისი, სამტრედია, ზესტაფონი), როგორც მულტიმოდალური სატრანსპორტო და ლოგისტიკური ჰაბის პოტენციალის არასრული გამოყენება	- ქუთაისს, სიდიდით მესამე ქალაქს საქართველოში, გააჩნია პოტენციალი გახდეს მთელი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული რეგიონული დონის ჰაბი; - რეგიონში, რომელშიც ქუთაისის გარდა, რამდენიმე ძირითადი საშუალო ზომის ურბანული ცენტრია, ხასიათდება ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დაბალანსებული განაწილებით; - ახალი ინვესტიციების მოსაზიდად სამრეწველო და ლოგისტიკურ სექტორებში ყოფილი ინდუსტრიული ქალაქების არსებული პოტენციალი; - ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა საკვანძო სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ გაფართოებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რეგიონში არსებული ქვეყნის მთავარი

			სარკინიგზო ხაზი და ავტომაგისტრალი.
	ტურიზმი	- მოძველებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; - ქუთაისის გარეთ პოპულარული ტურისტული ობიექტების ნაკლებობა; - მეორადი და ადგილობრივი მნიშვნელობის ბევრი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი კვლავ განახლების მოლოდინშია - ინფრასტრუქტურის კუთხით, რეგიონის გარკვეულ ტერიტორიების შეზღუდული მისაწვდომობა - ტურისტული პროდუქტების არასაკმარისი დივერსიფიკაცია - იმერეთის დაბალი წილი საქართველოს ზოგად ტურისტულ სტატისტიკაში	- 900-ზე მეტი ისტორიული ძეგლი და ცნობილი კურორტები; - მდიდარი და უნიკალური ბუნებრივი და ჰიდრომინერალური რესურსები - 35 მუზეუმი - კულტურული, ღვინის და რეკრეაციული ტურიზმის განვითარების პოტენციალი; - ხელსაყრელი მდებარეობა და სატრანსპორტო საშუალებები (საერთაშორისო ავტომაგისტრალი, რკინიგზა, აეროპორტი)
	წარმოების დარგები	- მისი წილი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ერთ სულ მოსახლეზე მთლიან დამატებით ღირებულებაში; - არსებული სამრეწველო პოტენციალი არ არის გამოყენებული; - მოძველებული ტექნოლოგიები და პროდუქციის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი; - დაბალი ინვესტიციები (ფიქსირებულ აქტივებში საქართველოს ინვესტიციების 1.9%-ია); - სურსათის გადამამუშავებელი სექტორის განუვითარებელი პოტენციალი; - ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების ნაკლებობა	- რეგიონის სამრეწველო ტრადიციები (მძიმე მრეწველობა, მექანიკური ინჟინერია, ქიმიური და ტექსტილის მრეწველობა), - საქართველოს მთლიან დამატებით ღირებულებაში მისი წილი 10%-ია, - ქვანახშირის და მანგანუმის მადნის ექსპორტი - სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალი, ხორცის, რძის, თაფლის, ხილისა და ბოსტნეულის მაღალი წარმოებით, - არსებული და დაგეგმილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც ტექნოლოგიური წინსვლისა და ინოვაციების საფუძველი.
	ადგილობრივი განვითარება	- მოსახლეობის 30%-ზე მეტია (153,709 ადამიანი) [17]პენსიებისა და სოციალური პაკეტის მიმღები - მოსახლეობის მხოლოდ 67.2% -ის მიეწოდება გაზი; - სასმელი წყლის შეზღუდული ხელმისაწვდომობა სოფლად	- ადგილობრივი კულტურა და ადგილობრივი პროდუქტები აღიარებულია ეროვნულ დონეზე (მაგ., კერამიკა); - სპორტული კლუბების ტრადიცია (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ძალოსნობა) - ბუნებრივი რესურსები
კახეთი	**ურბანული განვითარება**	- ცუდი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამო ურბანული ცენტრების დაბალი ინტეგრაცია მიმდებარე ტერიტორიებთან, - თელავის არასაკმარისად განვითარებული ურბანული ფუნქციები; – ქვეყნის ძირითად სატრანსპორტო ქსელზე ინტეგრაციის დაბალი დონე (აეროპორტები, საავტომობილო გზები, რკინიგზა).	- თელავს გააჩნია პოტენციალი გახდეს ძლიერი მეორე რიგის რეგიონული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული, კულტურული, საგანმანათლებლო, ბიზნესისა და ინოვაციური ფუნქციების მხარდაჭერას; - ზოგიერთ საშუალო ზომის ქალაქს გააჩნია პოტენციალი მოიზიდოს სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური აქტივობები (ტურიზმი, სურსათის გადამუშავება და ნედლეულის

[17] საქსტატი, 2018

			გამოყენება)
	ტურიზმი	- ტურისტული სერვისების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი; – ახმეტისა და თუშეთის დამაკავშირებელი გზების დაბალი ხარისხი; - რეგიონის მაღალმთიან ტერიტორიებზე გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობა, განსაკუთრებით ზამთარში - რეგიონის წილი საქართველოს მთლიან ტურისტულ სტატისტიკაში მცირეა - ტურიზმი უმეტესწილად დამოკიდებულია ღვინის მრეწველობაზე.	- მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, - ტურიზმის (აგრო, კულტურული, ღვინის, სათავგადასავლო, ეკო და რეკრეაციული) განვითარების მაღალი პოტენციალი - რეგიონის მუნიციპალურ ცენტრებში (თელავი, სიღნაღი, ყვარელი) შედარებით კარგად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა ბრენდული სასტუმროებით, საოჯახო სასტუმროებითა და რესტორნებით; - თუშეთის უნიკალური ლანდშაფტი, ბუნება და დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები (ვაშლოვანის, ლაგოდეხის, ბაბანეურის და ბაწარას დაცული ტერიტორიები, თუშეთის დაცული ტერიტორიები, ჭაჭუნას აღკვეთილი, მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი)
	წარმოების სექტორები	- სუსტად განვითარებული მრეწველობა (ძირითად სექტორი სურსათის გადამუშავებაა- განსაკუთრებით ღვინის წარმოება) - სურსათის გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალი ტექნოლოგიური დონე, - სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა მაღალი დონე ადგილობრივ მოსახლეობაში	- სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი – ყურძენი და სხვა ხილი, ასევე სიმინდი, ხორბალი და ქერი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურები - ჰიდრო და მზის ენერგიის პოტენციალი - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ინოვაციების განვითარების საფუძველი - ხე-ტყის მასალის წარმოება - ადგილობრივ ფერმერებსა და მწარმოებლებს შორის, ასევე სასტუმროსა და რესტორნის მზარდ სექტორს შორის ახალი ღირებულებათა ჯაჭვების პოტენციალი.
	ადგილობრივი განვითარება	მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე - წყალარინების სისტემების ცუდი მდგომარეობა - წყლის სიტემებთან დაბალი ხელმისაწვდომობა - გაზიფიცირების დაბალი დონე - ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მისადგომი რეგიონი ადგილობრივი გზების დაბალი ხარისხისა და სივიწროვის გამო	- ელექტროენერგიის კარგი ხელმისაწვდომობა და შედარებით კარგი გაზმომარაგება - ტყის რესურსები -ბუნებრივი რესურსები ადგილობრივი კულტურა
გურია	**ურბანული განვითარება**	- ქალაქების, როგორც ურბანული მიზიდულობის ცენტრების განვითარების დაბალი დონე და დაბალი ეკონომიკური ფუნქციები, - რეგიონის მკვიდრთათვის და გარე ვიზიტორებისთვის ურბანული ტერიტორიების დაბალი	- ოზურგეთის შეზღუდული პოტენციალი, რათა შეასრულოს რეგიონული ჰაბის როლი ადმინისტრაციული, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციონირებისთვის; - ქალაქს გააჩნია გარკვეული

		ხელმისაწვდომობა; - დაბალი საინვესტიციო მიმზიდველობა	პოტენციალი სხვადასხვა სახეობის კულტურული და ეკონომიკური საქმიანობის მოსაზიდად (ტურიზმი, სურსათის გადამუშავება და ნედლეულის გამოყენება)
	ტურიზმი	- განუვითარებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა - ტურისტული აქტივობები ძირითადად კონცენტრირებულია შავი ზღვის სანაპიროზე -კულტურული და ბუნების ძეგლები საჭიროებენ განახლება/რეაბილიტაციას და თანმხლები ობიექტების მშენებლობას.	- მაღალმთიანი, ზღვისპირა, სათავგადასავლო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების პოტენციალი - „Black Sea Arena“-ს და მის მიმდებარედ არსებული ღირსშესანიშნაობების პოტენციალი ტურისტული ნაკადების მოსაზიდად - 60-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი
	წარმოების სექტორები	- საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში მისი წილი მხოლოდ 2%-ია - გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალი დონე (საქართველოში გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების 1%), - მცირე ზომის ადგილობრივი ფერმები და მწირი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა (სურსათის გადამამუშავებელი და შესანახი ობიექტები)	- სოფლის მეურნეობის პოტენციალი (ჩაის, თხილის და ხილის მნიშვნელოვანი მწარმოებლები) - ფოთის და ბათუმის პორტებთან და ქუთაისის აეროპორტთან სიახლოვე - სუფსის ნავთობტერმინალის პოტენციალი, - წყლის, ქარის, ბიომასის და მზის ენერგიის გამომუშავების პოტენციალი. - წიაღისეული – ბენტონიტური თიხა, ტორფი, აპატიტი, კაოლინი, სიენიტი, ოქრა, ტუფი, გრანიტი, კირქვა, სააგურე თიხა
	ადგილობრივი განვითარება	- მოსახლეობის ძალიან დაბალი სიმჭიდროვე, - წყალმომარაგებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა - რეგიონის საზღვრებში ბევრი დასახლება მაღალმთიანი და რთულად მისადგომია - მუნიციპალიტეტების ტრანსპორტის ქსელის დაბალი ხარისხი	- ტყის რესურსები - გამორჩეული კულტურა და ისტორიული მემკვიდრეობა
რაჭა - ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი	**ურბანული განვითარება**	- ქალაქების, როგორც ურბანული მიზიდულობის ცენტრების განვითარების დაბალი დონე და დაბალი ეკონომიკური ფუნქციები, - ინფრასტრუქტურის კუთხით, ურბანული ტერიტორიების დაბალი ხელმისაწვდომობა როგორც რეგიონის მაცხოვრებლებისთვის, ასევე გარე ვიზიტორებისთვის	ამბროლაურის შეზღუდული პოტენციალი, რათა შეასრულოს რეგიონული ჰაბის როლი ადმინისტრაციული, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციონირებისთვის - ქალაქს გააჩნია გარკვეული პოტენციალი სხვადასხვა სახეობის კულტურული და ეკონომიკური საქმიანობის მოსაზიდად (ტურიზმი, სურსათის გადამუშავება და ნედლეულის გამოყენება)

	ტურიზმი	- განუვითარებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა (სათანადო რესტორნებისა და სასტუმროების ნაკლებობა) - გეოგრაფიული მდებარეობისა და ცუდი საგზაო ინფრასტრუქტურის გამო რეგიონსა და მის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან დაბალი ხელმისაწვდომობა; - ტურისტული პროდუქტების დაბალი დივერსიფიკაცია; - პოპულარიზაციის დაბალი დონე.	- ტურიზმის განვითარების ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა – გამაჯანსაღებელი, სათავგადასავლო, ეკო-ტურიზმის, ღვინის, რეკრეაციული ტურიზმის პოტენციალი (მათ შორის თევზაობა, ნადირობა, ცხენოსნობა) - ისტორიული ძეგლების სიმრავლე - სამკურნალო მინერალური წყლის რესურსები ონში, ლენტეხსა და ცაგერში.
	წარმოების სექტორები	- საქართველოს მთლიანი დამატებითი ღირებულების მხოლოდ 0.7% შეადგენს, - სუსტი სამრეწველო პოტენციალი (სურსათის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება და ავეჯის წარმოება), სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, სასაწყობე და სამაცივრე ობიექტები), - მცირე ზომის ფერმების გამო ძირითადად პირველადი სოფლის მეურნეობა, - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობა	- ყურძნის უნიკალური ჯიშები და ღვინის მნიშვნელოვანი მწარმოებელი; ასევე აწარმოებს სიმინდს, ლობიოს და სხვა ბოსტნეულს, ხილის ნაირსახეობას, რაჭულ ლორს; - წყლის რესურსები - წიაღისეული – ქვიშა, ხრეში, კირქვა, დარიშხანი, ქვანახშირი, თაბაშირი, დიაბაზი, ბარიტი, მანგანუმი და ოქრო
	ადგილობრივი განვითარება	- მოსახლეობის მეტისმეტად დაბალი სიმჭიდროვე; - დასახლებების მაღალმთიანი და პერიფერიული თვისებები; - საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსახლეობის საჭიროებებთან შეუსაბამოა ან მთლიანად ხელმიუწვდომელია ზოგიერთ ტერიტორიაზე; - წყალმომარაგების დაბალი ხარისხი; - მოსახლეობის თითქმის 40% [18]დამოკიდებულია სოციალურ დახმარებაზე.	- ტყის რესურსები, - მდიდარია ბუნებრივი სამკურნალო და ბალნეოლოგიური მინერალური წყლებით
ყველა რეგიონი	**ინსტიტუციური შესაძლებლობა**	- ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა განვითარების პარტნიორების (ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების) მცირე გამოცდილება ეფექტურად ითანამშრომლონ რეგიონული განვითარების საკითხების მართვასთან დაკავშირებით. - ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა არასაკმარისი გამოცდილება განვითარების პროგრამისა და პროექტების მომზადებასა და	- გარკვეული გამოცდილების ქონა გარე დონორების მიერ დაფინანსებული რეგიონული და ადგილობრივი პროექტების განხორციელებაში; - რეგიონული და ადგილობრივი საჭიროებების და პოტენციალის ცოდნა; - დაინტერესებულ მხარეებს შორის მაღალი ინტერესი სრიგპ- ს მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად

[18] საქსტატი, 2018

		განხორციელებაში. - მონიტორინგისა და შეფასების კუთხით ადგილობრივი ორგანოების გამოცდილების ნაკლებობა	

თავი IV. პროგრამის მიზანი, ამოცანები და პრიორიტეტები

ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის (სრიგპ) ამოცანებისა და პრიორიტეტების დასახვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი სამი განზომილება:

1. ეროვნული განზომილება, რომლის ფარგლებშიც 2018-2021წწ. რეგიონული განვითარების პროგრამა განსაზღვრავს სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის კონკრეტულ სტრატეგიულ მიზნებს, აგრეთვე საშუალოვადიან ამოცანებს 2021 წლამდე პერიოდისათვის;
2. რეგიონული განზომილება, რომლის ფარგლებშიც მთავრობის მიერ 2012-2015 წლებში მიღებული და მთელი რიგი ქვეეროვნული და ადგილობრივი განვითარების პარტნიორების ჩართულობით მომზადებული რეგიონული განვითარების სტრატეგიებით განისაზღვრა შესაბამის რეგიონებში განსახორციელებელი ამოცანები და პრიორიტეტული ღონისძიებები;
3. ევროკავშირთან ასოცირების განზომილება, რომლის ფარგლებშიც 2017-2020 წლების ევროკავშირის დახმარების ერთიანი ჩარჩო-დოკუმენტი (SSF 2017-2020) განსაზღვრავს კონკრეტულ ამოცანებსა და იმ შედეგებს, რაც მიღწეული უნდა იქნეს საქართველოში ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დაფინანსების გამოყენებით, მათ შორის რეგიონული პოლიტიკის მხარდაჭერის კუთხით.

4.1. საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის ამოცანებისა და პრიორიტეტების დასახვისთვის პროგრამის ჩარჩოს დადგენა

4.1.1 ეროვნული განზომილება

ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის კონკრეტული ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ეროვნული დონის **2018-2021 წწ. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის** დებულებებთან. აღნიშნული პროგრამა განსაზღვრავს მთელ რიგ პრიორიტეტულ მიმართულებებს, აგრეთვე მომდევნო წლებში განსახორციელებელ ღონისძიებებსა თუ პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში რეგიონული პოლიტიკის დასახული მიზნების მიღწევას.

აღნიშნულ დოკუმენტში რეგიონული პოლიტიკის საერთო, გრძელვადიანი მიზანი 2030 წლისთვის განსაზღვრულია შემდეგნაირად: ***საქართველოს რეგიონული პოლიტიკის პირველი რიგის ამოცანაა ხელი შეუწყოს ეროვნული პოლიტიკის მიზნების მიღწევას (რაც "საქართველო 2020" განვითარების სტრატეგიის მიხედვით, გულისხმობს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის და ეროვნულ დონეზე ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობას) ტერიტორიული პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით, ტერიტორიული მმართველობის სხვადასხვა დონეზე.***

რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს 2021 წლის ბოლომდე (რომელშიც მოხდება ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება), *პროგრამის საერთო მიზანია:* ***ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ქვეყნის მასშტაბით, რეგიონული უთანაბრობების შემცირებასა და ტერიტორიული გათანაბრების (კოჰეზიის) გაზრდას.***

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შესაბამისი მაჩვენებლები განისაზღვრა როგორც მთლიანი პროგრამის, ისე ცალკეული ღონისძიებების დონეზე, და მათი გათვალისწინებით მოხდა ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის ინდიკატორების განსაზღვრა. ცხრილი 8-ში ნაჩვენებია 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ზეგავლენისა და შედეგის ინდიკატორები.

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მთავარი ამოცანის მიღწევა უნდა მოხდეს სამი **კონკრეტული პროგრამული ამოცანის მეშვეობით**:

1. სწრაფი **ეკონომიკური ზრდის** ხელშეწყობა, დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების გამოყენების, მმართველობის სხვადასხვა დონეზე შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელისშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით.
2. ინფრასტრუქტურის, ენერგო და საკომუნიკაციო ქსელებისა და კომუნალური სერვისების **მდგრადი განვითარება,** რეაბილიტაცია და გაფართოება უსაფრთხო გზებით.
3. **სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების დაძლევის (კოჰეზია) ხელშეწყობა –** თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა მოქალაქისათვის, მათი სოციალური კუთვნილებისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ამ მიზნების მისაღწევად 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება მოხდება ხუთი ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული პრიორიტეტის მეშვეობით:

- პრიორიტეტი 1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
- პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორების მხარდაჭერა და ექსპორტის ხელშეწყობა
- პრიორიტეტი 3. ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა
- პრიორიტეტი 4. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე
- პრიორიტეტი 5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა და საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (შემდგომში სრიგპ) აგრეთვე ეყრდნობა საქართველოს მთავრობის სხვა სტრატეგიულ და საოპერაციო პოლიტიკის დოკუმენტებს. 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის გარდა, სრიგპ-ის ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტებია: 2017-2020 წლების საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმები; საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია და მისი 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. თუმცა, პროგრამის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესწავლილ იქნა არაერთი სხვა დოკუმენტიც, რაზეც დეტალური ინფორმაცია მოცემულია პრიორიტეტებისა და ღონისძიებების აღწერილობაში.

4.1.2 რეგიონული განზომილება

საქართველოს მთავრობის მიერ ცალკეული რეგიონებისათვის რეგიონული განვითარების სტრატეგიების დამტკიცება 2011-2016 წლების პერიოდში მოხდა. აღნიშნული სტრატეგიები მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)) მხარდაჭერით და ცენტრალურ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე მოქმედი განვითარების მხარდამჭერი დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით. აღნიშნულ სტრატეგიებში მოცემულია კონკრეტული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი და განსაზღვრულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ 2020 წლამდე პერიოდში განსახორციელებელი ამოცანები და მოქმედების პრიორიტეტული მიმართულებები.

2013 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა გურიის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიები, ხოლო 2016 წელს – იმერეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია. რეგიონული საჭიროებების დეტალური შეფასების საფუძველზე და დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის ჩართულობით (მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა, სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელისუფლების ორგანოები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები), სტრატეგიების ფარგლებში განისაზღვრა ის მიზნები, ამოცანები და აქტივობები, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მომავალში. თუმცა სტრატეგიების ფარგლებში არ მომხდარა რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლებისა და ფინანსური ინსტრუმენტების განსაზღვრა. სტრატეგიებში არ არის მკაფიოდ ნაჩვენები, თუ რა გზით მოხდება შეთავაზებული ღონისძიებების განხორციელება. ამის გამო, აღნიშნული სტრატეგიების სრიგპ-ისთვის ამოსავალი წერტილი სახით გამოყენება მხოლოდ გარკვეულ დონეზე თუ იქნება შესაძლებელი.

ყველა სტრატეგიაში მითითებულია, რომ წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მიწოდება-განვითარება, მოსახლეობის გაზიფიკაცია, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ინოვაციების დანერგვა, პროფესიული განათლება, სივრცითი დაგეგმარება – ეს ის მიმართულებებია, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ქმედით

ზომებს მოითხოვს. ყველა რეგიონის საერთო, ზოგადი ამოცანაა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული რეგიონის კონკრეტული ამოცანები და მოქმედების პრიორიტეტული მიმართულებები.

გურია

ამ რეგიონის კონკრეტული ამოცანები და მოქმედების პრიორიტეტული მიმართულებებია: მოსახლეობის მაღალსიჩქარიანი (ფართოზოლოვანი) ინტერნეტ-კავშირით უზრუნველყოფა; კერძო საცხოვრებლებსა და ადმინისტრაციულ შენობებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება; ქალაქის ტიპის დასახლებებში წყალმომარაგების, წყალარინებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება, სპორტული ობიექტების, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; მაღალმთიანი დასახლებებისა და ტურისტული ზონების განვითარება, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობა, ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა მაღალმთიან ტერიტორიებზე; ტურიზმის განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა/რესტავრაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა; დაცული ტერიტორიების ეფექტიანობის გაზრდა; მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება, ადგილობრივი საჯარო მოხელეების კომპეტენციის ამაღლება.

კახეთი

კახეთის რეგიონში გასატარებელი სახელმწიფო ზომების სტრატეგიული ამოცანებია: მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და შემოსავლების გაზრდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის გაუმჯობესების გზით; ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება; ინტერნეტით დაფარვის გაზრდა; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; დაცული ტერიტორიების ეფექტურობის გაზრდა; ექსპორტთან დაკავშირებული სექტორების განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, მაღალმთიანი და სხვა სოფლის ტიპის დასახლებების განვითარების ხელშეწყობა.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

რეგიონში გასატარებელი სახელმწიფო ზომების სტრატეგიული პრიორიტეტებია: ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარება; მცირე და საშუალო ბიზნესის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; საბინაო-კომუნალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; კულტურული და სპორტული ობიექტების, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუმჯობესება, საჯარო მოხელეთა კომპეტენციის გაზრდა.

იმერეთი

იმერეთის რეგიონში გასატარებელი სახელმწიფო ზომების მიზანია: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფა; ქალაქებსა და სოფლებში ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროების დანერგვა; ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობა და მათი ბიზნესში გადატანა, მათ შორის აგროგადამამუშავებელ სფეროში; ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობა; ქალაქებისა და სოფლების, მაღალმთიანი დასახლებებისა და ტურისტული ადგილების ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა/რესტავრაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტშორისი ტრანსპორტის განვითარება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

რეგიონული სტრატეგიების გარდა არსებობს რიგი ოფიციალური დოკუმენტებისა, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიული განვითარების საჭიროებებს და ცალკეულ მუნიციპალიტეტებთან, მუნიციპალიტეტთა ჯგუფებსა თუ ქალაქებთან, აგრეთვე კონკრეტულ ლოკაციებთან მიმართებით, გარკვეულ ზომებსა და მოქმედებებს სთავაზობს. აღნიშნულ დოკუმენტებში, რომლებიც დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2009-2015 წლებში მომზადდა, ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული დაფინანსების წყარო, თუმცა ისინი უნდა მივიჩნიოთ და შეიძლება გამოვიყენოთ როგორც კონკრეტული რეგიონებისათვის წინადადებების შემუშავების ინსტრუმენტი.

4.1.3 ევროკავშირთან ასოცირების განზომილება

2017-2020 წლების ერთიანი დახმარების ჩარჩო პროგრამით (SSF 2017-2020) განისაზღვრა საქართველოსთვის ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში დახმარების ოთხი პრიორიტეტული სფერო. აღნიშნული პრიორიტეტული სექტორები შესაბამისობაშია ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების განახლებულ დღის წესრიგთან და შეესატყვისება აღმოსავლეთ პარტნიორობის '20 მიზანი 2020 წლისთვის' დოკუმენტში განსაზღვრულ პრიორიტეტებს. [19].

ოთხი პრიორიტეტული სექტორი მოიცავს შემდეგს:

> **სექტორი 1: ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები,** *მათ შორის,* გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა (დაახლოებით მთლიანი ბიუჯეტის 40%);

[19] „20 მიზანი 2020 წლისთვის". გაერთიანებული კომიტეტის 2017 წლის 9 ივნისის სამუშაო დოკუმენტის ახალი რედაქცია; 2020 წლამდე აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პრიორიტეტული ღონისძიებების სამუშაო გეგმა, დამტკიცებულია ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) და კომისიის სამსახურის მიერ.

სექტორი 2: ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა, *მათ შორის,* კანონის უზენაესობა და უსაფრთხოების საკითხების გადაჭრა (დაახლოებით მთლიანი ბიუჯეტის 20%)

სექტორი 3: კომუნიკაცია, ენერგოეფექტურობა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება (დაახლოებით მთლიანი ბიუჯეტის 15%)

სექტორი 4: მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები, *მათ შორის* ვიზა ლიბერალიზაციის კრიტერიუმების მუდმივი დაცვა და პროფესიული განათლებისა და მომზადების ხელშეწყობა (დაახლოებით მთლიანი ბიუჯეტის 10%)

გარდა ამისა, დამატებით ფინანსურ დახმარებას მიიღებს კიდევ სამი მიმართულება (ჯამში 15%): პოტენციალის გაზრდა/ ინსტიტუციების განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, სტრატეგიული კომუნიკაცია.

რეგიონული პოლიტიკის მხარდამჭერი ღონისძიებები არის სექტორი 1-ის **(ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები**) ფარგლებში განსაზღვრული დახმარების ნაწილი, რომლისთვისაც ჯამში (დაახლოებით) 148,4-181,2 მლნ. ევროს გამოყოფაა გათვალისწინებული. აღნიშნული სექტორის ფარგლებში განსახორციელებელი მოქმედებების მიზანია ადგილობრივ საწარმოთა პროდუქტიულობისა და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა: სავაჭრო დეფიციტის შემცირება, საქართველოსა და მის რეგიონებში ინვესტიციებისა და ინოვაციების, აგრეთვე გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის და მდგრადობის ხელშეწყობა, მათ შორის ბაზრის შესაძლებლობების გაზრდა, ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობისა და ტერიტორიული განვითარება. აღნიშნული პრიორიტეტული სექტორის ფარგლებში დასახული პირველი ოთხი კონკრეტული ამოცანა ეხება საექსპორტო პოტენციალის, მცირე და საშუალო საწარმოთა და ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუციების, კომპანიების დაფინანსების სისტემის განვითარებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი სექტორისა და სოფლის განვითარებას.

მეხუთე განსახორციელებელი კონკრეტული ამოცანა უშუალოდ ეხება რეგიონული განვითარების პოლიტიკას: სხვადასხვა რეგიონებში განვითარების დონეებს შორის უთანაბრობების შემცირება (განსაკუთრებით, კონკურენტუნარიანობის ზრდის და დასაქმების თვალსაზრისით) მულტისექტორული მიდგომის (მათ შორის, ამოცანა 1-4-თან დაკავშირებული ინვესტიციები) მეშვეობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია შემდეგი შედეგის მიღება:

- საქართველოს რეგიონებში, აგრეთვე ქალაქებსა და სოფლებს შორის, უთანაბრობების შემცირება;
- რეგიონების კონკურენტუნარიანობის გაძლიერება;
- რეგიონების გაზრდილი კონტრიბუცია საქართველოს დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ერთიანი დახმარების ჩარჩო-პროგრამით (SSF) აგრეთვე დადგენილია იმ შესაბამისი ინდიკატორების ნუსხა, რომელთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს რეგიონული განვითარების სფეროში საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარების ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნული ინდიკატორები ეხება ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: სათევზაო მეურნეობებისა და სოფლის შინამეურნეობების შემოსავალი, არასასოფლო-

სამეურნეო სექტორში დასაქმება, ტურიზმის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება, მოსახლეობა გაზრდილი წვდომით სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე (ნარჩენების მართვის, წყალმომარაგებისა და სანიტარიული სერვისები); ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი ახალი/გაუმჯობესებული სერვისები; განახლებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა (საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, საზოგადოებრივი ცენტრის შენობები, ავეჯი და ტექნიკური აღჭურვილობა) და მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით[20].

ამჟამად, მომზადების პროცესშია საქართველოში განსახორციელებელი პროგრამის ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც მთლიანად ეძღვნება რეგიონულ პოლიტიკას: „ევროკავშირის დახმარება ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის“, რომლის დაფინანსება მოხდება ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში. 54 მლნ ევროს ღირებულების შეთავაზებული პროგრამა (ბიუჯეტით გათვალისწინებული დახმარება – 40.5 მლნ. ევრო, ხოლო დამატებით გამოყოფილი ფინანსური დახმარება – 13.5 მლნ. ევრო) სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამასა და 2019–2022წწ. საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის პროექტთან.

4.2 ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობების ანალიზის (მე-3 თავი), საპილოტე რეგიონების გამოვლენილი საჭიროებებისა და პოტენციალის, აგრეთვე რეგიონულ პოლიტიკასთან დაკავშირებული ევროპული, ეროვნული თუ რეგიონული საპროგრამო დოკუმენტებით განსაზღვრული ზემოხსენებული ამოცანების გათვალისწინებით, ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის მიზანი ფორმულირდება შემდეგნაირად:

ოთხ საპილოტე რეგიონში ხელსაყრელი გარემოს შექმნა და დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივების საშუალებით.

აღნიშნული მიზნის რეალიზება მოხდება სხვადასხვა ტერიტორიებსა და სექტორებში განვითარების ფაქტორებში ინვესტიციით, რომელიც განხორციელდება ისეთი მიმართულებით, როგორიცაა: წარმოება, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალისა და საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი. ინვესტიციის განხორციელება

[20] ა1) სათევზაო მეურნეობების/სოფლის შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი, ჩაშლილი სქესის მიხედვით
ა2) სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულთა მოცულობა, ჩაშლილი სქესის მიხედვით (2015 წელს არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმების 27,2%
ა3) ტურიზმის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება
ა4) სოფლის მოსახლეობა გაუმჯობესებული წვდომით ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე
ა5) რეგიონებში ხელმისაწვდომი ახალი/გაუმჯობესებული სერვისების რაოდენობა
ა6) განახლებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის (საზოგადოებრივი ცენტრების შენობები, ავეჯი და ტექნიკური აღჭურვილობა)
ა7) ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის/’ციფრული დღის წესრიგის’ სტანდარტებთან მიახლოება)
ა8) მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით.

უნდა მოხდეს შერჩევითი გზით – ფინანსური დახმარება კონცენტრირებული იქნება იმ ტერიტორიებსა და სექტორებში, რომელთაც კონკრეტულ რეგიონებში პროდუქტიულობისა და დასაქმების დონის გაზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ. სრიგპ ხელს შეუწყობს საქართველოს მასშტაბით მატერიალური და არამატერიალური წარმოების მოწინავე დარგებში (მაგ.,, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი) ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრას, ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის განვითარებას, ექსპორტის გაზრდის მიზნით მოქმედებების განსაზღვრა-შემუშავებას (მაგ.,, რეგიონში ახალი ნიშის მოძებნის გზით), ადგილობრივი რეწვისა და პროდუქციის შენარჩუნებას, აგრეთვე ინვესტიციების განხორციელებას განვითარების ისეთ ფაქტორებში, როგორიცაა: ინფრასტრუქტურა, განათლება, უნარები, კვლევა-განვითარება და ინოვაცია, რომელთაც უდიდესი გავლენა აქვთ კონკრეტული რეგიონების კონკურენტუნარიანობასა და მოსახლეობის შემოსავლებზე. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ საპილოტე რეგიონებში ძირითადი საჭიროებები, უმეტესწილად, დაუკმაყოფილებელი რჩება, პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ინვესტიციები სათანადო ინფრასტრუქტურისა და გაუმჯობესებული ხარისხის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

პროგრამაში აგრეთვე განხილულია ინსტიტუციური განვითარების საკითხი – მოსახლეობის სასარგებლოდ ინვესტიციების სრული მოცულობით და ეფექტურად გამოყენებისათვის რეგიონებს სჭირდება მაღალი ხარისხის, ეფექტიანი ინსტიტუციები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, რომელთაც შეუძლიათ ეფექტიანად ითანამშრომლონ ადგილობრივ განვითარების მხარდამჭერ პარტნიორებთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან (ძირითადი მოსალოდნელი შედეგები და შედეგის შესაბამისი მაჩვენებლები წარმოდგენილია მე-9 ცხრილში. საწყისი/საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი 1-ის ცხრილი 1-ში).

ცხრილი 8. სრიგპ-ის მთავარი ამოცანა, მოსალოდნელი შედეგი და ინდიკატორები

საბოლოო მიზანი	**მოსალოდნელი შედეგი**	**გავლენის ინდიკატორი/ები**	**საბაზისო (2017)**	**სამიზნე (2022 წლის ბოლომდე)**
ოთხივე საპილოტე რეგიონში ხელსაყრელი გარემოს შექმნა და დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივების საშუალებით.	**გაზრდილი კონკურენტუნარიანობა** • პროდუქტიულობის დონის ზრდა (მშპ ერთ დასაქმებულზე შრომის სტატისტიკის კვლევის მიხედვით) • ინვესტიციების დონის ზრდა 4 რეგიონში • 4 რეგიონის გაზრდილი წვლილი ეროვნულ მთლიან დამატებულ ღირებულებაში • დასაქმების ზრდა 4 რეგიონში	პროდუქტიულობა ერთ დასაქმებულ პირზე საბაზრო ფასებში – ათასი ლარი/წელიწადში, 4 რეგიონის საშუალო მაჩვენებელი	13.4	17.0
		ინვესტიციების წილი ფიქსირებულ აქტივებში როგორც მდღ-ს პროცენტული მაჩვენებელი (%), 4 რეგიონის	4	4.5

		საშუალო მაჩვენებელი			
		ნომინალური მშპ-ის ზრდა (ეროვნული 11.2%), 4 რეგიონის საშუალო მაჩვენებელი	9.7		მინიმუმ 20%
		დასაქმების დონე (%), 4 რეგიონის საშუალო მაჩვენებელი	64.1	ქალი 55.2%, კაცი 66.9% (ეროვნულ დონეზე: ქალი 50.8%, კაცი 63.4%)	66
	გაზრდილი სოციალური თანასწორობა და სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებული მიწოდება • სიღარიბის დონის შემცირება 4 რეგიონში; • 4 რეგიონიდან გადინების/მიგრაციის შემცირება; • მნიშვნელოვან სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდა (წყალმომარაგება, ჯანდაცვა, სკოლამდელი და ზოგადი განათლება და სოციალური სერვისები); საჯარო უწყებების მუშაობის ხარისხის გაზრდა	აბსოლუტური სიღარიბე, (%), საშუალო 4 რეგიონისთვის	27.4	ქალი 26.6%, კაცი 28.3% (ეროვნულ დონეზე: ქალი 21.6%, კაცი 22.4%)	25.5
		მოსახლეობის რაოდენობა (ათასი), 4 რეგიონის ჯამურად	972,6		933,7 (შემცირების ტემპის შენელება მინიმუმ 4%-მდე)
		ცენტრალური წყალარინების სისტემაზე ხელმისაწვდომობა, სისტემის გამართული მუშაობა რეგიონების მიხედვით, %.	იმერეთი 41, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 21, კახეთი 14, გურია 14		მინიმუმ 10%-იანი ზრდა ყველა რეგიონში
		რეგიონების მიხედვით სახელმწიფო მოხელეების მხრიდან მოსახლეობასთან კომუნიკაციით	იმერეთი 60, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 74, კახეთი 64, გურია 70		მინიმუმ 5%-იანი ზრდა ყველა რეგიონში

		კმაყოფილების დონე, (%)[21]		
	თბილისსა და საპილოტე რეგიონებს შორის შემცირებული უთანაბრობები	4 რეგიონის მშპ-ის ჯამური მაჩვენებელი, მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	5903.6	ზრდა მინიმუმ 15%

სრიგპ-ის მთავარი სტრატეგიული მიზანი მიღწეული იქნება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც პასუხობენ რეგიონებში გამოვლენილ საჭიროებებსა და პოტენციალს. აღნიშნული ღონისძიებები კონცენტრირებული იქნება ხუთ შეთავაზებულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე:

1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე;
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა;
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება;
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება.

იმ პრიორიტეტების გარდა, რომლებისთვისაც მოხდება დაფინანსების გამოყოფა, წარმოდგენილია სამი ურთიერთგადამკვეთი საკითხი, რომელთა გათვალისწინებით მოხდება ყველა პრიორიტეტის, ღონისძიების თუ ცალკეული პროექტის განხორციელება:

- მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნის, შრომითი რესურსების მობილობის და პროფესიული უნარების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების ხელშეწყობა
- თანაბარი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქალებსა და მამაკაცებში
- გარემოს დაცვა, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა, კლიმატის ცვლილების და მისი უარყოფითი შედეგის შერბილება

პრიორიტეტების არჩევის არგუმენტირებული და დეტალური დასაბუთება მოცემულია შემდეგ თავში.

4.3 სახელმძღვანელო პრინციპები

სრიგპ-ის შემუშავებისა და განხორციელების სისტემა ეფუძნება 2018–2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებულ

[21]მონაცემები დაფუძნებულია გაეროს „საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევაზე“
https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP_GE_DG_citizen_views_public_services_2017_geo.pdf

გამოცდილებას, ქართულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ სისტემებს, აგრეთვე გამოთანაბრების (კოჰეზიის) პოლიტიკის პრაქტიკასა და ევროკავშირის 2014–2020 წწ. რეგულაციებს.

შესაბამისად, სრიგპ-ის შემუშავებისა და განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპების ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

- **დეცენტრალიზაცია და პარტნიორობა.** შეესაბამება რა საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციის სტრატეგიას (რომელზედაც მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს), საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამა მიზნად ისახავს რეგიონული პოლიტიკის განხორციელების პროცესში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების როლის გაძლიერების ხელშეწყობას მთავრობასთან სტრატეგიულ დისკუსიებში მათი ჩართულობის გზით. აღნიშნული დისკუსიები შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სტრატეგიები, განვითარების გეგმები, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტებისა და ცალკეული აქტივობების განსაზღვრა და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება. მუნიციპალიტეტები, სახელმწიფო რწმუნებულები, კერძო და სოციალური პარტნიორები და სხვა დაინტერესებული პირები, არა მხოლოდ ჩართულნი იქნებიან პროგრამის მომზადებაში (ამოცანების, ღონისძიებების, აქტივობების და პროექტების განსაზღვრაში), არამედ (არსებული სექტორული სქემისგან განსხვავებით) გაიზრდება მათი როლი რეგიონული განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების, აქტივობების და პროექტების განხორციელების, მართვისა და მონიტორინგის კუთხით.
- **ინტეგრირებული, ტერიტორიაზე დაფუძნებული მიდგომა**. სრიგპ-ის ფარგლებში შეთავაზებული ღონისძიებების, აქტივობებისა და პროექტების განსაზღვრა მოხდება ტერიტორიული ანალიზის საფუძველზე, სექტორული მხარდაჭერის პარალელურად, და მათი შემუშავება მოხდება ადგილობრივ მოთამაშეებთან (დაინტერესებულ მხარეებთან) ურთიერთქმედების პროცესში. განხორციელების სისტემა უზრუნველყოფს, რომ მოცემულ რეგიონში პროგრამული ზომების ფარგლებში აქტივობებისა და პროექტების განხორციელება მოხდეს ადგილობრივი თემის/საზოგადოების ტერიტორიული საჭიროებების, მიზნებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით.
- **ურთიერთშევსებადობა.** სტრატეგიული თვალსაზრისით სრიგპ-ის მიზანი და ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს 2018–2021წწ. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამას – საქართველოს რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს რეგიონული პოლიტიკის დღის წესრიგს. სრიგპ-ის ფარგლებში დაფინანსებული ახალი მოქმედებები უნდა ავსებდნენ სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების ფარგლებში უკვე დაგეგმილ მოქმედებებს, აგრეთვე ევროკავშირისა და სხვა დონორების დახმარების სქემების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს. შემავსებელი აქტივობებისა და პროექტების მოკლე ანოტაცია წარმოდგენილია დანართი 2-ში. მათზე მითითება მოცემულია აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების აღწერილობაში (მე-7 თავი). ურთიერთშევსებადობა ასევე იქნება გათვალისწინებული სრიგპ-ის განხორციელების მონიტორინგის პროცესში.

- **სიმარტივე –** სრიგპ-ის განხორციელების სისტემა (მარეგულირებელი ჩარჩო, შიდა პროცედურები, ინსტიტუციები) ითვალისწინებს როგორს ევროკავშირის წესებსა და პრინციპებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო შესყიდვებს, გარემოსდაცვით კანონმდებლობასა და გამოთანაბრების პოლიტიკის პრინციპებს, ისე საქართველოს შიდა ინსტიტუციურ და სამართლებრივ სისტემას. ის აგრეთვე ითვალისწინებს მარტივი, თანმიმდევრული და გრანტის მიმღებებისთვის ადვილი დასაცავი წესების შექმნას.
- **კონცენტრაცია –** შეზღუდული რესურსებისა და განხორციელების ვადის (3 წელი) გათვალისწინებით, სრიგპ-ის ფარგლებში განსახორციელებლად შეთავაზებული ახალი ღონისძიებები, აქტივობები და პროექტები კონცენტრირებული იქნება მხოლოდ კონკრეტული რეგიონების გამოვლენილ საჭიროებებსა და ყველაზე მაღალი დამატებული ღირებულების მქონე სექტორებზე, რომელთაც გააჩნიათ პოტენციალი, ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები საპილოტე რეგიონებში საშუალოვადიან პერსპექტივაში.
- **გენდერული თანასწორობა** – სრიგპ-ის განხორციელების სისტემები და განხორციელებული ღონისძიებები, აქტივობები და პროექტები უზრუნველყოფენ ქალსა და კაცს შორის არსებული გენდერული უთანასწორობის შემცირებას. პროგრამა ხელს შეუწყობს ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში (მაგ.,, საქართველოს კონსტიტუცია, „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ CEDAW კონვენცია, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის “ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018–2020”, აგრეთვე, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“) დასახული მიზნების მიღწევას შემდეგი გზით:
    - სათანადოდ შეფასდეს სტრატეგიის, გეგმის, აქტივობის თუ პროექტის ფარგლებში ქალების მდგომარეობა (განსაკუთრებით სპეციფიკური საჭიროებების მქონე ქალები – ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები, დასაქმებული ქალები (განსაკუთრებით ბავშვიანი ქალები), თვითდასაქმებული ქალები და ა.შ.);
    - სქესისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით დაყოფილი ინფორმაციის ამსახველი შესაბამისი გენდერული ინდიკატორების ჩამოყალიბება;
    - განხორციელდეს აქტივობებისა და პროექტების გენდერული გავლენის შეფასება, შექმნას სტიმულები და უზრუნველყოს ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების პრივილეგირებული წვდომა პროექტის ფარგლებში მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე;
    - გენდერული თვალსაზრისით სენსიტიურ სფეროებში კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვისას მოხდეს გარიყვის პრევენცია და ხელი შეეწყოს ქალთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობას;
    - გრანტის მიმღებთა სამიზნე ჯგუფებისათვის შესაფერისი კრიტერიუმების დადგენა, რაც ხელს შეუწყობს პროექტში ჩართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქალებსა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

4.4 პრიორიტეტების აღწერა

პრიორიტეტებისა და ღონისძიებების დონეზე არსებული ამოცანებისა და შესაბამისი მაჩვენებლების დეტალური აღწერა იხილეთ პროგრამის დანართი 1-ის მე-2 და მე-3 ცხრილებში.

პრიორიტეტი 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქალაქი (განსაკუთრებით მეტროპოლიის ან დედაქალაქის ფუნქციის მქონე ქალაქი) სამუშაო ადგილებისა და მწარმოებლურობის უმთავრესი წყაროს წარმოადგენს, რაც საშუალებას აძლევს ქვეყანასა და მის რეგიონებს, განვითარდნენ და გაუძლონ გლობალიზაციის პროცესებიდან გამომდინარე მზარდი კონკურენციის წნეხს. იგივე ეხება საქართველოს, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების დებულებების განხორციელების გზით სულ უფრო მეტად უკავშირდება მსოფლიო ბაზარსა და ევროკავშირს. თუმცა საქართველოს ეროვნული ურბანული სისტემა მკაფიოდ გამოკვეთილი მონოცენტრული ხასიათისაა და, შესაბამისად, გაუწონასწორებელია. მასში მკვეთრად დომინანტური პოზიცია უჭირავს თბილისს, რომელიც რუსთავთან ერთად ქმნის აგლომერაციას, რომლის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში თითქმის 35%-ია (ურბანული მოსახლეობის 60%). მშპ-ში თბილისის წილი თითქმის 50% შეადგენს და ქვეყანაში განხორციელებული მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 78% თბილისზე მოდის.

საქართველოს მოსახლეობის 58% ქალაქში ცხოვრობს[22] . თბილისის გარდა, არსებობს მხოლოდ სამი დიდი ქალაქი (ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი), სადაც მოსახლეობის რაოდენობა 100 000-ს აღემატება. ქვეყნის სივრცით სტრუქტურაში ყველაზე დიდ დეფიციტს საშუალო ზომის ქალაქების აბსოლუტური ნაკლებობა ქმნის. აღნიშნული ქალაქები (ე.წ. მეორეხარისხოვანი ქალაქები) სოფლისთვის ქვე-რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური ცენტრების როლს თამაშობს. ამ ფენომენის შედეგია თვალშისაცემი რეგიონული უთანაბრობები, ეკონომიკური ზრდის არათანაბარი სივრცითი განაწილება და რეგიონების ენდოგენური პოტენციალის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეები.

ურბანული საკითხების თვალსაზრისით, ოთხი საპილოტე რეგიონის მდგომარეობა ძალზედ განსხვავდება. რეგიონული ურბანული ტერიტორიების სისტემატიზაციისას შეგვიძლია განვსაზღვროთ მათი სამი ტიპი. ქალაქის ტიპები კლასიფიცირებულია (1) ბოლო აღწერის შედეგად მიღებული მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკური მონაცემებისა და (2) ქალაქის ადმინისტრაციული ფუნქციების მიხედვით. ამ ტიპოლოგიაში შედის ყველა ურბანული ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 5,000-ს აღემატება.

[22] საქსტატი

ტიპი 1. რეგიონული ცენტრები (ქ. ქუთაისი, ქ. თელავი, ქ. ოზურგეთი და ქ. ამბროლაური). რეგიონული ცენტრი წარმოადგენს ცენტრალურ ადგილს შედარებით დიდი ტერიტორიებისთვის, რომელთა განვითარება ყოველთვის არ არის დაკავშირებული ძირითადი მსხვილი ქალაქების ბაზრებთან. ეს ქალაქები 100კმ-ზე მეტი მანძილითაა დაშორებული მსხვილ ბაზრებს (თბილისი, ბათუმი, და 40კმ-ზე მეტი მანძილითაა დაშორებული (ქუთაისის გარდა) აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ ავტომაგისტრალს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქები შესაძლოა კარგად ვერ უკავშირდებოდნენ ძირითად ბაზრებს ან სატრანსპორტო დერეფნებს, ხშირ შემთხვევაში ისინი ასრულებენ გარკვეულ როლს თავიანთი რეგიონის ეკონომიკაში. ამ ქალაქებს ან გააჩნიათ ეკონომიკური ბაზა, რომელსაც ასაზრდოებს ადგილობრივი ინვესტიციები და ბაზარი, ან ისინი ასრულებენ მნიშვნელოვანი რეგიონული ან მუნიციპალური ცენტრის როლს. ეს ქალაქები (ამბროლაურის გარდა) შედარებით დიდია საქართველოს ურბანულ იერარქიაში. ზემოაღნიშნულ ქალაქებიდან ვერცერთმა ვერ მოახერხა 2002-2014 წლებში მოსახლეობის რაოდენობის შემცირების შეჩერება.

ტიპი 2. პოსტინდუსტრიული და სატრანსპორტო კვანძის მქონე ქალაქები (სამტრედია, ჭიათურა, ზესტაფონი და ტყიბული) – საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სამტრედია საქართველოს მთავარ სატრანსპორტო ჰაბს წარმოადგენდა, ასრულებდა რა სარკინიგზო, საავტომობილო, (ამჟამად) საჰაერო მიმოსვლის სატრანსპორტო კვანძის ფუნქციას. ამჟამად ქალაქი განვითარების მხრივ დაღმავლობას განიცდის, თუმცა მისი მემკვიდრეობა (მისაწვდომი სატრანსპორტო ცენტრი) ეხმარება მას დაღმავლობის ტენდენციით გამოწვეული შედეგის შემსუბუქებაში. ამ ჯგუფში შემავალი სხვა ქალაქები (ზესტაფონი, ჭიათურა და ტყიბული) იმერეთის რეგიონის მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრებია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინდუსტრიული ქალაქები მნიშვნელოვნად დაზარალდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეკონომიკური გარდაქმნის შედეგად, ისინი მაინც შედარებით მსხვილ ქალაქებად რჩებიან.

ტიპი 3. ადმინისტრაციული ცენტრები ურბანული (მომსახურება) ეკონომიკითა და 5 000-ზე მეტი მოსახლეობით (წყალტუბო, ტყიბული, საგარეჯო, ხონი, გურჯაანი, ყვარელი, ახმეტა, ლანჩხუთი, საჩხერე, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი) – ადმინისტრაციულმა ცენტრებმა უნდა მოახდინონ საკუთარი თავის დამკვიდრება როგორც ეკონომიკური ზრდის საყრდენი წერტილი მიმდებარე სოფლის ტიპის დასახლებებისთვის.

ცხრილი 9. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა.

რეგიონი	მთლიანი/ქალაქის მოსახლეობა 1994 წელს		მთლიანი/ქალაქის მოსახლეობა 2018 წელს	
	ათასებში	%	ათასებში	%
იმერეთი	786,4/394,7	50	507,0/247,8	49
კახეთი	456,3/91,1	20	314,7/71,4	23
გურია	167,6/44	26	110,5/31,6	29
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	61,6/11,6	19	30,2/6,9	23

საქართველო	**4929,9/2652,8**	**54**	**3729,6/2174,8**	**58**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

იმერეთი ერთადერთი რეგიონია, სადაც ურბანული მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია (48,9%). სხვა რეგიონებში ჭარბობს სოფლის ტიპის დასახლებები და ურბანიზაციის დონე ძალზედ დაბალია: გურიაში ურბანიზაციის მაჩვენებელი 29%-ს არ აღემატება, ხოლო კახეთში – 23%-ს. აღნიშნული დასახლების მოდელი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დროინდელი (და უფრო ადრინდელი) ინდუსტრიული პროცესის გადმონაშთს, რამაც იმერეთის შემთხვევაში, ხელი შეუწყო ქუთაისის განვითარებასა და ნედლეულის მოპოვების ადგილების გარშემო (ქვანახშირი ტყიბულში და მანგანუმი ჭიათურაში), მცირე ზომის ქალაქის ტიპის დასახლებების წარმოქმნას, ზემოაღნიშნული ნედლეულის ელექტროენერგიისა (ტყიბული) და ფეროშენადნობების (ზესტაფონი) წარმოებაში გამოყენებას (ტყიბული), აგრეთვე ქართული და საბჭოთა ბაზრისთვის სხვა სამრეწველო პროდუქციის წარმოებას (მაგ., ტრაქტორებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოება). მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობდა სატრანსპორტო კავშირებისა და სატრანსპორტო ჰაბების (ცენტრების) განვითარება (მაგ., ზესტაფონი და სამტრედია), აგრეთვე ქუთაისის ადმინისტრაციული, კულტურული და უმაღლესი საგანმანათლებლო ფუნქციების გაზრდა (უნივერსიტეტის დაარსება). საბჭოთა კავშირის დაშლამდე, იმერეთისა და სხვა რეგიონების ქალაქების უმეტესობამ მხოლოდ შეზღუდული ეკონომიკური (უმეტესად მსუბუქი და სურსათის გადამამუშავებელი მრეწველობა), ადმინისტრაციული, სოციალური (ზოგადი განათლება და ჯანდაცვა) და კულტურული ფუნქციების შეძენა მოახერხა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ოთხივე რეგიონის ყველა ქალაქში (მათ შორის, ქუთაისშიც) აღინიშნება უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები – ინვესტიციების კლება და ბაზრის დაკარგვა, რამაც გამოიწვია სამუშაო ადგილების გაქრობა, დეპოპულაცია (სოფლებში, თბილისში ან საზღვარგარეთ მიგრაცია) და, ამის შედეგად, შემოსავლების შემცირება, ცხოვრების ხარისხის გაუარესება და სიღარიბის დონის გაზრდა. მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაკლებობის შედეგად გაუარესდა საჯარო სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისათვის, რამაც დაასუსტა ქალაქის კავშირი მის მიმდებარე სოფლებთან.

მხოლოდ არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ზოგიერთმა ქალაქმა (განსაკუთრებით ღვინისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო პროდუქციის წარმოებისა და ტურიზმის თვალსაზრისით მიმზიდველ რეგიონებში (ძირითადად კახეთში) განლაგებული ქალაქები) დაიწყო თავისი ეკონომიკური ფუნქციის აღდგენა (ძირითადად სურსათის გადამამუშავებელი და ტურიზმის სექტორი). ეს პროცესი მიმდინარეობდა საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, კომპლექსური ურბანული რეგენერაციის სქემის მიხედვით (მაგ., ქუთაისში, სიღნაღსა და თელავში) ან ცალკეული პროექტების სახით (მაგ., ერეკლე II-ის სასახლე თელავში), აგრეთვე ღვინის წარმოებაში, რესტორნებისა და სასტუმრო ბიზნესის სექტორში განხორციელებული კერძო ინვესტიციებით.

თუმცა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს რიგი მცირე ქალაქებისა (არამარტო კახეთში), რომელთაც შეუძლიათ სამომავლოდ განავითარონ თავიანთი ეკონომიკური როლი

სურსათის გადამუშავების (სხვადასხვა ტიპის), წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციისა და შენახვის კუთხით, ან გაზარდონ თავიანთი ტურისტული ფუნქცია მათ სიახლოვეს არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით საინტერესო ადგილების გამოყენებით. ამ ეტაპზე მათი სრულფასოვნად გამოყენება შეუძლებელია ფინანსური სახსრების, სათანადო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ნაკლებობის, აგრეთვე კერძო სექტორის მხრიდან დაბალი ინტერესისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის სუსტი პოტენციალის გამო.

როგორც ჩანს, ქვეყნის მზარდი ღიაობა და სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესება ქმნის ახალ შესაძლებლობებს პოსტინდუსტრიული ქალაქებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება მუდმივად განვითარებადი და განახლებადი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სიახლოვეს მდებარე პატარა ქალაქებს, რომლებიც ჯერ კიდევ ასრულებენ კულტურულ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს, მათ შორის რეგიონულ ცენტრებს.[23] მათ შეუძლიათ ახალი ბიზნესსუბიექტების მოზიდვა და, შესაბამისად, თავიანთი ეკონომიკური ბაზის გაძლიერება, მეტი მოქალაქის მოზიდვის მიზნით საზოგადოებრივი სივრცის ხარისხის გაუმჯობესება, და ერთმანეთთან, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის ძირითად ცენტრებთან (თბილისი/ბათუმი) და მიმდებარე სოფლებთან კავშირის გაუმჯობესების გზით გაზარდონ თავიანთი ეკონომიკური და სოციალური როლი რეგიონში ან (მათი სიდიდის მიხედვით) იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ისინი მდებარეობენ.

აღნიშნული პრიორიტეტის ამოცანაა, **ხელი შეუწყოს ქალაქების, როგორც ზრდის, სტრუქტურული ცვლილებისა და მდგრადი დასაქმების სოციალური და ეკონომიკური მამოძრავებელი ძალის, განვითარების პროცესს.**

ყურადღების გამახვილება აქამდე უგულვებელყოფილ ქალაქებზე, მათი უზრუნველყოფა განვითარებისა და ურბანული (აგრეთვე სოციალური თვალსაზრისით) რეგენერაციისთვის საჭირო ინსტრუმენტებით ხელს შეუწყობს რეგიონების ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, და, შესაბამისად, ქვეყნის მეტად დაბალანსებულ განვითარებას.

პრიორიტეტის რეალიზაცია მოხდება სამი სახის, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ზომების გატარებით:

1. **რეგიონული ურბანული ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური როლის გაძლიერება:** ამ ღონისძიების ფარგლებში ყურადღებას გამახვილებული იქნება სხვადასხვა სახის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, რომელიც მიზნად ისახავს ოთხი რეგიონული დედაქალაქის (ქუთაისი, თელავი, ამბროლაური და ოზურგეთი) როლის გაძლიერებას.
2. **აუთვისებელი და ყოფილი სამრეწველო ქალაქების / ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განახლება** აღნიშნული ღონისძიება ფოკუსირებული იქნება მცირე და

[23] თუმცა გასათვალისწინებელია ქუთაისს, თელავს, ოზურგეთსა და ამბროლაურს შორის არსებული უაღრესად დიდი განსხვავებები.

დიდი ინდუსტრიული ქალაქების ურბანული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ, და ფიზიკურ აღორძინებაზე.

პრიორიტეტის განხორციელების **მოსალოდნელი შედეგი**, პირველ რიგში, დაკავშირებულია ურბანული მოსახლეობის სტაბილიზაციასთან. დროთა განმავლობაში მოხდება ახალი მოქალაქეების მოზიდვა; ეკონომიკური საქმიანობის, განსაკუთრებით ინდუსტრიული ხასიათის მქონე აქტივობების, კონცენტრაცია (რომელიც გავლენას ახდენს მთლიანად ყველა რეგიონის კონკურენტუნარიანობაზე), უფრო მკაფიოდ წარმოჩენილი იქნება კონკრეტული ქალაქების, განსაკუთრებით ქუთაისისა და თელავის რეგიონული ცენტრის როლი, რომელსაც შეუძლია არა მარტო ახალი ბიზნესსუბიექტების მოზიდვა, არამედ ახალი საგანმანათლებლო და კულტურული ფუნქციების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვასა და კონკრეტული რეგიონის მიმზიდველობის გაზრდას.

ცხრილი 10. პრიორიტეტი „ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე“

ამოცანა	**მოსალოდნელი შედეგები**	**შედეგის ინდიკატორები**	**საბაზისო (2017)**		**სამიზნეები (2022 წლის ბოლო)**
ქალაქების განვითარების პროცესისა და რეგენერაციის მხარდაჭერა	• ურბანული მოსახლეობის სტაბილიზაცია და ახალი მოქალაქეების მოზიდვა, განსაკუთრებით რეგიონულ ცენტრებში • რეგიონული ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდა • ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაცია ქალაქებში	4 რეგიონულ ცენტრში დასაქმებული პირები (მუნიციპალიტეტის დონეზე) ქუთაისი, თელავი, ამბროლაური, ოზურგეთი, 4 რეგიონის ჯამურად	56288	ქალი 43%, კაცი 57% (ბიზნესსექტორში დასაქმებულები ეროვნულ დონეზე: ქალი 40%, კაცი 60%)	10%-იანი ზრდა
		ბიზნესსექტორის ბრუნვა რეგიონულ ცენტრებში (ქუთაისი, თელავი, ამბროლაური, ოზურგეთი), მილიონი ლარი, 4 რეგიონის ჯამურად	2634.7		40% -იანი ზრდა
		რეგიონულ ცენტრებში ბიზნესსექტორში დასაქმებული პირების წილი (ქუთაისი, თელავი, ამბროლაური, ოზურგეთი) რეგიონებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, საშუალო 4 რეგიონული ცენტრისთვის	48.0	43% ქალი და 57% კაცი (ეროვნულ დონეზე ბიზნესსექტორში დასაქმებულთა გენდერული პროპორცია) ქალი 40%, კაცი 60%)	51

* უფრო ვრცლად იხილეთ მე-6 თავი.

პრიორიტეტი 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

მრავალი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ტურიზმი შეიძლება იქცეს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების გენერირების, აგრეთვე სტაბილური ზრდის მნიშვნელოვან წყაროდ, განსაკუთრებით მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგში. მას შეუძლია დადებითი როლის შესრულება დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, აგრეთვე ბუნებრივი (კლიმატი, ლანდშაფტი, დაცული ტერიტორიები) და კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის გამოყენების საფუძველზე მაღალი ხარისხის ტურისტული პროდუქციისა და სერვისების შეთავაზება. თუმცა, რეგიონულ განვითარებაში ტურიზმის დადებითი როლი შეზღუდულია იმ გარემოებით, რომ სხვა ეკონომიკური საქმიანობისგან განსხვავებით, ის სთავაზობს ნაკლებად სტაბილურ და პროდუქტიულ სამუშაო ადგილებს (საშუალოდ). ეს განპირობებულია წელიწადის დროების ცვლით გამოწვეული სეზონური მერყეობით და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით (ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ვალუტის კურსი და ა.შ.).

რეგიონული განვითარების თვალსაზრისით, მთავარი გამოწვევაა არსებული ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობიდან გამომდინარე პოტენციალის განვითარება და, ამავდროულად მაღალი ხარისხის სერვისებისა და, შეძლებისდაგვარად, უახლესი ტურისტული პროდუქციის შეთავაზება (იაფფასიანი, მარტივი პროდუქციის სანაცვლოდ).

პოლიტიკური სტაბილურობის, გეოგრაფიული მდებარეობის, მდიდარი ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობისა და კლიმატური პირობების გამო, საქართველომ მიიღო მაღალი შეფასება და აღიარებულ იქნა ახალ ტურისტულ მიმართულებად. სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2018 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2017 წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა და 7,2 მლნ. შეადგინა, ხოლო საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა 2018 წელს წინა წელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა და 8,7 მლნ. შეადგინა. უცხოელ ვიზიტორთა უმრავლესობა (5,2 მლნ 2018 წელს) მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოვიდა: სომხეთის რესპუბლიკა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, თურქეთის რესპუბლიკა. თუმცა 2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნებიდან (სლოვაკეთის რესპუბლიკა, რუმინეთი, ესტონეთის რესპუბლიკა და ლიეტუვის რესპუბლიკა), აგრეთვე აღმოსავლეთ აზიის (კორეის რესპუბლიკა, იაპონია) და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნიდან (ნიდერლანდების სამეფო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბელგიის სამეფო და საფრანგეთის რესპუბლიკა). ტურისტული ვიზიტები უმეტესად ივლისი-აგვისტოს პერიოდში ხორციელდება.

საერთაშორისო ვიზიტებთან ერთად, აგრეთვე, გაიზარდა შიდა ვიზიტების რაოდენობა. 2018 წელს, 15 წლის და ზევით ასაკის შიდა ვიზიტორების რაოდენობამ თვეში საშუალოდ 914 ათასი შეადგინა (5.9%-იანი წლიური ზრდა), ხოლო მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობამ – 2 დღე-ღამე.

საქართველოში ტურიზმის ზრდის პერსპექტივები ოპტიმიზმის საბაბს იძლევა. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს (მმტს) პროგნოზით, 2027 წლისთვის საქართველოში ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 8,056,000-ს მიაღწევს. გარდა ამისა, მმტს-ს 'ტურიზმის გრძელვადიანი ზრდისა და მშპ-ში მოგზაურობის კონტრიბუციის' რეიტინგში საქართველო 185 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზეა. საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, 2025 წლისთვის საქართველო მიზნად ისახავს 11 მლნ საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტის მასპინძლობას.

ტურიზმი საქართველოსთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ როლს თამაშობს. ტურიზმიდან შემოსული უცხოური ვალუტა ხელს უწყობს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ტურისტული სერვისების მთლიანი გამოშვების წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 2018 წელს 8,1% იყო. 2018 წლის მონაცემებით, ტურიზმის ხვედრითმა წილმა საგადამხდელო ბალანსში 72% შეადგინა. 2017 წელს სასტუმროში დაბინავებული 3,4 მლნ სტუმრიდან 2,4 მლნ უცხოელი ვიზიტორი იყო, მათ შორის: დასასვენებლად ჩამოსული – 78%, საქმიანი ვიზიტით მყოფი – 14%, ხოლო სამკურნალოდ ჩამოსული – 2%.

რეგიონული პოლიტიკის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობა უმთავრესად ქვეყნის რამდენიმე რეგიონში, შეზღუდული რაოდენობის ადგილზეა კონცენტრირებული. 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტების უმეტესობა (თითქმის 70%) კონცენტრირებული იყო თბილისში, აჭარაში (ბათუმი, ზღვის სანაპირო ზოლი), და მცხეთა-მთიანეთში (მცხეთა, გუდაური, ყაზბეგი). სრიგპ-ის 4 საპილოტე რეგიონიდან უცხოელ ტურისტთა ყველაზე დიდი შემოდინება კახეთში დაფიქსირდა, ხოლო იმერეთში (აღნიშნული ოთხი რეგიონიდან ყველაზე დიდი რეგიონი) – მხოლოდ 3%. რაც შეეხება დანარჩენ რეგიონებს, იქ ტურისტთა რაოდენობა კიდევ უფრო მცირე აღმოჩნდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ოთხივე რეგიონი მდიდარია მრავალფეროვანი კულტურული და ბუნებრივი ღისრშესანიშნაობებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ტურისტული სექტორის განვითარების კარგი პერსპექტივების კონტექსტში საპილოტე რეგიონებს იმაზე მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე რეალურად არის გამოყენებული.

გრაფიკი 5. უცხოელ ვიზიტორთა განაწილება რეგიონულ ჭრილში, 2018წ.



წყარო: უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა, საქსტატი,

ტურიზმის ხელშეწყობის ეროვნული პოლიტიკა მეტწილად კონცენტრირებულია ქვეყანაში ტურისტული ნაკადების მოზიდვაზე, ტურისტული სექტორის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე (იხ. 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის ღონისძიება 2.3: სტრატეგიული დარგების მხარდაჭერა: ტურიზმი), თუმცა არ მოიცავს ტერიტორიულ დაყოფას. სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქცენტს აკეთებს აღნიშნული სფეროს პოპულარიზაციის ზოგად აქტივობებსა (მაგ., სარეკლამო და მარკეტინგული კამპანიები და მსგავსი ღონისძიებები, საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობები, საინფორმაციო და პრესტურები) და ტრადიციული ქართული ტურისტული პროდუქტის განვითარებაზე. (მეღვინეობა, მევენახეობა). ამგვარად, სავსებით ბუნებრივია, რომ საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ექცევა უკვე განვითარებული სფეროები. მცირემასშტაბიანი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული ცენტრების შექმნის მიზნით გათვალისწინებული დახმარება ხელმისაწვდომია ყველა რეგიონისთვის, თუმცა მცირე მოცულობის გამო, კონკრეტული ტერიტორიებისთვის დონორთა მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარებითაც კი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ეროვნული პარკები ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნას.

ტურიზმთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის აქტივობა ხორციელდება აგრეთვე სხვა სამინისტროების ხელშეწყობით, მაგ., საქართველოში საერთაშორისო სასტუმრო ბრენდების მოზიდვა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), რასაც სარგებლობა მეტწილად მხოლოდ თბილისისთვის, ბათუმსა და კახეთისთვის (თელავის მუნიციპალიტეტისთვის) მოაქვს; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაცია, მცირე მასშტაბის კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარება (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო), აგრო-ტურიზმის ხელშეწყობა და დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის

განვითარება (სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა/ENPARD).

კულტურული ძეგლებისა და დაცული ტერიტორიების ტურისტული მიზნებისთვის გამოყენების კუთხით ფინანსურ დახმარებას აგრეთვე უზრუნველყოფენ სხვა საერთაშორისო დონორებიც. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული აქტივობები ძირითადად კონცენტრირებულია შეზღუდული რაოდენობის, საყოველთაოდ ცნობილ ტერიტორიებზე და მათი მოცულობა და მასშტაბი მცირეა (აქცენტი ტურიზმის შერჩეულ ასპექტებზე), მათ არ შეუძლიათ რეგიონების (განსაკუთრებით ამ ეტაპზე ჯერ კიდევ განუვითარებელი ტერიტორიების) პოტენციალის სათანადოდ გამოყენება.

აქედან გამომდინარე, აშკარა ხდება რეგიონული პოლიტიკის როლი: ტურისტული აქტივობების მეტად ცენტრალიზებული მხარდაჭერა და ამ მხარდაჭერის ოთხი საპილოტე რეგიონის საჭიროებებსა და პოტენციალს უკეთ მისადაგება.

სრიგპ-ის ფარგლებში პრიორიტეტული მიმართულება „ტურიზმის“ მთავარ ამოცანას წარმოადგენს: **ოთხი საპილოტე რეგიონის უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა**

საინვესტიციო სტრატეგია ითვალისწინებს აქტივობათა კონცენტრაციას რამდენიმე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის განსაკუთრებით შესაბამისი მიმართულებით და მისი ეკონომიკური ბაზის სტრუქტურის შეცვლას. პროექტების შერჩევის დეცენტრალიზებულ მიდგომასთან ერთად, ყოველივე ზემოაღნიშნული რეგიონებს საშუალებას მისცემს:

- ერთი მხრივ, გააუმჯობესონ და კიდევ უფრო გააფართოონ ტურიზმის განვითარების მიზნით ცენტრალური ხელისუფლების ან დონორთა მიერ დაფინანსებული პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში აქამდე გაწეული ან დაგეგმილი დახმარებით მიღებული პროდუქტი და შედეგები;
- მეორე მხრივ, უფრო სრულფასოვნად განავითაროონ ის პოტენციალი, რომელიც აქამდე საერთოდ არ იყო გამოყენებული.

დახმარების მიწოდება შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს **პაკეტის სახით**, **რომელიც** (კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე) მიმართულია ისეთი საკითხების მოგვარებაზე, როგორიცაა: კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, გარემოს დაცვა, ტურისტული ობიექტების განვითარება, მეწარმე სუბიექტების კოორდინირებული მხარდაჭერა. გარდა ამისა, მოხდება დახმარების შეთავაზება პროდუქტისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესების რეგიონული სისტემის შექმნის საკითხში.

სრიგპ-ის განხორციელებაზე გამოყოფილი შეზღუდული ფინანსების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული იმუშავებს მხოლოდ იმ პირობით, თუკი რეგიონები შეთანხმდებიან **ფინანსების კონცენტრირებაზე შეზღუდული რაოდენობის გეოგრაფიულ ტერიტორიებზე**, სადაც ამ ტიპის დახმარება ყველაზე დიდ ეფექტს იქონიებს მთლიანი რეგიონის ან კონკრეტულად შერჩეული დასახლებების განსაზღვრული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

პრიორიტეტი განხორციელდება 2 ღონისძიების მეშვეობით, რომელიც ტურიზმის მხარდაჭერის სხვადასხვა ასპექტებზეა ფოკუსირებული, თუმცა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან შერჩევის კრიტერიუმებისა და დადგენილი ხარჯის თვალსაზრისით:

- **რეგიონული ტურიზმის პოტენციალის განვითარება.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ტურიზმის მხარდაჭერა მოხდება შემდეგი მიმართულებით: ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სანახავად ჩასული ვიზიტორებისთვის საჭირო საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, აგრეთვე კულტურული ობიექტებისა და ბუნების მემკვიდრეობის ტერიტორიების შენარჩუნება მათი შემდგომი გამოყენებისათვის საპილოტე რეგიონებში ტურისტული საქმიანობის გაფართოების მიზნით.
- **ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მოხდება საპილოტე რეგიონებში ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მხარდაჭერა, აგრეთვე რეგიონული საგანმანათლებლო და სასწავლო ცენტრების დაარსებისა და შესაბამისი კურსების უზრუნველყოფის მხარდაჭერა.

პრიორიტეტის განხორციელებით მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღება:

- საპილოტე რეგიონებში და განსაზღვრულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა;
- რეგიონში ტურისტული სანახაობების გაზრდილი რაოდენობა;
- სერვისების გაუმჯობესებული ხარისხი;
- მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზებები.

უფრო ვრცლად იხ. პროგრამის მე-6 თავი.

ცხრილი 11. პრიორიტეტი „უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“. ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ძირითადი მაჩვენებლები

ამოცანა	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო (2017)	სამიზნეები (2022 წლის ბოლო)
უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	• 4 რეგიონში გაზრდილი ბრუნვა ტურიზმის სექტორში • ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა საპილოტე რეგიონებში • სერვისების გაუმჯობესებული ხარისხი	ბრუნვა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და სურსათის მიწოდების სფეროებში, ჯამურად 4 რეგიონში (მლნ ლარი)	128.6	მინიმუმ 90% ზრდა
		ვიზიტორების რაოდენობა იმერეთში და კახეთში[24]	70.3	მინიმუმ 30% ზრდა
		ტურისტული ინფრასტრუქტურით	იმერეთი 30, რაჭა-	მინიმუმ 10 %-იანი

[24] ვიზიტორების რაოდენობის შესახებ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი ცალკე რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთისა და გურიის შესახებ.

		კმაყოფილების დონე 4 რეგიონის მიხედვით, (%), (გამოკითხულთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ სრულიად გამართულია)[25]	ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 26, კახეთი 4, გურია 1[26]	ზრდა ყველა რეგიონში

პრიორიტეტი 3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა

2010 წლიდან დაფიქსირებული ზრდისა და საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის პირობების გამარტივების მიზნით გატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით კვლავ დაბალია. ეკონომიკის შედარებით დივერსიფიცირებული სტრუქტურა, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან სექტორს მრეწველობა წარმოადგენს (ქვეყნის მშპ-ს 17%; შემდეგ მოდის ვაჭრობა (17%), ტრანსპორტი და კომუნიკაცია (10,2%), მშენებლობა (9,3%), სახელმწიფო მმართველობა (8,2%), სოფლის მეურნეობა (7,7%) და ოპერაციები უძრავი ქონებით (7,4%)), კვლავ საჭიროებს სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას იმისათვის, რომ გაზარდოს დაბალი ფარდობითი უპირატესობა, რომელიც იწვევს ნეგატიურ სავაჭრო ბალანსს (მისი პასიური, ძირითადად გადაუმუშავებელი პროდუქციით წარმოდგენილი ექსპორტით (ნედლეული, სოფლის მეურნეობის პროდუქტები).

საქართველოს **გადამამუშავებელი მრეწველობა** ხასიათდება საერთაშორისო დონეზე სუსტი კონკურენტუნარიანობით, დაბალი პროდუქტიულობითა და წარმოებული პროდუქციის შეზღუდული ასორტიმენტით. მრეწველობის ზოგიერთ ქვედარგში არასაკმარისად დაცული შრომის უსაფრთხოების ნორმები დამატებით ზღუდავს განვითარების პოტენციალს. მრეწველობის ძირითადი ქვედარგებია: სურსათის გადამუშავება, სამშენებლო მასალის წარმოება, ავეჯი და ფარმაცევტული პროდუქცია. საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა უაღრესად მონოცენტრულია. ქვეყანაში ბიზნესსაქმიანობა არათანაბრად არის განაწილებული რეგიონების მიხედვით ბრუნვის თვალსაზრისით (ბრუნვის 70% მოდის თბილისში მოქმედ კომპანიებზე), აგრეთვე ბიზნესსექტორში დასაქმებულთა (62% დასაქმებულია თბილისში), წარმოების მოცულობის (64% წარმოებულია დედაქალაქში), მდღ-ის (თბილისის წილი საქართველოს მთლიან დამატებულ ღირებულებაში 50%-ს შეადგენს), ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების (დედაქალაქში ხორციელდება მთლიანი ინვესტიციების 75%) თვალსაზრისით.[27] 2018 წლის ბოლოსთვის საქართველოში მოქმედი კომპანიების 42% მუშაობდა თბილისში.

კახეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონების მონაცემები ცხადყოფს იმას რომ, აღნიშნული რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება (უარყოფითი გაგებით) დედაქალაქში არსებული მდგომარეობისაგან. დიდი

[25] კმაყოფილების დონის კვლევის გამოკითხულები აფასებენ სამ დონეზე „სრულიად გამართულია“, „მეტ-ნაკლებად გამართულია“ და „სრულიად გაუმართავია“.

[26] https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP_GE_DG_citizen_views_public_services_2017_geo.pdf

[27] ბიზნესსექტორის ყველა მონაცემი მოიცავს 2017 წლის პერიოდს, საქსტატი.

განსხვავებებია აგრეთვე თავად რეგიონებს შორის. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია საპილოტე რეგიონების ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები.

ცხრილი 12. საპილოტე რეგიონების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, 2017წ.

რეგიონი	კომპანიების რაოდენობა (პროცენტული წილი საქართველოში არსებული კომპანიების საერთო რაოდენობაში)	ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა (პროცენტული წილი საქართველოში დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში)	ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (პროცენტული წილი საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მთლიან მოცულობაში)	მთლიანი დამატებული ღირებულება (პროცენტული წილი ჯამურ მდღ-ში საქართველოში)
იმერეთი	13.6	7.3	1.9	10
კახეთი	6.1	3.3	1.8	5.7
გურია	2.6	1.2	0.4	2
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	0.7	0.3	0.19	0.5

წყარო: საქსტატი.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა საპილოტე რეგიონი მსგავსი პრობლემების წინაშე დგას, როგორიცაა ბიზნესკომპანიების სიმცირე და ბიზნესსექტორში დასაქმების დაბალი მაჩვენებელი, აგრეთვე აღნიშნული სექტორის უმნიშვნელო წილი ქვეყნის ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებში და მთლიან დამატებულ ღირებულებაში, რეგიონებს შორის მაინც შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავებები ეკონომიკური სტრუქტურის მრავალფეროვნებისა და საწარმოო სექტორის პოტენციალის თვალსაზრისით.

საქსტატის მონაცემებით, მცირე და საშუალო საწარმოთა წილი საქართველოში მოქმედ საწარმოთა მთლიან რაოდენობაში 95% შეადგენს (საშუალო საწარმოები – 1%, მცირე საწარმოები – 94%). ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბიზნესსექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში 61%-ს შეადგენს, ხოლო ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების საერთო ღირებულებაში – 39%. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულია საქართველოში რეგისტრირებულ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 67%. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მთლიან ბრუნვასა და დასაქმებაში ოთხ საპილოტე რეგიონში.

ცხრილი 13. კომპანიათა წვლილი მთლიან დასაქმებასა და ბრუნვაში, საწარმოთა ზომის მიხედვით, %-ად, 2017 წ.

	მსხვილი		საშუალო		მცირე	
	დასაქმება	ბრუნვა	დასაქმება	ბრუნვა	დასაქმება	ბრუნვა
იმერეთი	21	26	18	25	61	49
კახეთი	6	8	26	29	68	63
გურია	10	7	23	32	67	61
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	-	-	9	8	91	92

წყარო: საქსტატი

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ მცირე და საშუალო საწარმოთა როლი ყველა საპილოტე რეგიონში, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი რაოდენობის თვალსაზრისით, მაინც არასაკმარისია რეგიონული ეკონომიკის საგრძნობი გაუმჯობესებისათვის, რაც განპირობებულია აღნიშნული საწარმოების დაბალი მაჩვენებლებით მთლიანი ბრუნვისა და დასაქმების თვალსაზრისით, აგრეთვე მათი უმნიშვნელო წილით ჯამურ მდღ-ში.

რეგიონულ საწარმოთა დაბალი კონკურენტუნარიანობა და ინოვაციურობა შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საპილოტე რეგიონების ეკონომიკაზე. ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს თუ შევადარებთ, ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის საერთო დონე საკმაოდ დაბალია, ხოლო მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში – შედარებით დაბალი. ამის ძირითადი მიზეზი ქართული კომპანიების დაბალი პროდუქტიულობა და ინოვაციურობაა, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ქართული პროდუქციის ხარისხსა და ასორტიმენტზე. მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური, სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური საქმიანობის შესახებ სრულფასოვანი მონაცემების დაფიქსირება, როგორც ასეთი, საქართველოში რეგულარულად არ ხდება (ხელმისაწვდომია მხოლოდ საქსტატის მიერ ეროვნულ დონეზე შეგროვებული შეზღუდული მონაცემები), არსებული სტატისტიკა ნაკლებად ოპტიმისტურია: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველოს 137 ქვეყანას შორის 74-ე ადგილი ეკავა ინოვაციებისა და განვითარების მხრივ, 91-ე ადგილი – ინოვაციური პოტენციალის კუთხით და 55-ე ადგილი – ბიზნესის დინამიკურობის კომპონენტში.[28]

2017 წელს გამოკითხულ კომპანიათა 13.3%-მა წარმოადგინა ახალი ან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა არსებული პროდუქცია, ხოლო 14%-მა დანერგა ახალი ან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა არსებული სერვისები[29] (ევროკავშირში, კომპანიების 70%-მა წარმოადგინა ახალი ან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კომპანიისთვის ახალი პროდუქცია, და დაახლოებით 50% ბაზრისთვის ახალი პროდუქცია). ქართულ საწარმოთა ინოვაციური საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება მანქანა-დანადგარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენას (რესპონდენტთა 19,5%), შემდეგ დიზაინს (14,6%), ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებულ სწავლებას (14,4%) და შიდასაწარმოო კვლევა-განვითარებას (12,9%). დამატებითი ცოდნის შეძენამ და გარე კვლევა-განვითარებამ, შესაბამისად, 9,6% და 5,6% შეადგინა.[30] აღნიშნულ მაჩვენებელთა უმეტესობა ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად დაბალია. 2015 წელს, საქართველოს ტექნოლოგიური სექტორის მოცულობამ 1,869 მლნ ლარი (729 მლნ ევრო) შეადგინა – მთლიანი შიდა პროდუქტის 5,9% (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წილი აღნიშნული მოცულობის 90%

[28] http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf

[29] საქსტატი, საწარმოთა განაწილება პროდუქციის წარმოებაში დანერგილი ინოვაციების მიხედვით, 2017 წ.

[30] საქსტატი, საწარმოთა განაწილება ინოვაციურ საქმიანობაში ჩართულობის მიხედვით, 2017 წ.

შეადგენს). ტექნოლოგიების სექტორში ჩართულია 1000-მდე ორგანიზაცია/კომპანია. მათი უმეტესობა მუშაობს კომპიუტერული პროგრამირებისა და კონსულტირების სფეროში (223), მას მოსდევს ტელეკომუნიკაციების სფერო (149 კომპანია) და საინფორმაციო-საკომუნიკაციო აპარატურით საბითუმო ვაჭრობა (131). არსებობს რამდენიმე პერსპექტიული ქვესექტორი, როგორიცაა, მაგალითად, ბიოტექნოლოგიები (143 მლნ ლარის მოცულობის ფარმაცევტული პროდუქციის ადგილობრივი წარმოება), საავტომობილო სექტორი და ავიაცია (2015 წელს, თითოეული სექტორის ექსპორტის მოცულობამ 25 მლნ ლარი შეადგინა).[31]

საპილოტე რეგიონების ინოვაციურობის შეფასება რთულია, ვინაიდან არ არსებობს რეგიონების მიხედვით ჩაშლილი მონაცემები. ინოვაციებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია მხოლოდ საწარმოებსა და შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები. აღნიშნული გამოკვლევა განხორციელდა შერჩევითი მეთოდით იმ საწარმოებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 10-ს აღემატება. საწარმოთა გამოკვლევის შედეგები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ცხრილი 14. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში (%), 2017

	იმერეთი	კახეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
ვებსაიტის ან ვებგვერდის გამოყენება	29%	37%	41%	21%
ERP (საწარმო რესურსების დაგეგმვის) პროგრამული პაკეტის[32] გამოყენება	15%	14%	9%	14%
ვებგვერდის მეშვეობით მიღებული შეკვეთები პროდუქციასა და სერვისებზე	4%	3%	9%	0

წყარო: საქსტატიდან გამოთხოვილ მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებული დათვლები

შინამეურნეობებს რაც შეეხება, სტატისტიკური გამოკვლევის მიხედვით, მათთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები და ინტერნეტი. 2018 წლის ივნისის საპილოტე რეგიონის მაჩვენებლები ორივე კატეგორიაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მთლიანად საქართველოს საშუალო მაჩვენებლებს (შესაბამისად 62,8% და 69,5%):

- იმერეთი (რაჭა-ლეჩხუმთან და ქვემო სვანეთთან ერთად) – 54,2% და 62,8%;
- კახეთი – 46,8% და 55,8%;
- გურია – 50,9% და 43,1%.

[31] სპეციალური მხარდაჭერა საქართველოსთვის. საქართველოს კვლევითი და საინოვაციო სისტემის ეფექტიანობის ამაღლება პრიორიტეტების განსაზღვრის, დაფინანსების შერჩევითობისა და სამეცნიერო და ბიზნეს სფეროების დაკავშირების გზით, ევროკომისიის გენერალური დირექტორატი კვლევისა და ინოვაციების საკითხებში, 2018.

[32] ERP (საწარმოო რესურსების დაგეგმვის) პროგრამული უზრუნველყოფა არის პროგრამული პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს რესურსების მართვას სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებს (მაგ.: ფინანსური ანგარიშგება, დაგეგმვა, წარმოება, მარკეტინგი) შორის ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე.

საქართველოში კვლევისა და წარმოების განვითარების დაფინანსების დონე მიჩნეულია როგორც ძალზე დაბალი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ის მნიშვნელოვნად გაიზარდა – კვლევასა და წარმოების განვითარებაზე გაწეული მთლიანი ხარჯების წილი მშპ-ში 0.08%-დან (2013 წ.) 0,32%-მდე (2015 წ.) გაიზარდა. თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი მაინც დაბალია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ევროკავშირის 28 წევრი-ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით (1,01% და 2,04%).[33] სამეცნიერო სექტორი ძირითადად ფოკუსირებულია ფუნდამენტურ კვლევებზე, შეინიშნება სამეცნიერო სტატიების ციტირებისა და საპატენტო აქტივობის დაბალი დონე. საქართველოში კვლევასა და წარმოების განვითარებაზე გაწეული საერთო ხარჯების სტატისტიკა არ მოიცავს კერძო არაკომერციულ და ბიზნესსაწარმოთა დაფინანსებას, მაგრამ ვინაიდან სავარაუდო შეფასებით ბიზნესსექტორის დანახარჯი კვლევასა და წარმოების განვითარებაზე ძალზე დაბალია, კვლევასა და წარმოების განვითარებაზე საერთო ხარჯის რეალური დონე დიდად არ აღემატება 0,32%. როგორც აღინიშნა, საქსტატის მონაცემებით, საინოვაციო საქმიანობაში ჩართულ საწარმოთა 12,9% ახორციელებს საკუთარ კვლევებსა და წარმოების განვითარებას, ხოლო 5,6% კი უკვეთავს კვლევას და წარმოების განვითარებას გარე წყაროს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ინდუსტრიასა და აკადემიურ სექტორს შორის თანამშრომლობის დაბალი დონე.

საქართველოში კვლევისა და წარმოების განვითრების შესახებ რეგიონების მიხედვით ჩაშლილი მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, კვლევითი საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია თბილისში, ხოლო სხვა რეგიონებში კვლევითი და წარმოების განვითრების სამუშაოები შეზღუდული რაოდენობით ხორციელდება. ამის ძირითადი მიზეზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობაა, რომლებიც სტიმულს მიცემს ინოვაციების დანერგვასა და კვლევითი და წარმოების განვითარების სამუშაოების განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ემსახურება. საპილოტე რეგიონებს შორის, იმერეთში მდებარეობს 2 სახელმწიფო და 2 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო კახეთში – 1 სახელმწიფო და 2 კერძო უმაღლესი სასწავლებელი. გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში უნივერსიტეტები არ არის.

ზემოთ მოყვანილ ანალიზზე დაყრდნობით, **ამ პრიორიტეტის კონკრეტული ამოცანაა მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და რეგიონული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება.**

აღნიშნული პრიორიტეტის საინვესტიციო სტრატეგია გულისხმობს ისეთ აქტივობებზე კონცენტრაციას, რომელთაც საპილოტე რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის და ამ რეგიონების მეურნეობების რესტრუქტურიზაციის მხარდაჭერის უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები დაეხმარება რეგიონულ მცირე და საშუალო საწარმოებს განახორციელონ ინვესტიციები, რომელთა მიზანია უკეთესი ხარისხის, გასავლიანი პროდუქციისა და სერვისების, აგრეთვე ახალი, მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა. საწარმოები წახალისებულნი იქნებიან, გაზარდონ თავიანთი ხარჯები ინოვაციებსა და კვლევა-განვითარებაზე სამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობით. მცირე და საშუალო საწარმოთა

[33] იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი (UIS), http://data.uis.unesco.org/, იანვარი, 2018.

ხელშეწყობა მოხდება ოთხივე რეგიონში, გრანტების სახით. დახმარებით უზრუნველყოფილი იქნება ზრდის დიდი პოტენციალისა და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოების სურვილის მქონე მცირე და საშუალო საწარმოები, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომლებიც შეესაბამება რეგიონების განვითარების სტრატეგიით (გონივრული სპეციალიზაციის მიდგომის გამოყენებით) განსაზღვრულ ზრდაზე ორიენტირებულ სექტორებს, რომლებიც მოსახლეობას შემოსავლების გენერირებისა და პროდუქტულობის მნიშვნელოვან ზრდას სთავაზობენ.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად გატარებული იქნება ღონისძიებები ორი მიმართულებით:

- **ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მოხდება სამრეწველო და სურსათის გადამამუშავებელი მცირე და საშუალო ზომის ადგილობრივი საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა. ადგილობრივი მიკრო და მცირე ზომის კომპანიებისათვის ხელმისაწვდომი იქნება მცირე გრანტები, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული კომპანიების პოტენციალის გაზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.
- **ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერა.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მიიღებენ ფინანსურ დახმარებას აღჭურვილობისა და სერვისების შესაძენად, რაც, თავის მხრივ, დაეხმარებათ, განახორციელონ ინოვაციური გადაწყვეტილებები, აგრეთვე კვლევითი და წარმოების განვითარების ღონისძიებები, და ამ გზით გაზარდონ კომპანიის პროდუქტიულობა.

დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ თავი VI.

აღნიშნული პრიორიტეტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- სამრეწველო მცირე და საშუალო საწარმოთა გაზრდილი ინვესტიციები;
- მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და პროდუქციის გამოყენების მეტი შესაძლებლობა;
- ახალი, სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნა;
- ახალი, მათ შორის საექსპორტო პოტენციალის მქონე, პროდუქციისა და სერვისების განვითარება.

ცხრილი 15. მოცემული პრიორიტეტის ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები: მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა

ამოცანა	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო (2017)	სამიზნეები (2022 წლის

				ბოლო)
რეგიონული მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად პირობების გაუმჯობესება და რეგიონულ ინოვაციების ეკოსისტემების განვითარება	• ახალი შექმნილი სტაბილური სამუშაო ადგილები ბიზნესსექტორში • სამრეწველო მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტიციების გაზრდა; • ინოვაციური პროდუქტების გამოყენების მიზნით მცირე და საშუალო საწარმოების შესაძლებლობების გაზრდა • განვითარებული ახალი პროდუქტები და სერვისები, მათ შორის რომელთაც საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ	ბიზნესსექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, ჯამურად 4 რეგიონში	86736	მინიმუმ 25%-იანი ზრდა
		4 რეგიონში მცირე და საშუალო საწარმოებში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები, 2017, (მილიონი ლარი), 4 რეგიონის ჯამურად	192.5	მინიმუმ 30% ზრდა
		4 რეგიონში მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება, 2017, (მილიონი ლარი), 4 რეგიონის ჯამურად	1306	მინიმუმ 50% ზრდა
		4 რეგიონში რეგისტრირებული საწარმოების ექსპორტის მოცულობა (მილიონი ლარი)	268,3	მინიმუმ 40% ზრდა (375,7)

პრიორიტეტი 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება

როგორც 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამაშია გაცხადებული, ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება მოითხოვს რეგიონული პოლიტიკის კონცენტრაციას რეგიონის განვითარებისთვის უფრო ძლიერი და ფართო ეფექტის მქონე ადგილობრივ დონეზე მომზადებულ და განხორციელებულ პროექტებზე. ადგილობრივი განვითარების სქემები, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების, ადგილობრივად დამკვიდრებული ინსტიტუტების, მოსახლეობისა და მეწარმეების პოტენციალის გააქტიურების საშუალებას იძლევა, შესაძლოა რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტად იქცნენ.

ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით, საქართველო საშუალოდ ურბანიზებული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობს. რაც შეეხება ოთხ საპილოტე რეგიონს, სოფლის მოსახლეობის სიმცირით გამოირჩევა იმერეთი (51%), ხოლო სიდიდით – კახეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონები (77% ორივე რეგიონში).

გრაფიკი 6. საპილოტე რეგიონების სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, 2014 და 2018 წწ.



წყარო: საქსტატი

ოთხივე რეგიონში 1994-2018 წლების პერიოდში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილი მხოლოდ იმერეთში გაიზარდა. ეს ტენდენციები ასახავს როგორც ინდუსტრიულ ქალაქებში არსებული მდგომარეობის გაუარესებასა და მათ დემოგრაფიულ დაღმავლობას (იმერეთის შემთხვევაში), ასევე ცენტრიდან მოშორებული ტერიტორიებიდან, უმეტესად სოფლებიდან თბილისსა და სხვა ქალაქებში (აგრეთვე საზღვარგარეთ) მოსახლეობის მიგრაციის პრობლემას.

ოთხივე რეგიონი უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის წინაშე დგას, თუმცა სოფლის (მათ შორის დაბის) მოსახლეობა, განსაკუთრებით ცენტრიდან მოშორებულ ტერიტორიებზე გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში, ვიდრე ქალაქის მოსახლეობა. სოფლის მოსახლეობა განიცდის დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობას (სოფლის მეურნეობის სექტორის გარდა), სუსტ ადგილობრივ ინფრასტრუქტურას და ადგილობრივი სერვისების დაბალ ხარისხს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია განვითარების თვალსაზრისით (ბავშვის მოვლა, საბაზისო განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.). გარდა ამისა, სუსტი სატრანსპორტო კავშირი და პატარა ქალაქების, როგორც სამუშაო და სერვისების მიწოდების ადგილის, დაბალი მიმზიდველობა, კიდევ უფრო ასუსტებს სოფლის ტიპის დასახლებებს შორის ურთიერთკავშირებს, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნის განვითარების ძირითადი პროცესების მიღმა რჩება.

სოფლის განვითარების ხელშეწყობის კუთხით საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, სოფლის (განსაკუთრებით მაღალმთიანი ტერიტორიების) მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე კვლავ დაბალი რჩება. ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი საჯარო

სერვისების დაბალი ხარისხია. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გადადგმული არაერთი პროგრესული ნაბიჯის მიუხედავად, კვლავ ბევრი პრობლემა რჩება გადასაჭრელი რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

ცხრილი 16. ძირითადი ინფრასტრუქტურული მაჩვენებლები, 2017წ.

რეგიონი	გზის სიმჭიდროვე (კმ/1000 კმ²)	გაზმომარაგების ცენტრალური სისტემით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი მთლიან შინამეურნეობებში (%)	საცხოვრებელში დამონტაჟებული წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი მთლიან შინამეურნეობებში (%)
გურია	430	63.6	67.2
იმერეთი	430	67.2	48.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	360		
კახეთი	230	75	37.5
საქართველო საშუალო	**360**	**66.9**	**63.4**

წყარო: საქსტატი

როგორც ცხრილი 16 გვიჩვენებს, საპილოტე რეგიონებში მოსახლეობისთვის ძირითადი ინფრასტრუქტურის (გზები, გაზი, წყალი) ხელმისაწვდომობა მთლიანად საქართველოს საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. სოფლების დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმავალი გზები, ზოგადად, სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციას. ბოლო წლებში განხორციელებული ინვესტიციების მიუხედავად, საგზაო ქსელის სიმჭიდროვე დაბალია (განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორიცაა კახეთი) და საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მათ შორის გზის საფარის ხარისხისა და სიგანის თვალსაზრისით. ვინაიდან ქვეყნის შიდა სამგზავრო გადაყვანა, ძირითადად, ხორციელდება საავტომობილო ტრანსპორტითა და რკინიგზით, სუსტი ინფრასტრუქტურა, უარყოფით ზეგავლენას ახდენს მობილობასა და დაკავშირების უნარზე, განსაკუთრებით ისეთი სერვისების მიწოდების შემთხვევაში როგორებიცაა ხელმისაწვდომი მუნიციპალური ტრანსპორტი და სამგზავრო რკინიგზა.

2017 წლის მონაცემებით, ბოლო წლებში შინამეურნეობების წყალმომარაგების გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოს შინამეურნეობათა მხოლოდ 63,4% წყალი საცხოვრებელში მიეწოდება. ამ თვალსაზრისით მდგომარეობა გაცილებით უფრო ცუდია სოფლებში, ვიდრე მსხვილ დასახლებულ პუნქტებში. საშუალოდ შინამეურნეობათა მხოლოდ 75,7% უზრუნველყოფილია გაზმომარაგებით. ყველაზე სავალალო მდგომარეობა ამ თვალსაზრისით გურიაშია. ფაქტობრივად, ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებულ შინამეურნეობათა რაოდენობა მეტია სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებულ შინამეურნეობებზე. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის დონე დაბალია ყველა საპილოტე რეგიონში. სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის არასათანადოდ განვითარების მიზეზი არა მხოლოდ დაფინანსების ნაკლებობაა, არამედ ისიც, რომ მოქმედი კანონმდებლობა ორაზროვანი,

ბუნდოვანი და არათანმიმდევრულია.

სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა სოფელში ზოგადად არ დგას. სოფლად მცხოვრები ბავშვების დაახლოებით 86%-ს აქვს წვდომა სასკოლო განათლებაზე. რაც შეეხება დარჩენილ 14,3%-ს, რომლისთვისაც სასკოლო განათლება ხელმისაწვდომი არ არის, 77,3% შემთხვევაში მათთვის ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორს სკოლამდე დიდი მანძილი (10კმ ან მეტი) და გზების სავალალო მდგომარეობა (17,4% შემთხვევაში) წარმოადგენს. დაწყებით და საშუალო განათლებასთან შედარებით სკოლამდელი განათლება ნაკლებად ხელმისაწვდომია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომელთაგან მხოლოდ 41.1% იყენებს სკოლამდელ სერვისებს.

ჯანდაცვის სერვისების ხარისხისა და მათი ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით (სოფლად 82 ახალი ამბულატორიის მშენებლობა და აღჭურვა) გადადგმული არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯების მიუხედავად, ჯანდაცვის სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა სოფლად (განსაკუთრებით ცენტრიდან მოშორებულ ტერიტორიებზე) კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში გაიზარდა დღის ცენტრების რაოდენობა (მათ შორის, შშმ პირთა და ბავშვთა მომსახურების დღის ცენტრები). თუმცა სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული სერვისის ხელმისაწვდომობა კვლავაც შეზღუდულია.

საპილოტე რეგიონების 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიებში წარმოდგენილი SWOT-ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების დეტალური ანალიზი) ცხადყოფს, რომ საპილოტე რეგიონების სოფლებში მწვავედ დგას ისეთი პრობლემები, როგორიცაა წყალარინების სისტემის არარსებობა, სასმელი წყლის შეფერხებით მიწოდება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების არაორგანიზებული მართვა და გზების სავალალო მდგომარეობა. გარდა ამისა, განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორთა შორის აგრეთვე დასახელდა საზოგადოებრივი ადგილების, ახალგაზრდული კლუბების, სპორტული ობიექტების ნაკლებობა და გარე განათების არარსებობა ბევრ სოფელში. სუსტად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა აფერხებს საპილოტე რეგიონებში მცირე საოჯახო ტიპის სასტუმროების, აგრეთვე მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობების განვითარებას. ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის პრინციპების თანახმად, ადგილობრივი განვითარება ტერიტორიაზე დაფუძნებული მიდგომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს კონკრეტული ტერიტორიის/ადგილის (სოფელი, ქალაქი, დაბა) ინტეგრირებულ განვითარებას, რომელიც ფოკუსირებულია კონკრეტული ადგილის თავისებურებებზე და რომელშიც ჩართულია ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა.

აღნიშნული მიდგომის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს არა მარტო დამატებით დაფინანსებას, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამების დაგეგმვისა და მათი შემდგომი განხორციელების უნარების გაძლიერებას, ადგილობრივი საჭიროებებისა და

პოტენციალის სწორედ განსაზღვრას, აგრეთვე ადგილობრივი პარტნიორობის სისტემის ორგანიზებას.

აღნიშნული პრიორიტეტის ამოცანაა **ახალი ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების მიზნით ტრადიციული ადგილობრივი პროდუქციის შენარჩუნება, ინფრასტრუქტურის განვითარება და ადგილობრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.** დახმარების მიწოდება შეძლებისდაგვარად მოხდება 'ქვემოდან-ზევით' მიდგომის გამოყენებით, სადაც პროექტების განსაზღვრა და გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალიტეტებსა და ადგილობრივ დაინტერესებულ პირებს, მათ შორის ბიზნეს-საზოგადოებას.

პრიორიტეტი განხორციელდება სამი ღონისძიების მეშვეობით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის ურთიერთდაკავშირებულ აქტივობებს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების გაზრდისთვის:

- **ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა.** აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტრადიციული რეწვისა და პროდუქციის შენარჩუნებასა და გაყიდვას და შერჩეულ ტერიტორიებზე ადგილობრივ მოსახლეობას დაეხმარება ახალი სახის არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებაში, რაც მათ დამატებით შემოსავალს მოუტანს.
- **ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა.** აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ცხოვრების იმ ელემენტების მოდერნიზებასა და განვითარებას, რომლებიც აუცილებელია სოფლებისა და პატარა ქალაქების მიმზიდველობის გაზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის, რაც მოიცავს წყალმომარაგებისა და სანიტარიული მომსახურებით უზრუნველყოფას.
- **ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა და მიწოდების გაუმჯობესება.** აღნიშნული ღონისძიება მუნიციპალიტეტებს დაეხმარება, გააუმჯობესონ ადგილობრივი სერვისების ხარისხი სოციალური ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სერვისების დაფინანსების მეშვეობით, აგრეთვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) აპლიკაციებისა და გადაწყვეტილებების განხორციელების გზით.

დეტალები იხილეთ მე-6 თავში.

პრიორიტეტი განხორციელდება მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი მეწარმეებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, შერჩეულ ტერიტორიებზე.

პრიორიტეტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- ადგილობრივი რეწვისა და პროდუქციის შენარჩუნება;

- შერჩეულ ტერიტორიებზე ბიზნესის განვითარების მეტი შესაძლებლობა;
- ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები;
- გაუმჯობესებული ცხოვრების დონე.

ცხრილი 17. პრიორიტეტი: „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“. ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები.

ამოცანა	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო (2017)	სამიზნეები (2022 წლის ბოლო)
დაშორებულ ტერიტორიებ-ზე ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირე-ბის მიზნით ადგილობრი-ვი ინფრასტრუქ-ტურისა და სერვისების მიწოდების გაუმჯობესება	• ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები • გაუმჯობესებული ცხოვრების დონე • ბიზნესის წარმოების გაზრდილი შესაძლებლობები	მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების ზრდა 4 რეგიონში[34]	288.4	მინიმუმ 15%
		შინამეურნეობების წილი, რომლებსაც წვდომა აქვთ სახლში შეყვანილ წყლის სისტემასთან, (%) 4 რეგიონის საშუალო	45.6	55
		აქტიური ბიზნესსუბიექტების რაოდენობის ზრდა 4 რეგიონში	37945	მინიმუმ 10%

პრიორიტეტი 5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება

ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიხედვით, პოლიტიკის შემუშავების ეფექტიანობის გაზრდაში, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ხარისხისა და მმართველობის სისტემის გაუმჯობესებაში ინვესტირება თანამედროვე რეგიონული პოლიტიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენს. მხოლოდ მმართველობისა და მმართველობის სისტემის ხარისხის გაუმჯობესება (განვითარების პროცესში მონაწილე ყველა პარტნიორს შორის ურთიერთობა) იძლევა იმის გარანტიას, რომ ტრადიციული ადგილობრივი განვითარების ფაქტორებში (როგორიცაა ინფრასტრუქტურა, მცირე და საშუალო საწარმოები ან ადამიანური კაპიტალი) ინვესტირება გრძელვადიანი შედეგების მომტანი იქნება. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მიხედვით, ინსტიტუციებისა და განვითარების პროცესში მონაწილე პარტნიორების მხარდაჭერა ხორციელდება პრიორიტეტი 5-ის ფარგლებში. ამ ტიპის აქტივობები ასევე მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის სტრატეგიაზე მიმდინარე სამუშაოების კონტექსტში. ინსტიტუციების გაძლიერება და „კარგი მმართველობის“ ხელშეწყობა არის 2017-2020 წლების ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩო

[34] სტატისტიკური მონაცემები გურიის შესახებ გაერთიანებულია საქსტატის კატეგორიაში „დანარჩენი რეგიონები“.

პროგრამის (SSF) ფარგლებში საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება (თანამშრომლობის ოთხი პრიორიტეტული სფეროდან). ამ სფეროში საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობა სამ კონკრეტულ ამოცანას ემსახურება, კერძოდ:

- მთავრობისა და პარლამენტის მუშაობის, აგრეთვე ზოგადად სახელმწიფო მართვის ხარისხისა და ეფექტურობის გაზრდა;
- კანონის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის გაძლიერება;
- მდგრადობის გაუმჯობესება და უსაფრთხოების საკითხების .

ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩო პროგრამის აღნიშნული ამოცანის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები, სხვა ყველაფერთან ერთად, ხელს უწყობს: ინკლუზიური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას; გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობების გაზრდას, საჯარო ფინანსების პოლიტიკის პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას, აგრეთვე სახელმწიფო სერვისების გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობას და ხარისხს, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში გენდერული თანასწორობის იდეის პოპულარიზაციას, ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურისა და პროცესების გაძლიერებას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ადამიანის უფლებების მხარდაჭერას განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების (ქალები, მოზარდები, შშმ პირები და უმცირესობები) უფლებებზე ყურადღების გამახვილებით;

სრიგპ-ის განხორციელება იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსებისა და საწარმოო სექტორში განხორციელებული ინვესტიციები შეხამებულ იქნეს იმ აქტივობებთან, რომელიც კონცენტრირებულია რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ინსტიტუციურ პოტენციალზე გაუმკლავდნენ ტერიტორიულ განვითარებასთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებს.

მოცემული პრიორიტეტის ამოცანაა **სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და განვითარების პარტნიორების პოტენციალის გაძლიერება თანამედროვე რეგიონული პოლიტიკის განხორციელების კუთხით და სრიგპ-ის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფა.** აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში მოხდება ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი საჯარო უწყებების და ადმინისტრაციის გაძლიერების ხელშეწყობა, აგრეთვე მხარდამჭერი პარტნიორების დახმარება, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და კერძო სექტორი, რათა მათ ითანამშრომლონ, დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა სახის კონკრეტულ ტერიტორიაზე მისი სპეციფიკის გათვალისწინებით დაგეგმილი აქტივობები.

პრიორიტეტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- რეგიონული განვითრებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო თუ ადგილობრივი დონის მმართველობის ორგანოების პროგრამების შემუშავებისა და მათი შემდგომი მართვის უნარების გაუმჯობესება;
- ადგილობრივი ხელისუფლებისა და განვითარების პარტნიორთა მეტი ჩართულობა რეგიონული განვითარების მიზნით განხორციელებულ საქმიანობაში;

- ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის (სრიგპ) განხორციელების მხარდაჭერა.

აღნიშნული ამოცანის რეალიზაცია მოხდება ტექნიკური დახმარების აქტივობების ოთხი კონკრეტული ღონისძიების ფარგლებში კონცენტრაციის მეშვეობით:

- ცენტრალურ დონეზე რეგიონული პოლიტიკასა და სრიგპ-ს განხორციელებაში ჩართული უწყებების ინსტიტუციების შესაძლებლობების განვითარება;
- რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება;
- პროექტების ნუსხის მომზადების მხარდაჭერა.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში მხარდაჭერის უზრუნველყოფა მოხდება შემდეგი ფორმით:

i) ტექნიკური დახმარების კონტრაქტის ფარგლებში დახმარების გაწევა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე სრიგპ-ს განხორციელებაში ჩართულ უწყებებს/ორგანიზაციების და დაინტერესებულ პირების (პროგრამის განხორციელების განმავლობაში მხარდაჭერა და საჯაროობა) შესაძლებლობების გაძლიერების და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ii) პროგრამის განხორციელების მექანიზმში ჩადებული საგრანტო სქემა, რომელიც პროექტის ინიციატორებს დაეხმარება ადრეულ ეტაპზე მათი პროექტების პორტფელის შემუშავებაში.

iii) საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი დამატებითი დაფინანსება.

პრიორიტეტი განხორციელდება ცენტრალურ დონეზე (ღონისძიებები 5.1) თუმცა, გარკვეული აქტივობები (რეგიონული და ადგილობრივი ინსტიტუტების მხარდაჭერა; ღონისძიება 5.2.) და პროექტების პორტფელის მომზადება (ღონისძიება 5.3) ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ოთხი საპილოტე რეგიონის (კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) ადგილობრივი ინსტიტუციებისთვის.

ცხრილი 18. პრიორიტეტი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება. ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

ამოცანა	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო (2017)	სამიზნეები (2022 წლის ბოლო)
საჯარო ადმინისტრაციებისა და განვითარების პარტნიორების შესაძლებლობების განვითარება თანამედროვე რეგიონული პოლიტიკის საწარმოებლად და სრიგპ-ს შეუფერხებელი და ეფექტური განხორციელების	• რგის-ის და სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა სტრატეგიული პროგრამირებისა და მართვის უნარების გაზრდა	გაცემული თანხების ოდენობა სრიგპ-ს დასრულებისას (მილიონი ლარის % მაჩვენებელი)	50.5 მილიონი ლარი	მინიმუმ 80%
		სრიგპ-ს განსახორციელებლად რგის-ის და სხვა ინსტიტუციების დელეგირებულ	0	15

გაძლიერება/უზრუნველყოფა.	• ადგილობრივი ხელისუფლებისა და განვითარების პარტნიორების გაზრდილი ჩართულობა • სრიგპ-ს შეუფერხებელი განხორციელება	თანამშრომელთა რაოდენობა		
		სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს დონეზე განსაზღვრული და შერჩეული პროექტების წილი (%)	0	მინიმუმ 60%

თავი V. სრიგპ-ს ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები

სრიგპ-ს პრიორიტეტები მთელი რიგი ღონისძიებების საშუალებით განხორციელდება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება მათი კონკრეტული მიზნის, კრიტერიუმების, საქმიანობის სახეებისა და გრანტის მიმღებების მიხედვით. ღონისძიებების შინაარსი, განხორციელების პირობები და ინდიკატორები მოცემულია პროგრამის დანართში 1, ცხრილი 3.

ამ პროგრამით განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმები და გრანტის/მომსახურების მიმღები სუბიექტები დაზუსტდება დეტალური კრიტერიუმების დადგენის გზით, ყოველი კონკრეტული საპროექტო იდის/განაცხადის მიღების გამოცხადების დროს, კომისიის მიერ.
ცხრილი 19. ღონისძიებებისა და ქვეღონისძიებების სია

1	2	3
პრიორიტეტი	**ღონისძიების დასახელება**	**ქვეღონისძიების დასახელება**
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე	1.1. რეგიონული ურბანული ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური როლის გაძლიერება	ა – რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია
		ბ – რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალების განვითარება
	1.2. ურბანული ტერიტორიების სოციალურ- ეკონომიკური განახლება	ა – აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება
		ბ -შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი უნარების განვითარება და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობა
2. უნივალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმ	2.1. რეგიონული ტურიზმის პოტენციალის განვითარება	
	2.2. ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება	
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა	3.1. ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა	ა – - ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა
		ბ – ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება
	3.2. ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერა	
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	4.1 ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა	
	4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა	
	4.3 – ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა და მიწოდების გაუმჯობესება	ა – სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
		ბ – საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული და სხვა სერვისების დანერგვის მხარდაჭერა
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება	5.1 ცენტრალურ დონეზე რეგიონული პოლიტიკასა და სრიგპ-ს განხორციელებაში ჩართული უწყებების ინსტიტუციების შესაძლებლობების განვითარება	
	5.2 რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება	ა – სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება
		ბ – შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის ანალიზისა და მონიტორინგის მიმართულებით

		გ – რეგიონებში ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება
	3 პროექტების ნუსხის მომზადების მხარდაჭერა	

პრიორიტეტი 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე

1.1. რეგიონული ურბანული ცენტრების სოციალურ – ეკონომიკური როლის გაძლიერება

მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

ღონისძიების მთავარი მიზანია ეკონომიკური, კულტურული და სოციალური თვალსაზრისით რეგიონული ცენტრების (ამბროლაურის, ქუთაისის, ოზურგეთის, თელავის) როლისა და ფუნქციების გაძლიერება. აღნიშნული კი, შემდეგნაირად მიიღწევა:

- რეგიონული ცენტრების ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის ზრდით,
- ფართო ურბანული ზონების ფუნქციური ინტეგრაციით,
- აქტივობების განხორციელებით, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი და რეგიონული მეწარმეების, ტურისტების და მაცხოვრებლების ცნობადობის ამაღლებას, ბრენდის განვითარებით,
- ეკონომიკური და კულტურული ღონისძიების განხორციელებისათვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით,
- ახალი მიმზიდველი ურბანული ადგილების შექმნა/განვითარებით, განსაკუთრებით კი ქალაქის ცენტრებში.

ყველა განხორციელებულ აქტივობას ექნება მნიშვნელოვანი ტერიტორიული გავლენა რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ინტეგრირებული მიდგომის გამოყენება იქნება წახალისებული, განსაკუთრებით ერთიანი მიდგომის მიხედვით შეკრული პროექტების განხორციელებით.

ღონისძიების განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- რეგიონული ცენტრების გაზრდილი კულტურული და ეკონომიკური როლი;
- ქალაქის ცენტრებში განხორციელებული ახალი ინვესტიციები;
- მოსახლეობის გაუმჯობესებული ცხოვრების ხარისხი.

ამ ღონისძიების მიზანი შესაბამისობაშია 2018-2021 წლების რგპ-ს 1-ლ პრიორიტეტთან „ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე“, ასევე ხელს უწყობს პრიორიტეტი 3-ის „მეწარმეობა, ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობა და ინოვაცია“ და პრიორიტეტ 4-ის „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“ განხორციელებას.

გეოგრაფიული დაფარვა

ღონისძიება ოთხ რეგიონულ ცენტრს მოიცავს: ქუთაისი, თელავი, ოზურგეთი, ამბროლაური და ასევე მათ ურბანულ ფუნქციურ არეალს.

ღონისძიების განხორციელების დასაბუთება

ზოგადად ქალაქები, კერძოდ, მთავარი რეგიონული ცენტრები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონების კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებაში, სადაც ადმინისტრაციული, კვალიფიციური ადამიანური რესურსების, ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო პოტენციალია კონცენტრირებული. მათ, ასევე, მკაფიო ზეგავლენა აქვთ ახლო მიმდებარე ტერიტორიებზე, როგორც მთავარ ცენტრებს ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ, ურბანულ ფუნქციურ არეალში.
ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს სამიზნე ქალაქებისა და რეგიონების საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდას, მთლიანად რეგიონის იმიჯის გაუმჯობესებას და ასევე ტურისტებისთვის ამ ქალაქებისა და რეგიონების მიმზიდველობის გაზრდას. თავის მხრივ, განვითარების დადებითი დინამიკა ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და შეზღუდავს მოქალაქეების მასობრივ გადინებას (განსაკუთრებით კი მიგრაციას თბილისში).

ამ ღონისძიების ფარგლებში ფინანსების კონცენტრაცია 4 რეგიონულ ცენტრსა და მათ ირგვლივ ტერიტორიებზე, თანხვედრაშია 2018-2021 წლების რგპ-სა და სრიგპ-ს პრინციპებთან – კონცენტრაცია, კონკურენტუნარიანობა და ინტეგრირებული ადგილზე დაფუძნებული მიდგომა.

მიუხედავად იმისა, რომ საპილოტე რეგიონების დედაქალაქები სიდიდითა და მასშტაბით განსხვავდებიან, ისინი მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორიცაა:

- არასაკმარისად განვითარებული ურბანული ფუნქციები;
- ურბანული მოსახლეობის შემცირება;
- მაცხოვრებელთათვის ნაკლებად მიმზიდველი გარემო საცხოვრებლად;
- სამრეწველო ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით ნაკლებად მიმზიდველი გარემო;
- ენდოგენური პოტენციალის მწირი გამოყენება – ეკონომიკური, სოციალური და კულტურული – რაც კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს;
- ევროკავშირის სტანდარტებთან შედარებით მოქალაქეებისთვის ძირითადი სერვისების (სატრანსპორტო მომსახურებიდან დაწყებული სოციალური სერვისებით დამთავრებული) მიწოდების დაბალი დონე, თუმცა მიმდებარე სოფლის ტიპის დასახლებებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა;
- ქალაქების მიმდებარე ტერიტორიებთან სუსტი ინტეგრაცია.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონების ყველა ცენტრს მსგავსი პრობლემები აქვს, მათ შორის განსხვავებებიც ბევრია.

<u>ქუთაისი. იმერეთის რეგიონი.</u>
დღესდღეობით რეგიონის ცენტრის მოსახლეობის რაოდენობა 141 ათასს შეადგენს. 1989 წელთან შედარებით მოსახლეობა 36%-ით შემცირდა[35]. დიდი ხნის განმავლობაში, ქუთაისი ქვეყნის კულტურულ და საუნივერსიტეტო ქალაქად მიიჩნეოდა (საქართველოს მეორე დედაქალაქი), თუმცა ბოლო 15 წელში მან ბათუმის სასარგებლოდ ქვეყნის მეორე უდიდესი ქალაქის და კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის სტატუსი დაკარგა[36]. საბჭოთა კავშირის დროს ქუთაისი საქართველოს ერთ-ერთ მთავარ სამრეწველო (მძიმე მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა, მანგანუმისა და ქვანახშირის მოპოვება) ცენტრს წარმოადგენდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქალაქი ძლიერი დეინდუსტრიალიზაციის პროცესების წინაშე დადგა. ამჟამად, მრეწველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას აღარ წარმოადგენს – წარმოების სექტორში მოსახლეობის მხოლოდ 11%-ია დასაქმებული. ქუთაისში არის 2 თავისუფალი სამრეწველო ზონა, სადაც 110 მილიონი დოლარის ღირებულების ინვესტიცია განხორციელდა[37]. იწარმოება საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ხის მასალა. ქალაქთან მდებარეობს ერთი აეროდრომი და საერთაშორისო აეროპორტი.

ქუთაისის უდიდესი გამოწვევებია:
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მიგრაციის შეჩერება;
- ქუთაისის, როგორც დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ეკონომიკური და კულტურული ცენტრის არასაკმარისად გამოყენებული პოტენციალი
    - განვითარებისთვის საჭირო არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა;

[35]საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური

[36]საქართველოს ურბანული პოტენციალის განხორციელება, ეროვნული ურბანული შეფასება, აზიის განვითარების ბანკი, 2016

[37]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- არასაკმარისად განვითარებული სატრანსპორტო ქსელისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების გაუმჯობესება.

<u>თელავი. კახეთის რეგიონი.</u>
თელავი რეგიონის უდიდეს ქალაქს წარმოადგენს, რომლის მოსახლეობა 19,8[38] ათასს შეადგენს (ურბანული მოსახლეობის 27% და რეგიონის მთლიანი მოსახლეობის 6%). თელავი ერთ-ერთი ცნობილი და მნიშვნელოვანი ტურისტული დანიშნულების ადგილია. ქალაქი ასევე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ჰაბი და ცნობილი მეღვინეობის ცენტრია. ქალაქში მრავლადაა კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და მცირე ბიზნესის ობიექტები. თელავში მდებარეობს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თელავის უდიდესი გამოწვევებია:
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით სურსათის გადამამუშავებელ სექტორებში;
- მრეწველობის, სატრანსპორტო და სამშენებლო სექტორების განვითარების ხელშეწყობა;
- განვითარებისთვის თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა;
- ქალაქის ტურისტული მიმზიდველობის გაუმჯობესება;
- ურბანული ფუნქციების, როგორც რეგიონული ცენტრის გაძლიერება.

<u>ამბროლაური. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი</u>
ამბროლაური ყველაზე პატარა რეგიონული ცენტრია, სადაც 2.0 ათასი მოსახლეა, რაც რეგიონის მოსახლეობის 40%-ს შეადგენს. ამბროლაურის რეგიონული ადმინისტრაცია შეიქმნა 1995 წელს. ქალაქში არის ღვინის ქარხანა, სასამართლო, სპორტული დარბაზი, საავადმყოფო, თეატრი და მუზეუმი. ქალაქს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი გააჩნია.

ამბროლაურის უდიდესი გამოწვევებია:
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის წარმოების სექტორში;
- ურბანული ფუნქციების გაძლიერება, მათ შორის კულტურული და ეკონომიკური, როგორც სუპრა-ადგილობრივი ქალაქი;
- ახალი ინვესტიციების მოზიდვა;
- არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

<u>ოზურგეთი. გურიის რეგიონი</u>
ოზურგეთის მოსახლეობა 14.8 ათასს შეადგენს (მთლიანი რეგიონის მოსახლეობის 13% და რეგიონის ურბანული მოსახლეობის 46%). ქალაქში მოსახლეობის კლების ტენდენცია შეინიშნება. ქალაქში მდებარეობს გურიის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და წარმოადგენს რეგიონის კულტურ, სპორტულ, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის ცენტრს.

ოზურგეთის უდიდესი გამოწვევებია:
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, გარდა სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებისა
- საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/გაუმჯობესება, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს
- კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რაც შავი ზღვის პორტებთან და ასევე თურქეთის საზღვართან სიახლოვის უკეთ გამოყენებას უზრუნველყოფს
- ლოგისტიკური ფუნქციების განვითარება
- ურბანული ფუნქციების, როგორც ურბანული ცენტრის გაძლიერება

[38] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017 წლის მდგომარეობით

ღონისძიება განხორციელდება ორი ქვეღონისძიების (საგრანტო სქემის) მეშვეობით, რაც რეგიონული ცენტრების სხვადასხვა ასპექტის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების საკითხის გადაჭრას უზრუნველყოფს:

ა) რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია;
ბ) რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალების განვითარება.

დაფინანსების წყარო.

ეს ღონისძიება დაფინანსდება:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- სრიგპ-ს განხორციელებისთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარებიდან;
- პროექტის დონეზე მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით[39].

თავსებადობა სხვა პროგრამებთან

ქალაქების, მათ შორის რეგიონული ცენტრების მხარდაჭერის რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა არსებობს, მაგრამ ისინი მხოლოდ რეგიონული ცენტრების სოციალურ და ეკონომიკურ პოტენციალის გაძლიერებაზე არ არიან ფოკუსირებული. ასევე, შეზღუდულია მათი მასშტაბიც – მათი სპექტრი და მხარდაჭერის მოცულობა არ არის საკმარისი ეკონომიკური ცენტრების განვითარების ხელშეწყობისთვის. ამ პროექტების უმრავლესობა სექტორული ხასიათისაა და ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების, სხვადასხვა სააგენტოებისა და მუნიციპალიტეტების მიერ. პროექტს, რომელსაც ურთიერთშევსებადობის ყველაზე დიდი ეფექტი გააჩნია იმ ღონისძიებასთან, რომელიც სამიზნე მუნიციპალიტეტებში ხორციელდება, არის ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია (გზები, ნარჩენების მართვა, წყალარინების და წყლის სისტემები), ბიზნესის მხარდაჭერა, ინოვაცია და ტურიზმის განვითარება. საქართველოს მთავრობამ EBRD-ს სესხის ფარგლებში ქალაქებისთვის ახალი ავტობუსების შეძენის სურვილი გამოავლინა. ქუთაისის შემდგომი განვითარებისთვის მთავარ ინფრასტრუქტურულ ინვესტიციას წარმოადგენს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის შემდგომი განვითარება და მისი ფუნქციური ინტეგრაცია საერთაშორისო და რეგიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო სისტემაში, ასევე თბილისი-ბათუმი ავტომაგისტრალის ახალი ორზოლიანი სექციის მშენებლობა და ქუთაისის შემოვლითი გზის 41.3 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა.

ღონისძიების აღწერა

ღონისძიება განხორციელდება ორი მჭიდროდ დაკავშირებული ქვეღონისძიების მეშვეობით.
ა. რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია. ამ ქვეღონისძიების ფარგლებში ორგანიზებული იქნება კონკურსი მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ პროექტებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესებას ქალაქის შიგნით და გარეთ. ქვეღონისძიების მიზანია რეგიონული ცენტრების უკეთესი ინტეგრაცია მის შემოგარენთან, როგორც ინფრასტრუქტურით, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზრუნველყოფის მხრივ, რაც გაზრდის მოქალაქეთა მობილობას და ახალი სამსახურის პოვნისა და უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას. ეს ღონისძიება განხორციელდება 4 მუნიციპალიტეტის (ქალაქი ქუთაისი, თელავი,

[39] ღონისძიებების დაფინანსების, მათ შორის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების მექანიზმები დგინდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით

ოზურგეთი, ამბროლაური) მიერ წინასწარშერჩეული პროექტების საფუძველზე ფართო ფუნქციურ ტერიტორიებთან და მიმდებარე მუნიციპალიტეტებთან შეთანხმებით.

ბ. რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება. ამ ქვეღონისძიების ფარგლებში ორგანიზებული იქნება კონკურსი მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ პროექტებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ სამიზნე ქალაქების ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო ფუნქციების გაძლიერებას, რაც შედეგად ქალაქსა და რეგიონში ბიზნესის, ვიზიტორების, ტურისტების და ახალი მოქალაქეების მოზიდვას უზრუნველყოფს. ეს ქვეღონისძიება განხორციელებული იქნება საგრანტო სქემის მიხედვით, 4 მუნიციპალიტეტის მიერ (ქალაქი ქუთაისი, თელავი, ოზურგეთი, ამბროლაური) და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პროექტებისთვის, რომლებიც ამ ქალაქებში ოპერირებენ, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

ქვეღონისძიება 1.1. ა: რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია

დასაფინანსებელი აქტივობების ტიპები:

ჯგუფი 1. პროგრამული დოკუმენტების შემუშავება

- ქალაქისთვის და მისი ფუნქციური არეალისთვის განვითარების სტრატეგიის / გეგმის მომზადება
- ქალაქისთვის და მისი ფუნქციური არეალისთვის სატრანსპორტო გეგმის მომზადება

ჯგუფი 2. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია, რომელიც პირდაპირ ემსახურება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების განვითარებას (მაგ., ავტობუსის გაჩერებები, დეპოები და ზოლები, ჭკვიანი საინფორმაციო სისტემები)
- ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც საგზაო უსაფრთხოების ზრდას უწყობს ხელს (ადგილობრივი გზები, საგზაო გადაკვეთები, შუქნიშნები, რომლებიც მხედველობა დაქვეითებულთა მოთხოვნებს აკმაყოფილებს და სხვა)
- პარკირების ადგილების მშენებლობა, ქვეითთა ზონების მშენებლობა;
- ობიექტების მშენებლობა, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ინტეგრაციას;
- სხვა ალტერნატიული სატრანსპორტო სისტემის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება
- სატრანსპორტო საშუალებების შეძენა

შერჩევის მთავარი კრიტერიუმები:

- მხოლოდ ის სატრანსპორტო პროექტები, რომლებიც შესაბამისობაშია განვითარების დოკუმენტთან და/ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის გეგმასთან;
- სატრანსპორტო პროექტებისთვის შესაბამისი ტექნიკური კვლევის არსებობა;
- შესაბამის ეროვნულ და ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მათ შორის გარემოსდაცვითი და დაბალი ემისიის მოთხოვნები, სივრცითი გეგმა, სხვა ფორმალური მოთხოვნების და ა.შ;
- არაპრივილეგირებული პირებისთვის ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის საშუალებების უზრუნველყოფა;
- სრიგპ-ს დასრულების შემდგომ უზრუნველყოფილი დაფინანსება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების ზრდაზე მკვეთრი ზეგავლენა;
- რეგიონული ცენტრის ფუნქციურ არეალზე მკვეთრი ზეგავლენა

გრანტის მიმღები

- მუნიციპალიტეტები, რომლებიც მიეკუთვნებიან/ქმნიან ქუთაისის, თელავის, ოზურგეთის და ამბროლაურის ფუნქციურ არეალს.

პროექტის ინიციატორები:

- მუნიციპალიტეტები, რომლებიც მიეკუთვნებიან/ქმნიან ქუთაისის, თელავის, ოზურგეთის და ამბროლაურის ფუნქციურ არეალს.

გეოგრაფიული დაფარვა:

- ქალაქები ქუთაისი, თელავი, ოზურგეთი და ამბროლაური და მიმდებარე მუნიციპალიტეტები, რომლებიც რეგიონული ცენტრის ფუნქციურ არეალს ეკუთვნიან.

ქვეღონისძიება 1.1 ბ. რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება

დასაფინანსებელი აქტივობების ტიპები:

ჯგუფი 1. სოციალური ინფრასტრუქტურა

- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაცია, რომელიც ქალაქის, როგორც რეგიონული ცენტრის ფუნქციონირებას უწყობს ხელს (მაგ., თეატრები, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები, სპორტული ობიექტები);
- რეგიონული მნიშვნელობის უმაღლესი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და განვითარება (მათ შორის, აღჭურვილობა, საერთო საცხოვრებლებისა და სხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოწყობა);
- არსებული ობიექტის გარდაქმნა ან ახალი მრავალპროფილიანი საქმიანობის შენობის / ცენტრის მშენებლობა, რომელიც აუცილებელია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული როლის გაძლიერებისთვის;
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ქუჩებისა და მიმდებარე შენობების განახლება, ძეგლების, შადრევნების, ბავშვებისთვის სათამაშო მოედნების, რეკრეაციული ობიექტების მოწყობა, ა.შ.;
- ელექტრონული სერვისების განვითარება;
- სხვა ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქების რეგიონული ურბანული ცენტრის ფუნქციების განვითარებას.

ჯგუფი 2. რეგიონის / ქალაქის პოპულარიზაცია

- რეგიონული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებების ორგანიზება (ბიზნეს ფორუმები/შეხვედრები, კულტურული ღონისძიებები;
- რეგიონული/ქვეყნის მასშტაბის/საერთაშორისო ბაზრობები, გამოფენები, კონფერენციები;
- ინვესტორებისა და ტურისტებისთვის განკუთვნილი პოპულარიზაციის აქტივობების მხარდაჭერა;
- მხარდაჭერილი ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის ტრენინგების ორგანიზება და საჭირო უნარების განვითარება.

პროექტების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები:

- რეგიონული ან/და ქალაქის განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობა;
- გავლენის ქონა მინიმუმ რეგიონულ დონეზე მაინც;
- მხოლოდ ის ღონისძიებები, რომლებიც თანხვედრაშია მარკეტინგის, სარეკლამო და სამოქმედო გეგმებთან;

- საჯარო ინსტიტუტების მხარდაჭერის შემთხვევაში *ტექნიკური კვლევის* არსებობა და მისი შეთანხმება დაინტერესებულ მხარეებთან;
- პროექტის მზაობა (ტექნიკური კვლევა, ბიზნესგეგმა და სხვა);
- სრიგპ-ს დასრულების შემდგომ პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფა;
- დაინტერესებული კომპანიებისა და ვიზიტორების რაოდენობის ზრდაზე მკაფიო ზეგავლენის მოხდენა.

გრანტის მიმღები:

- მუნიციპალიტეტები, რომლებიც მიეკუთვნებიან / ქმნიან ქუთაისის, თელავის, ოზურგეთის და ამბროლაურის ფუნქციურ არეალს;
- ქალაქში მოქმედი საჯარო ინსტიტუციები, მათ შორის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

პროექტის ინიციატორები:

- მუნიციპალიტეტები, რომლებიც მიეკუთვნებიან / ქმნიან ქუთაისის, თელავის, ოზურგეთის და ამბროლაურის ფუნქციურ არეალს;

გეოგრაფიული დაფარვა

ქ. ქუთაისი, ქ. თელავი, ქ. ოზურგეთი და ქ. ამბროლაური.

ღონისძიების მყისიერი შედეგის ინდიკატორები

იხილეთ დანართი 1, ცხრილი 3.

ღონისძიება 1.2: ურბანული ტერიტორიების სოციალურ – ეკონომიკური განახლება

მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

ღონისძიების სპეციფიკური მიზანია ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკური რეგენერაციის მხარდაჭერა (უპირატესობა სამრეწველო ქალაქებს მიენიჭება). ღონისძიების ფარგლებში ის პროექტები დაფინანსდება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომპლექსური რეგენერაციის გეგმების განხორციელებას, რაც ქალაქების გარკვეული ნაწილის, მათ შორის ყოფილი სამრეწველო ტერიტორიების საინვესტიციო ზონებად გარდაქმნას უზრუნველყოფს და/ან დაეხმარება მოქალაქეებს დაძლიონ სიღარიბე, დაეუფლონ ახალ უნარ-ჩვევებს და ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას. კომპლექსური ურბანული რეგენერაციის გეგმები მომზადდება იმ ურბანული ტერიტორიებისთვის, რომლებიც შემდეგ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ:

- სოციალური სიდუხჭირის მაღალი დონე, მათ შორის სიღარიბე;
- უმუშევრობა და მოქალაქეების შრომის ბაზარზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
- მოქალაქეთა ეკონომიკური აქტივობის დაბალი დონე;
- ინფრასტრუქტურის ფიზიკური დეგრადაცია, მათ შორის საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი შენობები/ნაგებობები;
- დეგრადირებული სამრეწველო ტერიტორიების არსებობა (ყოფილი სამრეწველო ტერიტორიები).

ღონისძიების მოსალოდნელი შედეგებია:

- ინვესტიციებისათვის/საცხოვრებლად ქალაქების გაზრდილი მიმზიდველობა;
- მოქალაქეთა უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;
- შემცირებული სიღარიბე და სოციალური იზოლაცია;

- სოციალური ჯგუფების გააქტიურება (განსაკუთრებით ახალგაზრდები და ხანდაზმულები);
- გაზრდილი ადგილობრივი თანამშრომლობა და გაუმჯობესებული მმართველობის სისტემა ადგილობრივ დონეზე.

გეოგრაფიული დაფარვა

ღონისძიება განხორციელდება ღარიბ ურბანულ ტერიტორიებზე (რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს), რისთვისაც შესამუშავებელია კომპლექსური რეგენერაციის გეგმები. უპირატესობა მიენიჭება ყოფილ სამრეწველო ქალაქებს: ჭიათურას, ტყიბულს, ზესტაფონს, სამტრედიასა და ქუთაისს, თუმცა შესაძლებელი იქნება პროექტების სხვა ქალაქებში/ტერიტორიებზე განხორციელება, იმ პირობით, თუ მომზადებულია კომპლექსური რეგენერაციის გეგმა ურბანული/სამრეწველო ტერიტორიებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

დასაბუთება

2018-2021 წლების რგპ-ში ურბანული ტერიტორიების განვითარების საკითხი წარმოდგენილია მე-4 პრიორიტეტში: *„ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე“.*

ეს ღონისძიება უზრუნველყოფს 2018-2021 წლების რგპ-ს პრიორიტეტი 4-ის მე-2 ღონისძიების „სოფლის განვითარება“ განხორციელებას. ასევე, ხელს შეუწყობს სხვა პრიორიტეტების განხორციელებას მთელი რიგი ინტეგრირებული ინსტრუმენტების საშუალებით, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიულ საჭიროებებზე იქნება მორგებული.

საქართველოსთვის დამახასიათებელია სპეციფიკური ტერიტორიული განვითარების გამოწვევები სხვადასხვა ქალაქთან მიმართებაში, რომელთაც საბჭოთა კავშირის დროს განვითარებული სამრეწველო და სამთო ცენტრების სტატუსი გააჩნდათ. ამ ტიპის მცირე და საშუალო ზომის ქალაქები განლაგებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, თუმცა მათი ყველაზე მაღალი კონცენტრაცია იმერეთში ფიქსირდება. ბაზრების დაკარგვის და საზღვარგარეთიდან ძლიერი კონკურენციის შედეგად, ასევე შეზღუდული ფინანსური რესურსების მქონე საწარმოების მიერ ქარხნების ნაწილობრივმა პრივატიზაციამ, ცოდნისა და მართვის უნარ-ჩვევების დაბალმა დონემ, წარმოების სექტორში ბოლო 28 წლის განმავლობაში წარმოებისა და დასაქმების თვალსაზრისით ძლიერი ვარდნა განიცადა. საბჭოთა კავშირის დროს სამტრედია მთავარ სატრანსპორტო ჰაბს წარმოადგენდა სარკინიგზო კვანძებით, მაგისტრალებით და ახლა უკვე აეროპორტით.

ზესტაფონში, ჭიათურასა და ტყიბულში მრეწველობის ზოგიერთი დარგი შენარჩუნებულია, თუმცა წარმოების მოცულობა გაცილებით მცირეა გლობალურ ბაზრებზე დაბალი კონკურენტუნარიანობისა და წარმოების მოთხოვნების ცვლილების გამო. სამტრედიის შემთხვევაში ქალაქი ვარდნას განიცდის, თუმცა მისი მემკვიდრეობა, როგორც ხელმისაწვდომობისა და ტრანსპორტის ცენტრი შენარჩუნებულია და ხელს უწყობს ვარდნის ტენდენციის შენელებას. აღნიშნულმა ვარდნამ უარყოფითი გავლენა იქონია ქალაქების განვითარების პერსპექტივებზე, მთელს რეგიონში აღენიშნება მოსახლეობის დაბერების პროცესი და დაბალია საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და წყალმომარაგება. ამ ქალაქების მოსახლეობა დამოკიდებულია სოციალურ დახმარებასა და პენსიაზე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ტვირთს წარმოადგენს. გარდა ამისა, მკვეთრი დაცემა განიცადეს სხვა სექტორებმაც, რომლებიც მსხვილ საბჭოთა ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფდნენ ან დამოკიდებული იყვნენ სამრეწველო მუშაკების მაღალ ხელფასებზე, რამაც შეარყია მთელი ქვეყნის ეკონომიკა.

ერთ-ერთ დამატებით გამოწვევას, განსაკუთრებით კი სამრეწველო ქალაქებში (მაგრამ არა უნიკალური) წარმოადგენს ძველი სამრეწველო ობიექტები. საქართველოს ქალაქებსა და სოფლის ტიპის ტერიტორიებზე ძველი სამრეწველო ობიექტები წლების მანძილზე არ ფუნქციონირებენ. თბილისში,

ძველი სამრეწველო ობიექტები ურბანული ტერიტორიის მეოთხედს იკავებს[40], სხვა ქალაქებშიც მსგავსი სიტუაციაა. ძველი სამრეწველო ობიექტების უმეტესობა ცენტრალურ ადგილებშია განთავსებული, კარგად უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურით. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს გამოუყენებელი ყოფილი სამრეწველო ობიექტების ბაზარზე დაბრუნება. ღონისძიება ითვალისწინებს შეღავათებს იმ პროექტებისთვის, რომლებიც ლოკალიზებული იქნება ძველ სამრეწველო ობიექტებში.

შემდეგი წლების განმავლობაში, ისეთი ინდუსტრიული ქალაქებისთვის, როგორიცაა ზესტაფონი და სამტრედია, დაგეგმილი ავტომაგისტრალის მშენებლობა (თბილისი – ქუთაისი -ბათუმი) სპეციფიკურ გამოწვევას წარმოადგენს. პროექტის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდება ტრანზიტული გზით მოსარგებლე მგზავრთა რაოდენობა და სატრანზიტო ტვირთის მოცულობა. – რაც საფუძველს ქმნის ახალ შესაძლებლობებს, მაგრამ ამავდროულად ზრდის მოთხოვნილებას რესტრუქტურიზაციაზე და არსებული ტრადიციული და მცირე პროფილის საქმიანობის და სერვისების გარდაქმნაზე (მაგალითად, ყავის მაღაზიები, რესტორნები, ადგილობრივი გზის გასწვრივ ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვა).
ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის სწრაფი განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს მახლობლად მდებარე სამტრედიის სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ფუნქციებზე, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას ლოგისტიკისა და მრავალმხრივი ცენტრი იმ პირობით, რომ შეიქმნება ინვესტიციების სტიმულირების სათანადო სისტემა

დაფინანსების წყარო

ეს ღონისძიება დაფინანსდება:

- სრიგპ-ს განხორციელებისთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარებიდან

სხვა ინტერვენციებთან თავსებადობა

ამ ეტაპზე არ არსებობს კომპლექსური ინტეგრირებული სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკური რეგენერაციის პროგრამა (ან პროექტი), რომლის მიზანია სპეციფიკური ურბანული არეალების რეაბილიტაცია, თუმცა წარსულში კომპლექსური რეგენერაციის პროექტების განხორციელდა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, მცხეთაში, გორში, სიღნაღში, მესტიასა და თელავში.

ამჟამად ურბანული ტერიტორიების რეაბილიტაციის კუთხით საქართველოს მთავრობა ახორციელებს ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რასაც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით უზრუნველყოფს. პროექტების განხილვა ხდება ინდივიდუალურად და არ ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კომპლექსური რეგენერაციის გეგმის მიხედვით. მხარდაჭერილი პროექტების ძირითადი ტიპები მოიცავს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას (გზები, წყალმომარაგება, საბავშვო ბაღები, ქუჩის განათება და ა.შ.) და ნარჩენების მართვას.

ევროკავშირი, 2019-2021 წლებში დააფინანსებს პროექტს „ადგილობრივი თანამშრომლობა იმერეთის მეორე დონის პოსტ-ინდუსტრიული ქალაქების გამოცოცხლებისთვის“. პროექტი მოიცავს ქალაქებს: ზესტაფონს, ჭიათურას და ტყიბულს.

2018 წელს ევროკავშირი იწყებს 45.15 მილიონი ევროს (პლიუს 3,75 მლნ ევრო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის) ღირებულების პროგრამის – „შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი უნარების განვითარება” განხორციელებას, რომლის მიზანია ეკონომიკური უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება ადამიანური კაპიტალის განვითარების, უნარების დამთხვევის მეშვეობით საქართველოს რეგიონებში, მათ შორის იმერეთი, კახეთი, გურია და რაჭა ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი. პროგრამის განხორციელება ნაწილობრივ მოხდება საბიუჯეტო დახმარების (30 მილიონი ევრო), ტექნიკური

[40]საქართველოს მთავარი ქალაქების როლი, მსოფლიო ბანკი 2016

მხარდაჭერის – სერვისკონტრაქტის ფორმით და ორი დაძმობილების პროექტით (1,5 მილიონი ევრო თითო): „ხარისხის უზრუნველყოფის და მმართველობის კვალიფიკაციის შესაძლებლობის გაძლიერება“ და „ დასაქმების პირობების და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება საქართველოში“. დამატებით საგრანტო სქემა, რომლის მიზანია სამიზნე ჯგუფების დასაქმების შესაძლებლობების ზრდა (7 მილიონი ევრო) ხელმისაწვდომი იქნება კერძო და არასამთავრობო სექტორისთვის, ასევე განათლების, ტრენინგების, დასაქმების და ახალგაზრდობის სერვისების სხვადასხვა მიმწოდებლისთვის.

ღონისძიების აღწერა

ეს ღონისძიება შემდეგი ქვეღონისძიებების საშუალებით განხორციელდება:

ა. აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება;

ბ. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი უნარების განვითარება და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობა.

ეს ღონისძიება განხორციელდება რეგენერაციის გეგმების შესაბამისად, რომლებიც შემუშავდება შესაბამისი ორგანიზაციის მიერ. რეგენერაციის გეგმები, რომლებიც მოიწონება რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ წარმოადგენს სრიგპ-დან დასაფინანსებელი პროექტების მომზადების საფუძველს, ასევე შეიძლება წარმოადგენდეს სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების კოორდინაციის მექანიზმს.

ქვეღონისძიება 1.2.ა. აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება

ამ ქვეღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მიღება მოხდება საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კომისიის მიერ მოწონებული რეგენერაციის გეგმებთან შესაბამისობის მიხედვით. პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭო.

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები

ჯგუფი 1. შერჩეული ურბანული ტერიტორიების განვითარების გეგმების მომზადება

- ქალაქის საზღვრებში შერჩეული ტერიტორიებისთვის კომპლექსური განახლების გეგმების მომზადება.

ჯგუფი 2. ინფრასტრუქტურული ინვესტიციები

- განსაზღვრულ ურბანულ ტერიტორიებზე წყალმომარაგება, წყალარინების სისტემა, ელექტროენერგია, გაზიფიცირება, გზების რეაბილიტაცია;
- ახალი საინვესტიციო ტერიტორიების / ზონების მოწყობა;
- საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა, ქუჩებისა და მიმდებარე შენობების განახლება, რეკრეაციული ობიექტების მოწყობა;
- ყოფილი სამრეწველო ტერიტორიების რეგენერაცია;
- ენერგოეფექტურობის გაზრდისკენ მიმართული აქტივობები;
- ელექტრონული სერვისების განვითარება;
- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის უზრუნველმყოფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზების გაყვანა/მონტაჟისთვის საჭირო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების, მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების, ღარების (სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია) მოწყობა.

პროექტების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები:

- ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებული და სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებული ურბანული რეგენერაციის გეგმების არსებობა;

- ინფრასტრუქტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ აქტივობებს შორის კავშირი (ქვეღონისძიება 1.2 ა);
- მკაფიო ზეგავლენა მცირე და საშუალო საწარმოების და სხვა კომპანიების ლოკალიზაციაზე (პრიორიტეტი მიენიჭება ღონისძიება 3.1-ს ქვეშ არსებულ პროექტებს);
- მკაფიო სოციალური რესტრუქტურიზაცია (აქტივობის) და ზეგავლენა (სიღარიბეზე, მოწყვლად ჯგუფებზე და უმუშევრებზე ზეგავლენა);
- ეკონომიკური ზეგავლენა (ახალი ან შენარჩუნებული სამუშაო ადგილები და ახალი ბიზნესები).

გრანტის მიმღები

- მუნიციპალიტეტები, რომელთაც სამრეწველო ფუნქციები გააჩნიათ და სოციალურ-ეკონომიკური ვარდნა განიცადეს (ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი, სამტრედია და მთავარი რეგიონული ცენტრები – ქუთაისი, ამბროლაური, ოზურგეთი, თელავი);
- შესაძლებელია პროექტების განხორციელება სხვა ქალაქებში/ადგილებში, იმ პირობით, რომ კომპლექსური რეგენერაციის გეგმები მომზადებული იქნება;
- სამიზნე ქალაქებში არსებული საჯარო ინსტიტუციები;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

პროექტის ინიციატორები:

- მუნიციპალიტეტები, რომელთაც სამრეწველო ფუნქციები გააჩნიათ და განიცადეს სოციალურ-ეკონომიკური ვარდნა (ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი, სამტრედია და მთავარი რეგიონული ცენტრები – ქუთაისი, ამბროლაური, ოზურგეთი, თელავი);
- საპილოტე რეგიონების სხვა ქალაქებში/ტერიტორიებზე პროექტების განხორციელება შესაძლებელია იმ პირობით, თუ კომპლექსური რეგენერაციის გეგმა მომზადდება.

გეოგრაფიული დაფარვა:

- ქვეღონისძიება განხორციელდება ყოფილი ინდუსტრიული ქალაქების (ტყიბული, ჭიათურა, ზესტაფონი, სამტრედია) ურბანულ ტერიტორიებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს.

ქვეღონისძიება 1.2.ბ. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი უნარების განვითარება და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობა

ამ ქვეღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მიღება მოხდება სამთავრობო კომისია მიერ მოწონებული რეგენერაციის გეგმებთან შესაბამისობის მიხედვით. პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭო.

დასაფინანსებელი აქტივობების ტიპები

ჯგუფი 1. პროგრამული დოკუმენტების მომზადება

- ადგილობრივი შრომითი ბაზრის ანალიზი;
- სოციალური გააქტიურების სამოქმედო გეგმა;

ჯგუფი 2. უნარების და ადამიანური რესურსების განვითარების აქტივობები

- საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურება, ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები (მათ შორის, დასაქმების სტრუქტურის ცვლილების გამო სამუშაოს დაკარგვის რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობისთვის);
- ტრენინგები და კურსები საინფორმაციო ტექნოლოგიებში, მათ შორის, ახალგაზრდებისა და სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის;
- თვითდასაქმების ხელშეწყობის სქემები;

- შრომის ბაზრის ანალიზიდან გამომდინარე, სხვა კვალიფიკაციის ამაღლებისა და უნარების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებული კურსების მხარდაჭერა

ჯგუფი 3 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა:

- სოციალური აქტივობის ცენტრების ორგანიზება;
- სოციალური მეწარმეობის პროექტების მხარდაჭერა (სოციალური საწარმოები);
- საზოგადოებრივ საფუძვლებზე დაფუძნებული ინიციატივების მხარდაჭერა;
- სხვა ტიპის სოციალური მხარდაჭერა და მოწყვლადი ჯგუფების გააქტიურება.

პროექტების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები:

- ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებული და სამთავრობო კომისია-ს მიერ მოწონებული ურბანული რეგენერაციის გეგმების არსებობა;
- მხოლოდ შერჩეული შედარებით პატარა რეგენერაციის არეალისთვის (სადაც სოციალურ, ეკონომიკურ და სივრცით უარყოფით პროცესებს ჰქონდა ადგილი);
- კავშირი ინფრასტრუქტურასთან (ქვეღონისძიება 1.2ა) და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერასთან (ღონისძიება 3.1)
- სპეციალური შეღავათები მოწყვლადი ჯგუფებისათვის (ახალგაზრდები, მოხუცები და შრომით ბაზარს გარეთ მყოფი ჯგუფები);
- სოციალური გარიყულობის და სიღარიბის შემცირებაზე გავლენა;
- ეროვნულ პროგრამებთან კავშირი, რომლებიც ხორციელდება განათლების, უნარების განვითარების და სოციალური გააქტიურების მიმართულებით.

გრანტის მიმღები:

- ინდუსტრიული ფუნქციების მქონე მუნიციპალიტეტები, რომლებმაც სოციალურ-ეკონომიკური დაღმასვლა განიცადეს (ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი, სამტრედია და მთავარი რეგიონული ცენტრები – ქუთაისი, ამბროლაური, ოზურგეთი და თელავი);
- შესაძლებელია პროექტების განხორციელება სხვა ქალაქებში/ადგილებში, იმ პირობით, რომ კომპლექსური რეგენერაციის გეგმები მომზადებული იქნება;
- ქალაქებში მოქმედი საჯარო ინსტიტუციები, მათ შორის, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროექტის ინიციატორები:

- მუნიციპალიტეტები რომლებმაც სოციალურ-ეკონომიკური დაღმასვლა განიცადეს (ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი, სამტრედია და რეგიონული ცენტრები – ქუთაისი, ამბროლაური, ოზურგეთი და თელავი);
- შესაძლებელია პროექტების განხორციელება სხვა ქალაქებში/ადგილებში, იმ პირობით, რომ კომპლექსური რეგენერაციის გეგმები მომზადებული იქნება;
- ქალაქებში მოქმედი საჯარო ინსტიტუციები, მათ შორის, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

გეოგრაფიული დაფარვა

- ქვეღონისძიება განხორციელდება საპილოტე რეგიონების ფარგლებში, ინდუსტრიული ფუნქციების მქონე მუნიციპალიტეტებში, რომლებმაც ეკონომიკური დაღმასვლა განიცადეს და რეგიონულ ცენტრებში;
- შესაძლებელი პროექტების განხორციელება საპილოტე რეგიონების სხვა ქალაქებში / ტერიტორიებზე იმ პირობით, თუ კომპლექსური რეგენერაციის გეგმა მომზადდება.

ღონისძიების მყისიერი შედეგის ინდიკატორები
იხილეთ დანართი 1, ცხრილი 3

პრიორიტეტი 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

ღონისძიება 2.1 რეგიონული ტურიზმის პოტენციალის განვითარება

მთავარი ამოცანა და მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული ღონისძიების კონკრეტული ამოცანაა **ტურისტების მოზიდვის მიზნით ენდოგენური კულტურული და ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენება**. ამ ღონისძიების ფარგლებში მოხდება ისეთი ურთიერთდაკავშირებული აქტივობების წინა პლანზე წამოწევა, როგორიცაა:

- სპეციალური დაცული ტერიტორიების ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სანახავად ჩამოსული ვიზიტორებისათვის საჭირო საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- რეგიონული მნიშვნელობის კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება.

ამ ღონისძიების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ორი სახის საჭიროებებს:

- ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ იმ ობიექტებისა და დაცული ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით უკეთ გამოყენება, რომელთა განვითარებაც უკვე მოხდა, მაგალითად, ცენტრალური ხელისუფლებისა (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ შემუშავებული) და დონორთა მიერ მხარდაჭერილი პროექტებისა და პროგრამების მეშვეობით.
- აღდგენისა და განვითარების შესაძლებლობების შექმნა იმ ახალი კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის (რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის) ობიექტებსა და ტერიტორიებისთვის, რომელთაც დიდი პოტენციალი გააჩნიათ ტურისტების მოზიდვის კუთხით, თუმცა დღემდე ისინი განიცდიდნენ გარე წყაროებიდან დახმარებისა და კერძო სექტორის მხრიდან მათდამი ინტერესის ნაკლებობას.

აღნიშნული ღონისძიება უშუალოდ ეხება 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) კონკრეტულ ამოცანას – *სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების გამოყენების, მმართველობის სხვადასხვა დონეზე შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელისშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით, რაც უნდა განხორციელდეს რგპ-ის პრიორიტეტი 2-ის ფარგლებში – მცირე და საშუალო საწარმოებისა და ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორების მხარდაჭერა და ექსპორტის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ღონისძიება 2.3.-ის მეშვეობით. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი.*

აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მოსალოდნელი საბოლოო შედეგები პირდაპირკავშირშია კონკრეტული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან:

- განახლებულ/გაუმჯობესებულ ობიექტებზე/ტერიტორიებზე ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა
- თითოეულ რეგიონში ტურისტული მიმართულებების გაზრდილი რაოდენობა;
- განახლებულ ობიექტებთან/ტერიტორიებთან დაკავშირებული სერვისების მიმწოდებელ მცირე და საშუალო საწარმოთა გაზრდილი რაოდენობა.

გეოგრაფიული არეალი

აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება ოთხივე საპილოტე რეგიონში, თუმცა იმ ობიექტებისა და ტერიტორიების ნუსხა, რომელიც საჭიროებს განვითარებას, წინასწარ უნდა შეირჩეს რეგიონულ დონეზე, რეგიონზე მისი მოსალოდნელი ზეგავლენის გათვალისწინებით.

ღონისძიების განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება

ტურისტული ვიზიტების რეგიონულ ჭრილში განაწილებამ ცხადყო, რომ ოთხივე საპილოტე რეგიონი შეზღუდულად იყენებს საქართველოსადმი უცხოელ ტურისტთა შორის გაზრდილ ინტერესს. უცხოელ ტურისტთა მთლიანი მოცულობის 6% კახეთზე მოდის, იმერეთზე – მხოლოდ 3%, ხოლო გურიასა და რაჭა-ლეჩხუმზე – სხვა რეგიონებთან ერთად – 5%-ზე ნაკლები. რაც შეეხება შიდა ტურიზმს, მიუხედავად გაზრდილი მაჩვენებლისა, მას ნაკლები სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა აქვს. მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმერეთისა და კახეთის რეგიონისათვის (მაგ., ორგანიზებული ტურები და სასკოლო ექსკურსიები არაერთ მნიშვნელოვან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტსა თუ ბუნებრივ ნაკრძალში).

ოთხივე რეგიონს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებისათვის შესანიშნავი პირობები გააჩნია. მათ აქვთ ულამაზესი, უმეტესად მთაგორიანი, ლანდშაფტი, აგრეთვე სანაპირო ზოლი თავისი პლაჟებით (გურია), ადგილობრივი კულტურა, საინტერესო ისტორია, ასათვისებელი რესურსები (გეოთერმული წყლები), უამრავი ბუნების მემკვიდრეობის ძეგლი და, აგრეთვე, ტურისტული ობიექტების ხელმისაწვდომობაზე დადებითი გავლენის მქონე ეროვნული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა (რომელსაც სახელმწიფო ამჟამად ავითარებს, განსაკუთრებით იმერეთისა და გურიის რამდენიმე მუნიციპალიტეტში)[41]. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებს აქვთ გარკვეული პერსპექტივა, განვითარდნენ და სამომავლოდ უმასპინძლონ მნიშნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებს (ფესტივალები, კონცერტები და ა.შ.), თუმცა ამისათვის აუცილებელია შესაფერისი ობიექტების (მაგ., ბლექ სი არენა, რომელიც მდებარეობს გურიის ადმინისტრაციულ საზღვრებში, თუმცა აქტიურად მიმდინარეობს მისი პოპულარიზაცია აჭარის დედაქალაქ ბათუმთან დაკავშირებით.

[41]მაგ. მიუხედავად იმისა, რომ ავტომაგისტრალი თბილისი-ბათუმი, რკინიგზის ჩქაროსნული მაგისტრალი და ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტები არ მდებარეობს აღნიშნულ ტერიტორიაზე, მათ შეუძლიათ მოემსახურონ გურიის გარკვეულ მუნიციპალიტეტებსაც.

გრაფიკი 7. 2018 წლის ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდი, შესვლის თარიღი: 02.04. 2019, http://apa.gov.ge/en/statistika/vizitorta-statistika/wlis-vizitorta-statistika-daculi-teritoriebis-mixedvit

როგორც გრაფიკი 7-დან ჩანს, იმერეთის (პრომეთეს მღვიმე, სათაფლია, ოკაცეს კანიონი) და კახეთის (განსაკუთრებით ლაგოდეხის) მონახულების ინტერესი ძალზე დიდია. თუმცა ვიზიტორთა მრავალრიცხოვნება ეკონომიკურ შედეგზე უშუალოდ არ აისახება – ადგილობრივ დასახლებებს, სადაც აღიშნული დაცული ტერიტორიებია განლაგებული, არ გააჩნიათ საკმარისი, მაღალი ხარისხის ადგილობრივი სურსათის და განთავსების ბაზა, და მათი მომსახურება ხდება ქუთაისიდან, წყალტუბოდან და სხვა მუნიციპალიტეტებიდან.

სხვა დიდი და ლამაზი ტერიტორიები ნაკლებად პოპულარულია მათი მიუვალობის (განსაკუთრებით თუშეთის შემთხვევაში), უკვე განვითარებული ტურისტული ცენტრებიდან შორ მანილზე მდებარეობისა და სურსათის და განთავსების სერვისების სათანადო ხარისხის ნაკლებობის გამო.

რუკა 2. საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა[42]



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტოს პრეზენტაცია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 24.10.2018

იმერეთის რეგიონი. იმერეთის რეგიონში მთლიანობაში 900-ზე მეტი ისტორიული ძეგლი და მრავალი ცნობილი კურორტია. გელათის მონასტერი (შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში), პრომეთეს და სათაფლიას მღვიმეები, ოკაცეს კანიონი და ჩანჩქერი არის ის ადგილები, რომლებსაც ყველაზე ხშირად სტუმრობენ საქართველოში. სათაფლიას დაცული ტერიტორია და აჯამეთის აღკვეთილი პოპულარული ადგილებია ლაშქრობის მოყვარულ მოგზაურთათვის. იმერეთის რეგიონში 35 მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალია. საერთაშორისო აეროპორტი, კომფორტული სარკინიგზო და საავტომობილო კავშირი დედაქალაქსა და შავი ზღვის კურორტებთან მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტურიზმის ზრდას. რეგიონი აგრეთვე მდიდარია უნიკალური ბუნებრივი და ჰიდრო-მინერალური რესურსებით – მინერალური წყლების რესურსებით განთქმული კურორტები წყალტუბო და საირმე პოპულარული ტურისტული მიმართულებები იყო წარსულში. საქართველოს ტურიზმის სექტორის საერთო სტატისტიკაში იმერეთის უმნიშვნელო წილის მიუხედავად, ამ რეგიონისადმი უცხოელ ტურისტთა ინტერესი ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამ დადებითი ტენდენციების მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ტურისტული ბაზა სივრცით-ტერიტორიულად არის კონცენტრირებული: ქუთაისი ერთადერთი მზარდი ტურისტული ცენტრია, რომელიც სთავაზობს მაღალი ხარისხის სასტუმრო-სარესტორნო მომსახურებას და კულტურულ ღონისძიებებს. სწორედ ქუთაისიდან ხდება რეგიონების ფარგლებში არსებული არაერთი ტურისტული მიმართულების მომსახურება (როგორც კერძო ვიზიტები, ისე ორგანიზებული ჯგუფები). ქუთაისის გარდა, სხვა მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრებია: კურორტი საირმე, რომელიც მცირე მასშტაბით ფუნქციონირებს, და კურორტი წყალტუბო – ოდესღაც მსხვილი ტურისტული ცენტრი და ბალნეოლოგიური კურორტი, რომელიც საბჭოთა პერიოდში განთქმული იყო თავისი გეოთერმული წყლის აბანოებით. ამჟამად ის სავალალო მდგომარეობაშია და ახალი ინვესტიციების მიუხედავად ძალიან დაბალი დატვირთვით მუშაობს.

[42] დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 665 664 ჰა-ს, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 9,55%-ია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ დაგეგმილი აქტივობები:

1. ცუცხვათის მღვიმის კეთილმოწყობა
2. გორდი – ოკაცეს კანიონში ჩასასვლელი 2 კმ-იანი გზის კეთილმოწყობა
3. ოკაცეზე ბეწვის ხიდის მოწყობა
4. ოკაცეზე წრიული ბილიკის მოწყობა, ხიდებით
5. სათაფლიას ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა
6. კინჩხას 3D ატრაქციის მოწყობა

კახეთის რეგიონი. ამ რეგიონის შედარებით უპირატესობას ღვინის ტურიზმი წარმოადგენს, რომელიც ბოლო წლებში უაღრესად პოპულარული გახდა. კახეთი აგრეთვე მდიდარია ისტორიული ძეგლებით ალავერდის საკათედრო ტაძარი, გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიისა და სამეფო კოშკის ანსამბლი, კვეტერას ეკლესია (შესულია იუნესკო-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში) და თუშეთის დაცული ტერიტორიები, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და დაცული ტერიტორიები რეგიონის თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. რეგიონის მუნიციპალური ცენტრები (თელავი, სიღნაღი, ყვარელი), თავისი შედარებით კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურით, უამრავი რესტორანითა და სასტუმროთი (მათ შორის როგორც მცირე ზომის, საოჯახო ტიპის სასტუმროები, ისე უმაღლესი კატეგორიის სასტუმროები) და 32-მდე მუზეუმით, დიდი პოპულარობით სარგებლობენ ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებში. თუშეთის უნიკალური პეიზაჟი, ბუნება და დაცული ტერიტორიები, აგრეთვე ვაშლოვანის, ლაგოდეხის, ბაბანეურისა და ბაწარას ეროვნული პარკები და ნაკრძალები, ამ ტერიტორიას უაღრესად საინტერესო ტურისტულ მიმართულებად აქცევს. რაც შეეხება თუშეთს, ძნელად მისადგომობის გამო ამ ტერიტორიებზე ტურისტული ვიზიტების რაოდენობა შეზღუდულია, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კახეთისათვის, სადაც ბოლო წლებში კულტურული და ბუნებრივი რესურსებისა და მეღვინეობის კულტურის გამოყენებით უამრავი ინვესტიცია განხორციელდა როგორც სახელმწიფო (სიღნაღისა და თელავის ისტორიული ცენტრების რესტავრაცია; ისტორიული და დაცული ტერიტორიების შენარჩუნება-რეაბილიტაცია), ისე საჯარო წყაროებიდან (ტურისტთა განთავსების ბაზა თელავსა და სიღნაღში, აგრეთვე რამდენიმე კურორტი და მეღვინეობა). იმის გათვალისწინებით, რომ ძეგლები, დაცული ტერიტორიები და ადგილობრივი კულტურის თვალსაზრისით საინტერესო ადგილები რეგიონის თითქმის ყველა კუთხეში მოიძებნება, აქ კვლავ არსებობს დიდი პოტენციალი, რომელიც საჭიროებს შემდგომ რეალიზაციას და რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტული ინდუსტრიის ზრდას და ხარისხისა და ასორტიმენტის განვითარებას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ დაგეგმილი აქტივობები:

კახეთი:

1. ლაგოდეხში ხის კენწეროების ბილიკის მოწყობა (არსებობს პროექტი)
2. მარიამჯვარის ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა
3. ბაწარა-ბაბანეურის ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა

გურიის რეგიონი. შავ ზღვაზე გასასვლელისა და ოდითგანვე განვითარებული ტურისტული სექტორის მქონე გურიას გააჩნია უდიდესი, თუმცა დღემდე არარეალიზებული ტურისტული პოტენციალი. ურეკის, შეკვეთილისა და გრიგოლეთის ქვიშიანი პლაჟები, მაღალმთიანი (ზღვის დონიდან 2 000 მ.-ზე და ზევით) გამაჯანსაღებელი კურორტები: ბახმარო (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში), ნაბეღლავი და გომის მთა (ოზურგეთის მუნიციპალიტეტში), აგრეთვე 60-ზე მეტი ისტორიული ძეგლი და 14 მუზეუმი, კარგი საფუძველია რეგიონში ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის. ბლექ სი არენა, რომელიც

ადმინისტრაციულად გურიის მხარეს ეკუთვნის, საერთაშორისო დონის ღონისძიებების ორგანიზების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს, თუმცა ფუნქციონალურად ის ბათუმს უკავშირდება. უკვე არსებული კურორტების (ურეკი, ბახმარო, გომის მთა) ტურისტული ინფრასტრუქტურაც არ არის განვითარებული ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ დაგეგმილი აქტივობები:

გურია:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კოლხეთის ეროვნულ პარკამდე გზის 10 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია
2. ტურისტული თავშესაფრების მოწყობა

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი. აღნიშნული მაღალმთიანი რეგიონი ტურისტებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს ლაშქრობისთვის, იგი მდიდარია მინერალური წყლებით და გამოირჩევა ლანდშაფტის ბუნებრივი სილამაზით. რეგიონი პოპულარულია ეკო-ტურიზმის (მათ შორის თევზჭერის, ნადირობისა და ცხენოსნობის) მოყვარულთა შორის. თუმცა, საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა აქ ძალზე მცირეა. მეტად უნიკალური ნახევრად ტკბილი ღვინის სახეობები – „ხვანჭკარა“ ამბროლაურში, „ტვიში“ და „უსახელოური“ ცაგერში, და მცირე ზომის ღვინის საწარმოები, საქართველოს აგრო და ღვინის ტურიზმის წამყვანი მიმართულებებია. ამ რეგიონს აგრეთვე გააჩნია სათხილამურო ტურიზმის განვითარების პოტენციალი. მე-11 საუკუნით დათარიღებულ 160-ზე მეტ ისტორიულ ძეგლს, მათ შორის ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარს (რომელიც შესულია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა წინასწარ სიაში) და რეგიონის სხვა უძველეს ციხე-სიმაგრეებს 7 მუზეუმთან ერთად, შეუძლია ტურისტების მოზიდვა. ტურისტებისთვის მიმზიდველია, აგრეთვე, შოვისა და უწერას (ორივე მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში) ბუნებრივი მინერალური წყლები. თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო არ გამოიყენება ლენტეხისა და ცაგერის პოტენციალი. დღესდღეობით რეგიონს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მაღალხარისხიანი ტურისტული პროდუქციის შეთავაზება შეუძლია.

აღნიშნული ღონისძიების მიზანთან დაკავშირებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა რეგიონში არსებობს საჭიროება და პოტენციალი:

- განავითარონ იმ ტურისტული ადგილების ინფრასტრუქტურა, რომლებიც უკვე იზიდავენ ტურისტებს, მაგრამ არ გააჩნიათ სათანადო ინფრასტრუქტურა და შეთავაზებები იმისათვის, რომ გაზარდონ ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალი;
- არსებული შესაძლებლობების გამოყენებით განავითარონ ახალი ტურისტული ადგილები მოსახლეობისთვის სარგებელის ტერიტორიული დაბალანსების მიზნით;
- ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით, შეინარჩუნონ კულტურული ძეგლები და ეკოლოგიური თვალსაზრისით მდიდარი ტერიტორიები (მათ შორის ეროვნული პარკები) და უზრუნველყონ მათი ხელმისაწვდომობა;
- განავითარონ თანმხლები ინფრასტრუქტურა (წყლისა და წყალარინების სისტემა ნაკლებად ხელმისაწვდომია ტურისტული პოტენციალის მქონე ზოგიერთ შორეულ ტერიტორიებზე; ტურისტული ღირშესანიშნაობების ტერიტორიებზე სასტუმრო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა);
- უზრუნველყონ წვდომა განვითარების პროცესში მყოფ ობიექტებსა და ადგილებზე.

აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება ღონისძიება 2.2-თან (ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება) და ღონისძიება 4.2-თან (ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან ერთად) მჭიდრო კოორდინაციით. ამასთან, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები თანხვედრაში უნდა იყოს სატრანსპორტო

ინფრასტრუქტურის ქსელის გაფართოებისა და ტურიზმში (ტურისტთა განთავსება, კვება, ახალი ტურისტული პროდუქცია, ადგილობრივი რეწვა ა.შ.) ინვესტირების სურვილის მქონე კერძო სექტორთან თანამშრომლობის გეგმებთან, რაც, უმეტეს შემთხვევაში, დაგეგმილი ინვესტიციების ეფექტიანი განხორციელების წინაპირობაა.

დაფინანსების წყაროები

აღნიშნული ღონისძიება დაფინანსდება:

- სრიგპ-ს განხორციელებისთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარებიდან;
- მუნიციპალიტეტებთან თანადაფინანსებით.

სხვა ინტერვენციებთან თავსებადობა

ბოლო პერიოდში ტურიზმის განვითარების მიმართულებით განხორციელდა არაერთი პროექტი, რაც მიმზიდველია ტურისტებისათვის, მაგრამ მათი გამოყენების შესაძლებლობა ჯერჯერობით შეზღუდულია, რადგან ტურისტული ადგილმდებარეობები არ არის დაკავშირებული ტურისტულ ობიექტებთან, ასევე შეზღუდულია დაბინავების და დასვენების საშუალებები.

ამჟამად USAID ახორციელებს პროექტ „Zrda“ „ჰოლისტიკური მიდგომა ტურიზმზე“, რომელიც ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავების საშუალებით ხელს უწყობს ტურიზმის სექტორში რეგიონული ტურიზმის განვითარებას, ახალი ტურისტული მიმართულებებისა და ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაციასა და საერთაშორისო სტანდარტების ამაღლებას. Zrda-ს ტურიზმის სექტორში ძირითადი რეგიონებია სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და კახეთი (პანკისის ხეობა და თუშეთი), თუმცა, პატარა საოჯახო ტიპის სასტუმრო შესაძლებლობების გაზრდა ყველა საპილოტე რეგიონებზე ვრცელდება.

გაეროს განვითარების პროგრამა ახორციელებს პროექტს "საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება". პროექტი მხარს უჭერს დაცულ ტერიტორიებს გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას და ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად საქართველოში სამიზნე დაცული ტერიტორიების გლობალური მნიშვნელობის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. პროექტს აქვს სამი კომპონენტი: დაცული ტერიტორიების ქვესისტემის ფინანსური მდგრადობა, რომელიც წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან ტერიტორიებს (KBAs); გაუმჯობესებული მართვა და ფინანსური ეფექტურობა გამოვლენილი მიზნობრივი ფართომასშტაბიანი პირისთვის; ცოდნის მართვა, მონიტორინგი და შეფასება. პროექტი განხორციელდება 2019-2023 წლებში და ჯამური ბიუჯეტი 9,8 მილიონი აშშ დოლარის შეადგენს. პროექტი დაფინანსებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის, კავკასიის ბუნების ფონდის, საქართველოს მთავრობისა და სხვა დაინტერესებული მხარის მიერ.

ADB-ს სესხის ფარგლებში, მომავალ წელს კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში განხორციელდება მრავალი პროექტი, რომელიც მოიცავს მცირე ტურისტული ტერიტორიის რეაბილიტაციას და კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის ადგილების შექმნას/განახლებას, მათ შორის გზების/ბილიკების/ობიექტების და სამშენებლო სამუშაოების ჩათვლით.

ზოგიერთი სამინისტრო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებულ პროექტებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებს, ეს პროექტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურისტული ფუნქციების განსავითარებლად, რაც ამ ღონისძიების მთავარი ამოცანაა:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- *საქართველოს* რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი: გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ტურიზმის მხარდაჭერა;
- მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების განვითარება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო:

- კულტურული ობიექტების აღდგენა, ძირითადად ეროვნული მნიშვნელობის.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის განვითარების ხელშეწყობა – საოჯახო სასტუმროები დამწყები (start-up) ბიზნესისათვის (რომლის ფარგლებშიც მოხდა 32 პროექტის დაფინანსება).

დაცული ტერიტორიების (მათ შორის ეროვნული პარკების) და თანმხლები ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

საერთაშორისო დონორები აგრეთვე უწევენ დახმარებას კულტურული ობიექტებისა და დაცული ტერიტორიების გამოყენებას მდგრადი ტურიზმის განვითარების მიზნით.

ღონისძიების აღწერა

აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება შემდეგი ქვეღონისძიებით:

- ქვეღონისძიება ა. ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ქვეღონისძიება ბ. კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა.

ორივე ქვეღონისძიება განხორციელდება ორსაფეხურიანი კონკურენტული პროცედურების დაცვით. პირველ ეტაპზე გამოცხადდება საპროექტო იდეების მიღების კონკურსი, რომლებსაც შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭო შეაფასებს და მოიწონებს და შემდეგ ეტაპზე მოხდება საპროექტო წინადადებების მიღების კონკურსი. პროექტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭო.

ქვეღონისძიება 2.1ა. ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება

აღნიშნული ქვეღონისძიების ფარგლებში დასაფინანსებელი აქტივობები:

- მცირე ზომის თანმხლები ინფრასტრუქტურა (ელექტროენერგია, საპარკინგე ადგილები, ტუალეტები და სხვა.) ტურისტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარეთ და დაცული ტერიტორიების მიმდებარედ;
- მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურა (საინფორმაციო დაფები, ბილიკების, ტურისტების თავშესაფრების, ბანაკის და დასვენების ადგილების მარკირება, პატარა მუზეუმები და საგამოფენო ცენტრები და სხვა);
- რეკრეაციულ ფუნქციებთან დაკავშირებული სხვა მცირე ზომის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა;
- ადგილობრივი პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების გასაყიდად ადგილების მომზადება.

პროექტის შერჩევის კრიტერიუმები

- მხოლოდ მუნიციპალიტეტებს შორის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული ობიექტები (მაგ., რეგიონული განვითარების სტრატეგიის საფუძველზე);

- სასურველია შეირჩეს რეგიონული მნიშვნელობის ობიექტები;
- გავლენა რეგიონში ტურისტთა, ვიზიტორთა რაოდენობაზე;
- გავლენა მუნიციპალიტეტების შემოსავალზე;
- ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილების შექმნა.

გრანტის მიმღები:
- მუნიციპალიტეტები.

პროექტის ინიციატორები:
- მუნიციპალიტეტები;
- შესაბამისი პროფილის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით;
- საჯარო უწყებები მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

გეოგრაფიული არეალი:
- კახეთის, იმერეთის, გურიის და რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონები.

ქველონისძიება 2.1 ბ – ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა

აღნიშნული ქველონისძიების ფარგლებში დასაფინანსებელი აქტივობები:
- რეგიონული მნიშვნელობის კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის და განახლების მხარდაჭერა;
- მცირე მუზეუმების და საგამოფენო დარბაზების ორგანიზება;
- თანმხლები შენობების განახლება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ტურისტული ადგილების ხელმისაწვდომობის წახალისება;
- მარკეტინგული აქტივობების განხორციელების ძირითადი ხარჯების დაფარვა (მაგიდები, ბუკლეტები, ვებგვერდები, ბილეთები და ა.შ.).

პროექტის შერჩევის კრიტერიუმები
- მხოლოდ ის პროექტები, რომელიც დაკავშირებულია ღონისძიება 2.1 ა– თან;
- უპირატესობა მიენიჭება იმ ადგილებს, რომლებიც არსებული პროგრამებით და პროექტებით არ არის დაფარული;
- ზეგავლენა რეგიონში ტურისტების რაოდენობაზე;
- მუნიციპალიტეტების შემოსავალზე ზეგავლენა;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების შექმნა.

გრანტის მიმღები:
- მუნიციპალიტეტები.

პროექტის ინიციატორები:

- მუნიციპალიტეტები;
- საჯარო უწყებები, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

გეოგრაფიული არეალი:

- კახეთის, იმერეთის, გურიის და რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონები.

ღონისძიების მყისიერი შედეგის ინდიკატორები

იხილეთ დანართი 1, ცხრილი 3.

ღონისძიება 2.2. ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება

მთავარი ამოცანა და მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული ღონისძიების კონკრეტული ამოცანაა **საპილოტე რეგიონების განვითარებაში ტურიზმის სექტორის როლის გაზრდა** ტურისტული შეთავაზებების დივერსიფიკაციისა და ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების გზით. აღნიშნული ღონისძიების გატარება მოხდება სხვადასხვა აქტივობით, რომლის მიზანია რეგიონებში ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება, მათ შორის ტუროპერატორებისთვის, მეწარმე სუბიექტებისა და ტურისტული სერვისების მიმწოდებელი პირებისთვის მოსამზადებელი კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა-გაფართოება;

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მოხდება რეგიონებში დაფუძნებული და მოქმედი ტურისტული სერვისების მიმწოდებელი სუბიექტების დახმარებით უზრუნველყოფა, მათ შორის რეგიონული საგანმანათლებლო და სასწავლო კურსების დანერგვის მხარდაჭერა.

აღნიშნული ღონისძიება უშუალოდ ეხება 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) კონკრეტულ ამოცანას – *„სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების გამოყენების, მმართველობის სხვადასხვა დონეზე შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელის შემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით“, რაც უნდა განხორციელდეს რგპ-ის პრიორიტეტი 2-ის ფარგლებში – „მცირე და საშუალო საწარმოებისა და ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორების მხარდაჭერა და ექსპორტის ხელშეწყობა“, განსაკუთრებით ღონისძიება 2.3.-ის მეშვეობით. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: „ტურიზმი“.* ღონისძიება 2.2 *„ტურისტული პროდუქციის ხარისხისა და მრავალფეროვნების გაზრდა“* 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის ზემოხსენებული ღონისძიების ერთგვარი შემავსებელია.

აღნიშნული ღონისძიების გატარება მოხდება ღონისძიება 2.1-თან (სპეციალური დაცული ტერიტორიების, კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის ობიექტების ტურისტული პოტენციალის განვითარება) მჭიდრო კოორდინაციით. ბევრი ახალი პროდუქტის დანერგვა და ტრენინგების ჩატარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ განვითარებული ტურისტული ბაზისა და ღირსშესანიშნავი ადგილის (ამ კონტექსტში – ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების) არსებობის შემთხვევაში.

აღნიშნული ზომის განხორციელების მოსალოდნელი შედეგია:

- საპილოტე რეგიონებსა და შესაბამის ტერიტორიებზე ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა;
- სერვისების გაუმჯობესებული ხარისხი;
- ტურისტული შეთავაზების მრავალფეროვნება.

გეოგრაფიული არეალი:

აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება ჰორიზონტალურად ოთხივე საპილოტე რეგიონში.

ღონისძიების განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება

როგორც უკვე აღინიშნა, ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობა ძირითადად საქართველოს რამდენიმე რეგიონშია კონცენტრირებული, კერძოდ: თბილისი, აჭარა და მცხეთა-მთიანეთი, რომლებზეც ჯამში საქართველოში განხორციელებული ტურისტული ვიზიტების 2/3 მოდის. კახეთის

რეგიონს უცხოელი ტურისტების მხოლოდ 6% სტუმრობს, ხოლო იმერეთს – 3%. გურიას, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს, დანარჩენ რეგიონებთან ერთად, უცხოელ ვიზიტორთა 5% სტუმრობს.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვა-განახლებასთან (ღონისძიება 2.1.-ის საგანი) ერთად ვიზიტორთა ინტერესის გაზრდის კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს შეთავაზებული სერვისების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და მათი ასორტიმენტის გაფართოება წარმოადგენს. ტურისტული მომსახურების გაუმჯობესებული ხარისხი და ახალი ტურისტული პროდუქციის განვითარება, თავის მხრივ, უზრუნველყოფს რეგიონისა და მისი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, იმ პირობებშიც კი, როცა ვიზიტორთა რაოდენობა იმავე დონეზე რჩება.

ცალკეული რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ღონისძიება 2.1.-ში მოცემული აღწერა.

ცალკეულ რეგიონში აღნიშნული ღონისძიების ამოცანასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევებია:

- ტურისტებისთვის შეთავაზებული სერვისების დაბალი ხარისხი, განსაკუთრებით ცენტრიდან მოშორებულ ტერიტორიებზე;
- რეგიონებში ისეთი განვითარებული ტურისტული საგანმანათლებლო ბაზის ნაკლებობა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ტურიზმის სფეროში მაღალი ხარისხის მოსამზადებელი და სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობა;
- შეზღუდული რაოდენობა იმ ტურისტული პროდუქტისა და სერვისებისა, რომელიც ცდილობს გამოიყენოს არსებული კულტურული და ბუნებრივი პოტენციალი (ეკოტურიზმი, თევზჭერა, ცხენოსნობა, ალპინიზმი, ლაშქრობა);
- რეგიონში ვიზიტის გახანგრძლივებისა და დამატებითი თანხების დახარჯვის სურვილის მქონე ტურისტებისთვის დამატებითი შეთავაზებების ნაკლებობა (ადგილობრივი ნაწარმი, სუვენირები, რეწვის პროდუქცია და ა.შ.).

დაფინანსების წყარო:

- სრიგპ-ს განხორციელებისთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარებიდან;
- მეწარმე სუბიექტების მხრიდან თანადაფინანსება;
- დონორთა პროგნოზირებული დაფინანსება.

სხვა ინტერვენციებთან თავსებადობა

აქამდე რეგიონულ დონეზე მხოლოდ ტურიზმის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით არ განხორციელებულა სახელმწიფო ბიუჯეტის ან დონორული დაფინანსების ფარგლებში რაიმე პროგრამა/პროექტი, თუმცა არსებული ან დაგეგმილი პროგრამები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მიზნისთვის.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ყოველწლიურად აფინანსებს სხვადასხვა მარკეტინგულ აქტივობებს (თუმცა ძირითადად ტერიტორიული განზომილების გარეშე):

- სარეკლამო და მარკეტინგული კამპანიები;
- ტურიზმის გამოფენები და ბაზრობები;
- ტურისტული პროდუქტების განვითარება (ძირითადად ღვინის წარმოება და კულტურა);
- მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო:

- საქართველოში საერთაშორისო სასტუმრო ბრენდების მოზიდვა;
- მიკრო და მცირე მეწარმეთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაიცემა გრანტი 20,000 ლარამდე. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამაში უმთავრესი პრიორიტეტი იქნება ტურიზმის სფერო. (იხ. ღონისძიება 3.1.). გარდა ამისა, სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ 2016 წელს სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერის მიზნით დაემატა

კომპონენტი „უმასპინძლე საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც 2019 წლის აგვისტოს მონაცემებით 111-მა სასტუმრომ ისარგებლა 149 მლნ. ლარის ოდენობის შეღავათიანი სესხით. პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში ბათუმის და თბილისის გარდა[43]

ღონისძიების აღწერა

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა რეგიონული ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების აქტივობები იქნება ხელმისაწვდომი გრანტის მიმღებებისთვის. გრანტებით უზრუნველყოფილი იქნებიან ტურიზმის სფეროში და მასთან დაკავშირებულ სექტორებში მომუშავე მეწარმე სუბიექტები და საგანმანათლებლო დაწესებულებები. მხარდაჭერილ აქტივობებს შორისაა: რეგიონებში ახალი ტურისტული პროდუქციის მომზადება, ტურისტული კომპანიების თანამშრომელთა და მფლობელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტურიზმზე ფოკუსირებული რეგიონული განათლების ცენტრების შექმნა-გაფართოება და ა.შ.

ქვეღონისძიება განხორციელდება შედგება ორი ეტაპისგან: პირველ ეტაპზე მოხდება საპროექტო იდეების მიღება საგანმანათლებლო და სატრენინგო აქტივობებისთვის, რომლების მიზანია რეგიონული ტურიზმის საგანმანათლებლო პოტენციალის და მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება. საპროექტო იდეების შერჩევას განახორციელებს სამხარეო საკონსულტაციო საბჭო და შემდგომ მოხდება საპროექტო წინადადებების შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად მისაღებად კონკურსის გამოცხადება. შერჩეული პროექტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭო.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დასაფინანსებელი აქტივობები:

ჯგუფი 1. ხარისხის დივერსიფიკაციისა და გაუმჯობესების მიზნით გეგმების და პროგრამების მომზადება

- ახალი რეგიონული ტურისტული პროდუქტების განვითარების გეგმების მომზადება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ტურიზმის დივერსიფიკაციის, პოპულარიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით შემოთავაზებული კვლევებისა და კურსებისთვის პროგრამების მომზადება/განხორციელება.

ჯგუფი 2 ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების განვითარება

- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტურიზმზე ორიენტირებული რეგიონული განათლების/ტრენინგების ცენტრების მხარდაჭერა (მათ შორის ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ინვენტარის შეძენა),
- ტურისტული სერვისების მიმწოდებლებისთვის კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება.

პროექტების შერჩევის კრიტერიუმები

- რეგიონული ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობა;
- უპირატესობის მინიჭება ტურისტული სერვისების ადგილობრივი მიმწოდებლებისთვის;
- გავლენა ხარისხზე და ტურისტების რაოდენობაზე;
- გავლენა საპილოტე რეგიონების მოსახლეობის შემოსავალზე.

[43] იხილეთ ინფორმაცია ღონისძიება 3.1-ის აღწერის ქვეშ.

გრანტის მიმღები:

- რეგიონებში მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ტრენინგპროვაიდერები.

პროექტის ინიციატორები:

- რეგიონული საგანმანათლებლო დაწესებულებები (კერძო და საჯარო საშუალო სკოლები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები).

გეოგრაფიული არეალი:

ქვეღონისძიება განხორციელდება ოთხივე საპილოტე რეგიონში.

აღნიშნული ღონისძიების საბოლოო შედეგის ინდიკატორები

იხ. დანართი 1, ცხრილი 3.

პრიორიტეტი 3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა

ღონისძიება 3.1 ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა

მთავარი ამოცანა და მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული ღონისძიების კონკრეტული მიზანია საპილოტე რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესების ინვესტიციების მოცულობის ზრდის სტიმულირების გზით.

აღნიშნული ღონისძიება გათვლილია ორი ჯგუფის ადგილობრივ მცირე და საშუალო საწარმოებზე:

- **სამრეწველო მცირე და საშუალო ბიზნესები და მეწარმე სუბიექტები** – საპილოტე რეგიონების სამრეწველო პოტენციალის გაზრდის მიზნით. დახმარება ხელმისაწვდომი იქნება მრეწველობის ყველა დარგის საწარმოებისათვის, მათ შორის სურსათის პროდუქტების გადამამუშავებელი დარგისათვის, რომელიც მრეწველობის წამყვანი სექტორია ყველა საპილოტე რეგიონში.

- **ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი მიკრო და მცირე საწარმოები –** ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის გაზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნა-შენარჩუნების მიზნით.

პრიორიტეტი მიენიჭება იმ კომპანიებს, რომლებიც ოპერირებენ სმარტ სპეციალიზაციის სტრატეგიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ქვეშ იდენტიფიცირებულ სექტორებში.

აღნიშნული ღონისძიება უშუალოდ ეხება 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის კონკრეტულ ამოცანას – *„სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების გამოყენების, მმართველობის სხვადასხვა დონეზე შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელისშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით, რაც უნდა განხორციელდეს რგპ-ის პრიორიტეტი 2-ის ფარგლებში – მცირე და საშუალო საწარმოებისა და ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორების მხარდაჭერა და ექსპორტის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ღონისძიება 2.1.-ის მეშვეობით – საწარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა.*

გარდა ამისა, ადგილობრივი მიკრო და მცირე საწარმოების ინვესტიცია დამატებით ხელს შეუწყობს ახალი ბიზნესშესაძლებლობებისა და სამუშაო ადგილების შექმნას.

აღნიშნული ღონისძიება უშუალოდ უზრუნველყოფს საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის ამოცანის (ადგილობრივ მცირე და საშუალო საწარმოთა სამეწარმეო საქმიანობის, კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდა) რეალიზაციას, და, ამავდროულად ხელს შეუწყობს პროგრამის სხვა კონკრეტული მიზნების მიღწევას: – სამრეწველო ქალაქების ეკონომიკური აღორძინება, მოშორებით მდებარე და ნაკლებად განვითარებული ობიექტების უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარება (ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, დაცული ტერიტორიები), აგრეთვე შერჩეული ტერიტორიების ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება.

აღნიშნული ღონისძიების მოსალოდნელი შედეგებია:

- ადგილობრივი სამრეწველო მცირე და საშუალო ბიზნესების გაზრდილი ინვესტიციები (მათ შორის სურსათის პროდუქტების გადამუშავების, ავეჯის, ლითონის წარმოებისა და საფეიქრო ინდუსტრიაში და სხვა სმარტ სპეციალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში იდენტიფიცირებულ სექტორებში). სამრეწველო მცირე და საშუალო ბიზნესების პოტენციალის გახსნა ხელს შეუწყობს რეგიონებში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების მოცულობის გაზრდას; ახალი, სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს რეგიონული ეკონომიკის გარდაქმნას, პროდუქციის დივერსიფიკაციას,

რეგიონების სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულების შემცირებას და სხვადასხვა საწარმოო დარგების განვითარებას;

- ადგილობრივი კომპანიების ექსპორტის მოცულობისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა, არსებული პროდუქციის/სერვისების გაფართოების ან ახალი საქმიანობის დაფინანსების გზით. აღნიშნული სქემა ხელმისაწვდომი იქნება ყველა სახის ბიზნეს-საქმიანობისათვის (წარმოება, მომსახურება, ვაჭრობა) ოთხივე საპილოტე რეგიონში. მისი მიზანია, ადგილობრივ საზოგადოებას მიეცეს მეტი შესაძლებლობა სტაბილური სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ადგილობრივი მეურნეობების გასავითარებლად.

გეოგრაფიული არეალი

აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება ოთხივე საპილოტე რეგიონში.

ღონისძიების დასაბუთება

მოცემული საპილოტე რეგიონები საქართველოს ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ტერიტორიებია და მათი წილი მთლიანი დამატებული ღირებულების (მდღ) შექმნაში ძალზე უმნიშვნელოა (ჯამში საქართველოს მთლიანი დამატებული ღირებულების 18,2%, სადაც ყველაზე დიდი წილი იმერეთს აქვს – 10%). აგრეთვე მცირეა ამ რეგიონების წილი ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებულ მთლიან ინვესტიციებში (ჯამში 4,3%; იმერეთი – 1,9%, კახეთი – 1,8%).

საპილოტე რეგიონების ეკონომიკის ძირითადი სექტორებია (შექმნილი მდღ-ის მიხედვით)[44]:

- იმერეთი: მომსახურება (67,1%), წარმოება (20,1%), სოფლის მეურნეობა (12,8%);
- კახეთი: მომსახურება (51,7%), სოფლის მეურნეობა (31,6%), წარმოება (16,7%);
- გურია: მომსახურება (67,4%), სოფლის მეურნეობა (17,8%),წარმოება (14,8%)
- რაჭა-ლეჩხუმი: მომსახურება (73%), სოფლის მეურნეობა (18,4%), წარმოება (8,6%).

რას შეეხება იმერეთს, საბჭოთა პერიოდში აქ კარგად იყო განვითარებული ისეთი დარგები, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობა. რეგიონში მდებარეობს მანგანუმისა და ქვანახშირის საბადოები (მანგანუმის მადანი და ქვანახშირი ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს), ფეროშენადნობთა ქარხანა (ერთ-ერთი უმსხვილესი ქარხანა საქართველოში). თუმცა, ბოლო წლებში ბევრი ქარხანა დაიხურა, ხოლო დარჩენილი საწარმოები დგანან ისეთი პრობლემების წინაშე, როგორიცაა პროდუქციის დაბალი ხარისხი და მოძველებული ტექნოლოგიები. რეგიონის სამრეწველო პოტენციალის (მათ შორის კვალიფიციური სამუშაო ძალის) გამოყენება არ ხდება. რეგიონის წინაშე არსებულ ერთ-ერთ დიდ გამოწვევას წარმოადგენს ძველი ინდუსტრიული ქალაქების გარდაქმნა, რეგიონში მოქმედი სამრეწველო კომპანიების ტექნოლოგიური დონის გაუმჯობესება და მათი პოტენციალის განვითარება მთელი რიგი ინტეგრირებული ზომების მეშვეობით. გარდა ამისა, იმერეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს, აგრეთვე, სოფლის მეურნეობა (სადაც წამყვანი ადგილი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს – სიმინდს, აგრეთვე ყურძენს და ბოსტნეულს; შემდეგ მოდის ხილი (ქლიავი, ბალი, თესლოვანი ხეხილი, მსხალი), აგრეთვე რძე (და რძის პროდუქტები) და თაფლი. სასურსათო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგის მნიშვნელოვანი ქვედარგებია: ყველის, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, აგრეთვე ღვინისა და გამაგრილებელი (უალკოჰოლო) სასმელების წარმოება. თაფლის წარმოების მხრივ იმერეთის რეგიონი მეორე ადგილზეა. აღნიშნული დარგი მთლიანი დამატებული ღირებულების 12,8%-ს ქმნის. თუმცა, მიუხედავად ამისა,

[44]საქსტატის 2017 წლის მონაცემების საფუძველზე გაკეთებული გაანგარიშება

იმერეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას სწორედ აღნიშნული დარგის დაბალი პროდუქტიულობა წარმოადგენს.

კახეთის რეგიონში ეკონომიკის ყველაზე მეტად განვითარებული დარგი სოფლის მეურნეობაა, შემდეგ მოდის საცალო ვაჭრობა (რომელშიც ჩართულია მოქმედი საწარმოების 46%). შედარებით სუსტად არის განვითარებული მრეწველობის, ტრანსპორტისა და სამშენებლო დარგები. მიუხედავად იმისა, რომ კახეთს წამყვანი ადგილი უჭირავს ხორბლის, ქერის, სიმინდისა და ხილის (მათ შორის, ყურძნის) წარმოების თვალსაზრისით, რეგიონში არასაკმარისი მოცულობით ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება და გადამამუშავებელი კომპანიების რაოდენობა და ხელმისაწვდომი სასაწყობო მეურნეობა არ შეესაბამება მიწოდებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. როგორც ჩანს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება რეგიონისთვის მთავარი გამოწვევაა და მოსახლეობის ცხოვრების დონის (ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და არსებული სამუშაო ადგილების ხარისხის გაუმჯობესების გზით) ამაღლების ეფექტური საშუალებაა.

გურია შედარებით პატარა რეგიონია. მისი მოსახლეობის რაოდენობა 110,500 ადამიანს შეადგენს, მათგან 71% სოფლად ცხოვრობს. გურია არ არის მდიდარი ინდუსტრიული ტრადიციების მქონე რეგიონი. აქ ოდითგანვე დომინირებდა მსუბუქი მრეწველობა, უმეტესად საფეიქრო დარგი და სასურსათო პროდუქტების წარმოება-გადამუშავება. ამჟამად, გურიაში მოქმედი კომპანიების მხოლოდ 7% ჩართულია დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში, რომელთაგან 44% აწარმოებს სასურსათო პროდუქტებსა და უალკოჰოლო სასმელებს, ხოლო 56% კი ჩართულია სამშენებლო მასალის, ავეჯისა და ტანსაცმლის წარმოებაში. წარსულში, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა დიდი რაოდენობისა და ხელსაყრელი კლიმატური პირობების წყალობით, გურია სუბტროპიკული ხილის, კენკრისა და ჩაის მოწინავე მწარმოებელი იყო. დღეს ამ პროდუქციის წარმოება კვლავ გრძელდება, თუმცა ვერ ხერხდება რეგიონის პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენება, რაც განპირობებულია ადგილობრივი მეურნეობების მცირე ზომითა და არასათანადო სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურით (სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები – თხილისა და ჩაის რამდენიმე გადამამუშავებელი საწარმოს გარდა, აგრეთვე სასაწყობე მეურნეობები), თუმცა რეგიონს წამყვანი ადგილი უკავია საქართველოში ჩაის წარმოების თვალსაზრისით, ხოლო თხილის წარმოების კუთხით იგი სიდიდით მეორე მსხვილი მწარმოებელია. კვების მრეწველობის გადამამუშავებელ დარგში, ძირითადად ხილისა და თხილის გადამუშავებაში, ინვესტიციების განხორციელების შედეგად შესაძლებელია ადგილობრივი სამრეწველო ბაზის გაზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით თუკი აღნიშნული ინვესტიციები განხორციელდება ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების განვითარებასთან ერთად.

რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც ტერიტორიისა და მოსახლეობის მიხედვით საქართველოს ყველაზე პატარა რეგიონად ითვლება (რეგიონში მხოლოდ 30 ათასი ადამიანი ცხოვრობს), ყველა სოფელს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვს მინიჭებული. რაჭა-ლეჩხუმში მოქმედი კომპანიების 36,5% საცალო ვაჭრობაშია ჩართული, მომსახურების სფეროში – 13%, ხოლო დამამუშავებელ წარმოებაში (ძირითადად სასურსათო პროდუქტებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება, აგრეთვე ავეჯის დამზადება) – მხოლოდ 10,3% , შემდეგ მოდის მშენებლობა (9,5%) და ტრანსპორტი (3,6%). რაჭა-ლეჩხუმი მეტწილად სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, თუმცა მეურნეობათა მცირე ზომის გამო სოფლის მეურნეობას აქ უმთავრესად სოციალური დატვირთვა აქვს. ძირითადი კულტურებია: სიმინდი, ლობიო, აგრეთვე სხვადასხვა სახეობის ხილი და ბოსტნეული, თუმცა სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ მიმართულებას მევენახეობა და მეღვინეობა წარმოადგენს. რეგიონი აგრეთვე განთქმულია რაჭული ლორით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დიდი პოტენციალის მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის ნაკლებობის გამო (გადამამუშავებელი საწარმოები, სასაწყობო და სამაცივრო ობიექტები და ა.შ.) აღნიშნული პოტენციალის გამოყენება მხოლოდ ნაწილობრივად სხდება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებითა და ტურიზმის

სექტორში (განსაკუთრებით აგრო, ეკო, გამაჯანსაღებელი და სამედიცინო, აგრეთვე ექსტრემალური ტურიზმი) ინვესტიციების განხორციელების მეშვეობით, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვის სფეროში დამატებით ინვესტიციებთან ერთად (მათ შორის, ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ინვესტიციები), შესაძლებელია რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რეგიონული ეკონომიკის ფორმირებაში ოთხივე საპილოტე რეგიონში (მთლიან ბრუნვასა და დასაქმებაში მნიშვნელოვანი წილი აქვთ მხოლოდ იმერეთის მსხვილ საწარმოებს, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მსხვილი საწარმოები არ არის რეგისტრირებული), მათი წვლილი რეგიონულ ეკონომიკაში შეიძლება შეფასდეს როგორც არადამაკმაყოფილებელი.

მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებისა და მათი ბრუნვის მონაცემების თითოეული რეგიონის მდღ-სთან შედარება ცხადყოფს, რომ საწარმოების პროდუქტულობის დონე ძალზე დაბალია, რაც განპირობებულია მანქანა-დანადგარების ცვეთის მაღალი დონითა და ეროვნულ თუ საერთაშორისო ღირებულებათა ჯაჭვთან თანამშრომლობის ნაკლებობით, რაც იწვევს დაბალ კონკურენტუნარიანობას. აღნიშნული პრობლემების უმეტესობა ინვესტიციების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების ნაკლებობასთან არის დაკავშირებული.

საპილოტე რეგიონების საერთო ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მთავარი გამოწვევებია:

- რეგიონებში ინდუსტრიალიზაციის დონე დაბალია და ეკონომიკის მთავარ დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. გადამამუშავებელი სექტორის გარდა, რეგიონებში შესაძლებელია აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების განვითარებაც, თუმცა არსებობს გარკვეული დაბრკოლებები, კერძოდ: წარმოებული საქონლის დაბალი დონე ტექნოლოგიური თვალსაზრისით, კაპიტალდაბანდების მცირე მოცულობა, და, შესაბამისად, მანქანა-დანადგარების ცვეთის მაღალი დონე და ახალი და გაუმჯობესებული პროდუქციის ნაკლებობა.
- სოფლის მეურნეობის გამოუყენებელი პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საპილოტე რეგიონი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წამყვანი მწარმოებელია, სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგი ოთხივე რეგიონში სუსტად არის განვითარებული.
- მცირე და საშუალო საწარმოთა ხვედრითი წილი საპილოტე რეგიონებში მოქმედ კომპანიათა მთლიან რაოდენობაში ძალზე მაღალია და ზოგადად ასახავს მთლიანად საქართველოში არსებულ ტენდენციას, თუმცა მათი წარმოების მაჩვენებლები მდღ-ში, მთლიან დასაქმებასა და ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებში მათი წვლილის თვალსაზრისით ნაკლებად შთამბეჭდავია.

ზემოხსენებული გამოწვევების საპასუხოდ შეთავაზებულ იქნა შემდეგი ღონისძიება, რომელიც განხორციელდება ორი ქვეღონისძიების მეშვეობით:

- **„ა“ ქვეღონისძიება** – *ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა:* მანქანა-დანადგარების შეძენა, მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის დამონტაჟებასთან დაკავშირებით მცირე მასშტაბის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, მომსახურების შეძენა (მათ შორის საკონსულტაციო მომსახურება) ფინანსური მხარდაჭერის გზით. ზემოაღნიშნული განხორციელდება საგრანტო სქემით, რომლის ფარგლებშიც საპილოტე რეგიონების კომპანიებისთვის გამოცხადდება საპროექტო წინადადებების კონკურსი.

- **„ბ“ ქვეღონისძიება** – *ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება* სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობით მათ შორის საერთაშორისო გამოფენების

ორგანიზების მხარდაჭერა; სავაჭრო მისიების ორგანიზება; უცხოური მყიდველების ადგილობრივ და რეგიონულ მეწარმეებთან დაკავშირება; ტრენინგებისა და სხვა კურსების ორგანიზება ქვეღონისძიების ფარგლებში დაფინანსებული კომპანიების თანამშრომლებისთვის.

დაფინანსების წყარო

- საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ახალი საბიუჯეტო ხაზი;
- მეწარმე სუბიექტების თანადაფინანსება.

სხვა ინტერვენციებთან თავსებადობა

რეგიონული ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა ადგილობრივ კომპანიებში ინვესტიციების გაზრდაა. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, განსაკუთრებით საპილოტე რეგიონების მეწარმე სუბიექტებს , მათი წვდომა გარე დაფინანსებაზე შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორ არასაკმარისი. საბანკო სესხების მაღალი ღირებულებისა და მკაცრი უზრუნველყოფის პირობების გამო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მსგავსი სესხის აღება გარკვეულ გამოწვევებს უკავშირდება. არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, თუმცა გრანტების მოცულობა და შედარებით დაბალია, ხოლო სესხის თანადაფინანსების სახით დახმარების მიღება ისევ საბანკო სესხების მაღალ პროცენტს და უზრუნველყოფას უკავშირდება. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ძირითადი სახელმწიფო პროგრამებია: „აწარმოე საქართველოში“ – პროგრამები მეწარმე სუბიექტებისთვის; სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისა და კოოპერატივების ხელშეწყობის მხარდამჭერი პროგრამები.

<u>„აწარმოე საქართველოში“:</u>

- მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა – გრანტები ფიზიკური პირების ეკონომიკური საქმიანობისათვის. 2019 წელს მოსალოდნელია 25,000-მდე განაცხადის მიღება, საიდანაც შეირჩევა პროექტები სხვადასხვა მიმართულებით. პროექტის მთლიანი ღირებულების 20% დაიფარება გრანტის მიმღების მიერ (მაღალმთიან რეგიონში – 10%).

- 2019 წელს შემუშავდა და ამუშავდა საკრედიტო საგარანტიო სქემა, რომლის მიზანიც არის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში, საკრედიტო გარანტია გაიცემა კომერციული ბანკის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე, სესხის ძირი თანხის არაუმეტეს 70%-ის ოდენობით და თითოეული კომერციული ბანკისთვის პროგრამის ფარგლებში არსებული სასესხო პორტფელის არაუმეტეს 15%-ის ოდენობაზე.

- 2014 წლიდან ამუშავდა პროგრამის ინდუსტრიული კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც 2019 წლის აგვისტოს მონაცემებით 441.7 მლნ ლარის მოცულობის შეღავათიანი კრედიტით ისარგებლა 321-მა პროექტმა მთელი საქართველოს მასშტაბით. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მხარდაჭერის დეპარტამენტმა, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით, 2019 წელს (აგვისტოს მდგომარეობით) ორგანიზება და თანადაფინანსება გაუწია საკვები და სასმელი პროდუქტების, საფეიქრო ინდუსტრიის, სათამაშოების და ავეჯის წარმოების მიმართულებით **100**-მდე ქართული კომპანიის მონაწილეობას **12** საერთაშორისო ღონისძიებაში. სულ 2014 წლიდან 50-ზე მეტ საერთაშორისო ღონისძიებაზე 500-ზე მეტი ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი სააგენტოს ფინანსური და ორგანიზატორული მხარდაჭერით.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე კოოპერატივების მხარდაჭერას:

- მთელი საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს სააგენტო სთავაზობს 6 პროგრამას, მათ შორის რამდენიმე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მხარდაჭერა, (მაგალითად: რძისა და ღვინის წარმოება, მეფუტკრეობა), აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციის, ბრენდირებისა და სტანდარტიზაციის ხელშეწყობა.

მაღალმთიანი დასახლებებისათვის გათვალისწინებულია პროგრამა, მაღალმთიან დასახლებებში საძოვრების რაციონალური გამოყენების წახალისებისთვის. სხვადასხვა რეგიონების 39 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მონაწილეობს ამ სახელმწიფო პროგრამაში. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიზნით ახლადდაარსებული კომპანიების მხარდაჭერა (პროექტის ფარგლებში ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფილი იქნება 60 კომპანია; პროექტის ღირებულებაა – 600,000 ლარი, მათ შორის, გრანტი – პროექტის მთლიანი ღირებულების 60%, ბენეფიციართა თანადაფინანსება – 10%, დანარჩენი თანხა – შეღავათიანი კრედიტი). აღნიშნული 60 პროექტი 300 განაცხადიდან იქნა შერჩეული.
- მეფუტკრეობისა და ხილის გადამამუშავებელ დარგში არსებული და ახლად შექმნილი კომპანიების მხარდაჭერა (პროექტის ღირებულება – 100,000 დოლარამდე, აქედან გრანტი – 40%, ხოლო შეღავათიანი კრედიტი – 60%).
- სასაწყობო მეურნეობების მოწყობის მიზნით იურიდიული პირების მხარდაჭერა (გრანტი – 40%, ბენეფიციართა თანადაფინანსება – 60%).
- სოფლის განვითარების ხელშეწყობა – საოჯახო სასტუმროები დამწყები (სტარტაპ) ბიზნესისათვის (რომლის ფარგლებშიც მოხდა 32 პროექტის დაფინანსება).
- შეღავათიანი კრედიტებისთვის გამოყოფილია 50,000,000 ლარი.

პატარა და მცირე მეწარმეობის პროგრამების მხარდაჭერა ასევე ხორციელდება ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო დონორების მიერ. ყველაზე მოცულობითი პროგრამა (5 მილიონი ევრო) ასევე დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. აღნიშნული პროგრამა სრულდება 2019 წლის ბოლოს, დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ: EU4Bussiness და შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან:

- ერთი პროგრამა მიმართულია ინსტიტუციური რეფორმების მხარდასაჭერად (განმახორციელებელი GIZ): "პატარა და საშუალო მეწარმეობის განვითარება და ღრმა და საქართველოში ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. პროექტი მხარს უჭერს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებულ საქართველოში ინსტიტუციურ რეფორმების განხორციელებას.
- მეორე კომპონენტი – EU4Business-EBRD საკრედიტო ხაზი – წარმოადგენს EBRD-EU ერთობლივ ინიციატივას, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის სესხის აღებას ბანკების მეშვეობით (მოქმედებს 2016 წლიდან). დღემდე 100-ზე მეტმა ქართულმა კომპანიამ მიიღო 60 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსება. აღნიშნული პროგრამა სთავაზობს სესხებს მცირე და საშუალო ბიზნესს ადგილობრივი პარტნიორი ბანკების მეშვეობით, რათა დააფინანსოს ინვესტიციები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შესაბამისად ევროკავშირის წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად და დაეხმაროს ბიზნესს, უკეთესად განსაზღვროს ეს ინვესტიციები და გაუმჯობესოს მათი საერთაშორისო კონკურენცია. ინვესტიციები შეიძლება მოიცავდეს აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების განახლებას, ახალი ხარისხის, ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვას.

ღონისძიების აღწერა

აღნიშნული ღონისძიება მოიცავს ორ ქვეღონისძიებას:

> *ა. ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა*
> *ბ. ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება.*

ქვეღონისძიება 3.1.ა. ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

აღნიშნული ქვეღონისძიება განხორციელდება ოთხივე რეგიონში კონკურენტული კონკურსის გამოცხადებით, ინდივიდუალური რეგიონისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების მინიმალური ჭერი იქნება დადგენილი. გრანტები ხელმისაწვდომი იქნება ოთხივე საპილოტე რეგიონის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგის ახალი, მეწარმე სუბიექტებისთვის (მაგ., საფეიქრო, ლითონის ნაკეთობათა წარმოება, ავეჯი და ა.შ.), აგრეთვე წარმოების სექტორებისთვის, რომლებიც იდენტიფიცირებულია „სმარტ სპეციალიზაციის“ სტრატეგიის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. გრანტებით მოხდება ფიქსირებულ აქტივებში (მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა) განხორციელებული ინვესტიციების თანადაფინანსება, რომლის შედეგად განხორციელდება არსებული წარმოების გაფართოება ან ახალი პროდუქციის დანერგვა, აგრეთვე ჩატარდება პროექტის განსახორციელებლად საჭირო სამშენებლო სამუშაოები, ტრენინგები და საკონსულტაციო მომსახურება. ახალი საგრანტო სქემა შეიძლება შემუშავდეს სტარტაპებისთვის და მიკროსაწარმოებისთვის.

ამასთან, ბიზნესჰაბის შექმნასთან დაკავშირებული აქტივობების საბოლოო მიზანია რეგიონის დონეზე შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც განკუთვნილი იქნება შესაბამისი ტექნიკური თუ საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენაზე, ასევე უზრუნველყოფს ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები

- 4 რეგიონში მეწარმე სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომი გრანტების გაცემა;
- მანქანები-დანადგარები, ინვენტარის შეძენა;
- პროექტის (წარმოებისა და შენახვის საშუალებები) ფარგლებში შეძენილი დანადგარებისა და აღჭურვილობის დამონტაჟებასთან დაკავშირებული სამუშაოების მხარდაჭერა;
- მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლებისთვის და მეწარმე სუბიექტებისთვის კონსულტაციების და ტრენინგების უზრუნველყოფა.
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის ბიზნეს ჰაბების შექმნა (პროექტის კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შექმნა/შემუშავება; პროექტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარის შესყიდვა; ბიზნესჰაბის ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (სასწავლო, საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ.);
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის ბიზნესჰაბების შექმნა (პროექტის კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შექმნა/შემუშავება; პროექტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარის შესყიდვა; ბიზნესჰაბის ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (სასწავლო, საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ.);

საიტებისა და სხვა მასალების მომზადება; ბიზნესჰაბების თანამშრომლებისთვის სპეციალიზებული ტრენინგების ორგანიზება).

პროექტის შერჩევის პრინციპები

- გადამამუშავებელი მრეწველობის, მათ შორის სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი და შემოქმედებითი ინდუსტრიის პროექტები
- უპირატესობის მიენიჭება რეგიონულ ცენტრებში და პოსტ-ინდუსტრიულ ქალაქებში განხორციელებული ინვესტიციებთან დაკავშირებულ პროექტებს (კავშირი პრიორიტეტებთან 1 და 2);
- პროექტის გავლენა ექსპორტზე;
- პროექტის გავლენა ახალი სამუშაოების შექმნაზე;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სხვა ალტერნატიული დაფინანსების არარსებობა;
- პროექტისთვის მომზადებულია ბიზნესგეგმა;
- გრანტის მიმღების მხრიდან გათვალისწინებულია თანადაფინანსება;
- უზრუნველყოფილია რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა;
- უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა (რეგიონული, ეროვნული, საერთაშორისო);
- ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბით არსებული ბიზნესსაზოგადოების (ბიზნესის ასოციაცია, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, კლასტერები, რეგიონული განვითარების სააგენტოები) პროექტში მონაწილეობის ინტერესი (ხელმოწერილი შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ).

ქვეღონისძიების შესაძლო განმახორციელებელი უწყება

- სსიპ „აწარმოე საქართველოში“;
- სსიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“.

გრანტის/მომსახურების მიმღები

- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას მოცემულ ოთხ რეგიონში;
- რეგიონებში ბიზნესსაქმიანობით დაინტერესებული პირი/მეწარმე სუბიექტი.

პროექტის ინიციატორები:

- სსიპ „აწარმოე საქართველოში“;
- მუნიციპალიტეტები.

გეოგრაფიული არეალი

ქვეღონისძიება განხორციელდება ოთხივე საპილოტე რეგიონში (გარდა ბიზნესჰაბებთან დაკავშირებული აქტივობებისა, რომლებიც განხორციელდება ოთხივე საპილოტე რეგიონში, თუმცა პირველ ეტაპზე მხოლოდ კახეთსა და იმერეთში.).

ქვეღონისძიება 3.1.ბ. ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება

აღნიშნული ქვეღონისძიება განხორციელდება ექსპორტის მხარდაჭერის აქტივობებისთვის საგრანტო სქემით ან/და კომპანიებისათვის საერთაშორისო ღონისძიებების (მაგ., გამოფენები) დაფინანსების გზით, აღნიშნული შესაძლებლობები ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი კომპანიებისთვის (წარმოებისა და მომსახურების სფეროში), რომლებიც ცდილობენ გააფართოონ თავიანთი საქმიანობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ღონისძიების მიზანია საპილოტე რეგიონების საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია,

რეგიონებში წარმოებული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ექსპორტის მოცულობის ზრდა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები :

- საერთაშორისო გამოფენების ორგანიზების ხელშეწყობა;
- სავაჭრო მისიების ორგანიზება;
- უცხოელი მყიდველების დაკავშირება ადგილობრივ მწარმოებლებთან;
- სავაჭრო პლატფორმა www.tradewithgeorgia.com-ზე რეგისტრაცია;
- საქართველოში არსებულ ექსპორტის პროცედურებზე ინფორმაციის მიწოდება;
- უცხოურ ბაზრებზე არსებულ საბაჟო ტარიფებზე ინფორმაციის მიწოდება;
- ექსპორტმენეჯერების გადამზადება;
- ექსპორტის ხელშეწყობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

პროექტის შერჩევის კრიტერიუმები

- უპირატესობა მიენიჭება გადამამუშავებელ მრეწველობასთან დაკავშირებულ პროექტებს, რომლებიც ასევე კავშირშია სრიგპ-ის სხვა პრიორიტეტების ფარგლებში დაფინანსებულ სექტორებთან და „გონივრული სპეციალიზაციის სტრატეგიასთან“ (არსებობის შემთხვევაში);
- ხელმისაწვდომი იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ბიზნეს-საქმიანობას ოთხ საპილოტე რეგიონში;
- სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ადგილობრივი კომპანიები, რომლებიც ფუნქციონირებენ რეგიონული სპეციალიზაციის მიკუთვნებულ სექტორებში (მათ შორის, “სმარტ“ სპეციალიზაცია) ღვინის ექსპორტის მხარდაჭერის გამონაკლისით, მხოლოდ ზოგიერთი რეგიონისთვის;
- გავლენა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე;
- უპირატესობის მიენიჭება პროექტებს, რომლებიც მოიცავს აქტივობებს სრიგპ-ის სხვა პრიორიტეტების ფარგლებში დაფინანსებულ არეალებში;
- გათვალისწინებული იქნება პროექტის გავლენა რეგიონული ექსპორტის მოცულობაზე;
- გათვალისწინებული იქნება შექმნილი სამუშაო ადგილები.

ქვეღონისძიების განმახორციელებელი უწყება

- სსიპ „აწარმოე საქართველოში“

გრანტის მიმღები:

- 4 საპილოტე რეგიონში მოქმედი მეწარმე სუბიექტები.

პროექტის ინიციატორები:

- 4 საპილოტე რეგიონში მოქმედი მეწარმე სუბიექტები.

გეოგრაფიული არეალი

ქვეღონისძიება განხორციელდება ოთხივე საპილოტე რეგიონში.

აღნიშნული ღონისძიების მყისიერი შედეგის ინდიკატორები

იხ. დანართი 1, ცხრილი 3.

ღონისძიება 3.2. ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერა

მთავარი ამოცანა და მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული ღონისძიების კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენს **რეგიონებში ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ადგილობრივი საწარმოების ინოვაციური შესაძლებლობების დონისა და კვლევა-განვითარების განხორციელებისა და შეძენის შესაძლებლობის ამაღლება.** აღნიშნული ღონისძიების განხორციელება მოხდება მცირე და საშუალო საწარმოების მიერ მათი ტექნოლოგიების განახლების ხელშეწყობის გზით, რაც საშუალებას მისცემს მათ, მიაწოდონ ბაზარს ახალი პროდუქცია და მომსახურება, განავითარონ რეგიონული ღირებულებათა ჯაჭვები და რეგიონული ეკონომიკის პროდუქტულობის დონე. აღნიშნული ზომის კიდევ ერთი მიზანია რეგიონულ საწარმოებს მიეცეს მეტი შესაძლებლობა, განახორციელონ თავიანთი საქმიანობა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო (კვლევა-განვითარება) სამუშაოების შედეგების საფუძველზე, იმისათვის რომ გააუმჯობესონ თავიანთი პროდუქციისა და მომსახურების ტექნოლოგიური დონე და გახდნენ კონკურენტუნარიანები ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.

აღნიშნული ღონისძიება გამიზნულია სამი ჯგუფის საწარმოებზე:

- 4 საპილოტე რეგიონში მოქმედი მეწარმე სუბიექტების უშუალო მხარდაჭერა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის გზით, რაც საშუალებას მისცემს მათ, დაეუფლონ წარმოების ინოვაციურ მეთოდებს, შეიძინონ ახალი მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა ან/და ტექნოლოგიები ახალი პროდუქციის წარმოების ან ახალი სერვისების ბაზარზე მიწოდების მიზნით;
- სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში (R&D) ჩართული საწარმოებისთვის და იმ საწარმოებისთვის, რომლებიც გეგმავენ სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას გათვალისწინებულია გრანტები, რითაც დაიფარება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო (კვლევა და განვითარება) სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებთან დაკავშირებული სერვისების შეძენა, ზემოაღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო მცირე აღჭურვილობის შეძენა, პროტოტიპის შექმნის ღირებულება). დახმარება აგრეთვე შეიძლება მიიღონ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთობლივ პროექტებში მონაწილე კომპანიებმა.

აღნიშნული ღონისძიება უშუალოდ ემსახურება პროექტის მიზანს: „ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოთა სამეწარმეო პოტენციალის, კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდა“. ამასთან, იგი დამატებით გავლენას ახდენს პროგრამის კიდევ ორ ამოცანაზე: „რეგიონული ცენტრების (ქუთაისი, თელავი, ოზურგეთი, ამბროლაური) სოციალურ-ეკონომიკური როლის გაძლიერება“ და „ინდუსტრიული ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური რევიტალიზაცია“, რაც ითვალისწინებს ახალი ინოვაციური პროექტების დანერგვის გზით ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობას.

აღნიშნული ღონისძიების მოსალოდნელი შედეგებია:

- მეწარმე სუბიექტების გაზრდილი პოტენციალი, გამოიყენონ ინოვაციური გადაწყვეტილებები და პროდუქცია;
- რეგიონული მეწარმე სუბიექტების წარმოების გაზრდილი ტექნოლოგიური დონე;
- ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ბაზარზე ახალი პროდუქციისა და სერვისების მიწოდება;

ბიზნესსექტორსა და აკადემიურ წრეებს შორის უფრო ინტენსიური თანამშრომლობა.

ღონისძიების დასაბუთება

საპილოტე რეგიონების ეკონომიკის ინოვაციურობის უაღრესად დაბალი დონის გამო, რეგიონული საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთადერთი საშუალებაა კაპიტალდაბანდება სურსათის გადამამუშავებელ სექტორში – ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, მეღვინეობა, რძის პროდუქტების წარმოება (ყველი, მაწონი, იოგურტი), ხორცის გადამუშავება. გარდა ამისა, იმერეთის რეგიონს აქვს პოტენციალი, იმისათვის რომ ააღორძინოს საბჭოთა პერიოდში პოპულარული ზოგიერთი სამრეწველო დარგი (მაგალითად ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, საფეიქრო მრეწველობა, ფეროშენადნობთა წარმოება). გურიის ოდითგანვე კარგად განვითარებული მსუბუქი მრეწველობა (საფეიქრო დარგი, ავეჯის წარმოება და ა.შ.) რეგიონის რეინდუსტრიალიზაციის საფუძველს ქმნის და ინოვაციური, ტექნოლოგიური თვალსაზრისით მოწინავე წარმოების დანერგვის მეშვეობით ამ პოტენციალის გაზრდის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმს, აქ სურსათის გადამუშავების გარდა არსებობს ავეჯისა და სამშენებლო მასალის დამამზადებელი საწარმოების განვითარების პოტენციალი.

გარდა იმისა, რომ საქართველოსა და მის რეგიონებს აქვთ ძალზე დაბალი უნარი, შექმნან მსოფლიო ბაზარზე რეალიზებადი საქონელი და მომსახურება, რომელთაც შეუძლიათ ეროვნული და რეგიონული ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა, ამ თვალსაზრისით უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და წარმოების განვითარებაზე გაწეული ხარჯების დაბალი მაჩვენებელი (ბიზნესსექტორის დანახარჯები ამ მიმართულებით უაღრესად დაბალია). გარდა ამისა, სამეცნიერო-კვლევით და წარმოების განვითარების სფეროში საწარმოებსა და აკადემიურ წრეებს შორის ნაკლებად ეფექტური და არასისტემატიზირებული ხასიათის თანამშრომლობა აგრეთვე აფერხებს თანამედროვე, ტექნოლოგიური თვალსაზრისით მოწინავე და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარებას.

მაღალი ხარისხის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების რაოდენობა ოთხივე რეგიონში ძალზე მცირეა. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მეშვეობით წარმოების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს:

- საწარმოთა დაბალი ტექნოლოგიური განვითარება;
- ფიქსირებული აქტივების ცვეთის მაღალი დონე;
- საწარმოთა არასაკმარისი მოცულობის რესურსები და გარე დაფინანსებაზე წვდომის დამაბრკოლებელი ფაქტორები;
- კვალიფიკაციის ნაკლებობა (ადამიანური კაპიტალის ხარისხი);
- სამეცნიერო-კვლევით და ბიზნესსექტორს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა.

მეწარმე სუბიექტების წახალისება, მეტად ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევით და წარმოების განვითარების საქმიანობაში, აღნიშნული ზომის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სამეცნიერო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით – ბიზნესსექტორსა და აკადემიურ წრეებს შორის კავშირების დამყარება და თანამშრომლობის გაძლიერება ხელს შეუწყობს რეგიონულ ეკონომიაში დამატებული ღირებულების შექმნას და, შესაბამისად, რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შეთავაზებული ინტერვენცია გათვლილია ადგილობრივი და რეგიონული მცირე და საშუალო საწარმოების სამ ჯგუფზე:

- მოქმედი სამრეწველო საწარმოები, რომელთაც სურთ ინოვაციური საწარმოო მეთოდების დაუფლებითა და მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის შეძენით გაზარდონ წარმოების ტექნოლოგიური დონე, რაც მათ ახალი პროდუქციისა და სერვისების შექმნის საშუალებას მისცემს;
- სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო (კვლევა-წარმოების განვითარება) საქმიანობაში მცირე გამოცდილების მქონე ან გამოცდილების არმქონე საწარმოები, რომლებიც ეძებენ თავიანთი პროდუქციის და სერვისების ხარისხთან ან ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის;

- კომპანიები, რომლებიც სერიოზულად გეგმავენ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო (კვლევა-განვითარება) სამუშაოებში ჩართვას (გარე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისთვის აღნიშნული სამუშაოების შესრულების დაკვეთა, აგრეთვე მათი დამოუკიდებლად ჩატარება), აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივად დაფარვის მიზნით უზრუნველყოფილნი იქნებიან ფინანსური რესურსებით.

ვინაიდან ინოვაციურ ტექნოლოგიებში ინვესტირებისა და სამეცნიერო-კვლევით და წარმოების განვითარების სამუშაოებში ჩართვის შესაძლებლობის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების რიცხვი საპილოტე რეგიონებში ამჟამად დაბალია, აღნიშნული აქტივობები უნდა განვიხილოთ, როგორც შეთავაზებული მიდგომების მოსინჯვის მიზნით განხორციელებული საცდელი ღონისძიება. შედეგად, გაიზრდება მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და წარმოების განვითარებაზე გაწეული ხარჯები, რასაც შედეგად მოჰყვება ტექნოლოგიურად დახვეწილი პროდუქციისა და სერვისების განვითარება. მეწარმეებს შორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სერვისებისადმი ინტერესის გაზრდა ხელს შეუწყობს აღნიშნული სერვისების ბაზრის წარმოქმნას და, შესაბამისად, ბიზნესსექტორსა და სამეცნიერო-კვლევით საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც თავის მხრივ სასარგებლო იქნება რეგიონების ეკონომიკური განვითარებისათვის.

დაფინანსების წყარო

- ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ახალი საბიუჯეტო ხაზი;
- ინტეგრირებული მიერ გამოყოფილი თანადაფინანსება.

სხვა ინტერვენციებთან თავსებადობა

საქართველოს ბიზნესსექტორში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის (კვლევა-განვითარება) მხარდაჭერა ძალზე შეზღუდულია. საქართველოში არსებობს (არსებობდა) მხარდაჭერის შემდეგი სქემები: საქართველოს საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიის სააგენტო, რომელიც 2014 წელს დაფუძნდა. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- მცირე საგრანტო პროგრამა სტარტაპებისთვის და ფიზიკური პირებისთვის იდეების პროტოტიპირებისთვის, საერთაშორისო ღონისძიებებზე მონაწილეობის მიღებისა და პროექტების პოპულარიზაციისთვის და ადგილობრივი ინოვაციების ეკოსისტემის გაძლიერება ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების გამართვით. გრანტის მოცულობა – 5,000 ლარამდეა. საგრანტო პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის გათვალისწინებულია როგორც სატელეფონო კონსულტაციები, ისე ინდივიდუალური შეხვედრები. 2016-2018 წლებში აღნიშნული საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 250-მდე პროექტი.

- კვლევა-განვითარების საქმიანობის კომერციალიზაციისათვის – 2018 წელს, მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით დაწყებულია 2,7 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება და კვლევების კომერციალიზაციის პოტენციალის განსაზღვრა. განსაზღვრა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 1 მილიონი ევრო გამოყოფილია სამეცნიერო ინოვაციებისა და პროექტების განვითარებასა და კომერციალიზაციისთვის (ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა).

- თანადაფინანსების გრანტი სტარტაპებისთვის – 100,000 ლარამდე (10%-იანი თანადაფინანსებით) და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტი – 650,000 ლარამდე (50%-იანი თანადაფინანსებით). თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით დაფინანსებულია 60 სტარტაპი.

- ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება: 2016-18 წლებში გაიხსნა 3 ტექნოპარკი (თბილისში, ზუგდიდში და თელავში) და სააგენტოს დახმარებით, 24 ფაბლაბი (ფაბრიკაციის

ლაბორატორია/ (FabLab), აგრეთვე 5 ინოვაციების ცენტრი – ახმეტაში, რუხში, ბაღდათში, ხარაგაულში და ჭოპორტში.

- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოყენებითი კვლევისთვის შემუშავებული სამეცნიერო გრანტის სქემის ფარგლებში ფინანსდება ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ინოვაციურ საპროექტო წინადადებებზე. შედეგად, შესაძლებელი იქნება მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღება, რომელიც უაღრესად მოთხოვნადი იქნება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნულ პროექტებში მოსალოდნელია ბიზნესორგანიზაციების მონაწილეობა და თანადაფინანსების უზრუნველყოფა, თუმცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხრიდან პროექტის ბიზნესპარტნიორთა თანადაფინანსება გათვალისწინებული არ არის.

გარდა ამისა, ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა/ხორციელდება ორი მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში ინოვაციების განვითარებას:

- თანამშრომლობის პლატფორმა ICT ინდუსტრიით დაინტერესებული მხარეებისთვის, რომელიც მხარს უჭერს წევრი კომპანიების ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე საქმიანი კავშირების დამყარებას, რათა გაიზარდოს ქართული ICT ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ინოვაციების სისტემის განვითარებისა და კლასტერების ჩამოყალიბებისადმი ინსტიტუციური მიდგომა – მეწარმეობის ინტეგრირებული მოდელების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესკავშირების გაღრმავებას, აგრეთვე გააუმჯობესებს მომსახურების, ტექნოლოგიების/ინვესტიციების ხელმისაწვდომობას. ამ კუთხით განხორციელებული აქტივობების შედეგად ჩამოყალიბდა საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების (ICT) კლასტერი – თანამშრომლობის პლატფორმა, რომელიც მხარს უჭერს წევრი კომპანიების ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე საქმიანი კავშირების დამყარებას, რათა გაიზარდოს ქართული ICT ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა.
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შესაძლებლობების გაფართოების მხარდაჭერა, რათა მან შეძლოს განახორციელოს და განავითაროს ინოვაციური და სამეწარმეო პოლიტიკა და საშუალო და გრძელვადიანი შედეგის მქონე პროგრამები, აგრეთვე შეასრულოს კომპლექსური მომსახურების ორგანოს როლი ინოვაციური საქმიანობისთვის. აღნიშნული მხარდაჭერის უზრუნველყოფა უმთავრესად მოხდება ტექნიკური დახმარებისა და დაძმობილების პროექტების სახით, ევროკავშირის წევრი-ქვეყნების სააგენტოებისა და საერთაშორისო დონის სპეციალიზირებული აღმასრულებელი უწყებების მეშვეობით.

ღონისძიების აღწერა

ღონისძიება განხორციელდება საკონკურსო წესით ოთხივე საპილოტე რეგიონში თითოეული რეგიონისთვის გარანტირებული მინიმალური ფინანსური რესურსების დადგენის გარეშე. გრანტები ხელმისაწვდომი იქნება ახალი ან ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ საქმიანობას ან/და ოპერირებენ „სმარტ სპეციალიზაციის სტრატეგიის“ ფარგლებში იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ სექტორებში. გრანტები ასევე ხელმისაწვდომი იქნება იმ კომპანიებისთვის, რომლებიც სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ინსტიტუციებთან ერთობლივად ახორციელებენ პროექტებს.

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები :

- ინოვაციების ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- IT აკადემიის ფორმირება;
- ციფრული ნომადების პროგრამა რეგიონებში;
- ინოვაციური წარმოების მეთოდების შეძენა;

- მანქანა – დანადგარებისა და ტექნიკის შეძენა;
- სამშენებლო / სარემონტო სამუშაოები და სხვა მომსახურებების უზრუნველყოფა, შეძენილი მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკის დანერგვისა და გამოყენების მიზნით;
- ტრენინგები მხარდაჭერილი კომპანიების თანამშრომლებისთვის;
- სამრეწველო დიზაინთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა;
- პროტოტიპების შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- პროდუქციის ხარისხის შემოწმებასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა;
- საგრანტო სქემის დანერგვა კომპანიების კვლევა-განვითარებისკენ მიმართული აქტივობებისთვის;
- კვლევა – განვითარების ღონისძიებების ჩატარებისთვის საჭირო მცირე ტექნიკის შეძენა.

პროექტის შერჩევის კრიტერიუმები

საინოვაციო პროექტების შემთხვევაში:

- ხელმისაწვდომი ოთხივე საპილოტე რეგიონის იურიდიული პირებისთვის;
- პროექტის შედეგად უნდა შეიქმნას ახალი პროდუქცია და სერვისები;
- გამიზნულია მხოლოდ სამრეწველო (მათ შორის შემოქმედებითი) საწარმოებისთვის;
- გავლენა საწარმოს პროდუქტიულობაზე;
- პროექტისთვის შემუშავებული ბიზნესგეგმის არსებობა;

სამეცნიერო – კვლევითი პროექტების შემთხვევაში:

- ხელმისაწვდომია იმ იურიდიული პირის პროექტებისთვის, რომელიც რეგისტრირებულია და ახორციელებს ბიზნესსაქმიანობას საპილოტე რეგიონებში;
- სამეცნიერო – კვლევითი პროექტი სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ დადებითად შეფასებულია;
- სამეცნიერო ინსტიტუტთან (საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონული) თანამშრომლობა უზრუნველყოფილია ან/და საკუთარი მეცნიერები აყვანილია პროექტის განსახორციელებლად.

ქვეღონისძიების შესაძლო განმახორციელებელი უწყება

- სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო“
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში მომუშავე ორგანიზაციები;
- სხვა კვლევითი დაწესებულებები.

გრანტის მიმღები:

- მეწარმე სუბიექტები, რომლებიც 4 რეგიონში ახორციელებენ ბიზნესაქტივობებს

პროექტის ინიციატორები:

- მეწარმე სუბიექტები, რომლებიც 4 რეგიონში ახორციელებენ ბიზნესაქტივობებს

გეოგრაფიული არეალი

ქვეღონისძიება განხორციელდება ოთხივე საპილოტე რეგიონში.

აღნიშნული ღონისძიების მყისიერი შედეგი

იხ. დანართი 1, ცხრილი 3.

პრიორიტეტი 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება

ღონისძიება 4.1 ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა

მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ეკონომიკური ბაზის განვითარებას ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთების და პროდუქციის შენარჩუნებისა და გაფართოების გზით და ასევე ხელი შეუწყოს **დაშორებულ ტერიტორიებზე** ტურიზმის განვითარებას ოთხ საპილოტე რეგიონში. ღონისძიების ფარგლებში მხარდაჭერა მოხდება მცირე გრანტების სახით, რომელიც გაიცემა ადგილობრივი პარტნიორების მიერ შემოთავაზებული პროექტების განსახორციელებლად შესაბამისი პროექტების ინიციატორებთან (ადგილობრივი მეწარმე სუბიექტები, ხელნაკეთების მწარმოებლები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები) თანამშრომლობით ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და მარკეტინგისთვის. გრანტები ხელმისაწვდომი იქნება იმ პროექტების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრადიციულ რეწვას და პროდუქციის განვითარებას და კომერციალიზაციას, მის მარკეტინგსა და პოპულარიზაციას (მათ შორის ადგილობრივი ბაზრობებისა და გამოფენების ორგანიზების გზით). აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს მოცემული არეალის ეკონომიკური განვითარების საერთო გეგმის ნაწილს.

დახმარება გაეწევათ მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც შეირჩევა მუნიციპალიტეტების მიერ, ადგილობრივი პარტნიორობის მხარდაჭერით, რომელიც შედგება ადგილობრივი ხელისუფლებისგან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან და ბიზნესისგან, რომელიც შეიქმნება მე-4 პრიორიტეტის რეალიზაციის მიზნით.

აღნიშნული ღონისძიება გააუმჯობესებს დაშორებული ტერიტორიების უნიკალურ პოტენციალზე დაფუძნებულ ბიზნეს შესაძლებლობებს, გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის დონეს და ასევე სიცოცხლის ხარისხს ოთხ საპილოტე რეგიონში. მოცემული ღონისძიების განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- ადგილობრივი ხელნაკეთი პროდუქციის შენარჩუნება;
- ადგილობრივი ხელნაკეთებისა და პროდუქციის კომერციალიზაცია;
- ვიზიტორებისათვის დასახლების მიმზიდველობის გაზრდა;
- ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა.

ღონისძიების განხორციელება პირდაპირ კავშირშია 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში გაწერილ მე-4 პრიორიტეტის ღონისძიებებთან: 4.1. რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა: მცირე მასშტაბის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება. 4.2. სოფლის ტიპის დასახლებების განვითარება. 4.3. მაღალმთიანი რეგიონების განვითარება.

ღონისძიების განხორციელების დასაბუთება

წინა თავებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით (იხილე თავი II, III, მე-4 პრიორიტეტის აღწერა) დაშორებულ ტერიტორიებზე (განსაკუთრებით მაღალმთიან და სოფლის ტიპის დასახლებებში, ასევე იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მდებარეობენ ქალაქებისა და ძირითადი საკომუნიკაციო გზებისგან მოშორებით) არ ხდება არსებული, არასასოფლო-სამეურნეო პოტენციალის განვითარება. აღნიშნულის მიზეზებად გვევლინება: ამისათვის საჭირო ფინანსური რესურსების არარსებობა, მოსახლეობას არასაკმარისი უნარ-ჩვევები, საბაზისო ტექნიკური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და არსებული საჯარო – მომსახურების დაბალი ხარისხი. ამ დასახლებების უმრავლესობა დგას საშიშროების წინაშე,

რომ დაიკარგოს ადგილობრივი რეწვის ტრადიციები (რადგან არ არსებობს გასაღების ბაზრები და სახეზეა ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება და დაბერება). ამავე დროს ამ ტერიტორიებს აქვთ ტურიზმის განვითარების მაღალი პოტენციალი (ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრე), რაც შედარებით მცირე მხარდაჭერის პირობებში შეიძლება გახდეს მთელი რეგიონის ეკონომიკური გაძლიერების საფუძველი. აღნიშნული მხარდაჭერის ქვეშ მოიაზრება დახმარება შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ტექნიკურ აღჭურვაში, მოქალაქეების უნარების ამაღლებაში და მათ შორის თანამშრომლობის გაძლიერებაში. მოცემული ღონისძიების განხორციელებისათვის შერჩეულია მიდგომა, რაც გულისხმობს მოქალაქეების, ადგილობრივი მთავრობისა და ბიზნესის გააქტიურებას, რათა მათ ურთიერთთანამშრომლობის გზით გადაწყვიტონ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიმართულებები. ასეთი მიდგომა უკვე ხორციელდება იმ ადგილობრივი ჯგუფების მიერ, რომელიც შეიქმნა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ეგიდით, თუმცა მათი მოქმედების არეალი ძალიან შეზღუდულია. ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის (PIRDP) ფარგლებში ფოკუსირება მოხდება არასასოფლო – სამეურნეო ადგილობრივ აქტივობებზე.

დაფინანსების წყაროები

- სრიგპ-ს განხორციელებისთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარებიდან;
- თანადაფინანსება ბიზნესისგან და შესაძლოა მუნიციპალიტეტების მხრიდანაც.

სხვა ინტერვენციებთან თავსებადობა

ადგილობრივი ხელნაკეთების შენარჩუნება და ახალი ხელნაკეთების წარმოება სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალთან ერთად სოფლის მოსახლეობის შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული ENPARD-ის პროგრამის, რომელიც საქართველოში 2013 წლიდან ფუნქციონირებს ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. ENPARD III-ის (77,5 მილიონი ევრო), რომლის განხორციელება 2018 წლიდან დაიწყო, მთავარი მიზანია რეგიონებში სიღარიბის დონის შემცირება. ის შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან:

- **სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდა.** აღნიშნული მოიცავს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერას, შეიმუშაოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკა, ფერმერების ფინანსური რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის ზრდას, აგრობიზნესების ტრენინგებს, საქონლის ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებასა და სასურსათო უსაფრთხოების ხარისხისა და სტანდარტების, პროცედურების, ინსპექციისა და კონტროლს გაუმჯობესებას.
- **სასოფლო დასახლებებში დასაქმებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.** აღნიშნულ პროგრამას გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებს ევროკავშირის დელეგაციის მხრიდან პირდაპირი გრანტებით საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა რეგიონში, მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც. ეს კომპონენტი ფოკუსირდება სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და მმართველობის გაუმჯობესებაზე, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიცირებაზე, მდგრად გარემოსდაცვით პრაქტიკებზე და სოფლის განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაზე. სპეციფიური საპილოტე ინიციატივები (ევროკავშირის გამოთანაბრების პოლიტიკის ქვეშ არსებული LEADER-ის მიდგომის გამოყენებით) ხორციელდება ადგილობრივი განვითარების ჯგუფების მეშვეობით, რომლებიც დაფუძნებულია საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, საიდანაც 2 მუნიციპალიტეტი მდებარეობს საპილოტე რეგიონებში: დედოფლისწყარო და ლაგოდეხი (კახეთი). იგეგმება დამატებითი განვითარების ჯგუფების შექმნა წყალტუბოში (იმერეთი) და წალკაში (ქვემო ქართლი). მხარდაჭერილი პროექტები (ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, დასაქმების

დივერსიფიკაციისა და შემოსავლების წყაროების დივერსიფიცირების მხარდაჭერა, სოციალური ინფრასტრუქტურა და სხვა ინიციატივები) უნდა იყოს შემუშავებული ადგილობრივ დონეზე და უნდა ემთხვეოდეს ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის სტრატეგიას. 2020 წლისთვის დაგეგმილია ახალი ENPARD IV-ის განხორციელება, რომელსაც ასევე ექნება ორი კომპონენტი: სოფლის განვითარება და სასურსათო უსაფრთხოება.

ღონისძიების აღწერა

ღონისძიება განხორციელება შედგება ორი საფეხურისაგან:

ა) რეგიონული კონკურსის გამოცხადება საპროექტო იდეებისა და ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების შესამუშავებლად;
ბ) რეგიონული კონკურსის გამოცხადება საპროექტო წინადადებების მისაღებად.

მიღებული საპროექტო იდეები და საპროექტო წინადადებები უნდა ემთხვეოდეს ღონისძიებების მიზნებს, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტებთან. საპროექტო იდეებისა და წინადადებების მოწონებაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭო.

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები:

- ადგილობრივი პროდუქციის წარმოების პროცესის/ტექნოლოგიის ადაპტაცია ტრადიციულ რეცეპტებთან;
- ახალი პროდუქტების შექმნისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა;
- ტრადიციული ხელნაკეთების და პროდუქტების მარკეტინგული აქტივობები (დისტრიბუციის ახალი ქსელები, მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტები, ახალი დიზაინი, შეფუთვა);
- ისტორიულად მნიშვნელოვანი ტრადიციული ხელნაკეთების, პროდუქციისა და მომსახურების აღდგენა;
- წარმოების, გამოფენებისა და ტრადიციული ხელნაკეთების და პროდუქციის გაყიდვის მიზნით შენობების მოდერნიზაცია/ადაპტაცია;
- ადგილობრივი პროდუქტების ფესტივალების ორგანიზება;
- საგამოფენო დარბაზებისა და მცირე მუზეუმების მოწყობა;
- მხარდაჭერილი მეწარმე სუბიექტების ტრენინგები.

პროექტების შერჩევის კრიტერიუმები

- ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტის არსებობა, რომელშიც აღწერილი იქნება მიზნობრივი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო დაგეგმილი ღონისძიებები და პრიორიტეტები[45] (მაგალითად ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა – M4EG; მუნიციპალური განვითრების გეგმა – UNDP პროგრამა და სხვა);

იმ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც თანამშრომლობენ ადგილობრივ დონეზე;

- კახეთში კოორდინაცია ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფებთან (ამჟამად აღნიშნული რელევანტურია მხოლოდ კახეთისათვის, ხოლო სამომავლოდ ასევე იმერეთის რეგიონისათვის);
- დაფინანსების იმ სხვა წყაროებთან კოორდინაცია, რაც ნახსენებია „სხვა ინტერვენციებთან თავსებადობაის“ ნაწილში:“ [46]

[45]მინიმალური კრიტერიუმი ასეთი განვითარების გეგმისათვის არის მისი შემუშავება დონორთან ერთად.

[46]გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შემდგომ ეტაპზე დასაშვებ პროექტებს შორის შესაძლებელია არსებობდეს მკაცრი სადემარკაციო ხაზები.

- ზეგავლენა ბიზნესის ბრუნვაზე;
- კავშირი მოქალაქეების ტრადიციულ საქმიანობასთან ;
- ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე;

გრანტის მიმღები:

- ადგილობრივი მეწარმეები;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

პროექტების ინიციატორები

- ადგილობრივი მეწარმეები მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

გეოგრაფიული არეალი:

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების დონეზე იდენტიფიცირებული სოფლები და ქალაქის ტიპის მცირე დასახლებები (დაბა) წარმოადგენს სამიზნე ტერიტორიებს.

ღონისძიების შედეგების ინდიკატორები

იხილე დანართი 1, ცხრილი 3.

ღონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა

მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი ბიზნესსაქმიანობების ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის, ტურისტული შეთავაზების გაუმჯობესება და შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება. ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით დაფინანსდება სხვადასხვა სახის ტექნიკური ინფრასტრუქტურა. ღონისძიება განხორციელდება საპილოტე რეგიონების ყველაზე დაშორებული ტერიტორიების შეზღუდული რაოდენობის სოფლებში (სასურველია იგივე ტერიტორიებზე, რომლებშიც ხორციელდება ღონისძიება 4.1), სადაც დამატებითი ინვესტიციები ხელს შეუწყობს ახალ ეკონომიკურ საქმიანობას ტურიზმის კუთხით. ინფრასტრუქტურის ჩამონათვალი, რომლის განვითარების ხელშეწყობაც მოხდება, საკმაოდ ფართოა: საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა (წყლის მიწოდება, წყალარინება, დასუფთავების მოწყობილობები), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (ადგილობრივი გზები, პარკინგის ადგილები); ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა (ელექტრობა, გაზის მიწოდება) და ასევე მცირე მასშტაბის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებასა და სხვა ტიპის ადგილობრივ საქმიანობებს.

მხარდაჭერა გაეწევათ მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც შეირჩევა მუნიციპალიტეტების მიერ, ადგილობრივი პარტნიორობის მხარდაჭერით, რომელიც შედგება ადგილობრივი ხელისუფლებისგან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან და ბიზნესისგან, რომელიც შეიქმნება მე-4 პრიორიტეტის რეალიზაციის მიზნით.

მოსალოდნელი შედეგები:

- ბიზნესისთვის რეგიონის მიმზიდველობის ზრდა;
- ვიზიტორებისათვის რეგიონის მიმზიდველობის ზრდა;
- ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის მდგომარეობის გაუმჯობესება

გრძელვადიანი პერსპექტივით აღნიშნული ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, საჯარო – მომსახურების ხარისხის გაზრდას და რეგიონში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ღონისძიების განხორცილების დასაბუთება

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს დაშორებული ტერიტორიების განვითარებაზე, არის შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. მე-4 პრიორიტეტის აღწერისას ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ზოგადად მიზნობრივი რეგიონები და განსაკუთრებით კი მათი დაშორებული ტერიტორიები (პერიფერიული სოფლისა და მაღალი მთის დასახლებები) ძალიან ცუდად არიან აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკური ინფრასტრუქტურით. ინფრასტრუქტურის ნაკლებობა უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივი ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში ინვესტირების პერსპექტივებზე, მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხზე და ფაქტობრივად წარმოადგენს ემიგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს. ამ რეგიონებში დაკავშირებადობა დაბალია, რის მიზეზად გვევლინება უვარგისი ადგილობრივი საავტომობილო გზების ქსელი, რადგან ეს ხელს უშლის ადგილობრივი პროდუქციის ტრანსპორტირებას და ხალხის გადაადგილებას, რათა მათ შეძლონ მუშაობა და განათლების მიღება. კვლავ არსებობს უამრავი სოფელი, რომელთა მაცხოვრებლებს არ მიუწვდებათ ხელი სასმელ წყალზე მათ საკუთარ საცხოვრებელ სივრცეში (რაც უზრუნველყოფილია წყლის მილების ან საკუთარი ჭაბურღილების მეშვეობით). სოფლად პრაქტიკულად არ არსებობს წყალარინების სისტემა. არსებული მონაცემებით, 2017 წელს იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ოჯახების მხოლოდ 50% იყო უზრუნველყოფილი სასმელი წყლის ხელმისაწვდომობით საცხოვრებელ სახლებში, კახეთში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო და უტოლდებოდა 35%-ს. წყალარინებისა და წყლის მომარაგების მდგომაროების შეფასებისას სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ 2013 წელს საქართველოს UNICEF -ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომელიც შეისწავლიდა წყლის, წყალარინებისა და ჰიგიენის მდგომარეობას აღნიშნულ დაწესებულებებში. ციფრები გვიჩვენებს, რომ სოფლების სკოლების 80%-ში წყალმომარაგების სისტემები შენობების გარეთაა განთავსებული. ინსპექტირებული სოფლის სკოლების უმრავლესობაში წყლის სისტემა არ ფუნქციონირებს. შემოწმებული სკოლებიდან მხოლოდ ხუთიდან ერთ სკოლაში მდებარეობს ტუალეტი შენობის შიგნით. სოფლის სკოლების მხოლოდ 40% აქვს წყალარინება (მათ შორის ჩათვლილია დაუსრულებელი წყალარინების სისტემებიც). შემოწმებული სკოლების ნახევარში ნარჩენების შეგროვება ხდება შენობის შიგნით, ან მის მახლობლად. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლიდან ამ სფეროში მიღწეულ იქნა გარკვეული პროგრესი, მდგომარეობა მაინც საჭიროებს გაუმჯობესებას. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის (UWSCG) მონაცემების მიხედვით, იმერეთის რეგიონში არის 57 დ (სოფლები და ქალაქის ტიპის მცირე დასახლებები), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 15 სოფელი, გურიაში 24, ხოლო კახეთში 32 სოფელი, სადაც ჯერ კიდევ არ არის წყალი და წყალარინების სისტემა.

დაფინანსების წყაროები

- სრიგპ-ს განხორციელებისთვის გამოყოფილი ახალი საბიუჯეტო ხაზი (ევროკავშირის მხარდაჭერა);
- თანადაფინანსება მუნიციპალიტეტების მხრიდან.

სხვა ინტერვენციებთან თავსებადობა

- **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი –** საქართველოს სახელმწიფო

ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდი, საიდანაც 75% იხარჯება ადგილობრივი პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფო სერვისებზე წვდომის გასაუმჯობესებლად (მაგ., გზების რეაბილიტაცია, წყალმომარაგება და კანალიზაციის სისტემა, მიწისქვეშა კომუნიკაციები, ხიდები), ქუჩის განათება, ნარჩენების მართვა, სახლები და საზოგადოებრივი შენობები). ყველა პროექტი შესაბამისობაში უნდა იყოს რეგიონალური განვითარების სტრატეგიასთან. პროექტების არჩევა ხორციელდება რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ, ემყარება მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილ წინადადებებს და რომლებსაც შესაბამისი სამხარეო საკონსულტაციო საბჭო ამტკიცებს.

- **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** – 2018 წლიდან პროგრამა მხარს უჭერს მცირე მასშტაბის პროექტებს, რომელიც მნიშვნელოვანია სოფლის განვითარებისთვის, მათ შორის გზების, **წყლისა და სხვა. მუნიციპალიტეტები ირჩევენ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ შემოთავაზებულ** პროექტებს. ფინანსური სახსრები განაწილებულია სოფლების მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. წინასწარი გათვლებით, ოთხ საპილოტე რეგიონში 2020-2021 წლებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეიძლება დახარჯოს 15 მილიონი ლარზე მეტი.

- **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი** – განხორციელება დაფუძნებულია საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიაზე. თანხები გამოიყოფა მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მქონე დასახლებებისთვის და იხარჯება გზების, ჩამდინარე წყლების, საბავშვო ბაღების, სპორტული ობიექტების და ა.შ. რეაბილიტაციასა და მშენებლობაზე და გამოიყოფა დასახლებული პუნქტების მაცხოვრებელთა რაოდენობის მიხედვით. წინასწარი გათვლებით, ოთხ საპილოტე რეგიონში RDP 2019-2021 წლებში შეიძლება დახარჯოს დაახლოებით 10. მილიონი ლარი.

- **ENPARD**[47] – პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირი მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდას, ასევე სოფლის ტიპის დასახლებების განვითარებას. პროგრამა ხორციელდება FAO-ს (სოფლის მეურნეობის ნაწილი) და გაეროს განვითარების პროგრამის (სოფლის განვითარების ნაწილი) მეშვეობით. ამასთან, პროგრამა აფინანსებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტებს. სოფლის განვითარების მხარდასაჭერად, პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 9 ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAGs), აქედან, 2 მოქმედებს კახეთში (ლაგოდეხში და დედოფლისწყაროში). ამჟამად, ENPARD III–ის ფარგლებში დაფუძნებულია ორი ახალი ჯგუფი, მათ შორის ერთი იმერეთში (წყალტუბო).

- **აზიის განვითარების ბანკი** – 2020 წლიდან, აზიის განვითარების ბანკისგან მიღებული სესხის (106,43 მილიონი ევრო) ფარგლებში დაფინანსდება კახეთის რეგიონში (ჩრდილოეთ კახეთის კლასტერი: გურჯაანი, ახმეტა და თელავი) უკვე იდენტიფიცირებული, ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტები. პროექტი ხელს შეუწყობს შერჩეული გეოგრაფიული კლასტერების კომპლექსურ განვითარებას, კერძოდ, გზების, წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების სისტემის, ტურისტული ინფრასტრუქტურის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით შერჩეული დასახლებული პუნქტების აღორძინებას.

ღონისძიების აღწერა

ამ ღონისძიების ქვეშ მხარი დაეჭირება შენობების რეაბილიტაციას, ახალი ტექნიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ბიზნესების და ტურისტების მოზიდვას და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. აღნიშნული ღონისძიების განხორციელება მოხდება საგრანტო სქემით მუნიციპალიტეტების შეზღუდული

[47] უფრო მეტი ინფორმაცია იხილეთ ღონისძიება 4.1-ის აღწერის ნაწილში.

რაოდენობის სოფლებისა და დაბებისთვის, რომლების იდენტიფიცირება მოხდება რეგიონულ დონეზე.

პროექტების შერჩევის პროცედურას გააჩნია ორი საფეხური:

ა) რეგიონული კონკურსის გამოცხადება საპროექტო იდეებისა და ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების შესამუშავებლად;
ბ) რეგიონული კონკურსის გამოცხადება საპროექტო წინადადებების მისაღებად.

მიღებული საპროექტო იდეები და საპროექტო წინადადებები უნდა ემთხვეოდეს ღონისძიებების მიზნებს, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტებთან. საპროექტო იდეებისა და წინადადებების მოწონებაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭო.

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები:

- ბიზნესთან ან სხვა ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განახლება (რომლებიც მოქალაქეებსა და ტურისტებს ემსახურება, მათ შორის, რეკრეაციული ზონების ორგანიზება/რეაბილიტაცია, ქუჩები, ტროტუარები, პარკირების ადგილები, შადრევნები, სკვერები, ძეგლები, ბავშვებისთვის სპორტული მოედანი, სპორტული ობიექტები);
- კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- ტურისტული ან სხვა სახის მომსახურებების შეთავაზების მიზნით სახელმწიფო შენობების განახლება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა;
- ადგილობრივი გზების (და თანმხლები ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება, რაც ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს;
- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის უზრუნველმყოფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზების გაყვანა/მონტაჟისთვის საჭირო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების, მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების, ღარების (სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია) მოწყობა.

პროექტების შერჩევის კრიტერიუმები

- პროექტები შერჩეულია ადგილობრივი თანამშრომლობის საფუძველზე;
- ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტის არსებობა;
- კოორდინაცია ადგილობრივი განვითარების ჯგუფებთან კახეთში (ამჟამად აღნიშნული რელევანტურია მხოლოდ კახეთისათვის, ხოლო სამომავლოდ ასევე იმერეთის რეგიონისათვის);
- ზეგავლენა ბიზნესის ბრუნვაზე;
- ზეგავლენა ვიზიტორების რაოდენობაზე;
- ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე;
- მდგრადობის უზრუნველყოფა (პროგრამების დასრულების შემდეგ შენარჩუნებისათვის საჭირო თანხების დაფარვა);
- 4.1 და 4.3 ღონისძიებების ქვეშ აღწერილ საქმიანობებთან კავშირი.

გრანტის მიმღები:

- მუნიციპალიტეტები.

პროექტის ინიციატორები:

- მუნიციპალიტეტები.

გეოგრაფიული არეალი:

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების დონეზე შეთანხმებული სამიზნე ტერიტორიების სოფლები და დაბები.

ღონისძიების შეფასების კრიტერიუმები

იხილე დანართი 1, ცხრილი 3.

ღონისძიება 4.3 ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა და მიწოდების გაუმჯობესება

მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

ღონისძიების მიზანია ადგილობრივი სოციალური ინფრასტრუქტურის და ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა (მათ შორის IT სერვისების) და მიწოდების გაუმჯობესება.

ღონისძიება განხორციელდება საპილოტე რეგიონების მუნიციპალიტეტებისა და სოფლების შეზღუდულ რაოდენობაში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეზღუდული აქვს ხელმისაწვდომობა საბაზისო ადგილობრივ – მომსახურებაზე, მაგალითად სკოლამდელი სერვისები, დაწყებითი განათლება, საბაზისო ჯანდაცვა და სხვა. ამ მხრივ ღონისძიების განხორციელება მჭიდროდ არის დაკავშირებული სრიგპ-ს სხვა ღონისძიებებთან, რომლებიც ხორციელდება მე-4 პრიორიტეტის ქვეშ: ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება.

მხარდაჭერა გაეწევათ მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც შეირჩევა ადგილობრივი ხელისუფლების, მოსახლეობის, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მე-4 პრიორიტეტის განხორციელების მიზნით შექმნილი ბიზნესების პარტნიორობის შედეგად.

მოსალოდნელი შედეგი:

- სამიზნე ტერიტორიებზე სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურების ხარისხის მიწოდებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი მოსახლეობისათვის ადგილობრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას და ცხოვრების ხარისხის გაზრდას.

ღონისძიების განხორციელების დასაბუთება

როგორც ევროკავშირის მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, ადგილობრივი – მომსახურების (ძირითადი კომუნალური სერვისები) ხელმისაწვდომობა და ხარისხი მრავალმხრივად ახდენს გავლენას რეგიონების განვითარებაზე. საქართველოში დაშორებული ტერიტორიების (სოფლის, პერიფერიულ და მაღალმთიან ნაწილში) უმრავლესობაში მოსახლეობის დაბალი ხელმისაწვდომობა საბაზისო სერვისებზე (სკოლამდელი და დაწყებითი განათლება, საბაზისო ჯანდაცვა, ასევე ადმინისტრირების ხარისხი) და ამ სერვისების დაბალი ხარისხი, ტრანსპორტის შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან და განუვითარებელ ინფრასტრუქტურასთან ერთად, წარმოადგენს ამ ტერიტორიების დაბალი

განვითარებისა (და სამომავლოდ დაბალი პერსპექტივების) და ცხოვრების დაბალი ხარისხის ძირითად მიზეზს. თავის მხრივ ამ დასახლებებში ინტენსიურად მიმდინარეობს მოსახლეობის გარე მიგრაციის პროცესი და მწირი ადამიანური კაპიტალის გამო ეს ტერიტორიები ვერ ახერხებენ ინვესტიციების მოძიებას.

სხვა ინტერვენციებთან თავსებადობა

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიებში ძირითადი სერვისების მიწოდება უზრუნველყოფილია ცენტრალური ხელსუფლების მიერ (როგორიცაა ძირითადი ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება) დარგობრივი სამინისტროები უნდა იყვნენ ჩართულნი ადგილობრივი სოციალური პროექტების შერჩევის პროცესში.

აღნიშნული ღონისძიებით გათვალისწინებული აქტივობა უნდა იყოს კოორდინირებული საჯარო ადმინისტრაციის რეფორმით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან (გზამკვლევი 2020 მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წელს), რომლის მიზანია სახელმწიფო ადმინისტრაციის ეფექტურობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება ევროპის სახელმწიფო მმართველობის პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული რეფორმა ევროკავშირის მიერ იყო მხარდაჭერილი (SSF 2014-2017 წლებში SSF- ის ფარგლებში 30 მილიონი ევრო და იგივე თანხა, SSF 2018-2021 წლებისთვის). აღნიშნული რეფორმის, რომელიც შედგება 6 მიმართულებისგან, პოლიტიკის განვითარება და თანამშრომლობა, ადამიანური რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულება, მომსახურების მიწოდება, საჯარო ფინანსების მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა) უშუალო კავშირშია ადგილობრივი სერვისების მიწოდებასა და ელექტრონულ მმართველობასთან.

საჯარო სამსახურის ბიურო (სსიპ) პასუხისმგებელია პროფესიული, კარიერაზე ორიენტირებული საჯარო სამსახურის განვითარებაზე და გამჭვირვალე მმართველობის განვითარებაზე, რომელიც აკმაყოფილებს უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს და ეხმარება კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკის განხორციელებას საჯარო უწყებებში. 2009 წლიდან ბიურო ახორციელებს ელექტრონული მმართველობის პროექტებს, რომლებიც მხარს უჭერენ ყველა სამთავრობო მომსახურებს ინტერნეტსივრცეში გადატანას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს მუნიციპალიტეტებში დაინერგება **მუნიციპალური ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმა**. განმახორციელებელია სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“, რომლის ფარგლებში ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (MSDA), თბილისის მუნიციპალიტეტის გამოცდილების გაზიარებით, რომლის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობისა და გამჭირვალობის გაზრდა, ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტის შექმნის გზით.

პროექტის სამ ძირითად სისტემას გააერთიანებს: მუნიციპალიტეტის თანამშრომლის სამუშაო პანელი – ინფორმაციული ნაკადების ერთიანი დამუშავების სისტემა; მოქალაქის მუნიციპალური კაბინეტი – ონლაინსერვისების სისტემა; ინტერაქტიული რუკა – გეოსივრცითი მონაცემების მართვის სისტემა.

პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების ხანგრძლივობა მოიცავს 25 თვეს და ფარავს 63 მუნიციპალიტეტს. პროექტის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტების შეფასება, მოდულების ადაპტაცია/შემუშავება და დანერგვა. შეფასება და დანერგვა დაყოფილია სამ ეტაპად – თითოეულ ეტაპზე სერვისები დაინერგება 21 მუნიციპალიტეტში, ჯამში, 63 მუნიციპალიტეტში დაინერგება 17 მოდული/სერვისი: HR – ადამიანური რესურსების მართვა, ელექტრონული კანცელარია, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა, ონლაინ განცხადებები, სივრცითი მოწყობის მართვის სისტემა

ინტერაქტიული რუკა, საკრებულოს საქმისწარმოება, პროექტების ციკლის მართვა (ინფრასტრუქტურული ობიექტების მართვა), მოქალაქის დახმარება, იდეა მერს, უფასო სასადილოების ბენეფიციართა მართვა, პარკირების მართვა, ტაქსების აღრიცხვიანობა და მონიტორინგი, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვა, მუნიციპალური კალენდარი, დასუფთავება და ნარჩენების მართვა, აქტივების მართვა, სივრცითი მოწყობის მართვის სისტემა, რეკრეაციული ტერიტორიები. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტების თანამშრომლებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგები.

2011 წლიდან **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** ახორციელებს სოფლებში „საზოგადოებრივი ცენტრების“ დაფუძნების პროგრამას მთელს საქართველოში. საზოგადოებრივი ცენტრები სთავაზობენ 200-ზე მეტ მომსახურებას, ბიბლიოთეკას, წიგნებს როგორც დაბეჭდილი ასევე ელექტრონული ფორმით, 24-საათიან უსადენო უფასო ინტერნეტსა და საკონფერენციო დარბაზს, აგრეთვე საბანკო მომსახურებებს (ლიბერთი ბანკისა და მაგთიკომის სატელეკომუნიკაციო ოპერატორის სპონსორთან თანამშრომლობით). 2019 წლის მაისისთვის ქვეყნის მასშტაბით 65 „საზოგადოებრივი ცენტრი“ ფუნქციონირებს, რომლებიც სთავაზობს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებას (მაგ., პირადობის მოწმობის დამზადება, ქორწინების რეგისტრაცია და ა.შ.), საქართველოს ეროვნული არქივის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვისებს, აგრეთვე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა.

ღონისძიების აღწერა

ამ ღონისძიების ფარგლებში მხარდაჭერილი იქნება ადგილობრივი – მომსახურებისათვის საჭირო საბაზისო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მშენებლობა, ასევე იმ სერვისების ხარისხის გაუმჯობესება, რაც კრიტიკულია ადგილობრივი მოსახლეობის სამომავლო პერსპექტივებისთვის. ეს შეიძლება ითვალისწინებდეს პირდაპირ დახმარებას – მომსახურების გაწევაში და ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას მოქალაქეთა კომუნიკაციისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით. მოსახლეობისათვის ადგილობრივი – მომსახურების მიწოდება მუნიციპალიტეტების ძირითადი პასუხისმგებლობაა. მოქალაქეების ინფორმირებულობა ადგილობრივ საკითხებთან და – მომსახურებებთან დაკავშირებით ძალიან ხშირად შეზღუდულია ან ასეთი ინფორმაციის მოპოვება მოითხოვს დიდ დროს და ძალისხმევას. ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელია ამ სიტუაციის გამოსწორება, თუკი ეს ტექნოლოგიები გამართულად მუშაობენ და მოსახლეობამ იცის მათი გამოყენება.

ღონისძიება მოიცავს მუნიციპალიტეტებისთვის საგრანტო სქემების განხორციელებას, რეგიონულ დონეზე შერჩეული შეზღუდული რაოდენობის სოფლებსა ან მცირე ქალაქებში (დაბა).

პროექტების შერჩევის პროცედურას გააჩნია ორი საფეხური:

ა) რეგიონული კონკურსის გამოცხადება საპროექტო იდეებისა და ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების შესამუშავებლად;
ბ) რეგიონული კონკურსის გამოცხადება საპროექტო წინადადებების მისაღებად.

მიღებული საპროექტო იდეები და საპროექტო წინადადებები უნდა ემთხვეოდეს ღონისძიებების მიზნებს, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტებს. საპროექტო იდეებისა და წინადადებების მოწონებაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭო.

ქვეღონისძიება 4.3. ა. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამ ქვეღონისძიების ფარგლებში მხარდაჭერილ იქნება ადგილობრივი – მომსახურებისათვის საჭირო საბაზისო სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მშენებლობა. საპროექტო წინადადებების მიღება მოხდება სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებული განვითარების დაგეგმვის დოკუმენტებთან შესაბამისობის მიხედვით. პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭო.

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები:

- მცირე სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან მშენებლობა;
- საბავშვო ბაღები, სკოლები, ძირითადი ჯანდაცვის და სხვა ობიექტები, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მოემსახურება;
- საჭირო ტექნიკის შეძენა გაუმჯობესებული მომსახურების უზრუნველსაყოფად.

პროექტების შერჩევის კრიტერიუმები

- მხოლოდ ის ინფრასტრუქტურა, რომელიც იქნება კომპლექსური პროექტების ერთობლიობის ნაწილი და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს;
- შემუშავებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, მუნიციპალური განვითარების გეგმა და სხვა;
- წინასწარ შემუშავებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა
- მდგრადობის უზრუნველყოფა (პროგრამების დასრულების შემდეგ მიმდინარე ხარჯების დაფარვა);
- ადგილობრივი სერვისების გაუმჯობესებაზე, ხარისხსა და მიწოდებაზე ზეგავლენა;
- კავშირი აქტივობებთან, რომელიც განსაზღვრულია ღონისძიებებში 4.1 და 4.2.

გრანტის მიმღები

- მუნიციპალიტეტები.

პროექტის ინიციატორები :

მუნიციპალიტეტები და მათი მეშვეობით პარტნიორები: კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და საჯარო უწყებები.

გეოგრაფიული არეალი (აქტივობის მიხედვით):

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების დონეზე შეთანხმებული სოფლები და ქალაქის ტიპის მცირე დასახლებები (დაბა) წარმოადგენს სამიზნე ტერიტორიებს.

ღონისძიების შეფასების კრიტერიუმი:

იხილე დანართი 1 ცხრილი 3.

ქვეღონისძიება 4.3. ბ. საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული და სხვა სერვისების დანერგვის მხარდაჭერა

ამ ქვეღონისძიების ფარგლებში მხარდაჭერილი იქნება იმ სერვისების ხარისხის გაუმჯობესება, რაც კრიტიკულია ადგილობრივი მოსახლეობის სამომავლო პერსპექტივებისთვის. ეს შეიძლება ითვალისწინებდეს პირდაპირ დახმარებას – მომსახურების გაწევაში და ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას მოქალაქეთა კომუნიკაციისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები:

- ტექნიკის შეძენა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (ელექტრონული სწავლება, ელექტრონული ჯანდაცვა, მუნიციპალური საინფორმაციო სისტემები, სხვა სერვისები საჭიროებიდან გამომდინარე);
- მუნიციპალურ სერვისებთან დაკავშირებული ციფრული/ელექტრონული პლატფორმების შექმნა (ნებართვები, გადასახადები, პეტიციები, მოსახლეობის უკუკავშირის შესაძლებლობა, ა.შ.);
- ადგილობრივ პროდუქტებთან და მომსახურებებთან დაკავშირებით ადგილობრივ მონაცემთა ციფრული ბაზის შექმნა (სივრცითი განვითარების გეგმები, საკადასტრო მონაცემები რეესტრი და ა.შ.);
- მოქალაქეებისა და ბიზნესებისთვის ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა;
- სახელმწიფო შენობის მოწყობა მოსახლეობისთვის ხარისხიანი სერვისების მიწოდების მიზნით.

პროექტების შერჩევის კრიტერიუმები

- შემუშავებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, მუნიციპალური განვითარების გეგმა და სხვა;
- წინასწარ შემუშავებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა;
- მდგრადობის უზრუნველყოფა (პროგრამების დასრულების შემდეგ მიმდინარე ხარჯების დაფარვა);
- ადგილობრივი სერვისების გაუმჯობესებაზე, ხარისხსა და მიწოდებაზე ზეგავლენა;
- კავშირი აქტივობებთან, რომელიც განსაზღვრულია ღონისძიებებში 4.1 და 4.2.

გრანტის მიმღები

- მუნიციპალიტეტები.

პროექტის ინიციატორები :

მუნიციპალიტეტები და მათი მეშვეობით პარტნიორები: კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სახელმწიფო ინსტიტუტები.

გეოგრაფიული არეალი (აქტივობის მიხედვით):

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების დონეზე შეთანხმებული სოფლები და ქალაქის ტიპის მცირე დასახლებები (დაბა) წარმოადგენს სამიზნე ტერიტორიებს.

ღონისძიების შეფასების კრიტერიუმი:

იხილე დანართი 1 ცხრილი 3.

პრიორიტეტი 5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება

ღონისძიება 5.1 ცენტრალურ დონეზე რეგიონული პოლიტიკისა და სრიგპ-ს განხორციელებაში ჩართული უწყებების ინსტიტუციების შესაძლებლობების განვითარება

მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

როგორც უკვე აღინიშნა 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამაში, საქართველოს მთავრობის ძალისხმევამ, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, ხელი შეუწყო ცენტრალური დონის ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაზრდას, რათა მას შეძლებოდა გამკლავება რეგიონული განვითარების თანამედროვე პრობლემებთან. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა უწყებათაშორისი კოორდინაციისა და მონიტორინგის სისტემების გაძლიერების საქმეში. თუმცა, აშკარაა, რომ ახალ ფაზაში – სრიგპ-ს განხორციელებისას საქართველომ უნდა მოახდინოს შემდგომი ინვესტირება ცენტრალური დონის ადმინისტრაციულ სისტემაში, რათა მან ეფექტურად განახორციელოს სრიგპ, ასევე რეგიონული განვითარების პოლიტიკა, რომელიც შესაძლებელს გახდის ინტეგრაციას და გააუმჯობესებს განვითარების პერსპექტივებს ყველა რეგიონში. პროგრამის მე-7 თავში მოხდა მიზნობრივი ინსტიტუტების იდენტიფიცირება. ინსტიტუციურად, წამყვანი როლი საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ენიჭება, ის წარმოადგენს ინსტიტუციას, რომელიც პასუხისმგებელია რეგიონული პოლიტიკის შემუშავებაც და მართვაზე.

ღონისძიება მიზნად ისახავს ცენტრალურ დონეზე ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაზრდას, რათა მათ შეძლონ თანამედროვე რეგიონული განვითარების პოლიტიკის, მათ შორის სრიგპ-ს ეფექტიანი განხორციელება, ხოლო განსაკუთრებით კი ისეთი კომპონენტების, როგორიცაა: ტერიტორიულად ორიენტირებული საზოგადოებრივი ინტერვენციის კოორდინაცია, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება. შესაძლებლობების განვითარების მსგავსი აქტივობები, რეგიონული და ადგილობრივი დონის ინსტიტუციებისათვის განხორციელდება 5.2 ღონისძიების ფარგლებში.

ღონისძიების განხორციელება პირდაპირ დაკავშირებულია 2018-2020 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის 5.1, 5.2 და 5.3 ღონისძიებებთან.

ღონისძიების განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- სრულად მომზადებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სრიგპ-ს ეფექტური განხორციელებისათვის;
- განვითარებული ცენტრალური დონის ადმინისტრაციის ანალიტიკური და პროგრამული უნარ-ჩვევები;
- მოწყობილია სრიგპ-ს ეფექტური მართვისა და განხორციელების სისტემა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს;
- უზრუნველყოფილი სრიგპ-ს ეფექტიანი განხორციელება.

გეოგრაფიული არეალი

ღონისძიება განხორციელდება ცენტრალურ დონეზე.

ღონისძიების განხორციელების დასაბუთება

საქართველოში უკვე არსებობს რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისათვის საჭირო უწყებებისა და ინსტიტუტების უმრავლესობა. რეგიონული პოლიტიკის სისტემის მხარდაჭერა არც ისე

დიდი ხანია ხორციელდება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (TA) პროექტების მეშვეობით, მაგალითად როგორიცაა: „რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში ფაზა I და ფაზა II. რეგიონული პოლიტიკის სისტემის მხარდაჭერა ასევე ხორციელდებოდა სხვა საერთაშორისო დონორების დაფინანსებით, მაგალითად: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და სხვა. როგორც 2015-2017 წლების, ასევე 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადებისა და განხორციელების დროს ის ინსტიტუციები, რომლის მხარდაჭერაც ხორციელდებოდა, იღებდნენ პრაქტიკულ გამოცდილებას. ამის მიუხედავად, კვლავაც საჭიროა შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, კერძოდ:

- დარგობრივი პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და განხორციელების პროცესში ტერიტორიული განზომილების და მახასიათებლების ეფექტური ჩართვისთვის საჭირო პროცედურების და მეთოდოლოგიების შემუშავება/გაუმჯობესება და დანერგვა. აღნიშნული პროცედურები მოიცავს პოლიტიკის დაგეგმვას, სტრატეგიულ პროგრამირებას, პროექტის მომზადებას და განხორციელებას, ფინანსურ მენეჯმენტს და კონტროლს, ასევე საჯარო ინვესტიციების მონიტორინგსა და შეფასებას.
- **სრიგპ-ს მართვისა და კოორდინაციის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარსულში განახორციელა ძალისხმევა განევითარებინა შესაძლებლობები რეგიონული განვითარების, პროექტის დიზაინისა და განხორციელების სფეროში, ეს ძალისხმევა გარკვეულწილად იყო ფრაგმენტული, ძირითადად მიმართული რგის-ის და სხვა შესაბამისი სამინისტროებისაკენ და მოიცავდა სტრატეგიულ დონეზე დაგეგმვის, პროგრამირების და მონიტორინგის საკითხებს, მაგრამ არ ითვალისწინებდა საოპერაციო ასპექტებს, როგორიცაა პროექტის მიზანშეწონილობა, შერჩევის მეთოდოლოგია და ა.შ. პირიქით, ხელისუფლება ცენტრალურ, ქვეეროვნულ და ადგილობრივ დონეზე არ იყო აქტიურად ჩართული ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, რადგან ისინი არ წარმოადგენდნენ სისტემის აქტიურ მოთამაშეებს. ისინი წარმოადგენდნენ მხოლოდ სამიზნე ჯგუფებს შესაძლებლობების განვითარების სხვადასხვა აქტივობებისათვის, რომელთაც აფინანსებდნენ სხვადასხვა დონორები და რომლებიც მიზნად ისახავდნენ უნარ-ჩვევების განვითარებას ადგილობრივი მმართველობის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა და სხვა სფეროებში. ამავდროულად, სრიგპ გვთავაზობს პარტნიორობის ახალ კონცეფციებს, რისთვისაც აუცილებელია შესაძლებლობების განვითარების აქტივობები განხორციელდეს ადგილობრივ დონეზე, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლოს მონაწილეობის მიიღება პროგრამის განხორციელებაში.
- 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის და კერძოდ კი სრიგპ-ს განხორციელებაში ჩართული სამინისტროების და სხვა განმახორციელებელი ინსტიტუციების თანამშრომლებს ექნებათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა ტრენინგებსა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების სხვადასხვა ღონისძიებებში. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიტიკის ჩარჩოებს, საქართველოში და ევროკავშირში რეგიონული განვითარების პოლიტიკის მეთოდოლოგიასა და პრაქტიკას. შესაბამისი სასწავლო გეგმები შეიძლება შეტანილი იყოს საჯარო ადმინისტრირების ტრენინგის საერთო ეროვნული ჩარჩოში და ასევე შესაძლებელია მათი გამოყენება შეიძლება შეთავაზებული იქნეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

დაფინანსების წყაროები:

- ევროკავშირის ტექნიკური დახმარება (ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის);
- პროგნოზირებული დონორების დაფინანსება.

ღონისძიების აღწერილობა

ღონისძიება განხორციელდება სერვის კონტრაქტის მეშვეობით: – მომსახურების მომწოდებელი შეირჩევა საერთაშორისო შეზღუდული სატენდერო პროცედურების მეშვეობით, კონტრაქტის პროცედურების პრაქტიკული სახელმძღვანელოს (PRAG) შესაბამისად.

აქტივობების ტიპები, რომელიც განხორციელდება ტექნიკური დახმარების ჯგუფის მიერ.

ტექნიკური დახმარების პროექტი შეასრულებს სარეკომენდაციო როლს რგის-სა და სრიგპ-ს სხვა განმახორციელებლებისთვის პროგრამის განხორციელების პროცესში და ზოგადად რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებაში. დამატებითი მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება ტერიტორიული განვითარებისა და გამოთანაბრების მიმართულებით უნარების, ექსპერტიზისა და შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას. ტექნიკური დახმარება იქნება მრავალმხრივი და მოიცავს პროგრამის მთელ სასიცოცხლო ციკლს, საჯაროობის აქტივობების ჩათვლით:

- სრიგპ-ს ფარგლებში პროექტების შეფასებისა და შერჩევის პროცედურებისა, სახელმძღვანელოების და მეთოდოლოგიების შემუშავება;
- ზოგადი მხარდაჭერა რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე;
- სრიგპ-ს განხორციელების პროცესში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა (მხარდაჭერა კონტრაქტის მართვაში და მომავალი პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფა);
- კონსულტაციები მართვისა და კონტროლის შესახებ საბუღალტრო და ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციებთან ერთად (ტრენინგები, სახელმძღვანელოები და ანალიტიკური დოკუმენტები);
- ხილვადობის გაუმჯობესებისკენ მიმართული აქტივობები.

მომსახურების მიმღებები

რგის და სხვა საჯარო უწყებები, რომლებიც რეგიონული პოლიტიკის პროგრამირებაზე და სრიგპ-ს მონიტორინგსა და განხორციელებაზე მუშაობენ.

გეოგრაფიული არეალი:

- ოთხი საპილოტე რეგიონი.

ღონისძიების კონკრეტული ინდიკატორები

იხილეთ დანართი 1, ცხრილი 3.

ღონისძიება 5.2 რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების შესაძლებლობების განვითარება

მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

ღონისძიების კონკრეტული მიზანია სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება, რათა ისინი ეფექტიანად გაუმკლავდნენ იმ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს, რომლებიც გავლენას ახდენენ 4 საპილოტე რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე. ეს მოიცავს მათი უნარ-ჩვევების განვითარების მხარდაჭერას პროგრამების განხორციელებაში, შესაბამისი ტერიტორიების ადგილობრივი განვითარებისაკენ მიმართული საზოგადოებრივი ინტერვენციების კოორდინაციასა და მონიტორინგში, ასევე უშუალო მხარდაჭერას სრიგპ-ს ღონისძიებების განხორციელებაში, რომელშიც ადგილობრივი ხელისუფლება და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ასრულებს მნიშვნელოვან როლს.

ღონისძიების მოსალოდნელი შედეგები:

- ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების შესაძლებლობების ზრდა, რათა მათ შეძლონ ეკონომიკური განვითარების პრობლემებთან გამკლავება;
- მუნიციპალური და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ანალიტიკური და მონიტორინგის შესაძლებლობების გაზრდა;
- საინვესტიციო საქმიანობათა რაოდენობისა და ხარისხის მატება ადგილობრივ დონეზე (ბიზნესფორუმები და კონფერენციები).

მოცემული ღონისძიების განხორციელება შეესაბამება 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს:

- 5.2.მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების პოლიტიკის ანალიტიკური ბაზის გაძლიერება;
- 5.3. ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური მონაწილეობა და განვითარების პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

გეოგრაფიული არეალი

ღონისძიება მოიცავს ოთხ საპილოტე რეგიონს, თუმცა გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მცირე ზომის გათვალისწინებით ქუთაისში (იმერეთი) შექმნილი რეგიონული საინვესტიციო ცენტრი დაფარავს აღნიშნულ სამ საპილოტე რეგიონს. თელავში (კახეთი) შეიქმნება კიდევ ერთი რეგიონული საინვესტიციო ცენტრი კახეთისთვის.

ღონისძიების განხორციელების დასაბუთება

ღონისძიება პასუხობს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მე-5 პრიორიტეტს, რომელიც ფოკუსირებულია რეგიონული განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტების ხარისხისა და ეფექტურობის მატებაზე, და ასევე 2017-2020 წლების დახმარების ერთიან ჩარჩო პროგრამას. რომლის კონკრეტული მიზანია მხარი დაუჭიროს საქართველოში არსებული ინსტიტუტების შესაძლებლობების მატებას, რათა მათ შეძლონ უკეთესი – მომსახურების მიწოდება მოქალაქეებისათვის და ბიზნესისათვის.

ინსტიტუტებისა და მათ მიერ მოქალაქეებისა და მეწარმეებისათვის გაწეული – მომსახურების ხარისხი სოციო-ეკონომიური და ტერიტორიული განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. სახელმწიფო ინსტიტუტების, ადგილობრივი ხელისუფლების და განვითარების სხვა პარტნიორების, მათ შორის, ბიზნესის, არასამთავრებო და სამოქალაქო ორგანიზაციების უნარი, ითანამშრომლონ ეფექტურად ტერიტორიული განვითარების პრობლემების მართვის ყველა ასპექტში (მათ შორის, რეალისტური პროგრამებისა და ინსტრუმენტების შექმნა, განხორციელების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება, მონიტორინგისა და შეფასების გამოყენება საზოგადოებრივი პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესებისათვის), დიდად განსაზღვრავს რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანობას იმ საჭიროებებთან და პოტენციალთან მიმართებაში, რაც სტრატეგიულ დოკუმენტებში გამოვლინდა.

საქართველოს ადმინისტრაციის, განსაკუთრებით კი ადგილობრივი დონის ადმინისტრაციის შესაძლებლობები არადამაკმაყოფილებელია. აღნიშნული ხაზგასმულია საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში და ასევე ევროკავშირისა და სხვა დონორების მიერ დაფინანსებულ ანალიზებსა და პროგრამებში (UNDP, USAID, ორმხრივი დახმარება), სადაც ამ პრობლემის მოგვარება განიხილება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად. მუნიციპალიტეტებს არ აქვთ ეკონომიური შესაძლებლობები, არც ინსტრუმენტები (მაგალითად საინვესტიციო და განვითარების გეგმა), ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც მიმართულია ახალი ინვესტიციების მოზიდვისა და ადგილობრივი აქტივებისა და პოტენციალის განვითარებისაკენ. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი ხელისუფლება, ბიზნესსაზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები) კოორდინაცია და

თანამშრომლობა ძალიან სუსტია. მუნიციპალიტეტების შესაძლებლობები განვითარების ტენდენციების შესაბამისად გააანალიზონ, განავითარონ და მონიტორინგი გაუწიონ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებს არ არის საკმარისი.

აღნიშნული პრობლემების დასაძლევად ღონისძიება განხორციელდება თავისუფალი, ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული სქემებით (ქვეღონისძიებებით), რომლებიც მიზნად ისახავს:

- **მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეების უნარების განვითარებას,** რათა მათ შეძლონ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის პროექტებისა და აქტივობების ორგანიზება და განხორციელება ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებთან ერთად.
- **რეგიონული ანალიტიკური და მონიტორინგის შესაძლებლობების განვითარებას,** რომლის საფუძველზეც, საქსტატთან ერთად შეიქმნება რეგიონული და ადგილობრივი სტატისტიკის გაუმჯობესების პროგრამა და ასევე განხორციელდება სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება.
- **ქუთაისსა და თელავში ინვესტიციების სტიმულირებისთვის რეგიონული საინვესტიციო ცენტრების შექმნას,** რათა საპილოტე რეგიონებში მოხდეს იმ ტიპის ბიზნესების მოზიდვა, რომელთა საქმიანობა შეესაბამება მოცემული რეგიონების სტრატეგიას და მუნიციპალური გეგმების ეკონომიკური აქტივობის პროფილს.

დაფინანსების წყაროები

- ევროკავშირის ტექნიკური დახმარება (ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის);
- სავარაუდო დონორების დაფინანსება.

სხვა ინტერვენციებთან თავსებადობა

მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარება ხორციელდება სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ქვევით მოცემულია ზოგიერთი ამ ორგანიზაციის ჩამონათვალი;

SSF 2015-2017-ს ფარგლებში ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმას (30.2 მილიონი ევრო). ამ ფართო პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებისა და პროცესების გაძლიერება და დეცენტრალიზაციის რეფორმის ფასილიტაცია უფრო ფართო მიზნის მისაღწევად – ადგილობრივი მმართველობის სტრატეგიული ჩარჩოს გაუმჯობესება ევროპული ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის შესაბამისად.

შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების დაფინანსებით UNDP ხელს უწყობს საქართველოს განახორციელოს ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის სისტემური რეფორმა, გაზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შექმნას ადგილობრივი ეკონომიკური ზრდისთვის ხელსაყრელი გარემო. 2018-2021 წლების განმავლობაში მეორე ეტაპი გულისხმოს მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობასა და წინსვლას. აქცენტი კეთდება დეცენტრალიზაციაზე, ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე, სამოქალაქო ჩართულობაზე და ნაციონალური და ადგილობრივი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაზრდაზე, რათა მათ შეძლონ ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი – მომსახურების გაწევა.
UNDP ხელს უწყობს საქართველოს ძლიერი და კომპეტენტური ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების მშენებლობას, რომლებიც იმოქმედებენ რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირების ხელშეწყობისათვის და უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჩართულობას პოლიტიკის შემუშავების პროცესში. აღნიშნული იქნება სასარგებლო ყველა მოქალაქისათვის, მათ შორის,

მდედრობითი და მამრობითი სქესის და უმცირესობათა წარმომადგენელთათვის, ახალგაზრდებისათვის, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის.

აღნიშნულის მისაღწევად მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი სამი მიმართულებით:

- მმართველობის დეცენტრალიზაციის და ასევე ადგილობრივი და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით პოლიტიკისა და ინსტიტუციური ჩარჩოების ჩამოყალიბება;
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება, რათა მათ შეძლონ ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი – მომსახურების მიწოდება, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და ადგილობრივ ეკონომიკაში მონაწილე სუბიექტების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური გაძლიერება, რათა გამარტივდეს მათი ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში .

UNDP-ს *პროექტი – საქართველოში სოფლის მდგრადი განვითარება* წარმოადგენს ENPARD-ის ნაწილს და ფუნქციონირებს სტრუქტურული და სისტემური გამოწვევების საპასუხოდ, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოში სოფლის განვითარებას და უზრუნველყოფს უფრო მრავალფეროვანი სოფლის მომსახურების მოსახლეობისთვის გაწევას ეფექტურად, ეფექტიანად და მდგრადად. პროექტის მხარს უჭერს სოფლის განვითარების მმართველობითი სისტემის გაუმჯობესებას და სოფლის მომსახურების პირდაპირ მიწოდებას.

EU M4EG – მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) არის ევროკავშირის ახალი ინიციატივა, რომლის განხორციელება დაიწყო 2017 წლის იანვარში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. ინიციატივა მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მერებსა და მუნიციპალიტეტებს გახდნენ ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის აქტიური მხარდამჭერები. M4EG პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისთვის განხორციელდა სპეციალური სატრენინგო პროგრამები და სხვა სახის მხარდაჭერა – ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმების მომზადებაში.

GIZ – გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს სახელით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) მხარს უჭერს საქართველოს. ორგანიზაცია ძირითადად მოქმედებს ბევრ სფეროში, თანამშრომლობს რა სახელმწიფო უწყებებთან და კერძო სექტორთან. ისინი ატარებენ ტრენინგებს მუნიციპალური და სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებისთვის შემდეგ თემებზე:

- IPSASI (საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა);
- ელექტრონული მმართველობა;
- ტრენინგი ადგილობრივი აუდიტორებისთვის;
- ადგილობრივი ფინანსური მენეჯმენტი;
- ადგილობრივი ადამიანური რესურსები (HR) (სამუშაოს შეფასების სისტემის დანერგვა);
- გენდერული თანასწორობა.

პოლონეთის ინვესტიციებისა და განვითარების სამინისტრო (Polish Aid) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით ახორციელებს 2-წლიან პროექტს „საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციის სრიგპ-ს განსახორციელებლად მომზადება“. პროექტის მიზანია სახელმწიფო ადმინისტრაციის შესაძლებლობების ზრდის მხარდაჭერა პროფესიული საინვესტიციო წინადადებების მომზადებაში და ინვესტორისთვის სათანადო მომსახურების გაწევაში ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ოთხ საპილოტე რეგიონში.

ღონისძიების აღწერა

ღონისძიება განხორციელდება ევროკავშირის დელეგაციის პირდაპირი მართვით წინასწარ შერჩეული მომსახურების მიმწოდებელთათვის გრანტების გამოყოფის მეშვეობით.

ღონისძიება განხორციელდება სამი ქვეღონისძიების მეშვეობით:

ა) სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება;

ბ) შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის ანალიზისა და მონიტორინგის მიმართულებით;

გ) რეგიონებში ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.

ქვეღონისძიება 5.2ა. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები

- საკონსულტაციო მომსახურება სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების თანამშრომლებისთვის პროფესიული უნარების განვითარების მიზნით;
- მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა საპილოტე რეგიონებში;
- მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებისთვის (1 დოკუმენტი 4 რეგიონისთვის) ტრენინგების საჭიროებათა შეფასების მომზადება (TNA);
- ტრენინგებისთვის სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მომზადება;
- სწავლის, კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება;
- საკონსულტაციო მომსახურება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;
- ცნობიერების ამაღლება „გონივრული სპეციალიზაციების“ თაობაზე, სწრაფად მზარდ სექტორებთან დაკავშირებით (განსაკუთრებით იმერეთში);
- სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის მხარდაჭერა სრიგპ-ის აქტივობების შემუშავებასა და განხორციელების პროცესებში.

პროექტის შერჩევის კრიტერიუმები:

- იმ აუცილებელი ორგანოების ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ მუშაობას რეგიონული განვითარების საკითხებზე და ასევე სრიგპ- ს განხორციელებაზე;
- კოორდინაცია არსებულ პროგრამებთან და პროექტებთან;
- ადგილობრივი განათლებისა და აკადემიური საზოგადოების ჩართულობა;
- დასაქმების შესაძლებლობა ტრენინგის ან სასწავლო კურსის გავლის შემდეგ.

მომსახურების მიმღებები

- სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სამდივნო;
- სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები;
- მუნიციპალიტეტები;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

პროექტის ინიციატორები

- სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სამდივნო;
- მუნიციპალიტეტები;
- სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

გეოგრაფიული არეალი

- ოთხი საპილოტე რეგიონი.

ქვეღონისძიება 5.2. ბ. შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის ანალიზისა და მონიტორინგის მიმართულებით:

- კვლევები 4 საპილოტე რეგიონის განვითარების ტენდენციებთან დაკავშირებით;
- სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მხარდაჭერა სრიგპ-ს ფარგლებში მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების მომზადებაში;
- საქსტატის მიერ სტატისტიკური მონაცემების მომზადება და მოძიება.

პროექტების შერჩევის კრიტერიუმები

- კოორდინაცია რგის-ს, მუნიციპალიტეტებს, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასა და განვითარების პარტნიორებს შორის, მათ შორის, საგანმანათლებლო და აკადემიურ საზოგადოებასთან;
- საქსტატის ჩართულობა.

მომსახურების მიმღებები

- სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია;
- საქსტატი;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

გეოგრაფიული არეალი

- ოთხივე საპილოტე რეგიონი.

ქვეღონისძიება 5.2. გ: რეგიონებში ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება

აღნიშნული ქვეღონისძიება განხორციელდება რეგიონებში საინვესტიციო პროექტების მხარდასაჭერად. აქტივობა მოიცავს ინვესტორებისათვის დამატებითი წახალისების მექანიზმის შექმნას, რომლის ფარგლებშიც მოხდება საინვესტიციო პროექტისათვის საჭირო მუშახელის რეგიონში მოძიებისა და გადამზადების ხარჯების სრულად ან ნაწილობრივი დაფარვა.

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები:

- ინვესტორების მხარდაჭერა სამუშაო ძალის გადამზადების კუთხით;
- ინვესტორებისათვის ადამიანური რესურსის მოძიების მხარდაჭერა;
- ტრენინგები, სასერთიფიკატო კურსები, სხვა საგანმანათლებლო აქტივობები;
- რეგიონებში საინვესტიციო შესაძლებლობების გამოვლენა, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და საინვესტიციო წინადადებების მომზადება;
- თითოეული რეგიონის დონეზე პოტენციური საინვესტიციო შეთავაზებების გამოვლენა, საჯარო უწყებებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო სექტორთან კოორდინაციის გზით;

- პრიორიტეტულად დასახული საინვესტიციო შეთავაზებებისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების მომზადება;
- პროექტებისათვის, რომელთა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები დადებითი შედეგით დასრულდება, შესაბამისი საინვესტიციო შეთავაზებების მომზადება;
- საინვესტიციო შეთავაზებების წარდგენის მიზნით საერთაშორისო დონეზე მიზნობრივი აქტივობების გატარება;
- ინვესტიციების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი თანამშრომლებისთვის სპეციალიზებული ტრენინგების ორგანიზება;
- ინვესტიციების ხელშეწყობისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება.

პროექტების შერჩევის კრიტერიუმები

- რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ასევე კერძო სექტორთან თანამშრომლობა;
- საქართველოსათვის პრიორიტეტულ და მაღალი პოტენციალის მქონე სექტორებთან თავსებადობა
- პროგრამის ფარგლებში მოხდება შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება, ნაწილობრივ ან სრულად დაფარვა
- უპირატესობა მიენიჭება რეგიონში მაღალი პოტენციალის მქონე მიმართულებებს (მათ შორის, ინტელექტუალური სერვისების მიმართულებებს), ასევე, რეგიონში ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებულ ინვესტორებს;
  მნიშვნელოვანია საინვესტიციო პროექტს ჰქონდეს მაღალი დასაქმების მაჩვენებელი ან საინვესტიციო თანხის მოცულობა.

მომსახურების მიმღებები:

- სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები;
- მუნიციპალიტეტები;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- სსიპ „აწარმოე საქართველოში“;
- პოტენციური ინვესტორები.

გეოგრაფიული არეალი

ქვეღონისძიება მოიცავს ოთხ საპილოტე რეგიონს.

ღონისძიება 5.3 პროექტების ნუსხის მომზადების მხარდაჭერა

მიზნები, დასაბუთება და მოსალოდნელი შედეგები

ღონისძიების მიზანია მუნიციპალიტეტებისა და განვითარების სხვა პარტნიორების მიერ შემოთავაზებული პროექტების მხარდაჭერა, რომელიც სრიგპ-ს სხვადასხვა სქემით დაფინანსდება.
სრიგპ-ს გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების დეცენტრალიზებული სისტემისა და ამ მიმართულებით ადგილობრივი ადმინისტრაციის დაბალი შესაძლებლობების გათვალისწინებით, დასაფინანსებელი პროექტების სიის მომზადებისთვის საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს ტექნიკური დახმარება, განსაკუთრებით კი ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტებისთვის. თუმცა ამასთან ერთად საჭიროა უფრო ზოგადი მხარდაჭერაც პროექტის კონცეფციის შემუშავებისა და საჭირო სტრატეგიული დოკუმენტების მომზადების ფაზაში, რაც წარმოადგენს საქართველოში არსებული განვითარებით დაინტერესებული ყველა სუბიექტის პრობლემას. გრანტის მიმღებები, როგორიცაა მუნიციპალიტეტები და არასამთავრობო ორგანიზაციები, განიცდიან ფინანსების ნაკლებობას ტექნიკური დიზაინისა და ნახაზების შემუშავებისათვის. მათ არ გააჩნიათ გამოცდილება ინფრასტრუქტურის პროექტების დიზაინში და მართვაში. ამგვარად, მცირე გრანტები შეთავაზებული

იქნება იმ პირებისათვის, ვინც განახორციელებს შერჩეულ პროექტებს, რათა მოხდეს ტექნიკური და სატენდერო დოკუმენტაციის დიზაინისა და შექმნის დაფინანსება იმ ცალკეული სტანდარტული (არა-ინტეგრირებული) პროექტებისათვის, რომელთა ფარგლებში მოსალოდნელია სამუშაო და მიწოდების კონტრაქტების არსებობა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ინტერ-მუნიციპალური პროექტის შემუშავებაზე, რომლიც ითვალისწინებს განვითარების სხვადასხვა პარტნიორების ჩართულობას.

ღონისძიების განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- პროექტის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის მიერ შემუშავებულია საპროექტო სიის შემუშავების მექანიზმი;
- მუნიციპალიტეტების ორგანოების შესაძლებლობების გაზრდა სრიგპ-ს პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში;
- შემუშავებული და განხორციელებული მუნიციპალიტეტშორისი პროექტები.

დაფინანსების წყაროები

- ევროკავშირის ტექნიკური დახმარება (ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის);
- დონორების პროგნოზირებული დაფინანსება.

ღონისძიების ფარგლებში განსახორციელებელი დახმარების მოცულობა

ქვეღონისძიება დაფინანსდება იმ პროგრამის განხორციელების პირობებში ჩადებული საგრანტო სქემით, რომელიც ეხმარება პროექტის განმახორციელებლებს ადრეულ ეტაპზევე განსაზღვრონ პროექტების განვითარების ეტაპები. გრანტების/სუბსიდიების მექანიზმით დაფინანსდება პროექტების მომზადება, საპროექტო იდეების (კონცეფციების) საფუძველზე; სრიგპ- ს ფარგლებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის მომზადება (მაგ., სტრატეგიები და გეგმები, მათ შორის, სატრანსპორტო, რეგენერაციის გეგმები, შრომის ბაზრის ანალიზი და ა.შ.); მომავალი სამუშაო და მომსახურების მიწოდების კონტრაქტებისათვის ტექნიკური და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება. ტექნიკური და სატენდერო დოკუმენტები (TTD) მოიცავს: (მაგრამ არ შემოიფარგლება): წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, ბაზრის კვლევას (მიწოდების), წინასწარ დიზაინს, დეტალების დიზაინს, დიზაინის ნახაზებს (როგორიცაა: ობიექტის განლაგების გეგმა, ფუნდამენტის გეგმა, გათხრითი სამუშაოების გეგმა, სტრუქტურული ნახაზი, კოლონების განლაგების გეგმა, აგურების განლაგების ნახაზი, სართულის გეგმა შენიშვნებით, სახურავის გეგმა, ელექტროგაყვანილობის ნახაზი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ობიექტების ნახაზი (PHE), გათბობის, ვენტილაციის და კონდიცირების ნახაზი, ლიმიტები, სექციები (HVAC), სპეციფიკურ ანგარიშებს (მაგ., მიწის კვლევა, გეოლოგიური კვლევა, სტატიკური ანგარიშები/გაანგარიშება), რაოდენობრივ შეფასებას, მოსალოდნელი ხარჯების შეფასებას, EIA ანგარიშებს და ა.შ. გრანტები ძირითადად დააფინანსებენ ცალკეულ პროექტებს (როგორიცაა: გზები, შენობები, წყალმომარაგების სისტემა, აღჭურვილობის მოწოდება და ა.შ.).

დასაფინანსებელი აქტივობის ტიპები

- პროექტის იდეების შემუშავება;
- სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროექტების განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება;
- მხარდაჭერა სრიგპ-ს პროცედურებით გათვალისწინებული სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებაში;

- პროექტების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადების მხარდაჭერა (ტექნიკური კვლევების, ტექნიკური გეგმების, საკონტრაქტო დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების ანგარიშების და ბიზნესგეგმების);
- პროექტების შეფასებისა და შერჩევის მხარდაჭერა;
- პროექტების განხორციელების მხარდაჭერა.

შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები:

- უპირატესობა მიენიჭება პროექტს, რომელშიც მონაწილეობს მრავალი დაინტერესებული მხარე;
- უზრუნველყოფილი იქნება რეგიონის მასშტაბით დაბალანსებული გეოგრაფიული დაფარვა;
- მხოლოდ ის პროექტები, რომლებიც დაფინანსდება სრიგპ-ს ფარგლებში 2020-2022 წლებში;
- უპირატესობა მიენიჭება პროექტებს, რომელთა თანადაფინანსება მეტია მოთხოვნილ მინიმუმზე.

მომსახურების მიმღები:

სრიგპ-ის გრანტისა და მომსახურების მიმღებები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

გეოგრაფიული არეალი

- ოთხი საპილოტე რეგიონი

ღონისძიების შეფასების ინდიკატორები

იხილე დანართი 1, ცხრილი 3.

თავი VI. პროგრამის განხორციელება და ფინანსური გეგმა

საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი **67.23 მილიონი ევროა,** რომლის ათვისება 3 წლის განმავლობაში (2020-2022 წწ.) განხორციელდება. პროგრამის დაფინანსების წყაროებია:

- **10 მილიონი ევრო,** რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად, გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- **1.28 მილიონი ევრო,** რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად, შესაძლოა გამოიყოს მუნიციპალიტეტებიდან სრიგპ-ს პროექტების თანადაფინანსებისთვის (წინასწარი გამოთვლების მიხედვით, თანადაფინანსების ოდენობა შეიძლება განისაზღვროს პროექტის ღირებულების მინიმუმ 3%-ით. მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც კრიტერიუმი პროექტების შერჩევის პროცესში).
- **53.75 მილიონი ევრო, რომელიც** გამოიყოფა ევროკავშირის მიერ, საიდანაც:
    - **40.5 მილიონი ევრო** მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საბიუჯეტო მხარდაჭერის სქემის ფარგლებში, რომელიც მოხმარდება სრიგპ-ს ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.
    - **13.25 მილიონი ევრო** მიემართება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუციებისთვის პროგრამის ღონისძიებების განხორციელების ტექნიკური და ექსპერტული დახმარებისთვის.
- **პროგნოზირებულია 2.2 მილიონი ევროს** გამოიყოფა კერძო წყაროებიდან პროექტების თანადაფინანსებისთვის.

ამასთან, მოსალოდნელია საერთაშორისო დონორებისა და განვითარების პარტნიორების მხრიდან გარკვეული ღონისძიებების განხორციელება, თუმცა ამ ეტაპზე რთულია ფინანსური შეფასების გაკეთება, რის გამოც პროგნოზირებული თანხები ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 21 გვიჩვენებს პროგრამის განსახორციელებლად სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი თანხების გადანაწილებას პრიორიტეტებისა და ღონისძიებების/ქვეღონისძიებების მიხედვით.

ცხრილი 20. სრიგპ-ს თანხების ინდიკატიური განაწილება პრიორიტეტისა მიხედვით 2020-2022 წწ. (მილიონი ევრო).

პრიორიტეტი ღონისძიება ქვეღონისძიება	სახელმწიფო ბიუჯეტი		ევროკავშირის ტექნიკური და ექსპერტული დახმარება	თანადაფინანსება თანხის მიმღებების მხრიდან		სრიგპ-ს განსახორციელებლად მიმართული მთლიანი თანხა
	საქართველოს მთავრობა	ევროკავშირის საბიუჯეტო დაფინანსება		მუნიციპალიტეტები	კერძო სექტორი	
1	2	3	4	5	6	7
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული ღონისძიებები ურბანულ ტერიტორიებზე	3,00	16,00	2,50	0,57	0,00	22.07
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	1,00	5,00	1,00	0,18	0,00	7,18
3. ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა	3,00	7,00	0,00	0,00	1,60	11,60
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	3,00	12,50	5,00	0,53	0,60	21,63
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება განვითარებისთვის	0,00	0,00	4,75	0,00	0,00	4,75
ჯამი	10,00	40,50	13.25	1,28	2,20	67,23

ამ ეტაპზე თანხების განაწილება პრიორიტეტების მიხედვით მხოლოდ ინდიკატიურია. განხორციელებიდან ერთი წლის შემდეგ ღონისძიებების საერთო შესრულების შეფასებაზე დაფუძნებით, სამთავრობო კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გამოყოფილი თანხების 15%-მდე (სახელმწიფო ბიუჯეტისა და ევროკავშირის თანხების ნაწილი) გადანაწილებაზე პრიორიტეტებს შორის.

გამოყოფილი თანხების თემატური განაწილება დასაბუთებულია გამოვლენილი საჭიროებებით და რეგიონული და ადგილობრივი განვითარებისათვის არსებული დაფინანსების სტრუქტურით.

საპილოტე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება მხოლოდ შესაბამისი საჯარო უწყებებისა და მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროგრამები/პროექტები. სხვა შესაძლო გრანტის მიმღებთათვის დაფინანსების გამოყოფა მოხდება ევროკავშირის ტექნიკური და ექსპერტული დახმარების“ ბიუჯეტიდან.

გრაფიკი 8. პრიორიტეტების მიხედვით სრიგპ-ს თანხების თემატური გადანაწილება



თანხების უდიდესი წილი გამოყოფილია 1 პრიორიტეტისთვის – ურბანული განახლების აქტივობები (34%), რაც რეგიონული ცენტრების და სხვა ქალაქების რეგიონული განვითარების უდიდეს საჭიროებებსა და გამოუყენებელ პოტენციალზე და აგრეთვე ქალაქების განვითარების მხარდამჭერი კომპლექსური პროგრამების არარსებობაზე მიანიშნებს, მათ შორის, იგულისხმება სოციალურ-ეკონომიკური რეგენერაცია და მათი სამრეწველო ფუნქციების განვითარების მხარდაჭერა.

თანხობრივად მეორე ყველაზე მასშტაბურია პრიორიტეტი 4, რომელიც გულისხმობს ტრადიციული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების, ასევე ინფრასტრუქტურული ბაზისა და ადგილობრივი სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მხარდაჭერას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს. 10 მილიონი ევროა გამოყოფილი პრიორიტეტი 3 – ადგილობრივი [48] მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ინოვაციების ხელშეწყობისთვის (16%), რომლის ფარგლებშიც მხარდაჭერილი იქნება რეგიონისთვის ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე სექტორები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარებისათვის გამოყოფილი თანხების გარდა, მთავრობა და განვითარების პარტნიორები ხელს უწყობენ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას ისეთი სქემებისა და ინსტიტუციების მეშვეობით, როგორიცაა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტები და უახლოეს მომავალში – აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით განსახორციელებელი პროგრამა *„ინტეგრირებული ურბანული გეგმები დაბალანსებული რეგიონული განვითარებისთვის“* [49].

[48] საწარმო/მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს საპილოტე რეგიონების ტერიტორიაზე.

[49] რგის-ის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდასაჭერად მთლიანი სამთავრობო ხარჯები სხვადასხვა ფონდების ფარგლებში (რეგიონალური განვითარების ფონდი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, მთის განვითარების ფონდი, მუნიციპალური განვითარების ფონდი) წლიურად 4 საპილოტე რეგიონში დაახლოებით 52 მილიონ ევროს შეადგენს.

მე-5 პრიორიტეტის ფარგლებში, ტექნიკური დახმარების სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭერა ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციებისთვის, მათ შორის პროგრამული დოკუმენტების მომზადება, პროექტების კონცეფციის განვითარება და სხვა საჭირო დოკუმენტაციის შემუშავების მხარდაჭერა, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვა განვითარების პარტნიორების ჩართულობა რეგიონულ და ადგილობრივ აქტივობებში, მიანიშნებს, რომ რეგიონული განვითარების პოლიტიკაში ჩართული ორგანოები და სხვა განვითარების პარტნიორები საჭიროებენ შემდგომ გაძლიერებას.

თანხების განაწილება რეგიონების მიხედვით

ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიდი ნაწილი ითვალისწინებს კრიტერიუმებს, როგორიცაა: მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა, უმუშევრობის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე საპილოტე რეგიონსა და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს შორის შედარებით. ასევე, ფართოდ განიხილება სხვა კრიტერიუმებიც, მათ შორის: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ცვლილებები დასაქმების სექტორებში, მონოკულტურული მრეწველობის სივრცული კონცენტრაცია, ერთ სულ მოსახლეზე შინამეურნეობების შემოსავალი, შრომის ბაზართან დაკავშირებული სხვადასხვა კრიტერიუმი, უმუშევრობა სექტორებში გარდა სოფლის მეურნეობისა და სხვა.

საქართველოს კონტექსტში იმ ინდექსების უმრავლესობის გათვალისწინება, რომელიც გამოიყენება ევროკავშირში, ამ ეტაპზე ვერ მოხდება სტატისტიკისა და მონაცემების შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო. ამასთან, კომპლექსური ალგორითმის გამოთვლა არ არის მიზანშეწონილი, რადგან სრიგპ-ს ფინანსური კონვერტი შეზღუდულია, ხოლო საქართველოს რეგიონები ევროკავშირის NUTS II რეგიონებთან შედარებით (რომლებიც კოჰეზიის პოლიტიკის ფარგლებში, პირველადი განაწილების ერთეულებია) მცირე მასშტაბისაა. გარდა ამისა, დაახლოებით 13 მილიონი ევრო დაიხარჯება ჰორიზონტალური ხასიათის ტექნიკური დახმარების აქტივობებზე.

თუ მოსახლეობის რაოდენობა გამოყენებული იქნება, როგორც ერთადერთი კრიტერიუმი, ყველაზე მცირე ზომის რეგიონი – რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი სრიგპ-ს ფინანსური კონვერტის დაახლოებით მხოლოდ 3%-ს მიიღებს, ხოლო იმერეთი – 53%, კახეთი – 33%, გურია კი – 11%. თანხების განაწილების ფორმულაში გარდა მოსახლეობის რაოდენობისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მოცულობა ბიზნესსექტორში, რომელიც ასახული იქნება როგორც წილი 4 რეგიონის ჯამური მაჩვენებლიდან. ასევე, გათვალისწინებულია მთლიანი დამატებითი ღირებულება სოფლის მეურნეობაში, რომელიც ასახული იქნება, როგორც წილი 4 რეგიონის ჯამური მაჩვენებლიდან.

ეს კრიტერიუმები შერეულია პროპორციით 60%/20%/20%. ფორმულა ითვალისწინებს რეგიონების პოტენციურ ათვისების შესაძლებლობას, ბიზნესის ზრდას ადგილობრივ პოტენციალზე დაყრდნობით და სოფლის ტიპის დასახლებებში არსებული ეკონომიკური გარემოს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია 50.5 მილიონი ევროს განაწილება (სრიგპ-ს საბიუჯეტო ხაზის მოცულობა – 40.5 მილიონი ევრო (ტექნიკური დახმარების გარეშე) და 10 მლნ ევროს ღირებულების დამატებითი რესურსები, რომელსაც საქართველოს მთავრობა დადგენილი წესის მიხედვით გამოყოფს.

გასათვალისწინებელია, რომ 22-ე ცხრილში მოყვანილი თანხები **ინდიკატიურია** და წარმოდგენილია მხოლოდ საორიენტაციოდ. განაწილება შესაძლოა შეიცვალოს როგორც რეგიონებს, ასევე პრიორიტეტებს, ღონისძიებებსა და ქვეღონისძიებებს შორის. სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, თანხები შესაძლებელია დაექვემდებაროს 25%-მდე ცვლილებას, შესაბამისი დასაბუთების უზრუნველყოფის შემთხვევაში.

ცხრილი 21. მოსახლეობის წილი და რეგიონებს შორის თანხების ინდიკატიური განაწილება

რეგიონი	მოსახლეობა (ათასი)	მოსახლეობის წილი მთლიანად 4 რეგიონში (%)	ინდიკატიური განაწილება (%)	ინდიკატიური განაწილება (მილიონი €)	ერთ სულ მოსახლეზე (ათასი €)
იმერეთი	507.00	52.68	43.8	22.1	43.8
კახეთი	314.70	32.70	35.6	18.0	57.5
გურია	110.50	11.48	14.0	7.1	64.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30.20	3.14	6.6	3.3	110.6
სულ	**962.4**	**100.0**	**100.0**	**50.5**	**52.7**

თავი VII. მართვისა და განხორციელების ინსტიტუციური სისტემა

სრიგპ-ის ღონისძიებების დიდი ნაწილი განხორციელდება უშუალოდ საქართველოს მთავრობისა და მუნიციპალიტეტების მიერ, თუმცა ევროკავშირიდან გამოყოფილი 53.75 მილიონი ევროდან 13.25 მილიონი ევროს ხარჯვა განხორციელდება უშუალოდ ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით.

ინსტიტუციური სისტემა, სრიგპ-ს მიზნების მისაღწევად და პროგრამის დაფინანსების ეფექტიანი გამოყენებისთვის, მოიცავს შესაბამის ორგანიზაციებს, უწყებებს და მათ შორის ურთიერთქმედების წესებსა და ნორმებს. პროგრამის განხორციელების დეტალური ინსტიტუციური ჩარჩო შემუშავდება შემდეგ ეტაპზე და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტ(ებ)ით, სადაც დადგენილი იქნება ჩართული სუბიექტების შემადგენლობა და ფუნქციები.

სრიგპ-ს შეთავაზებული ინსტიტუციური სისტემის მთავარი სუბიექტები არიან[50]:

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) არის საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც საერთო მართვას და კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს შერჩეული რეგიონების განვითარების პროცესს. კომისია შედგება დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლებისგან, სადაც განსახილველი საკითხების შინაარსიდან გამომდინარე, სხდომებზე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების წარმომადგენლები, ევროკავშირის დელეგაციის, საჯარო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. კომისიას თავმჯდომარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
სრიგპ-თან მიმართებაში კომისიის როლი შემდეგნაირია:

- საპილოტე რეგიონებში რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის წინადადებების წარდგენა;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს მოწონება, რომელიც უზრუნველყოფს სრიგპ-ს შეუფერხებელ განხორციელებას, მათ შორის, პროექტების შერჩევის, შეფასებისა და დამტკიცების პროცედურები, შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა, სახელმძღვანელოები და სხვა სტრატეგიული დოკუმენტები, ასეთების არსებობის შემთხვევაში;
- პროგრამის შესაძლო ცვლილების განხილვა, მოწონება და საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა, გარდა პროგრამის პრიორიტეტებისა და ღონისძიებების ცვლილებისა;
- პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება;
- პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად, დასაფინანსებელი პროგრამების/პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ან შესაბამისობის შემოწმება და დაფინანსების მიზნით, საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;
- პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად, სტრატეგიული პროექტების შერჩევა, განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;
- პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის ყოველწლიურად განსაკარგი ჯამური თანხის განსაზღვრა და საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

[50] სრიგპ-ს სხვადასხვა ღონისძიებების/ქვეღონისძიებების განხორციელებაში სხვადასხვა უწყების როლის მიმოხილვა იხილეთ დანართი 1-ის მე-3 ცხრილში.

- ყოველწლიურად განსაკარგი პროგრამის პრიორიტეტების ჯამური თანხის ფარგლებში, სრიგპ-ით გათვალისწინებული ღონისძიებების/ქვეღონისძიებების ბიუჯეტის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საჭიროებისამებრ, სრიგპ-ს ფარგლებში პროგრამების/პროექტების განაცხადების პირობების მომზადება და გამოცხადება;
- სრიგპ-ის მონიტორინგისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვა და მოწონება;
- სრიგპ-ის განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგი, პერიოდული ანგარიშების განხილვა და წინადადებების შემუშავება განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;
- პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის საჭირო დაგეგმვის დოკუმენტების, მათ შორის, რეგენერაციის გეგმების მოწონება;
- პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის **ტექნიკური საკოორდინაციო ერთეული (ტსე):** აქვს სრიგპ-ს საერთო მართვის და კოორდინაციის უფლებამოსილების ნაწილში კომისიის ხელშეწყობის ფუნქცია და პასუხისმგებელია პროგრამის ეფექტიანი მართვისა და განხორციელების ნაწილში. კომისიისა და ტექნიკური საკოორდინაციო ერთეულის სამდივნოს ფუნქცია დაეკისრება საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შემდეგზე:

- ხელი შეუწყოს კომისიას მართოს და კოორდინაცია გაუწიოს პროგრამის განხორციელებას;
- უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობისა და განვითარების პარტნიორების მიერ განსახორციელებელი შემავსებელი ღონისძიებების კოორდინაცია;
- პროგრამისა და პროექტების განხორციელების მონიტორინგში ჩართულობა, მათ შორის წლიური მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და კომისიისთვის წარდგენა;
- პროგრამაში საჭირო ცვლილებების ინიცირება და კომისიისთვის წარდგენა;
- პროგრამებისა და პროექტების შერჩევის მიზნით მათი დადგენილ კრიტერიუმებთან შემოწმება და კომისიისთვის წარდგენა;
- პროგრამის ეფექტიანი მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად კომისიის დავალებით სხვა ღონისძიებების განხორციელება.

ევროკავშირის/საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებთან მიმართებაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ამ პროგრამის განხორციელების ფარგლებში საერთო ზედამხედველობითი როლი ეკისრება. იგი კოორდინაციას უწევს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის დადგენილი მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების სამიზნეების მიღწევასთან დაკავშირებით. უზრუნველყოს ამ პროგრამის ფარგლებში სუბიექტების აქტივობების თავსებადობას ამავე პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებებთან.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭო (სსს) არის სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანო, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სრიგპ-ის ფარგლებში მისი როლი შემდეგია:

- პროგრამით განსაზღვრული ღონისძიების ფარგლებში, გადაწყვეტილებების მიღება ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფის მიერ შეფასებულ პროექტებთან დაკავშირებით;
- გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, დამტკიცებული პროექტების სიის გაგზავნა კომისიის ტექნიკურ საკოორდინაციო ერთეულთან, დადგენილ კრიტერიუმებთან შემოწმების მიზნით;

- გრანტის მიმღებებისგან პროექტების განხორციელების შესახებ ანგარიშგების რეგულარულად მოთხოვნა და კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- მონიტორინგისა და ფინანსური ანგარიშების მომზადების უზრუნველყოფა.

ღონისძიების შინაარსიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მუნიციპალიტეტების გარდა, მონაწილეობას შეიძლება იღებდნენ სხვა დაინტერესებული მხარეებიც, მათ შორის რგის, სხვა დარგობრივი სამინისტროები, ადგილობრივი და რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, აკადემიური წრეებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები.

პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, განმახორციელებელი უწყების როლი შესაძლებელია შეასრულონ ტექნიკური საკოორდინაციო ერთეულის ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ან სხვა საჯარო უწყებამ, აგრეთვე, დამოუკიდებლად სხვა საჯარო უწყებებმა, (მაგ.,: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სსიპ – აწარმოე საქართველოში; სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო).
რაც შეეხება პროგრამის იმ ნაწილს (ღონისძიებები), რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელდება, განმახორციელებელი უწყებები ევროკავშირისა და რგის-ის მიერ შეირჩევა.

ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფი – არის პროექტების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები უწყებების დამხმარე სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო იდეებისა და სრული საპროექტო განაცხადების შეფასებაში მხარდაჭერას იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია გამოცხადებული პროექტების მიღების დროს და/ან უშუალოდ სრიგპ-ში. ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფი არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს. ის უწევს კონსულტაციებს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებს, სახელმწიფო უწყებებს და სტრატეგიული [51] პროექტების შემთხვევაში, სამთავრობო კომისიას. ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფის შემადგენლობა განსხვავდება ღონისძიებების მიხედვით. ის შეიძლება, შედგებოდეს სახელმწიფო უწყებების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისა ან/და გარე ექსპერტებისგან ან დამოუკიდებლად გარე ექსპერტებისაგან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია მოცემული ღონისძიების ფარგლებში პროექტების შესაფასებლად.
შეფასებაში მონაწილე პირები არ უნდა წარმოადგენდნენ ან იყვნენ ამ პროექტების ინიციატორები. პროექტების შეფასების შემდგომ, ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფი ამზადებს პროექტების რანგირებულ ნუსხას და რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს, შესაბამის სახელმწიფო უწყებას ან სამთავრობო კომისიას იმ პროექტების დაფინანსებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს და მოაგროვებენ სათანადო რაოდენობის შეფასების ქულებს.

გადაწყვეტილება პროგრამის და პროექტების დაფინანსების შესახებ

პროგრამასა ან/და პროექტებზე გადაწყვეტილებას იღებს:
ა) **სამთავრობო კომისია** – იმ ღონისძიებების ფარგლებში, რომლებშიც პროგრამის განაცხადების წარდგენა მოხდება ცენტრალური ხელისუფლების დონეზე და ასევე, სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებისთვის;
ბ) **სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები** – იმ ღონისძიებების ფარგლებში, რომლებშიც პროექტების განხორციელება მოხდება რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე;
გ) **განმახორციელებელი უწყებები** – იმ ღონისძიებების ფარგლებში, სადაც დასაფინანსებელი პროექტები საჭიროებენ სპეციფიკურ ცოდნასა და გამოცდილებას (მაგ., მეწარმეობის, ინოვაციების, კვლევა-განვითარების მხარდაჭერა).

[51] განისაზღვრება კომისიის მიერ, პროექტების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავებისას.

როდესაც გადაწყვეტილება მიიღება განმახორციელებელი უწყების მიერ, მიზანშეწონილია, განხორციელდეს კონსულტაციები სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსთან.

სამთავრობო კომისიის მიერ მისაღები და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ მიღებული ყველა პროექტი ექვემდებარება საბოლოო შესაბამისობის შემოწმებას კომისიის ტექნიკური საკოორდინაციო ერთეულის ან/და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან.

პროექტის ინიციატორი – არის პირი/უწყება, რომელიც პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისთვის წარადგენს საპროექტო იდეას ან/და სრულ საპროექტო განაცხადს. პროექტის ინიციატორი, პრიორიტეტებისა და ღონისძიებების მიხედვით, შეიძლება იყოს კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, სხვა შემთხვევებში – მუნიციპალიტეტი ან შესაბამისი სახელმწიფო უწყება. პროგრამის გარკვეული პრიორიტეტებისა და ღონისძიებების შემთხვევაში, პროექტის ინიციატორმა შესაძლებელია საპროექტო იდეით მიმართოს მუნიციპალიტეტს, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე წარსადგენად.

გრანტის[52]/მომსახურების მიმღები – პირი/უწყება, რომელიც პროგრამის ფარგლებში იღებს დაფინანსებას. გრანტის/მომსახურების მიმღები პასუხისმგებელია პროექტის მართვასა და მდგრადობაზე.

პროგრამა/პროექტი დაფინანსდება ზემოაღნიშნული შესაბამისი სუბიექტის მიერ პროგრამის/პროექტის განხორციელების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემულია სრიგპ-ს ამ ნაწილის ზოგადი განხორციელების სქემა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელდება.

გრაფიკი 9. სრიგპ-ს მართვისა და განხორციელების ორგანიზაციული სისტემა



[52] ამ პროგრამის მიზნებისთვის, საჯარო უწყებებისთვის გასაცემი თანხები ითვალისწინებს ფინანსურ ტრანსფერს და არ გულისხმობს გრანტების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს.

პროექტის მართვის ციკლი **5 ფაზას მოიცავს (იხილეთ ქვემოთ გრაფიკი, სადაც წარმოდგენილია პროექტის მომზადების, შეფასების და გადაწყვეტილების მიღების პროცესი):**

1. **მუნიციპალიტეტების მიერ მოსამზადებელი საჭირო სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება, წარდგენა და მიღება**
   სრიგპ-ს მრავალი ღონისძიების ფარგლებში, ინტერვენციების ინტეგრირებული ხასიათის შესანარჩუნებლად, პროექტების იდეებისა და სრული საპროექტო განაცხადების წარდგენამდე, საჭიროა სხვადასხვა დაგეგმვის დოკუმენტების მომზადება. მაგალითად, სატრანსპორტო გეგმა ან განვითარების გეგმა ქალაქის ფუნქციურ არეალში (ღონისძიება 1.1), ურბანული რეგენერაციის გეგმა (ღონისძიება 1.2), მუნიციპალიტეტის განვითარების დოკუმენტი (პრიორიტეტი 4). აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ უნდა მომზადდეს. ამ დოკუმენტების შინაარსის მინიმალური კრიტერიუმები პროგრამის განხორციელების დაწყებამდე შემუშავდება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დოკუმენტები არ არსებობს (ზოგიერთი უკვე შემუშავებულია და გამოიყენება), შესაძლებელია მათი მომზადება ტექნიკური დახმარების მხარდაჭერით (პრიორიტეტი 5.4). მომზადებული სტრატეგიები და სხვა საჭირო დოკუმენტები უნდა წარედგინოს სამთავრობო კომისიას საპროექტო იდეებისა და განაცხადების მიღებამდე.
2. **პროექტის უფლებამოსილი ინიციატორების მიერ საპროექტო იდეების/წინადადებების მომზადება, შეფასება და მიღება**
   შესაბამისი განმახორციელებელი უწყება ორგანიზებას უწევს საპროექტო იდეებისა და სრული საპროექტო განაცხადების წარდგენისა და მიღების პროცესებს. – პროექტის პრომოუტერებს შეუძლიათ სრული საპროექტო განაცხადის წარდგენამდე, წარმოადგინონ (თუ პროცედურა ამის ნებას რთავს) საპროექტო იდეები. აღნიშნული საპროექტო წინადადებები შეფასდება შესაბამისი ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფის მიერ და გადაწყვეტილების მისაღებად, რანგირებული სიის ფორმით, წარედგინება სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს, შესაბამის განმახორციელებელ უწყებას ან სამთავრობო კომისიას (სტრატეგიული და რეგიონული მასშტაბის პროექტების შემთხვევაში). საპროექტო იდეის თაობაზე, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, პროექტის ინიციატორი დათქმულ ვადაში ამზადებს პროექტის სრული სააპლიკაციო ფორმას – სრული საპროექტო განაცხადისა და საჭირო დამატებითი დოკუმენტაციის მომზადებაში მხარდაჭერა შესაძლებელია **ტექნიკური დახმარების მიერ** (პრიორიტეტი 5.4).
3. **უფლებამოსილი ინიციატორების მიერ მომზადებული სრული საპროექტო განაცხადების მომზადება, შეფასება და მიღება**
   შესაბამისი განმახორციელებელი უწყება ორგანიზებას უწევს სრული საპროექტო განაცხადების მიღების პროცესს, მოთხოვნილი სააპლიკაციო ფორმის მიხედვით (შესამუშავებელია).
   საპროექტო განაცხადებს აფასებს შესაბამისი ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფი, რომელიც შეფასების შემდგომ ამზადებს რეკომენდაციებს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსთვის ან შესაბამისი უწყებისთვის (ან კომისიის სტრატეგიული პროექტების შემთხვევაში).
   პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამხარეო საკონსულტაციო საბჭო, შესაბამისი სახელმწიფო უწყება ან სამთავრობო კომისია, სტრატეგიული პროექტების შემთხვევაში. გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, შესაბამისი განმახორციელებელი უწყება აფორმებს ხელშეკრულებას წარმატებულ პროექტის ინიციატორებთან, სადაც გაწერილია საჯარო ფინანსების გამოყენების პირობები, მათ შორის, ვადები, თანადაფინანსება და მისაღწევი ფიზიკური ინდიკატორები (ნიმუში უნდა მომზადდეს).
4. **პროექტის განხორციელება**
   პროექტების განხორციელება ხდება შეთანხმების ან საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად.

5. მონიტორინგი და პროექტის შეფასება

ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებიდან გამომდინარე, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების სამდივნოები და სახელმწიფო უწყებები პასუხისმგებელნი არიან, შეთანხმებული მონიტორინგის პრინციპების შესაბამისად, მოამზადონ პერიოდული ანგარიშები განხორციელების პროგრესისა და მიღწეული შედეგების შესახებ და სრიგპ-ის დონეზე მონიტორინგის მიზნით, წარუდგინონ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. სრიგპ-ის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშს სამინისტრო წარუდგენს სამთავრობო კომისიას.

პროგრამის საბოლოო შეფასებას დადგენილ სამიზნეებისა და ინდიკატორებთან მიმართებაში განახორციელებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მისი დასრულების შემდეგ, ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით.

გრაფიკი 10. სრიგპ-ს ფარგლებში პროექტების მართვის ციკლი



დანართი I. სრიგპ-ს მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები ღონისძიებებისთვის და ქვეღონისძიებებისთვის; დასაშვები პროექტების ტიპები, სამიზნე ჯგუფები, განხორციელების პირობები და ასიგნებები

ცხრილი 1. სრიგპ-ს მიზანი, მოსალოდნელი შედეგი და ინდიკატორები

მიზანი	მოსალოდნელი შედეგი	გავლენის ინდიკატორი/ები	საბაზისო (2017)		სამიზნე (2022 წლის ბოლომდე)	ინფორმაციის წყარო
განვითარე ბის ფაქტორებში ინვესტიციების ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა 4 საპილოტე რეგიონში მთლიანად ქვეყნის უფრო დაბალანსებული და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად	**გაზრდილი კონკურენტუნარიანობა** • პროდუქტიულობის დონის ზრდა (მშპ ერთ დასაქმებულზე შრომის სტატისტიკის კვლევის მიხედვით) • ინვესტიციების დონის ზრდა 4 რეგიონში • 4 რეგიონის გაზრდილი წვლილი ეროვნულ მთლიან დამატებულ ღირებულებაში • დასაქმების ზრდა 4 რეგიონში	პროდუქტიულობა ერთ დასაქმებულ პირზე საბაზრო ფასებში – ათასი ლარი/წელიწადში, 4 რეგიონის საშუალო მაჩვენებელი	13.4		17.0	საქსტატი
		ინვესტიციების წილი ფიქსირებულ აქტივებში როგორც მდღ-ს პროცენტული მაჩვენებელი (%), 4 რეგიონის საშუალო მაჩვენებელი	4		4.5	საქსტატი
		ნომინალური მშპ-ს ზრდა (ეროვნული 11.2%), 4 რეგიონის საშუალო მაჩვენებელი	9.7		მინიმუმ 20%	საქსტატი
		დასაქმების დონე (%), 4 რეგიონის საშუალო მაჩვენებელი	64.1	ქალი 55.2%, კაცი 66.9% (ეროვნულ დონეზე: ქალი 50.8%, კაცი 63.4%)	66	საქსტატი
	გაზრდილი სოციალური თანასწორობა და სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებული მიწოდება • სიღარიბის დონის შემცირება 4 რეგიონში;	აბსოლუტური სიღარიბე, (%), საშუალო 4 რეგიონისთვის	27.4	ქალი 26.6%, კაცი 28.3% (ეროვნულ	25.5	საქსტატი

	• 4 რეგიონიდან გადინების/მიგრაციის შემცირება; • მნიშვნელოვან სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდა (წყალმომარაგება, ჯანდაცვა, სკოლამდელი და ზოგადი განათლება და სოციალური სერვისები); • მთავრობის მუშაობის ხარისხის გაზრდა			დონეზე: ქალი 21.6%, კაცი 22.4%)		
		მოსახლეობის რაოდენობა (ათასი), 4 რეგიონის ჯამურად	972,6		933,7 (შემცირების ტემპის შენელება მინიმუმ 4%-მდე)	საქსტატი
		ცენტრალური წყალარინების სისტემაზე ხელმისაწვდომობა, სისტემის გამართული მუშაობა რეგიონების მიხედვით, %.	იმერეთი 41, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 21, კახეთი 14, გურია 14		მინიმუმ 10%-იანი ზრდა ყველა რეგიონში	საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოქალაქეთა კმაყოფილების დონის კვლევა (UNDP)
		რეგიონების მიხედვით სახელმწიფო მოხელეების მხრიდან მოსახლეობასთან კომუნიკაციით კმაყოფილების დონე, (%)[53]	იმერეთი 60, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 74, კახეთი 64, გურია 70		მინიმუმ 5%-იანი ზრდა ყველა რეგიონში	საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოქალაქეთა კმაყოფილების დონის კვლევა (UNDP)
	თბილისსა და საპილოტე რეგიონებს შორის შემცირებული უთანაბრობები	4 რეგიონის მშპ-ს ჯამური მაჩვენებელი, მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	5903.6		ზრდა მინიმუმ 15%	საქსტატი

ცხრილი 2. ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები პრიორიტეტებისთვის

პრიორიტეტის სახელწოდება	2018-2021 წლების რგპ-ს	ამოცანა	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო (2017)	სამიზნეები (2022 წლის	ინფორმაციის წყარო

[53]გამოკითხულთა რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ რომ კომუნიკაცია ეფექტურია

	პრიორიტეტებთან შესაბამისობა						ბოლო)	
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე	1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 2. ადგილობრივი განვითარებისა და კონკრეტული სფეროების ხელშეწყობა მათ ენდოგენურ განვითარებაზე დაყრდნობით	ქალაქების განვითარების პროცესისა და რეგენერაციის მხარდაჭერა	• ურბანული მოსახლეობის სტაბილიზაცია და ახალი მოქალაქეების მოზიდვა, განსაკუთრებით რეგიონულ ცენტრებში • რეგიონული ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდა • ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაცია ქალაქებში	4 რეგიონულ ცენტრში დასაქმებული პირები (მუნიციპალიტეტის დონეზე) ქუთაისი, თელავი, ამბროლაური, ოზურგეთი, 4 რეგიონის ჯამურად	56288	ქალი 43%, კაცი 57% (ბიზნეს სექტორში დასაქმებულები ეროვნულ დონეზე: ქალი 40%, კაცი 60%)	10%-იანი ზრდა	საქსტატი
				ბიზნეს სექტორის ბრუნვა რეგიონულ ცენტრებში (ქუთაისი, თელავი, ამბროლაური, ოზურგეთი), მილიონი ლარი, 4 რეგიონის ჯამურად	2634.7		40% -იანი ზრდა	საქსტატი
				რეგიონულ ცენტრებში ბიზნეს სექტორში დასაქმებული პირების წილი (ქუთაისი, თელავი, ამბროლაური, ოზურგეთი) რეგიონებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, საშუალო 4 რეგიონული ცენტრისთვის	48.0	43% ქალი და 57% კაცი (ეროვნულ დონეზე ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა	51	საქსტატი

					გენდერული პროპორცია) ქალი 40%, კაცი 60%)		
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 2. მცირე და საშუალო საწარმოები, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორები და ექსპორტის ხელშეწყობა 4. ადგილობრივი განვითარებისა და კონკრეტული სფეროების ხელშეწყობა მათ ენდოგენურ განვითარებაზე დაყრდნობით	უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარება	• 4 რეგიონში გაზრდილი ბრუნვა ტურიზმის სექტორში • ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა საპილოტე რეგიონებში • სერვისების გაუმჯობესებული ხარისხი	ბრუნვა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და სურსათის მიწოდების სფეროებში, ჯამურად 4 რეგიონში (მლნ ლარი)	128.6	მინიმუმ 90% ზრდა	საქსტატი
				ვიზიტორების რაოდენობა იმერეთში და კახეთში[54]	70.3	მინიმუმ 30% ზრდა	საქსტატი
				ტურისტული ინფრასტრუქტურით კმაყოფილების დონე 4 რეგიონის მიხედვით, (%), (გამოკითხულთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ სრულიად შესაბამისია)[55]	იმერეთი 30, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 26, კახეთი 4, გურია 1	მინიმუმ 10 %-იანი ზრდა ყველა რეგიონში	საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოქალაქეთა კმაყოფილების დონის კვლევა (UNDP)
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარია	2. მცირე და საშუალო საწარმოები, ეკონომიკის	რეგიონული მცირე და საშუალო საწარმოების	• ახალი შექმნილი სტაბილური სამუშაო ადგილები ბიზნეს	ბიზნეს სექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, ჯამურად 4 რეგიონში	86736	მინიმუმ 25%-იანი ზრდა	საქსტატი

[54] ვიზიტორების რაოდენობის შესახებ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი ცალკე რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთისა და გურიის შესახებ

[55] კმაყოფილების დონის კვლევის გამოკითხულები აფასებენ სამ დონეზე „ სრულიად შესაბამისია“, „გარკვეულწილად შესაბამისია“ და „სრულიად შეუსაბამო“.

ნობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა	ზრდაზე ორიენტირებული სექტორები და ექსპორტის ხელშეწყობა 3. ადგილობრივი განვითარებისა და კონკრეტული სფეროების ხელშეწყობა მათ ენდოგენურ განვითარებაზე დაყრდნობით	ზრდის უზრუნველსაყოფად პირობების გაუმჯობესება და რეგიონულ ინოვაციების ეკოსისტემების განვითარება	• სექტორში სამრეწველო მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტიციების გაზრდა; • ინოვაციური პროდუქტების გამოყენების მიზნით მცირე და საშუალო საწარმოების შესაძლებლობები ს გაზრდა • განვითარებული ახალი პროდუქტები და სერვისები, მათ შორის რომელთაც საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ	4 რეგიონში მცირე და საშუალო საწარმოებში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები, 2017, (მილიონი ლარი), 4 რეგიონის ჯამურად	192.5	მინიმუმ 30% ზრდა	საქსტატი
				4 რეგიონში მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება, 2017, (მილიონი ლარი), 4 რეგიონის ჯამურად	1306	მინიმუმ 50% ზრდა	საქსტატი
				4 რეგიონში რეგისტრირებული საწარმოების ექსპორტის მოცულობა (მილიონი ლარი)	268,3	მინიმუმ 40% ზრდა (375,7)	საქსტატი
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 4. ადგილობრივი განვითარებისა და კონკრეტული სფეროების ხელშეწყობა მათ ენდოგენურ	დაშორებულ ტერიტორიებზე ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირების მიზნით ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და სერვისების მიწოდების გაუმჯობესება	• ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები • გაუმჯობესებული ცხოვრების დონე • ბიზნესის წარმოების გაზრდილი შესაძლებლობები	მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების ზრდა 4 რეგიონში[56]	288.4	მინიმუმ 15%	საქსტატი
				შინამეურნეობების წილი, რომლებსაც წვდომა აქვთ სახლში შეყვანილ წყლის სისტემასთან, (%) 4 რეგიონის საშუალო	45.6	55	საქსტატი
				აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა 4 რეგიონში	37945	მინიმუმ 10%	საქსტატი

[56] სტატისტიკური მონაცემები გურიის შესახებ გაერთიანებულია საქსტატის კატეგორიაში „დანარჩენი რეგიონები“

	განვითარებაზე დაყრდნობით						
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება	5. რეგიონული განვითარების ინსტიტუტების ეფექტურობის და ხარისხის გაუმჯობესება და საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადება	საჯარო ადმინისტრაციებისა და განვითარების პარტნიორების შესაძლებლობების განვითარება თანამედროვე რეგიონული პოლიტიკის საწარმოებლად და სრიგპ-ს შეუფერხებელი და ეფექტური განხორციელების გაძლიერება/ უზრუნველყოფა.	• რგის-ის და სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი დონის ხელისუფლების პროგრამირებისა და მართვის უნარების გაზრდა • ადგილობრივი ხელისუფლებისა და განვითარების პარტნიორების გაზრდილი ჩართულობა • სრიგპ-ს შეუფერხებელი განხორციელება	გაცემული თანხების ოდენობა სრიგპ-ს დასრულებისას (მილიონი ლარის % მაჩვენებელი)	50.5 მილიონი ლარი	მინიმუმ 80%	სრიგპ-ს მონიტორინგის სისტემა
				სრიგპ-ს განსახორციელებლად რგის-ის და სხვა ინსტიტუციების დელეგირებულ თანამშრომელთა რაოდენობა	0	15	სრიგპ-ს მონიტორინგის სისტემა
				სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს დონეზე განსაზღვრული და შერჩეული პროექტების წილი (%)	0	მინიმუმ 60%	სრიგპ-ს მონიტორინგის სისტემა

ცხრილი 3. დასაფინანსებელი შესაძლო აქტივობების ტიპები, მყისიერი შედეგის ინდიკატორები, გრანტის მიმღებები, განხორციელების ღონისძიებები და ღონისძიებების/ქვეღონისძიებების დონეზე გამოყოფილი ინდიკატიური თანხები სახელმწიფო და ევროკავშირის წყაროებიდან

ჩამოთვლილი პროექტების/აქტივობების ტიპების, განმახორციელებელი უწყებების, გრანტის/მომსახურებების მიმღებებისა და პროექტის ინიციატორების ნუსხა ატარებს სავარაუდო ხასიათს და დამოკიდებულია წარმოდგენილ პროექტებზე. შესაბამისად, აღნიშნული არ გულისხმობს ყოველი მათგანის განხორციელების ვალდებულებას.

საორიენტაციო ხასიათს ატარებს მყისიერი შედეგების სამიზნე ღირებულებებიც, რომლის შესრულებაც დამოკიდებულია წარმოდგენილი პროექტების ხარისხსა და რაოდენობაზე.

პრიორიტეტი	ღონისძიების დასახელება მოკლე აღწერა	ქვეღონისძიების დასახელება მოკლე აღწერა	დასაფინანსებელი პროექტების / აქტივობების ტიპები	მყისიერი შედეგის ინდიკატორები	სამიზნე ღირებულება (2022 წლის ბოლო)	გრანტის მიმღებები / პროექტის ინიციატორები განხორციელების სფერო	განმახორციელებელი უწყებები პროექტების შესახებ გადაწყვეტილება	მხარდაჭერის ფორმა
1	2	3	4	5	7	8	9	10
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებში	1.1 რეგიონული ურბანული ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური როლის გაძლიერება ღონისძიების მთავარი მიზანია ეკონომიკური, კულტურული და სოციალური თვალსაზრისით რეგიონული	ა – რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია	**ჯგუფი 1. პროგრამული დოკუმენტების შემუშავება** - ქალაქისთვის და მისი ფუნქციური არეალისთვის განვითარების დოკუმენტის მომზადება - ქალაქისთვის და მისი ფუნქციური არეალისთვის სატრანსპორტო გეგმის მომზადება	- მომზადებული სტრატეგიებისა და გეგმების რაოდენობა	მაქსიმუმ 4	***გრანტის მიმღებები:*** - მუნიციპალიტეტები, რომლებიც მიეკუთვნებიან/ქმნიან ქუთაისის, თელავის, ოზურგეთის, ამბროლაურის ფუნქციურ არეალს ***პროექტის ინიციატორები*** მუნიციპალიტეტები, რომლებიც მიეკუთვნებიან/ქმნიან ქუთაისის, თელავის,	***განმახორციელებელი უწყება:*** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ***გადაწყვეტილება სტრატეგიებზე/გეგმებზე:*** *სამთავრობო კომისია*	საგრანტო სქემის ორ ეტაპიანი პროცედურა: I – პროექტის იდეა II – პროექტის განაცხადები საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად

	ცენტრების (ამბროლაურის, ქუთაისის, ოზურგეთის, თელავის) როლისა და ფუნქციების გაძლიერება.		**ჯგუფი 2. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება** - ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია, რომელიც პირდაპირ ემსახურება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების განვითარებას (მაგ., ავტობუსის გაჩერებები, სადგურები/დეპოები და ზოლები, ჭკვიანი საინფორმაციო სისტემები) - ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც საგზაო უსაფრთხოების ზრდას უწყობს ხელს (ადგილობრივი გზები, საგზაო გადაკვეთები, შუქნიშნები, რომლებიც მხედველობადაქვეითებულთა მოთხოვნებს აკმაყოფილებს და სხვა) - პარკირების ადგილების; ქვეითთა ზონების მშენებლობა; - ობიექტების მშენებლობა, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ინტეგრაციას; - სხვა ალტერნატიული სატრანსპორტო სისტემის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; - რეკრეაციული ობიექტების მოწყობა - სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	- მხარდაჭერილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა - განხორციელებული პროექტების რაოდენობა, რომლებიც საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფს - პროექტების რაოდენობა, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ინტეგრაციას; - ალტერნატიული (არა ავტობუსის) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა - შეძენილი ავტობუსების რაოდენობა (მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე)	20 4 2 2 დამოკიდებულია მოთხოვნაზე	ოზურგეთის და ამბროლაურის ფუნქციურ არეალს ***გეოგრაფიული დაფარვა:*** ქალაქები ქუთაისი, თელავი, ოზურგეთი და ამბროლაური და მიმდებარე ტერიტორიები, რომლებიც რეგიონული ცენტრის ფუნქციურ არეალს ეკუთვნიან	***პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღები:*** *სამხარეო საკონსულტაციო საბჭო (სსს)* ***პარტნიორი უწყებები:*** *ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო-სამართლებრივი ჩარჩოს და პოლიტიკის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა*	

		ბ – რეგიონული ცენტრების, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალების განვითარება	**ჯგუფი 1. სოციალური ინფრასტრუქტურა** - სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაცია, რომელიც ქალაქის, როგორც რეგიონული ცენტრის ფუნქციონირებას უწყობს ხელს (მაგ., თეატრები, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები, სპორტული ობიექტები - რეგიონული მნიშვნელობის უმაღლესი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და განვითარება (მათ შორის, აღჭურვილობა, საერთო საცხოვრებლებისა და სხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოწყობა) - არსებული ობიექტის გარდაქმნა ან ახალი მრავალპროფილიანი საქმიანობის შენობის / ცენტრის მშენებლობა, რომელიც აუცილებელია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული როლის გაძლიერებისთვის - საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ქუჩებისა და მიმდებარე შენობების განახლება, ძეგლების, შადრევნების, ბავშვებისთვის სათამაშო მოედნების,	- აშენებული / მოდერნიზებული სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ცენტრალურ ფუნქციებს მოემსახურება (თეატრები, საკონცერტო დარბაზები და სხვა) - მოდერნიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების (უნივერსიტეტები, სკოლები) რაოდენობა - შექმნილი მრავალფუნქციური აქტივობის ცენტრების რაოდენობა	4 2 2	***გრანტის მიმღები:*** - მუნიციპალიტეტები, რომლებიც მიეკუთვნებიან/ქმნიან ქუთაისის, თელავის, ოზურგეთის, ამბროლაურის ფუნქციურ არეალს - ქალაქებში მოქმედი საჯარო ინსტიტუციები, მათ შორის, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ***პროექტის ინიციატორები*** - 4 მუნიციპალიტეტი (ქუთაისი, თელავი, ოზურგეთი, ამბროლაური) - ქალაქებში მოქმედი საჯარო ინსტიტუციები, მათ შორის, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ***გეოგრაფიული დაფარვა*** - ქალაქები ქუთაისი, თელავი, ოზურგეთი და ამბროლაური	***განმახორციელებელი უწყება:*** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ***პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები:*** *:* სსს	საგრანტო სქემის ორ ეტაპიანი პროცედურა: I – საპროექტო წინადადებები II – საპროექტო განაცხადები საჭირო დოკუმენტაცია თან ერთად

			რეკრეაციული ობიექტების მოწყობა, ა.შ. - ელექტრონული სერვისების განვითარება - სხვა ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქების რეგიონული ურბანული ცენტრის ფუნქციების განვითარებას					
			ჯგუფი 2. რეგიონის / ქალაქის პოპულარიზაცია - რეგიონული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებების ორგანიზება (ბიზნეს ფორუმები/შეხვედრები, კულტურული ღონისძიებები - რეგიონული/ქვეყნის მასშტაბის/საერთაშორისო ბაზრობები, გამოფენები, კონფერენციები - ინვესტორებისა და ტურისტებისთვის განკუთვნილი პოპულარიზაციის აქტივობების მხარდაჭერა - მხარდაჭერილი ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის ტრენინგების ორგანიზება და საჭირო უნარების განვითარება	- რეგიონული ზეგავლენის მქონე მხარდაჭერილი ღონისძიებების რაოდენობა - პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - მხარდაჭერილი ორგანიზაციებისთვის გადამზადებული თანამშრომლების	8 6 50			

	1.2 ურბანული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განახლება ამ ღონისძიების მიზანია ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკური რეგენერაციის მხარდაჭერა მათი საწარმოო ბაზის დივერსიფიკაციისა და ახალი ბიზნესების განვითარების პროცესში. ღონისძიების განუყოფელი ნაწილია მოსახლეობისთვის ახალი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება	ა – აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება	**ჯგუფი 1. შერჩეული ურბანული ტერიტორიების განვითარების გეგმების მომზადება** - ქალაქის საზღვრებში შერჩეული კომპლექსური განახლების გეგმების მომზადება	- მომზადებული განახლების გეგმების რაოდენობა	მაქსიმუმ 4	*გრანტის მიმღებები:* - მუნიციპალიტეტები, რომელთაც სამრეწველო ფუნქციები გააჩნიათ და რომელთაც სოციალურ-ეკონომიკური ვარდნა განიცადეს (ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი, სამტრედია და მთავარი რეგიონული ცენტრები – ქუთაისი, ამბროლაური, ოზურგეთი, თელავი); - შესაძლებელია პროექტების განხორციელება საპილოტე რეგიონების სხვა ქალაქებში/ადგილებში, იმ პირობით, რომ კომპლექსური რეგენერაციის გეგმები მომზადებული იქნება; - სამიზნე ქალაქებში არსებული საჯარო ინსტიტუციები - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა *პროექტის ინიციატორები* - სამრეწველო ფუნქციების მქონე მუნიციპალიტეტები, სადაც სოციალურ-ეკონომიკური ვარდნა შეინიშნება - შესაძლებელია პროექტების განხორციელება საპილოტე რეგიონების სხვა ქალაქებში /	**განმახორციელებელი უწყება**: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო **გადაწყვეტილება ქალაქებისა და ურბანული ტერიტორიების განახლების გეგმების შესახებ:** სამთავრობო კომისია, სსს-თან კონსულტაციები ს შემდგომ ***პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღები: განახლების გეგმებიდან გამომდინარე –*** *სამხარეო საკონსულტაციო საბჭო*	საგრანტო სქემის ორ ეტაპიანი პროცედურა: I – საპროექტო წინადადებები II საპროექტო განაცხადები საჭირო დოკუმენტაცია სთან ერთად
			ჯგუფი 2. ინფრასტრუქტურული ინვესტიციები - განსაზღვრულ ურბანულ ტერიტორიებზე წყალმომარაგება, წყალარინების სისტემა; ელექტროენერგია, გაზიფიცირება, გზების რეაბილიტაცია - საჯარო სივრცის მოწყობა, ქუჩებისა და მიმდებარე შენობების განახლება, რეკრეაციული ობიექტების მოწყობა - ყოფილი სამრეწველო ტერიტორიების რეგენერაცია - ახალი საინვესტიციო ტერიტორიების / ზონების მოწყობა - ენერგო ეფექტურობის გაზრდისკენ მიმართული აქტივობები - ელექტრონული სერვისების განვითარება - მაღალსიჩქარიანი	- განხორციელებული ტექნიკური ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა - განახლებული ყოფილი სამრეწველო ობიექტების რაოდენობა; - მხარდაჭერილი ენერგო ეფექტური ობიექტების / აქტივობების რაოდენობა	12 8 მინიმუმ 4			

			ინტერნეტის უზრუნველმყოფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზების გაყვანა/მონტაჟისთვის საჭირო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების, მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების, ღარების (სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია) მოწყობა			ტერიტორიებზე იმ პირობით, თუ კომპლექსური რეგენერაციის გეგმა მომზადდება ***გეოგრაფიული არეალი:*** ყოფილი ინდუსტრიული ქალაქების (ტყიბული, ჭიათურა, ზესტაფონი, სამტრედია) ურბანულ ტერიტორიებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს		
		ბ – შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი უნარების განვითარება და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობა	**ჯგუფი 1. პროგრამული დოკუმენტების მომზადება** - ადგილობრივი შრომითი ბაზრის ანალიზი - სოციალური გააქტიურების სამოქმედო გეგმა	- ადგილობრივი შრომითი ბაზრის ანალიზისა და სამოქმედო გეგმების რაოდენობა	მაქსიმუმ 4	***გრანტის მიმღებები:*** - ინდუსტრიული ფუნქციების მქონე მუნიციპალიტეტები რომლებმაც სოციალურ-ეკონომიკური დაღმასვლა განიცადეს (ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი, სამტრედია და მთავარი რეგიონული ცენტრები – ქუთაისი, ამბროლაური, ოზურგეთი და თელავი); - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და ტრენინგების პროვაიდერები - სხვა საჯარო შრომის ბაზრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინსტიტუციები; - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები	***განმახორციელებელი უწყება:*** ევროკავშირის დელეგაცია/საერთაშორისო ორგანიზაცია ***პარტნიორი უწყებები:*** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.	საგრანტო სქემა საგრანტო განაცხადის მიღება და შერჩევა
			ჯგუფი 2. უნარ-ჩვევებისა და ადამიანური რესურსების განვითარების აქტივობები - საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურება, ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები (მათ შორის, დასაქმების სტრუქტურის ცვლილების გამო სამუშაოს დაკარგვის რისკის ქვეშ მყოფი	- უნარების განვითარების ტრენინგებსა და კურსებში მონაწილე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა - საინფორმაციო ტექნოლოგიების ტრენინგებსა და კურსებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა; - თვითდასაქმების სქემის ფარგლებში მხარდაჭერილი ადამიანთა რაოდენობა	500 120 80			

			მოსახლეობისთვის) - ტრენინგები და კურსები საინფორმაციო ტექნოლოგიებში, მათ შორის, ახალგაზრდებისა და სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის; - თვითდასაქმების ხელშეწყობის სქემები; - შრომის ბაზრის ანალიზიდან გამომდინარე, სხვა კვალიფიკაციის ამაღლებისა და უნარების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები - პროფესიული განათლების კოლეჯების მიერ ორგანიზებული კურსების მხარდაჭერა			***პროექტის ინიციატორები*** - მუნიციპალიტეტები - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და ტრენინგების პროვაიდერები - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ***გეოგრაფიული არეალი*** - საპილოტე რეგიონების ფარგლებში, ინდუსტრიული ფუნქციების მქონე მუნიციპალიტეტებში, რომლებმაც ეკონომიკური დაღმასვლა განიცადეს და რეგიონულ ცენტრებში - შესაძლებელი პროექტების განხორციელება საპილოტე რეგიონების სხვა ქალაქებში / ტერიტორიებზე იმ პირობით, თუ კომპლექსური რეგენერაციის გეგმა მომზადდება		
			ჯგუფი 3 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა: - სოციალური აქტივობის ცენტრების ორგანიზება - სოციალური მეწარმეობის პროექტების მხარდაჭერა - საზოგადოებრივ საფუძვლებზე დაფუძნებული ინიციატივების მხარდაჭერა - სხვა ტიპის სოციალური მხარდაჭერა და მოწყვლადი ჯგუფების გააქტიურება	- სოციალური მეწარმეობის პროექტების რაოდენობა - განხორციელებული თემზე დაფუძნებული ინიციატივების რაოდენობა - სოციალური გააქტიურების სქემაში ჩართული პირების რაოდენობა (ახალგაზრდები/ხანდაზმულები/მოწყვლადი ჯგუფები/იძულებით გადაადგილებული პირები, ქალები)	4 12 200			
2. ეკონომიკური პოტენციალის განვითარება	**2.1.** რეგიონული ტურიზმის პოტენციალის განვითარება	ა–ტურისტებისთვის ბუნების და კულტურული	- მცირე ზომის თანმხლები ინფრასტრუქტურა (ელექტროენერგია,	- მცირე ზომის მხარდაჭერილი თანმხლები	16	***გრანტის მიმღებები:*** - მუნიციპალიტეტები ***პროექტის***	***განმახორციელებელი უწყება:*** რეგიონული განვითარებისა	საგრანტო სქემის ორ ეტაპიანი პროცედურა:

	ამ ღონისძიების მიზანია რეგიონული მნიშვნელობის ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ტურისტული პოტენციალის გამოყენების გზით; ტურიზმის სფეროში მოქმედი ადგილობრივი მეწარმე სუბიექტების შემოსავლების ზრდა	მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება	საპარკინგე ადგილები, ტუალეტები და სხვა.) ტურისტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და დაცული ტერიტორიების მიმდებარედ - მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურა (საინფორმაციო დაფები, ბილიკების, ტურისტების თავშესაფრების, ბანაკის და დასვენების ადგილების მარკირება, პატარა მუზეუმები და საგამოფენო ცენტრები და სხვა) - რეკრეაციულ ფუნქციებთან დაკავშირებული სხვა მცირე ზომის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა - ადგილობრივი პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების გასაყიდად ადგილების მომზადება	ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა - მოწყობილი ადგილობრივი პროდუქტებისა და ხელნაკეთების გასაყიდი ადგილების რაოდენობა	8	***ინიციატორები :*** - მუნიციპალიტეტები; - შესაბამისი პროფილის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით - საჯარო უწყებები მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით **გეოგრაფიული არეალი:** 4 რეგიონი	და ინფრასტრუქტურის სამინისტრო **გადაწყვეტილების მიღება, ტერიტორიის/ძეგლების განვითარების შესახებ** *სამთავრობო კომისია, სსს-სთან კონსულტაციები შემდგომ* ***პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები:*** სსს ***პარტნიორი უწყებები:*** *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.* საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	I – საპროექტო წინადადებები II საპროექტო განაცხადები საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად
		ბ – კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა	- რეგიონული მნიშვნელობის კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის ძეგლების განახლების ან რეაბილიტაციის მხარდაჭერა - მცირე ზომის მუზეუმების /	- განახლებული კულტურული ძეგლების / ტერიტორიების რაოდენობა	8	***გრანტის მიმღებები:*** - მუნიციპალიტეტები; ***პროექტის ინიციატორები :*** - მუნიციპალიტეტები; - საჯარო უწყებები, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით		

			საგამოფენო სივრცეების მოწყობა - თანმხლები შენობების განახლება - ტურისტულ ადგილებსა და ტერიტორიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის); - პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ძირითადი ხარჯები (ცხრილები, ბუკლეტები, ვებ-გვერდები, ბილეთები)			**გეოგრაფიული არეალი:** 4 რეგიონი		
	2.2. ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება ამ ღონისძიების მიზანია რეგიონული ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და ტურისტული შეთავაზების დივერსიფიკაცია აქტიური ტურისტული საქმიანობის ხელშეწყობით.		**ჯგუფი 1. ხარისხის დივერსიფიკაციისა და გაუმჯობესების მიზნით გეგმების და პროგრამების მომზადება** - ახალი რეგიონული ტურისტული პროდუქტების განვითარების გეგმების მომზადება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ტურიზმის დივერსიფიკაციის, პოპულარიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით შემოთავაზებული კვლევებისა და კურსებისთვის პროგრამების მომზადება/განხორციელება	- მომზადებული / განხორციელებული გეგმებისა და პროგრამების რაოდენობა	მაქსიმუმ 4	**გრანტის მიმღებები:** - რეგიონებში მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებები (კერძო და საჯარო სკოლები), - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები) **პროექტის ინიციატორები :** - რეგიონული საგანმანათლებლო დაწესებულებები (კერძო და საჯარო საშუალო სკოლები), - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები **გეოგრაფიული დაფარვა:** ოთხი რეგიონი	***განმახორციელებელი უწყება***: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ***პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღები:*** სსს ***პარტნიორი უწყებები:*** *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.* საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;	საგრანტო სქემის ორ ეტაპიანი პროცედურა: I – საპროექტო წინადადებები II საპროექტო განაცხადები საჭირო დოკუმენტაცია სთან ერთად

			ჯგუფი 2 ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების განვითარება - მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტურიზმზე ორიენტირებული რეგიონული განათლების / ტრენინგების ცენტრების მხარდაჭერა (მათ შორის ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ინვენტარის შეძენა) - ტურისტული სერვისების მიმწოდებლებისთვის კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება	- მხარდაჭერილი რეგიონული სასწავლო/საგანმანათლებლო ცენტრების რაოდენობა; - ორგანიზებული კურსებისა და ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა; - გადამზადებული კომპანიების/ტურისტული მომსახურების მიმწოდებელთა რაოდენობა	მაქსიმუმ 4 200 60			
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა	**3.1**. ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა	ა – ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა	- 4 რეგიონში მცირე, საშუალო და მიკრო საწარმოებისთვის ხელმისაწვდომი გრანტების გაცემა - მანქანა-დანადგარების, ინვენტარის შეძენა; - პროექტის (წარმოებისა და შემნახველი საშუალებების) ფარგლებში შეძენილი დანადგარებისა და აღჭურვილობის დამონტაჟებასთან დაკავშირებული სამუშაოების მხარდაჭერა; - მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლებისა და მეწარმე სუბიექტებისთვის კონსულტაციების და ტრენინგების უზრუნველყოფა	- მხარდაჭერილი საწარმოების რაოდენობა - მხარდაჭერილი სურსათის გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა - მხარდაჭერილი ინდუსტრიული საწარმოების რაოდენობა - მცირე და საშუალო საწარმოების გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა - შექმნილი ბიზნეს ჰაბების რაოდენობა	40 10 10 150 2	- ***გრანტის მიმღებები:*** - 4 რეგიონში მოქმედი მეწარმე სუბიექტები ***პროექტის ინიციატორები*** - 4 საპილოტე რეგიონში რეგისტრირებული ან/და მოქმედი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მეწარმე სუბიექტები **გეოგრაფიული არეალი** 4 რეგიონი	***განმახორციელებელი უწყება:*** სსიპ აწარმოე საქართველოში; სსიპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ***პროექტების შეფასება:*** ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფი **პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები:** სამთავრობო კომისია ***პარტნიორი უწყებები:***	საგრანტო განაცხადის მიღება და შერჩევა

			- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის ბიზნეს ჰაბების შექმნა (პროექტის კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შექმნა/შემუშავება; პროექტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარის შესყიდვა; ბიზნეს ჰაბის ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (სასწავლო, საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ.); - საიტებისა და სხვა მასალების მომზადება; ბიზნეს ჰაბების თანამშრომლებისთვის სპეციალიზებული ტრენინგების ორგანიზება				ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; გარემოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	
		ბ- ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება	- საერთაშორისო გამოფენების ორგანიზების ხელშეწყობა - სავაჭრო მისიების ორგანიზება - უცხოელი მყიდველების დაკავშირება ადგილობრივ მწარმოებლებთან - სავაჭრო პლატფორმა www.tradewithgeorgia.com-ზე რეგისტრაცია - საქართველოში არსებულ ექსპორტის პროცედურებზე ინფორმაციის მიწოდება - უცხოურ ბაზრებზე არსებულ საბაჟო ტარიფებზე ინფორმაციის მიწოდება - ექსპორტის	- ორგანიზებული გამოფენების რაოდენობა - ორგანიზებული სავაჭრო მისიების რაოდენობა - გადამზადებული ექსპორტ მენეჯერების რაოდენობა	3 4 20	**გრანტის/მომსახურების მიმღებები:** - 4 საპილოტე რეგიონში რეგისტრირებული ან/და მოქმედი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მეწარმე სუბიექტები **პროექტის ინიციატორები :** - 4 საპილოტე რეგიონში რეგისტრირებული ან/და მოქმედი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მეწარმე სუბიექტები; **გეოგრაფიული არეალი:** 4 რეგიონი	***განმახორციელებელი უწყება:*** სსიპ აწარმოე საქართველოში ***პროექტის შეფასება:*** ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფი ***პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღები:*** სამთავრობო კომისია ***პარტნიორი უწყებები:*** ეკონომიკისა და მდგრადი	საგრანტო სქემა – საგრანტო განაცხადის მიღება და შერჩევა

			მენეჯერების გადამზადება - ექსპორტის ხელშეწყობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები				განვითარების სამინისტრო	
	3.2. ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერა ღონისძიება მიზნად ისახავს ინოვაციური მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკის შეძენას, ინოვაციური წარმოების მეთოდების გამოყენებით ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოების გაზრდას, ბიზნესის და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლობის სტიმულირებას		- ინოვაციების ინფრასტრუქტურის მოწყობა - IT აკადემიის ფორმირება - ციფრული ნომადების პროგრამა რეგიონებში - ინოვაციური წარმოების მეთოდების შეძენა - მანქანა – დანადგარებისა და ტექნიკის შეძენა - სამშენებლო / სარემონტო სამუშაოები და სხვა მომსახურებების შეძენა, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკის დანერგვისა და გამოყენების მიზნით - ტრენინგები მხარდაჭერილი კომპანიების თანამშრომლებისთვის - სამრეწველო დიზაინთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა - პროტოტიპების შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა - პროდუქციის ხარისხის შემოწმებასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა - ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა	- მხარდაჭერილი საწარმოების რაოდენობა - ახალი მანქანა-დანადგარებით და ტექნიკით აღჭურვილი საწარმოების რაოდენობა - გადამზადებული საწარმოების თანამშრომელთა რაოდენობა - კვლევა-განვითარების აქტივობებისთვის ახალი ტექნიკით აღჭურვილი საწარმოების რაოდენობა - განვითარებული პროტოტიპების რაოდენობა	80 30 60 30 4	**გრანტის მიმღებები:** - მეწარმე სუბიექტები, რომლებიც 4 რეგიონში ახორციელებენ ბიზნეს აქტივობებს **პროექტის ინიციატორები :** - მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც 4 რეგიონში ახორციელებენ ბიზნეს აქტივობებს **გეოგრაფიული არეალი:** 4 რეგიონი	***განმახორციელებელი უწყება:*** საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში მომუშავე ორგანიზაციები; სხვა კვლევითი დაწესებულებები ***წარმოსადგენი პროგრამების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები:*** სამთავრობო კომისია ***პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები:*** განმახორციელებელი უწყება ***პარტნიორი უწყებები:*** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს რეგიონული	საგრანტო განაცხადის მიღება და შერჩევა

			- საგრანტო სქემის დანერგვა კომპანიების კვლევა-განვითარებისკენ მიმართული აქტივობებისთვის - კვლევა – განვითარების ღონისძიებების ჩატარებისთვის საჭირო მცირე ტექნიკის შეძენა				განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სსიპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო; შპს საქართველოს მელიორაცია.	
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	**4.**1 ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა		- ადგილობრივი პროდუქციის წარმოების პროცესის/ტექნოლოგიის ადაპტაცია ტრადიციულ რეცეპტებთან - ახალი პროდუქტების შექმნისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა - ტრადიციული ხელნაკეთების და პროდუქტების მარკეტინგული აქტივობები (დისტრიბუციის ახალი ქსელები, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტები, ახალი დიზაინი, შეფუთვა); - ისტორიულად მნიშვნელოვანი ტრადიციული	- ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქტების შენარჩუნებისა ან/და კომერციალიზაციისთვის განხორციელებული პროექტების რაოდენობა - წარმოების, გამოფენებისა და ტრადიციული ხელნაკეთების და პროდუქტის გაყიდვის მიზნით მოდერნიზებული ნაგებობების რაოდენობა, - ადგილობრივი გამოფენებისა და ფესტივალების რაოდენობა - გადამზადებული ინდივიდუალური პირების და საწარმოების თანამშრომელთა რაოდენობა	12 8 4 60	**გრანტის მიმღებები:** - ადგილობრივი მეწარმეები, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით **პროექტის ინიციატორები :** - მეწარმე სუბიექტები, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები **გეოგრაფიული არეალი** - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების დონეზე იდენტიფიცირებული	***განმახორციელებელი უწყება:*** ევროკავშირის დელეგაცია/საერთაშორისო ორგანიზაცია	საგრანტო სქემის ორ ეტაპიანი პროცედურა: I – საპროექტო წინადადებები II საპროექტო განაცხადები საჭირო დოკუმენტაცია სთან ერთად

		ხელნაკეთების, პროდუქციისა და მომსახურების აღდგენა - წარმოების, გამოფენებისა და ტრადიციული ხელნაკეთების და პროდუქციის გაყიდვის მიზნით შენობების მოდერნიზაცია/ადაპტაცია - ადგილობრივი პროდუქტების ფესტივალების ორგანიზება; - საგამოფენო დარბაზებისა და მცირე მუზეუმების მოწყობა; - მხარდაჭერილი მეწარმე სუბიექტების ტრენინგი			სოფლები და ქალაქის ტიპის მცირე დასახლებები (დაბა) წარმოადგენს სამიზნე ტერიტორიებს.		
	4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა	- ბიზნესთან ან სხვა ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება - მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განახლება (რომლებიც მოქალაქეებს, ტურისტებსა და მეწარმეებს ემსახურება, მათ შორის რეკრეაციული ზონების ქუჩების, ტროტუარების, პარკირების ადგილების, შადრევნების, სკვერების, ძეგლების, საბავშვო მოედნების, სპორტული ობიექტების	- მხარდაჭერილი დასახლებების რაოდენობა - მხარდაჭერილი მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები; - შინამეურნეობების რაოდენობა რომელთაც გაუმჯობესებული წვდომა აქვთ წყლის და წყალარინების სისტემებზე - ახალი წყლის და წყალარინების მილების სიგრძე; - გარემონტებული სახელმწიფო შენობების რაოდენობა - აშენებული/განახლებული ადგილობრივი გზების სიგრძე	12 36 6 კმ 4	**გრანტის მიმღებები:** - მუნიციპალიტეტები **პროექტის ინიციატორები :** - მუნიციპალიტეტები **გეოგრაფიული დაფარვა** - სამიზნე ტერიტორიებზე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს დონეზე შეთანხმებული დასახლებები	***განმახორციელებელი უწყება:*** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ***მხარდასაჭერი ტერიტორიების/სოფლების განსაზღვრა*** *სამთავრობო კომისია სსს-თან და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას თან კონსულტაციების შემდგომ* ***პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები:*** სსს	საგრანტო სქემის ორ ეტაპიანი პროცედურა: I – საპროექტო წინადადებები II საპროექტო განაცხადები საჭირო დოკუმენტაცია სთან ერთად

		მოწყობა/რეაბილიტაცია); - კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია - ტურისტული ან სხვა სახის მომსახურებების შეთავაზების მიზნით სახელმწიფო შენობების განახლება - ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა - ადგილობრივი გზების (და თანმხლები ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება, რაც ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს - მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის უზრუნველმყოფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზების გაყვანა/მონტაჟისთვის საჭირო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების, მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების, ღარების (სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია) მოწყობა					

	4.3 – ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა და მიწოდების გაუმჯობესება	ა – სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	- მცირე სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან მშენებლობა; - საბავშვო ბაღები, სკოლები, ძირითადი ჯანდაცვის და სხვა ობიექტები, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მოემსახურება; - საჭირო ტექნიკის შეძენა გაუმჯობესებული მომსახურების უზრუნველსაყოფად	- მხარდაჭერილი დასახლებების რაოდენობა - მხარდაჭერილი სოციალური ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა - პროექტების რაოდენობა საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, მოსახლეობისთვის მუნიციპალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით - მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომელთაც ციფრული ადგილობრივი მონაცემთა ბაზა გააჩნიათ	12 18 6 6	***გრანტის / მომსახურების მიმღებები:*** - მუნიციპალიტეტები **პროექტის ინიციატორები :** - მუნიციპალიტეტები და პარტნიორები: კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და საჯარო უწყებები **გეოგრაფიული დაფარვა** სსს-ს დონეზე შეთანხმებული სამიზნე ტერიტორიების დასახლებები	***განმახორციელებელი უწყება:*** ევროკავშირის დელეგაცია/საერთაშორისო ორგანიზაცია	საგრანტო სქემის ორ ეტაპიანი პროცედურა: I – საპროექტო წინადადებები II საპროექტო განაცხადები საჭირო დოკუმენტაცია სთან ერთად

		ბ – საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული და სხვა სერვისების დანერგვის მხარდაჭერა	- ტექნიკის შეძენა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (ელექტრონული სწავლება, ელექტრონული ჯანდაცვა, მუნიციპალური საინფორმაციო სისტემები, სხვა სერვისები საჭიროებებიდან გამომდინარე) - მუნიციპალურ სერვისებთან დაკავშირებული ციფრული/ელექტრ	- პროექტების რაოდენობა, რომლებიც ადგილობრივი მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს - მოქალაქეებისა და ბიზნესებისთვის დანერგილი „ერთი ფანჯრის პრინციპის“ ტიპის პროექტების რაოდენობა - გადამზადებული ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებისა და ადგილობრივი მომსახურების	12 4 60			

			ონული პლატფორმების შექმნა (ნებართვები, გადასახადები, პეტიციები, მოსახლეობის უკუკავშირის შესაძლებლობა, ა.შ.) - ადგილობრივ პროდუქტებთან და მომსახურებებთან დაკავშირებით, ადგილობრივ მონაცემთა ციფრული ბაზის შექმნა (სივრცითი განვითარების გეგმები, საკადასტრო მონაცემები რეესტრი და ა.შ.) - მოქალაქეებისა და ბიზნესებისთვის ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა; - სახელმწიფო შენობის მოწყობა მოსახლეობისთვის ხარისხიანი სერვისების მიწოდების მიზნით;	მიმწოდებლების (მაგ., მასწავლებლები) რაოდენობა - სხვა რეგიონში/ტერიტორიაზე სკოლის გაცვლით პროგრამებში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა	240			
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება	**5.1 ეროვნულ დონეზე რეგიონული პოლიტიკასა და სრიგპ-ის განხორციელებაში ჩართული უწყებების შესაძლებლობების განვითარება** ეს ღონისძიება მიზნად ისახავს რგის-ის და სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების განვითარებას თანამედროვე რეგიონული პოლიტიკისა და სრიგპ-ს ეფექტიანად განსახორციელებლად	- სრიგპ-ს ფარგლებში პროექტების შეფასებისა და შერჩევის პროცედურების, სახელმძღვანელოებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება - ზოგადი მხარდაჭერა რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე - სრიგპ-ს განხორციელების	- სრიგპ-ს განსახორციელებლად მომზადებული სახელმძღვანელოებისა და გაწეული საკონსულტაციო მომსახურების რაოდენობა - რეგიონული პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებზე ორგანიზებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა - ტექნიკური დახმარების	4 12	***მომსახურების მიმღებები***: რგის და სხვა საჯარო უწყებები, რომლებიც რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე, სრიგპ-ს პროგრამირების, მონიტორინგსა და განხორციელებაზე მუშაობენ **გეოგრაფიული არეალი:**	***განმახორციელებელი უწყება:*** ევროკავშირის დელეგაცია/საერთაშორისო ორგანიზაცია	ტექნიკური დახმარება

			პროცესში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა (მხარდაჭერა კონტრაქტების მართვაში და მომავალი პროექტების მდგრადობის უზრუნველყოფა) - კონსულტაციები მართვისა და კონტროლის შესახებ საბუღალტრო და ფინანსური მართვის ფუნქციებთან ერთად (ტრენინგები, სახელმძღვანელოები და ანალიტიკური დოკუმენტები) - ხილვადობის გაუმჯობესებისკენ მიმართული აქტივობები	გუნდის მიერ მხარდაჭერილი დაწესებულებების რაოდენობა ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი დონე); - ცენტრალური ადმინისტრაციიდან ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა (რომლებიც სერტიფიკატს მიიღებენ)	50	4 რეგიონი		
	5.2 რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების შესაძლებლობების განვითარება ამ ღონისძიების მიზანია ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარება სოციალურ-ეკონომიკური ქვემოდან ზემოთ განვითარების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, საჯარო ინტერვენციების მართვა, კოორდინაცია, პროგრამირება და მონიტორინგი	ა- სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება	- საკონსულტაციო მომსახურება სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების თანამშრომლებისთვის პროფესიული უნარების განვითარების მიზნით - მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა საპილოტე რეგიონებში - მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისთვის (1 დოკუმენტი 4 რეგიონისთვის) ტრენინგების საჭიროებათა შეფასების მომზადება (TNA);	- გაწეული საკონსულტაციო მომსახურების რაოდენობა სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისთვის - ტრენინგების / კურსებისთვის მომზადებული სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები - ტრენინგებში მონაწილე ადგილობრივ საჯარო მოხელეთა რაოდენობა	12 4 50	***მომსახურების მიმღებები***: - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სამდივნო; - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები - მუნიციპალიტეტები - სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები - სხვა დაინტერესებული მხარეები ***პროექტის ინიციატორები*** - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სამდივნო; - მუნიციპალიტეტები; - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები;	**განმახორციელებელი უწყება:** ევროკავშირის დელეგაცია/საერთაშორისო ორგანიზაცია	ტექნიკური დახმარება

			- ტრენინგებისთვის სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მომზადება; - სწავლის, კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება - საკონსულტაციო მომსახურება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით - ცნობიერების ამაღლება „გონივრული სპეციალიზაციების“ თაობაზე, სწრაფად მზარდ სექტორებთან დაკავშირებით (განსაკუთრებით იმერეთში) - სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის მხარდაჭერა სრიგპ-ის აქტივობების შემუშავებასა და განხორციელების პროცესებში			- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. **გეოგრაფიული არეალი:** 4 რეგიონი		
		ბ – შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის ანალიზისა და მონიტორინგის მიმართულებით	- კვლევები 4 რეგიონის განვითარების ტენდენციებთან დაკავშირებით - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მხარდაჭერა სრიგპ-ს მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების მომზადებისთვის - საქსტატის მიერ	- მომზადებული კვლევებისა და ანალიზის რაოდენობა - მხარდაჭერილი მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების რაოდენობა - საქსტატთან თანამშრომლობის შედეგად მიღებული რეგიონული განვითარების მონიტორინგის ახალი სტატისტიკური მაჩვენებლების	მაქსიმუმ 12 8 10	***მომსახურების მიმღები:*** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები - საქსტატი - რგის **გეოგრაფიული არეალი:** 4 რეგიონი	**განმახორციელებელი უწყება:** ევროკავშირის დელეგაცია/საერთაშორისო ორგანიზაცია	ტექნიკური დახმარება

			სტატისტიკური მონაცემების მომზადება და მოძიება	რაოდენობა				
		გ- რეგიონებში ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება	- ინვესტორების მხარდაჭერა სამუშაო ძალის გადამზადების კუთხით - ინვესტორებისათვის ადამიანური რესურსი მოძიების მხარდაჭერა; - ტრენინგები, სასერთიფიკატო კურსები, სხვა საგანმანათლებლო აქტივობები - რეგიონებში საინვესტიციო შესაძლებლობების გამოვლენა, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და საინვესტიციო წინადადებების მომზადება - თითოეული რეგიონის დონეზე პოტენციური საინვესტიციო შეთავაზებების გამოვლენა, საჯარო უწყებებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო სექტორთან კოორდინაციის გზით - პრიორიტეტულად დასახულ საინვესტიციო შეთავაზებებისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების მომზადება - პროექტებისათვის რომელთა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები დადებითი შედეგით დასრულდება შესაბამისი საინვესტიციო	- მხარდაჭერილი ინვესტორების რაოდენობა - დატრენინგებული ინვესტიციების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების რაოდენობა - გამოვლენილი საინვესტიციო შეთავაზებების რაოდენობა - ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების რაოდენობა	3 3 20 8	***მომსახურების მიმღებები:*** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები - მუნიციპალიტეტები; - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ - პოტენციური ინვესტორები **გეოგრაფიული არეალი** - 4 რეგიონი	**განმახორციელებელი უწყება:** ევროკავშირის დელეგაცია/საერთაშორისო ორგანიზაცია	ტექნიკური დახმარება

			შეთავაზებების მომზადება - საინვესტიციო შეთავაზებების წარდგენის მიზნით საერთაშორისო დონეზე მიზნობრივი აქტივობების გატარება - ინვესტიციების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი თანამშრომლებისთვის სპეციალიზებული ტრენინგების ორგანიზება - ინვესტიციების ხელშეწყობისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება					
	5.3 პროექტების ნუსხის მომზადების მხარდაჭერა		- პროექტის იდეების შემუშავება - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროექტების განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება - მხარდაჭერა სრიგპ-ს პროცედურებით გათვალისწინებული სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებაში; - პროექტების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადების მხარდაჭერა (ტექნიკური კვლევების, ტექნიკური გეგმების, საკონტრაქტო დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი	- შემუშავებული პროექტების რაოდენობა - დაქირავებული შემფასებლების რაოდენობა - საკონსულტაციო პაკეტების რაოდენობა	60 8 8	***მომსახურების მიმღებები:*** - სრიგპ-ის გრანტისა და მომსახურების მიმღებები და სხვა დაინტერესებული მხარეები გეოგრაფიული არეალი: **4 რეგიონი**	**განმახორციელებელი უწყება:** ევროკავშირის დელეგაცია/საერთაშორისო ორგანიზაცია	ტექნიკური დახმარება

		ზემოქმედების შეფასების, ბიზნეს გეგმების) - პროექტების შეფასებისა და შერჩევის მხარდაჭერა - პროექტების განხორციელების მხარდაჭერა;					

დანართი №2

საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისია

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.

5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.

6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.

7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი.

8. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი.

9. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის მდივანი.

10. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

11. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

13. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

14. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

15. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

16. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

დანართი №3

საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) არის საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს საქართველოს საპილოტე რეგიონებში რეგიონული განვითარების პროცესს.

2. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. კომისიის ფუნქციები

კომისიის ფუნქციებია:

ა) საქართველოს საპილოტე რეგიონებში რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის წინადადებების წარდგენა;

ბ) „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (შემდგომში – სრიგპ) განხორციელებაში ჩართული მხარეების საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფა;

გ) სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს მოწონება, რომელიც უზრუნველყოფს სრიგპ-ის შეუფერხებელ განხორციელებას, მათ შორის, პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის, სახელმძღვანელოებისა და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების მოწონება, ასეთების არსებობის შემთხვევაში;

დ) სრიგპ-ის შესაძლო ცვლილების განხილვა, მოწონება და საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარმოდგენა, გარდა ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ე) სრიგპ-ის განხორციელებასთან დაკავშირებით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, კერძოდ, პროგრამის პრიორიტეტებისა და ღონისძიებების ცვლილების გარდა, სრიგპ-ის ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ვ) სრიგპ-ით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროგრამების/პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება/შესაბამისობის შემოწმება, მათ შორის, სტრატეგიული პროექტების შერჩევა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, და დაფინანსების მიზნით, საქართველოს მთავრობისთვის წარმოდგენა;

ზ) სრიგპ-ით გათვალისწინებული პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის ყოველწლიურად განსაკარგი ჯამური თანხის განსაზღვრა და საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

თ) ყოველწლიურად განსაკარგი პროგრამის პრიორიტეტების ჯამური თანხის ფარგლებში, სრიგპ-ით გათვალისწინებული ღონისძიებების/ქვეღონისძიებების ბიუჯეტის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ი) საჭიროებისამებრ, სრიგპ-ის ფარგლებში პროგრამების/პროექტების განაცხადების პირობების მომზადება და გამოცხადება;

კ) სრიგპ-ის მონიტორინგისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტების მოწონება;

ლ) სრიგპ-ის განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგი, მათ შორის, საჭიროებისამებრ, მდგრადი განვითარებისა და გენდერული თანასწორობის კუთხით; პერიოდული ანგარიშების განხილვა და წინადადებების შემუშავება განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;

მ) სრიგპ-ის განხორციელების მიზნებისათვის საჭირო დაგეგმვის დოკუმენტების, მათ შორის, რეგენერაციის გეგმების მოწონება;

ნ) აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი ტექნიკური დახმარების ფარგლებში „ქალაქების მდგრადი განვითარების საინვესტიციო პროგრამის“ მოსამზადებლად წინადადებების განხილვა;

ო) ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, შერჩეულ კლასტერებში ინვესტიციების განსახორციელებლად პრიორიტეტების განსაზღვრა;

პ) ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, შერჩეული კლასტერების ინტეგრირებული, დაბალანსებული, ურბანული და რეგიონული განვითარების თაობაზე წინადადების მომზადება;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილებანი

კომისია უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოითხოვოს რეგიონული განვითარების პრობლემატიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია;

ბ) ცალკეულ საკითხთა მომზადებისა და წინადადებათა შემუშავების მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფები;

გ) კონკრეტულ საკითხებზე საკონსულტაციოდ მიიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები;

დ) საქართველოს მთავრობასა და შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, მათი კომპეტენციის სფეროს შესაბამისად, წარუდგინოს წინადადებები და დასკვნები, ასევე, დასამტკიცებლად მიღებული გადაწყვეტილებები;

ე) საჭიროებისამებრ, სრიგპ-ის ფარგლებში დააზუსტოს ღონისძიებებისა და ქვეღონისძიების დაფინანსების მიმღებები და პროექტების ინიციატორები;

ვ) უზრუნველყოს აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი ტექნიკური დახმარების ფარგლებში „ქალაქების მდგრადი განვითარების საინვესტიციო პროგრამის“ მიზნებისათვის პროგრამის განხორციელების პროცესებში დაინტერესებული პირების ჩართულობა;

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 4. კომისიის ხელმძღვანელობა

1. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს კომისიის სამუშაო განრიგს;

გ) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს.

2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს მის უფლებამოსილებას თავმჯდომარის არყოფნისას.

3. კომისიის მდივანი:

ა) უზრუნველყოფს კომისიის სხდომის გამართვის ორგანიზებას;

ბ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომის მასალების შენახვასა და დაცვაზე.

4. კომისიის ერთ-ერთი წევრი თავმჯდომარის დავალებით ასრულებს კომისიის მდივნის უფლებამოსილებას მისი არყოფნისას.

მუხლი 5. კომისიის სხდომის გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების, მათ შორის, ელექტრონული სხდომების მეშვეობით.

2. კომისიის ელექტრონული სხდომა ტარდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

3. კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან კომისიის წევრის წერილობითი თხოვნის საფუძველზე. კომისიის სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისიის სხდომების მოწვევის ორგანიზება და საქმიანობის კოორდინაცია ხორციელდება კომისიის წევრებისათვის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეტყობინების გაგზავნის გზით.

5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გარდა ელექტრონული ფორმით ჩატარებული სხდომის შემთხვევისა.

6. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას კენჭისყრის შედეგად მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო ელექტრონული ფორმით ჩატარებული სხდომის შემთხვევაში – კომისიის წევრების უმრავლესობის მიერ, მოთხოვნილ ვადაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით პოზიციის დადასტურების შემთხვევაში. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. ოქმში უნდა აისახოს კომისიის ნებისმიერი წევრის მიერ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი ან სხდომაზე გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი.

8. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება, მიწვეულ იქნენ სახელმწიფო რწმუნებულები, სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები, ასევე სხვა პირები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში. ამასთან, კომისიის წევრები და კომისიის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით მიწვეული პირები კომისიის მუშაობაში უნდა მონაწილეობდნენ პირადად, სხდომაზე დასწრების გზით ან მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 6. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.